

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

23 ნოემბერი 2007

№24(50)



კნუტ ჰამსუნი და ქართული მოდერნიზმი  
მამა ბრაუნის ჯადოსნური ზღაპარი  
სერგო ზაქარიაძე და ჩვენი ეზო  
ცილა არდაშელიას მოთხრობა  
ცივილიზაცია და კულტურა  
ივრისპირელი მზეჭაბუკი

## შინაარსი

<b>ილიას გვით</b>	<b>2</b>	<b>ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა</b> (ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამრეკლოდან)
	<b>3</b>	<b>ირმა რატიანი სიტყვა, წარმოთქმული საიუბილეო კრებულის პრეზენტაციისაზე</b>
<b>ასეისბიკა</b>	<b>4</b>	<b>მიგელ დე უნამუნო ცივილიზაცია და კულტურა</b>
<b>ვპრონის გვაგუა</b>	<b>7</b>	<b>კნუტ ჰამსუნი და ქართული მოღარნიზი</b>
<b>აროზა</b>	<b>10</b>	<b>ციალა არდაშელია „მოდინ-ნახას“ მეციხოვნენი</b>
<b>პოეზია</b>	<b>20</b>	<b>ნინო ჰექსე ეს ჩემი გულია თუ შენ ფეთქავ</b>
<b>პირველი შთაბეჭდილება</b>	<b>23</b>	<b>გივი ალხაიშვილი ქალაქური ყოფის ანარქიკლები</b>
<b>ჩვენი ყოფა, წუთისოფალი</b>	<b>23</b>	<b>ნატო გაგნიძე „უპალი ტკვენტანა...“</b> (კვლავ „ერთმონღუნე ძმები“, ანუ ორი სიტყვა იმაზე, თუ ვის სურს სინამდვილეში დაეპატრონოს ქართველ კათოლიკეთა ტაძრებს)
<b>ლიბერალური პორტრეტი</b>	<b>25</b>	<b>ემზარ კვიციანიშვილი ივრისპირელი მზაჭაბუკი</b> (მირზა გელოვანი)
<b>უსწოთის სხოვრანიდან</b>	<b>32</b>	<b>მარინე ტურავა თვითგადარჩენა თუ საკუთარ ბედთან შეგუება?!</b> (ფრანც კაფკას „პროცესის“ მიხედვით)
<b>პოეზის ერთი ლექსი</b>	<b>35</b>	<b>გივი ალხაიშვილი მისამე ელემია</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>36</b>	<b>გია ჯოხაძე „აქ სულ სხვა ხმელეთია...“</b>
<b>მოგონებათა სივრდი</b>	<b>38</b>	<b>ნოდარ ცერცვაძე სერგო ზაქარიაძე და ჩვენი ეზო</b>
<b>პოეზის ერთი ლექსი</b>	<b>44</b>	<b>მურმან ჯგუბურია თამაზ ჩხენკელს</b> (ბო ძიუ-ის ლექსების კრებულის (50 წლისთავზე) ხელახალი გამოცემის გამო)
<b>ღიალოგი</b>	<b>45</b>	<b>შექმნილია საქართველოში</b> (ლელა ოჩიაურს ესაუბრება ლევან თუთბერიძე)
<b>ჩემი საუკუნის ადამიანები</b>	<b>49</b>	<b>ნონა კუპრეიშვილი რე-კონსტრუქციონისტი</b> (რევაზ თვარაძე)
<b>გამონათქვამი</b>	<b>52</b>	<b>საბა სულხანიშვილი შეფარული პოლემიკა</b> (რას საყვედურობდა იროდიონ სონლულაშვილი კონსტანტინე გამსახურდიას)
<b>რეპორტაჟი</b>	<b>55</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი ანარქიკლი კველი სანაპიროდან</b> (თემურ მეტრეველის გახსენება)
<b>დაბეჭდვითი</b>	<b>56</b>	<b>ჯილბერტ კიტ ჩესტერტონი მამა ბრანდის ჯადოსნური ზღაპარი</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>ტყავი, საკუთარი ტყავი</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 93) 65-93-68

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა ტეჯი“  
საბეჭდო, თბილისი, სარაჯიშვილის 17  
ბინაში: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ლონდონი, პარლამენტის შენობა

თამაზ ჩხენკელი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 7 დეკემბერს

# ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა



## ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამრეკლოდან

2007 წლის 6 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ – „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“.

კონფერენცია გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ირმა რატიანმა:

„ქალბატონებო და ბატონებო, მოგესალმებით. პატივი მაქვს, გახსნილად გამოვაცხადო ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მობარუნე ვართ, რომ კონფერენციას მასპინძლობს დიდი ტრადიციების მქონე კვლევითი ცენტრი – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.“

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ საიუბილეო კონფერენცია წელს უკვე რიგით მეორე საერთაშორისო ფორუმია, რომელიც ინსტიტუტის ბაზაზე იმართება. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმ საერთო აღმავლობასა და წინსვლაზე, რომელიც შეინიშნება ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია საკმაოდ მრავალპლანაინია, რაც წარმოადგენდა კიდევაც კონფერენციის მესვეურთა მიზანს: შეუძლებელია ილიას მოღვაწეობის მოთავსება მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობით ჩარჩოებში, ვინაიდან მისი საზოგადოებრივი და სახეობრივი გავლენებით მეტ მასშტაბებს მოიცავს, ვიდრე ეს ერთი მწერლის შემოქმედებაა. შესაბამისია საკონფერენციო პროგრამის შინაარსიც: ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემების გვერდით თანაბრადაა წარმოდგენილი ილიას შემოქმედების ენათმეცნიერული, ისტორიული, ფილოსოფიური, მოქალაქეობრივი თუ სხვა ასპექტები. ფართო ინტერდისციპლინარული და ინტერკულტურული სპექტრიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კონფერენცია სრულად ესადაგება მაღალ თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტს.

ასეთი მაღალი სამეცნიერო სტანდარტისათვის დიდი მადლობა მინდა მოვახსენო კონფერენციის მონაწილეებს, თანისი საქმის ჭეშმარიტ პროფესიონალებს, როგორც ჩვენს თანამემამულეთ, ასევე უცხოელ კოლეგებს, რომლებიც, ჩამობრძანდნენ საქართველოში, რათა თავიანთი სიტყვა გაეჟღერებინათ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებში.

საგანგებო მადლობით მინდა მივმართო საქართველოს განათლებასა და მეცნიერების სამინისტროს, პირადად ბატონ ალექსანდრე ლომაიას იმ დიდი მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, რომელიც მან და მისადმი რწმუნებულმა უწყებამ აღმოგვიჩინეს კონფერენციის ორგანიზების პროცესში. რომ არა მათი ქმედითი მხარდაჭერა, ფორუმი ვერ შეიქმნდა სასურველ მასშტაბებს. როგორც ეს კონფერენცია, ისე საიუბილეო დღეების ფარგლებში დაგეგმილი სხვა ღონისძიებები



მამდვილად ფასდაუდებელი საჩუქარია ქართველოლოგიური კვლევების გულშემატკივარი საზოგადოებისათვის.

მოსამზადებელი სამუშაოები იყო საკმაოდ ხანგრძლივი და რთული, განუვლი დახმარებისთვის, დიდ მადლობას მოვახსენებთ თანამონაწილე ორგანიზაციებს და, რასაკვირველია, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთელ გუნდს.

ილია ჭავჭავაძე არის მოაზროვნე, რომელმაც შექმნა, ააღორძინა და გააბრწყინა მე-19 საუკუნის საქართველო, აქცია იგი მომდევნო ეპოქების საქართველოს ცნობიერების პლაცდარმად.“

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია, კულტურის მინისტრის მოადგილე ნიკა ვაჩიშვილი... მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ. მონაწილეთა რეგისტრაციის შემდეგ გამართულ პლენარულ სხდომაზე მოხსენებები წარმოადგინეს: თსუ პროფესორმა, ისტორიკოსმა მარიამ ჩხარტიშვილმა („ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“); გერმანელმა ლიტერატურათმცოდნემ – რუდოლფ კროტიტერმა („ფრედერიკ რიუკერტი (1788-1866) და აღმოსავლეთი“); ირმა რატიანმა („ილია და მისი მკითხველი“).

იმავე დღეს „ქორთიარდ მერიოტის“ დარბაზში მოეწყო ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგების მიერ მომზადებული ილია ჭავჭავაძის აკადემიური ოცტომეულის მე-8-მე-15 ტომებისა და ინსტიტუტის მიერ ილიას საიუბილეოდ გამოცემული სამეცნიერო კრებული – „ილია ჭავჭავაძე – 170“ პრეზენტაცია. კრებული დიბეჭდა საიუბილეო ღონისძიებათა სამთავრობო კომისიის მხარდაჭერით.

პრეზენტაცია გახსნა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ირმა რატიანმა. მან ისაუბრა იმ მრავალწლიანი ურთულესი შრომის შესახებ, რომლის შედეგიც არის წარმოდგენილი მრავალტომეული. მან დამსწრეთ აცნობა, რომ მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით მომავალი წლის გაზაფხულზე მთლიანად დასრულდება ოცტომეულის გამოცემა.

ტექსტოლოგმა მაია ნინიძემ, რომელიც ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა ოცტომეულის მომზადებას, ისაუბრა აკადემიური გამოცემის სტრუქტურულ აგებულებაზე, ტომების შედგენის პრინციპებზე, აღნიშნა თითოეული ტომის რედაქტორ-შემდგენელთა, ტექსტოლოგების უდიდესი დამსახურება, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის ღვაწლს, რომელიც წლების განმავლობაში სათავეში ედგა ამ სამუშაოს. დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ან განსვენებული მკვლევარი-ტექსტოლოგის ლევან ჭრელაშვილის ხსოვნას, რომელმაც უდიდესი ამაგი დასდო ილიას ტექსტების დადგენასა და გამოსაცემად მომზადებას. აქვე აღინიშნა „ილია ჭავჭავაძის ფონდის“ (ხელმძღვანელი ანდრო ბედუკაძე) ღვაწლი, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაწყებული და სამიოდე ტომის გამოცემის შემდეგ

უსახსრობის გამო შეწყვეტილი ოცტომეულის გამოცემის გაგ-რძელება ითავა და განახორციელა კიდევ.

თავის გამოსვლაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომიამ აკადემიურ ოცტომეულს დიდი ქართველი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწისადმი შთამომავლობის მიერ აგებული ძეგლი უწოდა და განაცხადა, რომ განათლების სამინისტრო ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს მომავალ გაზაფხულზე ოცტომეულის გამოცემის დასრულებას.

მინისტრმა სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცა ტექსტოლოგების ჯგუფს: პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძეს – 1000 ლარი; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს მაია ნინიძეს – 1000ლარი; ლევან ჭრელაშვილის ოჯახს – 1000 ლარი; ცალკეული ტომების შემდგენელ-რედაქტორებს – ეთერ შარაშენიძეს, რუსუდან კუსრაშვილს, ლამარა გვარამაძეს, ლამარა მეგრელიშვილს, ლამარა შავგულიძეს – 800-800 ლარი; ჯუ-ლი გაბოძესა და ნანა ფრუიძეს – 500-500 ლარი.

ირმა რატიანი

სიტყვა, წარმოთქმული საიუბილეო კრებულის პრეზენტაციაზე

ქალბატონებო და ბატონებო, პატივი მაქვს, წარმოგიდგინოთ ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული – „ილია ჭავჭავაძე 170“.

ილია ჭავჭავაძე არამარტო ქართული ლიტერატურის, არამედ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მონუმენტური ფიგურაა. მისი გრძნობა და გონება საქართველოსათვის მნიშვნელოვან და საჭირობოროტო თითქმის ყველა საკითხს დასტრიალებდა და არა ამორჩევით რომელიმეს. ილიას ლიტერატურული ტალანტი თანაბრად იყო განზავებული მის ისტორიულ, საზოგადოებრივ და მოქალაქეობრივ მისიასთან. ამიტომაც ჟღერს ერთნაირი აქტუალობით: ილია – მწერალი, ილია – პუბლიცისტი, ილია – სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ილია – ბანკის მმართველი... XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს იმედად მოვლენილი ეს გენიოსი სიცოცხლის ბოლომდე ქართულ საქმეს მსახურებდა, მისი ცხოვრება უნივერსალური თავდადების სიმბოლოდ, ხოლო აღსასრული – ეპოქათა წყალგამყოფ ნიშნულად გადაიქცა.

განუზომელია ილია ჭავჭავაძის დამსახურება ქართველი ერის წინაშე და, ასევე, განუზომელია ქართველი ერის ვალდებულება წინაშე მისი ხსოვნისა. წინამდებარე საიუბილეო კრებული ამ ვალდებულების დიდი პატივის მხოლოდ მცირედი გამოვლინებაა, მოკრძალებული მცდელობა, მეტ-ნაკლები სისრულით წარმოაჩინოს 21-ე საუკუნის ქართული სააზროვნო სივრცის დამოკიდებულება ილიას მრავალმხრივი და მრავალმნიშვნელოვანი ფიგურისადმი. გამომდინარე აქედან, კრებული ვერ და არ შემოიფარგლა ილია ჭავჭავაძის მხოლოდ ლიტერატურული შემოქმედებით, მასში განთავსდა ისტორიულ-ფილოსოფიური, ინტერდისციპლინარული და კულტუროლოგიური ხასიათის წერილები, რომელთა მიზანსაც ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ახლებურად კვლევა და შეფასება წარმოადგენს.

ირმა რატიანმა დამსწრეთ ასევე წარუდგინა საიუბილეო კრებული, რომელშიც გაანალიზებულია 21-ე საუკუნის ქართული სააზროვნო სივრცის დამოკიდებულება ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტის მიმართ. აღნიშნა კრებულის შინაარსობრივი მრავალფეროვნება, ხაზი გაუსვა ავტორთა მაღალ პროფესიონალიზმს. კრებულის დიდ ღირსებად იქნა მიჩნეული რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია, სადაც წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის შესახებ შექმნილი ყველა მნიშვნელოვანი მონოგრაფია და გამოკვლევა.

დასასრულ შედგა ილია ჭავჭავაძის ვებ-გვერდის პრეზენტაცია, რომელიც „ირმის ნახტომის“ პროექტის ფარგლებში, ერთობლივი მუშაობის შედეგად, მოამზადეს თბილისის 23-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა (სამეცნიერო კონსულტანტი – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მაია ნინიძე).

რეცეფციის კუთხისა და პოზიციის ცვალებადობა დინამიკაში წარმოაჩენს როგორც საკვლევი ობიექტის სირთულეს, ასევე კვლევის მეთოდების ინოვაციურ პერსპექტივებს. ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ანალიზი გასული საუკუნის დასაწყისიდან დღემდე უცვლელად შემოდის ქართველ (და არა მხოლოდ ქართველ) კრიტიკოსთა ინტერესის სფეროში. შესაბამისად, მისი პიროვნული თუ შემოქმედებითი დამსახურებანი მუდმივად განახლებადი რეცეფციის კონტექსტშია მოქცეული. წინამდებარე კრებულის ერთ-ერთი მახასიათებელიც განსხვავებულ რეცეფციათა თავმოყრაა. იგი ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა უფროს და ახალგაზრდა თაობებს აერთიანებს, თაობათა ეს კავშირი კი განსაკუთრებულად სიმბოლურ დატვირთვას იძენს ილიას ფენომენის კვლევის კონტექსტში.

კრებულის გვერდებზე ერთმანეთს ენაცვლება სახელები, რომლებმაც უკვე შექმნეს თავიანთი განუმეორებელი ხელწერა და რომლებიც ახლა ქმნიან თანამედროვე ქართული აზროვნების ისტორიას: ბატონები დავით ნერედიანი და თეიმურაზ დოიიშვილი, როსტომ ჩხეიძე და ზურაბ კიკაჩიშვილი და გაიჩნია და ზაზა აბზიანიძე, თეგვიზ კოკაჩიშვილი და ლადო მინაშვილი, თამაზ ვასაძე და კახა კაციტაძე, ზაზა ფირალიშვილი და ლევან დალაქიშვილი, გიორგი მაისურაძე, ზაალ ანდრონიკაშვილი, მალხაზ ხარბედია, ქალბატონები – მარიამ ჩხარტიშვილი, თინათინ ბოლქვაძე, მარიამ ნინიძე, თქვენი მონა-მორჩილი. კრებულს თან ახლავს რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელშიც თავმოყრილია მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა და მონოგრაფია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ბიბლიოგრაფიული ნაწილის კონსულტანტები არიან ბატონი გიორგი აბაშიძე და ქალბატონი მანანა კვაჭანტირაძე, კოორდინატორი – ქალბატონი ნანა ფრუიძე.

კრებულში მეცნიერულ შეხედულებათა და კონცეფციათა ფართო სპექტრია მოცემული, რაც გვაძლევს იმედს, რომ იგი საინტერესო და ნოვატორული გზამკვლევი იქნება ილია ჭავჭავაძის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების სამყაროში შესასვლელად ახალი, ჯერეთ ნორჩი, 21-ე საუკუნის კარიბჭიდან.





მიგელ დე უნამუნო  
**ცივილიზაცია  
 და  
 კულტურა**

არსებობს გარე სამყარო, ხილულ მოვლენათა სამყარო, რომელიც ჩვენ გარემოგვიცავს და გვაარსებებს და არსებობს შინაგანი სამყარო, ჩვენი საკუთარი ცნობიერების, ჩვენი იდეების, წარმოსახვის, სურვილებისა და გრძნობების სამყარო. ვერავინ იტყვის, სად მთავრდება ერთი და საიდან იწყება მეორე, ვერავინ გაავლებს ზღვარს მათ შორის და ვერც იმას იტყვის, რომელ ზღვარამდე ვეკუთვნით გარე სამყაროს და საიდან იწყება ჩვენი შინაგანი სამყარო. მე ვამბობ: „ჩემი იდეები“, „ჩემი გრძნობები“, ამავე დროს ვამბობ „ჩემი წიგნები“, „ჩემი საათი“, „ჩემი ფეხსაცმელი“ და ვამბობ ასევე „ჩემი ხალხი“, „ჩემი ქვეყანა“ და კიდევ – „ჩემი პიროვნება!“ მაგრამ რამდენი რამაა სხვაც ისეთი, რასაც ჩვენად არ მივიჩნევთ და ჩვენ კი გვფლობს!

„ჩემი“ წინ უსწრებს „მე“-ს; როცა რაიმეს „ჩვენად“ გავი-აზრებთ, „მე“ მაშინვე იწყებს მის დაჩემებას, საკუთარ ქმნი-ლებადაც კი წარმოიდგენს, მაგრამ როცა თავისი „ქმნილე-ბისა“ და გარედან მიღებული თანხვედრას დაინახავს, მა-შინ უკვე საკუთარ თვალში გახდება ჭეშმარიტი „მე“.

გარე სამყაროსგან, ერთგვარი ორგანული კონდენსი-რების შედეგად იქმნება შინაგანი სამყარო, გარე მოვლე-ნათა სამყაროსგან – ცნობიერების სამყარო, რაც ზემოქ-მედებს მასზე და განავრცობს თავის თავს მასში. არსე-ბობს უწყვეტი მოქცევა ჩემი გარემომცველი ბუნებიდან ჩემი ცნობიერებისკენ და მიქცევა ჩემი ცნობიერებიდან გარემომცველი ბუნებისკენ, რაც ასევე ჩემია, ჩემი ბუნე-ბაა; იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეგუება ჩემი სული ბუ-ნებას, როცა შეეთვისება გარე რეალობას, მაშინ მე თავად გავასულიერებ ბუნებას და გავაჯერებ იდეალურობით. მე და სამყარო ერთმანეთს ვქმნით და ამ ურთიერთქმედო-ბისა და უკუქმნადობის თამაშიდან ჩემში შემოაღწევს ჩე-მი „მე“-ს ცნობიერება, ჩემი „მე“, განმედილი და გასპე-ტაკებული „მე“, თავანკარა „მე“. სწორედ ეს არის ჩემი თვითშემეცნება, ჩემს გარე სამყაროსა და შინაგან სამყა-როს შორის თამაშის არსი. ასე და ამგვარად გადაიქცევა კუთვნილებითი ნაცვალსახელი პირის ნაცვალსახელად.

ალბათ აუცილებელი არ არის ზედმიწევნით განვმარ-ტოთ, თუ როგორ ზემოქმედებს გარემო ადამიანზე და როგორ ხდება ადამიანი მისი ნაწილი, როცა მას ეგუება. გარემოს ზემოქმედებით შეცვლილი ადამიანი, თავის მხრივ, ცვლის მას და ასე, ურთიერთმოქმედებათა და უკუმოქმედებათა გზით ქმნიან ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ გარემო ქმნის ადამიანს და ადამიანი – გარე-მოს, ადამიანის მეშვეობით გარემო – თავის თავს და ადა-მიანი გარემოს მეშვეობით – თავის თავს. ბუნებამ ინება

მოეცა ჩვენთვის ხელები; ხელებითა და ხელებისთვის კი ჩვენ ვქმნით იარაღებს გარე სამყაროში, ხოლო შინაგან სამყაროში – მათი გამოყენების უნარსა და ხერხს; ამ ია-რალებმა და გამოყენების უნარმა გაამდიდრა ჩვენი გონე-ბის სანიერი, ხოლო გამდიდრებულმა გონებამ, თავის მხრივ, გაამდიდრა სამყარო, საიდანაც მივიღეთ ისინი; ასე რომ, ეს იარაღები ორივე სამყაროს ერთნაირად ეკუთვნის, შინაგანსაც და გარე სამყაროსაც.

როცა ამ უკიდევანო სფეროს ჩავუღრმავებთ, ერ-თგვარ ნაყოფიერ თავბრუსხვევასაც კი განვიცდით ურ-თიერთოქმედებათა და უკუმოქმედებათა, ბევრათა, გა-მოძახილთა და გამოძახილთა გამოძახილის მომეტებული ჰარმონიულობისას, რაც უსასრულოდ ვრცელდება და წარმოქმნის რეზონანსს – ჩემს ცნობიერებასა და ჩემს ბუნებას შორის კავშირთა გრძელ პროცესს.

ყველაფერი არსებობს ცნობიერების, ჩემი ცნობიერე-ბის სიღრმეში, ყველაფერი, ჩემი საკუთარი თვითშემეც-ნების, ჩემი „მე“-სა და სხვა ადამიანთა „მე“-ს ჩათვლით.

რა დიდი აზრი აქვს იმას, რომ ცოცხლად ვიგრძნოთ და გავისიგრძევანოთ ეს კავშირი ჩვენს ცნობიერებასა და სამყაროს შორის, გავიგოთ, რომ ეს სამყარო იმდენადვეა ჩვენი ქმნილება, რამდენადც ჩვენ ვართ მისი ქმნილება. თუკი ამას კარგად ვერ გავიაზრებთ, მაშინ მივიღებთ ცალმხრივ კონცეფციას, რასაც ისტორიის ეგრეთ წოდე-ბული მატერიალისტური კონცეფცია წარმოადგენს და, რამაც ადამიანი გადააქცია ნამდვილ ნივთად ეკონომიკუ-რი ძალების ხელში.

კარგად გვახსოვს სულ ცოტა ხნის წინ შერჩევისა და მემკვიდრეობითობის პრობლემის გარშემო გამართული კამათი, როცა ერთი მხარე უარყოფდა შექმნილ ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემას და ბევრ ისეთ რა-მეს მიაწერდა შერჩევითობას, რაც მემკვიდრეობითობას ეკუთვნოდა. თუ ამ ზოგადბიოლოგიურ საკითხს სოციო-ლოგიის სფეროში მოვაქცევით, იგი ასეთ სახეს მიიღებ-და: რომელი განიცდის პროგრესს, თვითონ ადამიანი თუ მისი სოციალური გარემო?

ასეთ შემთხვევაში იძულებული გავხდებით გველი-არებინა, რომ ძველი ბერძნების დროიდან – მივილოთ ამოსავალ წერტილად ეს ხანა, – წინ წავიდა მეცნიერება, ხელოვნება, მრეწველობა, საზოგადოებრივი ინსტიტუტე-ბი, წარმოების იარაღები თუ საშუალებანი და არა ინდივი-დის, ადამიანის ნიჭი და უნარი. პროგრესი განიცადა უფ-რო საზოგადოებამ, ვიდრე ინდივიდმა, უფრო ცივილიზა-ციამ, ვიდრე კულტურამ. ასევე იძულებული გავხდებო-დით გველიარებინა ისიც, რომ დაბადების წუთში არაფ-რით ვჯობივართ ძველ ბერძნებს, რომ საუკუნეობით დაგ-როვილი მემკვიდრეობა ჩვენი ორგანიზმის აგებულებაში კი არ ყოფილა ჩადებული, ანდა ჩვენს გონებაში, არამედ სოციალური გარემოდან მიგვიღია და პირიქით, არ შეიძ-ლება არ გავიზიაროთ შეხედულება, რომ სოციალური გა-რემოს პროგრესთან ერთად მოხდა – მეტ-ნაკლებად ანდა სულაც ერთნაირად, – ინდივიდის თანდაყოლილი ნიჭის განვითარება, რომ ცივილიზაცია და კულტურა მხარდამ-ხარ მიდიან და ერთიმეორეზე ახდენენ გავლენას.

ექვგვარეშეა, ტექნიკის ყველა ნაწარმიც რომ გავანად-გუროთ და მასთან ერთად მეცნიერებაც, რამაც ისინი

შექმნა, მაინც უფლებად და ცოცხლად შემორჩება გონებაში ჩაბეჭდილი და გადაეცემა თაობებს. ორი რამაა ცხადზე ცხადი – გამორჩეული ნიჭის მემკვიდრეობით გადაცემა ფიზიკურად და ის ფაქტი, რომ მაშინაც კი, როცა ნადგურდება ცივილიზაციის გარეთა გარსი, კულტურა მაინც ცოცხალი რჩება და გადაეცემა მომავალს. აქედან გამომდინარე ნაკლებმნიშვნელოვანია, გადაეცემა თუ არა გამორჩეული, ოღონდ შექენილი, გონებრივი უნარი.

იცით, რომ ცივილიზაცია, მთლიანად, რასაც ენა მოიცავს თავის თავში საუკუნეთა ატმოსფერული წნევით შეკუმშული სულიერი კულტურის დანალექს წარმოადგენს? აკი არსებობს ბევრი ისეთი სიტყვა, ატროფირებულ ორგანოებს რომ გაგვახსენებს, თუმცა ატროფირებულ ორგანოებს შეუძლიათ დაკარგული ფუნქციის აღდგენა, თუკი ორგანიზმში ამის მწვავე საჭიროება წარმოიქმნება. ღრმა და მშვენიერი აზრი ძვეს მამის შესახებ იგავში, მეუღლე რომ დაკარგა და თოთო ბავშვი შერჩა ხელში მარტოდმარტოს. სასონარკვეთილმა მაგრად მიიკრა მაშინ ბავშვი მკერდზე და სიყვარულის, რწმენისა და იმედის ძალით საკუთარი სისხლი აიძულა ატროფირებულ მკერდში მხსნელი რძე ჩაედგა.

თესლიდან აღმოცენდება ხე, რომელიც გვაძლევს ახალ თესლს და, ამასთან, ირგვლივ ნიადაგსაც ამზადებს თესლის გასაღივებლად, ხოლო თესლი უკვე შეიცავს ხეს, რომელიც იყო, არის და იქნება მომავალშიც.

სწორედ ეს არის ხის მარადიული არსი. ჩვენც, ადამიანებიც ხომ კაცობრიობის მარადიული ხის თესლები ვართ. ადამიანი, ნამდვილი ადამიანი თავისი არსით, ნამდვილი ადამიანი, ვითარცა გმირი რობინზონი, თავის ნიაღში ატარებს მთელ გარემომცველ სამყაროს; თავისი კულტურის წყალობით იგი ცივილიზაციად გადააქცევს ყველაფერს, რასაც კი შეეხება.

იტყვიან ხოლმე, შუასაუკუნეების გარიჟრაჟზე სულ ოდნავ თუ იყვნენ განვითარებულნი, ვიდრე რომის სამყაროს გარიჟრაჟზეო, ამით კი არსებითად უარყოფენ პროგრესს. ყველაფერი, რაც კი რომში მარადიული იყო, თავის ნიაღში ატარებდა შუასაუკუნეების ჩანასახს.

ამასთან დაკავშირებით ხშირად ახსენებენ ცნობილი რიცორსი-ს თეორიას, ანუ ვიკოს წრებრუნვის თეორიას, რომლის თანახმად, პროგრესის რიტმი მერყეობს ზედა და ქვედა წერტილებს შორის, რომ აღმავალ პერიოდს მოჰყვება დაღმავალი პერიოდი, აყვავებას – დაცემა. აქ კი მივიღვართ ავადსახსენებელ სწორხაზობრივ კონცეფციამდე, რაც სქემატურად გამოისახება პროგრესის ტალღური რხევის თანმიმდევრობით.

არა, არც ასეა; ეს გახლავთ თვისობრივი გაფართოებისა და შეკუმშვის მთელი სერია, რაც ამდიდრებს და კიდევ არ-

თულებს სოციალურ გარემოს, რათა ეს სირთულე კონდენსირების შემდეგ ჩამოყალიბდეს, ჩაეშვას კაცობრიობის საუკუნოვან სიღრმეებში და გზა მისცეს ახალ პროგრესს; ესაა თესლისა და ხის მონაცვლეობაც – ყოველი ახალი თესლი მის წინარეზე უკეთესია და ყოველი ახალი ხეც უფრო გადახალისებულია მის წინამორბედთან შედარებით.


გაფართოებისა და შეკუმშვის, ნაწილთა გაყოფისა და შერწყმის გზით ბუნება შეაღწევს სულში, ხოლო სული – ბუნებაში. ცივილიზაცია თავის ნიაღში შეიცავს კულტურას და როცა იგი ამ სიმძიმისგან გათავისუფლდება, პლაცენტა კისტად გადაიქცევა და გათავისუფლებული კულტურა წარმოშობს ცივილიზაციებს.

კულტურა არის ცივილიზაციის შეჯამება, მისი წარმონაქმნი სოციალური ინსტიტუტები ხელს უწყობენ სოციალიზაციის პროგრესს, თუმცა იმავე გარე სირთულის ზრდასთან ერთად მის დაბრკოლებად და სიკვდილის მომასწავებლად გადაიქცევა. ასო ქმნის სიტყვას, სიტყვა კი თავის მხრივ ქმნის და აწყობს აზრს, მაგრამ დასრულებულ აზრს კლავს; ამიტომ, რომ სიტყვა, რომელიც ქმნის და კვებავს აზრს, ბოლოს ახრჩობს მას და მისი მთრთოლვარე და ცოცხალი ხორციც იღუპება გაძვალეული ბაკანის დაწოლის შედეგად.

მტკიცენული და გაუსაძლისია მშობიარობის ტკივილები. როცა საკუთარი სიმძიმე ანგრევს გარე ცივილიზაციას, ინსტიტუტებისა და მონუმენტების სოციალური სამყარო ათავისუფლებს კულტურას, რომელსაც საკუთარ მკერდექვეშ ატარებდა, მაგრამ ბოლოს უკვე იგუდებოდა.

სევდის მომგვრელი სანახავია რომანტიკული სულის ადამიანისთვის ცივილიზაციის წგრევის სურათი! სევდის მომგვრელია, მაგრამ მშვენიერი! ცივილიზაციები, ისევე როგორც ადამიანები, იბადებიან, ცხოვრობენ და კვებიან ისევე, როგორც იქმნებიან; ინგრევიან და კიდევ უნდა დაინგრნენ, რათა მოგვცეს ნაყოფი მათივე დაგროვილმა კულტურამ, სწორედ ისე, როგორც ჩვენ, ადამიანები უნდა დავინოცოთ, რათა დავტოვოთ ნაყოფი ჩვენი ნალვანისა. ამას იქნებოდა მთელი ჩვენი მცდელობა, რომ არ იყოს სიკვდილი, თორემ ყველაფერი ისე გაიფანტებოდა, ნაყოფიც აღარ დარჩებოდა. ინგრევა ცივილიზაცია, მაგრამ განა იგი თავის თავში არ ატარებს ამ წგრევის ელემენტთა უფრო მდიდარ სირთულეებს, ვიდრე ის სხვა, რომელმაც შვა მისი წინამავალი? შუასაუკუნეების გარიჟრაჟის ადამიანები, იმპერიის დაცემის შვილები განა თავის სულში არ ატარებდნენ რომის მარადისობას თუნდაც შეკუმშული სახით? ნუთუ ისინი უფრო სრულყოფილები არ იყვნენ, ვიდრე რომის რესპუბლიკის უხეში დამაარსებელნი.

ეკოლოგიური მოძღვრება ქიმიასაც შეეხო და კიდევ გამოჩნდნენ ქიმიკოსი-ფილოსოფოსები, რომლებიც გვასწავლიან ეგრეთ ნოდებული მარტივი სხეულები ეკოლო-



ციის პროდუქტიაო. კოსმიურ ევოლუციას მოჰყვება ატომების ევოლუცია. რამდენი სამყარო უნდა დაბადებულიყო და რამდენი დაღუპულიყო, სანამ ჰიპოთეტური, დაბალი, პირველადი ატომებიდან პირველადი მატერიის, ან რაც გნებავთ, ის უნოდეთ, რომ წარმოქმნილიყო დღევანდელი მარტივი ელემენტების უმაღლესი შემადგენლები. ვინ იცის, როდის გადაიქცევა მტვრად ჩვენი საბრალო პლანეტა და მთელი მისი ცივილიზაციები ბურუსის ქულებად, ნუთუ არ გაცხადდება, რომ შედეგად წარმოიქმნა კიდევ ერთი მარტივი ქიმიური ნივთიერება, პირველადი და განუყოფელი, როგორც ჩვენი ცივილიზაციისა და მთელი ჩვენი ცხოვრების ჯილდო. ერთი, ანდა ეგებ რამდენიმეც კი!

რაკი მეტაფორულ ჰიპოთეზათა ოცნების გზას დავადექით, ავდგეთ და ჩვენც ვიოცნებოთ! როცა სამყარო მტვრად და ნაცრად გადაიქცევა, რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ოდესღაც მისი შემადგენელი ელემენტების რიცხვი გაიზარდა თუ არა? იყო სამოცი და გახდა სამოცდაერთი – მერე რა? დიდი პროგრესი კია! უზარმაზარი პროგრესი! – რამეთუ კომბინაციათა დიდი რიცხვი, რომელიც ახალ ელემენტებს წარმოქმნის, ასევე უფრო სრულყოფილი სამყაროს წარმოშობის შესაძლებლობასაც გვთავაზობს. ხოლო ახალი კომბინაციები მხოლოდ ძველის განადგურების ხარჯზეა შესაძლებელი.

და მაინც, ამ კომბინაციას სიცოცხლე აკლია თავისი მეტისმეტი მექანიკურობის გამო. არა, ეს ყველაფერი სულაც არ არის ასე. როცა სამყარო მთელ თავის პოტენციას ამოწურავს, როცა ის გადაიქცევა მტვრად და ნაცრად, ჩვენ უნდა დავფიქროთ, რომ ამ მტვრის თითოეული მოლეკულა, ვითარცა მონადა, თავის თავში მოიცავს მთელ ძველ სამყაროს და კიდევ სხვასაც, ახალ სამყაროს – სამყაროს, რომელიც ამოიყრის ნორჩ ყლორტებს მაშინ, როცა თავისუფლებას მოიპოვებს ძველი სამყაროს გამოფიტული მოლეკულები, რომლებიც თავის თავში ატარებენ მის მარადიულობას.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ სამყაროს საბოლოო მიზანი ყოფილა – „ატომიო“ – იტყვიან თქვენ. „არა, ატომი კი არა“, – გიპასუხებთ მე, – არამედ მთელი ატომები და ის ახალი სამყაროც, რომლის შესაძლებლობა მათშია ჩადებული.

ცივილიზაციის უმშვენიერესი ნაყოფი – თუნდაც ერთი ახალი, განუყოფელი ელემენტების შექმნად ახალი სოციალური ატომისა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, – ახალი ადამიანისა, ახალი იდეისა! ადამიანური მოდგმის ახალი ტიპი, ახალი ცოცხალი იდეა გვაძლევს ახალი სამყაროს დაბადების იმედს ძველის ნანგრევებზე.

ახალი ადამიანი! ოდესმე თუ დავფიქრებულვართ, რას ნიშნავს ეს? ახალი ადამიანი, ჭეშმარიტად ახალი ადამიანი არის ყველა ადამიანის გადახალისება, რადგან მისი სული ყველაზე ვრცელდება; ეს არის საფეხური კაცობრიობის ძნელი ზესვლისა ზეკაცობრიობისკენ; მთელი ცივილიზაციები მხოლოდ იმას ემსახურებიან, რომ შექმნან კულტურები, ხოლო კულტურებმა შექმნან ადამიანები. ცივილიზაციის ერთადერთი მიზანია ადამიანის სრულქმნა; ადამიანი არის კაცობრიობის უმაღლესი პროდუქტი, ისტორიის მარადიული ქმნილება. რარიც სასიხარულოა, როცა ცივილიზაციის ნანგრევებზე გამოჩნდება ახალი ადამიანი! მომაკვდავი ხე, როცა თავის უკანასკნელ თესლს მისცემს

მინას, თავად კი ინგრევა და იფშენება, მისი მერქანი ლპება და ფოთლებთან ერთად ახალი ხის სასუქად გადაიქცევა. ახალი ადამიანი გახლავთ ახალი ცივილიზაცია.

არანაირი გონივრული აზრი არ ძეგს კითხვაში – საზოგადოება ინდივიდისთვის, თუ პირიქით, ინდივიდი საზოგადოებისთვის, რადგან მე თავად ვარ საზოგადოება და საზოგადოება არის მე. ისინი, ვინც ერთმანეთს უპირისპირებენ ტერმინებს სოციალიზმი და ანარქიზმი, სოციალიზმი და ინდივიდუალიზმი, საზოგადოება და ინდივიდი, ის ხალხია, ვისაც სჯერა, რომ არის რაღაც პრობლემა ყველაზე გულუბრყვილო სისულელეში: „რომელი გაჩნდა პირველად, კვერცი თუ ქათამი?“ სწორედ ეს სიტყვა „პირველად“ ამჟღავნებს მათ უმეცრებას.

რა რისთვის არსებობს, პიროვნება საზოგადოებისთვის, თუ საზოგადოება პიროვნებისთვის? – მეკითხები შენ, – ცხადია, კითხვას „რისთვის?“ აზრი მაშინ აქვს, როცა ლაპარაკია შემეცნებაზე ანდა ნებაზე. „რისთვის?“ – ამ კითხვას დასვამს ნება; „რანაირად?“ – ბუნება, ხოლო გონება იკითხავს – „რატომ?“ საზოგადოება და სამყარო შეიძლება არსებობდნენ ჩემთვის მხოლოდ ობიექტის სახით, რისკენაც მიმართულია ჩემი ცნობიერება, ისინი არსებობენ ჩემში, რამეთუ მე თავად გახლავარ საზოგადოებაც და სამყაროც. მთელი საზოგადოება ყოველ ადამიანშია და ყოველ ცალკეულ ადამიანში.

ხანგრძლივი საუკუნეების მანძილზე ამდენი ბრძოლა, გარჯა, მცდელობა, აღზრდა თუ ტანჯვა გამოვიარეთ, რომ შეგვექმნა თანამედროვე ცივილიზაცია, ჩვენი კულტურის შვილოსნობის კვანძი. და აი, გავიდა საუკუნეები და ცივილიზაცია თრგუნავს კულტურას, რომელიც გვიანდერძა, დადგენილებები ახრჩობენ ჩვევებს, კანონი ზღუდავს გრძნობებს, რომლის განსახიერებაც იყო.

ცივილიზაცია თავისი მარადიული ფასეულობები ემსგავსება საშვილოსნოს, რომელიც შეიცავს კულტურის ჯერ კიდევ ინდივიდად ჩამოუყალიბებულ ელემენტებს – ელემენტებს, რომლებიც აქამდე არ გამხდარა ხორცი, ყველაფერს, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს – ჩვენი სულის მასაზრდოებელი მარაგი. მაგრამ მასში მოიპოვება ასევე ნარჩენები, ნაყარნუყარი და ეკსკრემენტებიც კი და როცა ეს ელემენტები დაამარცხებენ ჯანმრთელებს, მაშინ ნგრევა მთელი სისწრაფით მიექანება წინ.

აუცილებელია მივხმართ ნივთიერებათა ცვლას და ხელი შევუწყობოთ ნგრევის პროცესს, უნდა გავათავისუფლოთ კულტურა მისი მახრჩობელა ცივილიზაციისგან, უნდა გავკვეთოთ კისტა, რომელსაც ტყვედ ჰყავს ახალი ადამიანი.

\*\*\*

ეს ყველაფერი, რაც აქ ასე უთავბოლოდ მოგხაზე და თანაც მეტისმეტად შეკუმშული სახით, შემიძლია არაერთი მაგალითითაც დავამოწმო, ჩვენი დღევანდელი სოციალური ნგრევის მდგომარეობითაც, რომელშიც ასე დაბეჯითებით ცდილობს წარმოაჩინოს თავისი თავი ცოცხალმა ერთიანობამ; მზად ვარ ეს ვაჩვენო იმ წინააღმდეგობების მაგალითზეც, რაც გარეთა, ცოცხალ და შინაგან კანონს შორის, ცოცხალსა და თავისუფალს შორის, ჩვენი სინდისის კანონს შორის, სიმბოლიზმის მაგალითზე, გმირობის მაგალითზე, გმირების კულტისა და კიდევ არაერთ მაგალითზე.

რისი ემინიათ ამ მცირედმორწმუნეებს ასე გაფაციცებით რომ ადევნებენ თვალს გიგანტურ ხის მატლს, რომელიც გამალებით ფშვნის ძველი წყობის შენობას? განა საკუთარ არსებაში, თავიანთი სულის სიღრმეში არ ატარებენ ამ წყობის მარადიულ ცხოვრებას, მის ცოცხალ თესლს? ისინი რომ ქრისტიანები ყოფილიყვნენ, რასაც თვითონვე უწოდებენ თავიანთ თავს, მაშინ იმასაც აღიარებდნენ, რომ ქრისტიანობის გეოლოგიური ქანები დამარხულია ცივილიზაციის ქვეშ და რომ აუცილებელია მათი გათავისუფლება, აუცილებელია გაიკვეთოს უკვე დამპალი პლაცენ-

ტა, რათა მოგვეცეს ნაყოფი. ისინი რომ ლიბერალები ყოფილიყვნენ, რასაც თავადვე უწოდებენ საკუთარ თავს, მაშინ იმასაც ირწმუნებდნენ, რომ ლიბერალიზმი გზას უხსნის ახალი ტიპის ადამიანს, რომელიც მონოდებულია იმისათვის, რომ შექმნას ახალი სამყარო ძველის ნანგრევებზე. მაგრამ მათ არაფერი სწამთ, მათ არ გააჩნიათ ქვეშარიტი რწმენა, თვით რწმენის რწმენა, რწმენა უწმინდესი.

ესპანურიდან თარგმნა  
მერი ტიტვინიკა

# კნუტ ჰამსუნი და ქართული მოღერნიზმი

2007 წლის სექტემბერში ნორვეგიის ქალაქ ტრომსოს უნივერსიტეტში გაიმართა კნუტ ჰამსუნის შემოქმედებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო კონფერენცია. ლონისძიებაში მონაწილეობდნენ მეცნიერები და მკვლევარები გერმანიიდან, სკანდინავიის ქვეყნებიდან. საქართველოდან მინვეული იყო ხელოვნებათმცოდნე ოლიკო ჟღენტის, რომელმაც წაიკითხა მოხსენება „კნუტ ჰამსუნი და ქართული მოღერნიზმი“.

მოხსენება ეხებოდა კნუტ ჰამსუნის პიესას „ცხოვრების ბრჭყალებში“, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა მოსკოვის სამხატვრო თეატრში დადგა 1911 წელს. რომანებისგან განსხვავებით, ჰამსუნის პიესები ნაკლები წარმატებით სარგებლობდა ნორვეგიაში. კონფერენციის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს მოხსენება, რომელიც ჰამსუნის შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს – მისი პიესის „ცხოვრების ბრჭყალების“ საერთაშორისო აღიარებას შეეხებოდა. ოლიკო ჟღენტის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და აღინიშნა, რომ ამით ჰამსუნის შემოქმედება მნიშვნელოვანი სიახლით და ბევრი უცნობი ფაქტით გამდიდრდა. მოხსენება შევა ჰამსუნის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კრებულში, რომელიც 2008 წელს ნორვეგიაში წიგნად გამოიცემა. ოლიკო ჟღენტმა ინტერვიუ მისცა ნორვეგიის სახელმწიფო ტელევიზიას და რადიოს, რომლის დროსაც მან ისაუბრა კნუტ ჰამსუნის და ქართული მოღერნიზმის ურთიერთობის შესახებ. საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში ასევე ნაჩვენები იყო მისი დოკუმენტური ფილმი „კნუტ ჰამსუნის კავკასიური მისტიკები“.

XX საუკუნის დასაწყისში კნუტ ჰამსუნი უაღრესად პოპულარული მწერალი იყო რუსეთსა და საქართველოში. 1907 წელს პეტერბურგის ერთ-ერთმა ცნობილმა გამომ-

ცემლობამ ჰამსუნთან გააფორმა კონტრაქტი, რომლის მიხედვით, ორი თვით ადრე, ვიდრე ნაწარმოებები ნორვეგიაში გამოიცემოდა, ჰამსუნს გამოცემლობა თავისი ხელნაწერებით უნდა უზრუნველყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჰამსუნის წიგნებს თავდაპირველად უცხოურ ენაზე ანუ რუსეთში გამოსცემდნენ, შემდეგ კი მწერლის სამშობლოში. ეს ფაქტი მიანიშნებს, თუ რაოდენ პოპულარული იყო ჰამსუნი რუსეთსა და ევროპაში. როგორც ჩანს, რუსული გამოცემლობისგან ჰამსუნი სოლიდურ ჰონორარს იღებდა.

ჰამსუნს არ უყვარდა თეატრალური დრამატურგია, პიესებზე მუშაობაც საკმაოდ უჭირდა, რადგან მისი აზრით, პიესაში ასახული ხასიათები არ იყო ისეთი მრავალმხრივი და ღრმა, როგორც ეს რომანებშია. მიუხედავად ამისა, „ცხოვრების ბრჭყალებში“ ჰამსუნის ყველაზე სცენურ და პოპულარულ პიესად ითვლება, და ეს ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დამსახურებაა.

პიესაზე „ცხოვრების ბრჭყალებში“ მუშაობა ჰამსუნმა 1910 წლის მაისში დაასრულა. ამ ახალ პიესას მოსკოვის სამხატვრო თეატრი მოუთმენლად ელოდა. მითუმეტეს, რომ უკვე დადგმული იყო ჰამსუნის „მეუფების კარიბჭესთან“. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში „მხატვი“ სერიოზულ შემოქმედებით კრიზისს განიცდიდა, კარგავდა მაცურებელს, კრიტიკა თეატრის დახურვამდეც ალაპარაკდა. „მხატვის“ ხელმძღვანელობა სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა. კრიზისის დასაძლევად საჭირო იყო ახალი ძალების მოზიდვა.

„მხატვი“ დადგმულ „მეუფების კარიბჭესთან“ მწვავედ აკრიტიკებდა სანდრო ახმეტელი, მისი აზრით, „მხატვი“ გადაუხვია მოღერნიზმის ხაზს და რჩებოდა „რეალური სიმბოლოს“ და „რუსული რეალიზმის“ დამცველად.

ახმეტელი, როგორც თეორეტიკოსი და რეჟისორი შენიშნავდა, რომ გამოჩენილი სკანდინავიელის – ჰამსუნის პიესის დადგმისას მხატვ მოუვიდა „უზარმაზარი შეცდომა“ – ჰამსუნის პიესა დაიდგა, როგორც ჩეხოვის პიესა. კრიტიკოსი ასკვნის, რომ, სამწუხაროდ, ყველა თანამედროვე თეატრისთვის დამახასიათებელია უცხოელთა პიესების „რუსიფიკაცია“. ნაციონალიზმი სასარგებლოა მშობლიურ პიესებში, მაგრამ როცა ნაციონალიზმი უცხოელი ავტორის პიესის დადგმაში ჩნდება, მაშინ მხატვრუ-



ლი მთლიანობა ირღვევა, ასევე ირღვევა ჰარმონია, „დიპლომატი“ თეატრსა და დრამატურს შორის – ისინი ორ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ“.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის დამფუძნებლები – ნემიროვიჩ-დანჩენკო და სტანისლავსკი კრიზისის დაძლევის გზებს ეძებდნენ. „მხატვის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ ჰამსუნის დრამატურგია კრიზისიდან გამოიყვანდა რუსულ თეატრს, საჭირო იყო დამდგმელი რეჟისორის მოძიება, რომელიც თეატრის რეპერტუარს გადაახალისებდა და, ამავდროულად, „მხატვის“ ტრადიციებსაც დაიცავდა. სწორედ ამ დროს ნემიროვიჩ-დანჩენკო თავის თანამემამულეს მარჯანიშვილს რეჟისორად ინვესტ (ცნობილია, რომ ნემიროვიჩ-დანჩენკო საქართველოში დაიბადა და გაიზარდა). მარჯანიშვილის კანდიდატურას სტანისლავსკი უნდობლად და შიშით უყურებდა, მას „აშინებდა“ მარჯანიშვილის რევოლუციური, მემოზოხე ხასიათი, დამოუკიდებელი და ნოვატორული აზროვნება, რაც მის შემოქმედებაში მუდამ მკაფიოდ იკვეთებოდა. ჩეხოვის დრამატურგიის ტრადიციებზე დაფუძნებული თეატრისთვის, მითუმეტეს კრიზისულ ვითარებაში, როცა „მხატი“ კარგავდა აუდიტორიას, ქართული ტემპერამენტის რეჟისორი ნაკლებად მისაღები კანდიდატურა აღმოჩნდა რუსული თეატრის მესვეურთათვის („მხატი“ არ იყო შეჩვეული რევოლუციურ გარდაქმნებს).

სამწუხაროდ, 20-იან წლებში, ნიუ-იორკში გასტროლებისას „მხატვის“ მიერ წარდგენილი მარჯანიშვილისეული დადგმა „ცხოვრების ბრწყინებულში“ სტანისლავსკის რეჟისურას მიეწერა. ეს ინფორმაცია ამერიკის თეატრალური საზოგადოების ინტერნეტის უცხოურ ვებ გვერდზეც არის განთავსებული. სამწუხაროდ, არსად არ არის ნახსენები სპექტაკლის რეჟისორის – რუსული თეატრის უდიდესი რეფორმატორის, ქართველი მარჯანოვის სახელი, მაშინ, როცა „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და ელეონორა დუზე აღტაცებული წერდა ამ დადგმის შესახებ. წარმატებული გასტროლების შესახებ თვით ჰამსუნმაც შეიტყო და ფრიად ნასიამოვნები დარჩა.

ჰამსუნის ამ პიესის დადგამად „მხატვის“ თეატრი ჩეხოვის დრამატურგიის ტრადიციებს ეყრდნობოდა, ამდენად, „ინტიმურ თეატრად“ რჩებოდა, შესაბამისად, ყველა სპექტაკლი სპეციფიკური, ინტიმური განწყობით გამოირჩეოდა. თეატრი ითხოვდა იდეურ-ესთეტიკურ გარდაქმნას, საჭირო იყო ძლიერი ინიციატივის მქონე და დამოუკიდებელი აზროვნების ხელოვანი, რომელიც საკუთარ

თავზე აიღებდა სცენური გარდაქმნის მისიას. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მარჯანიშვილი რუსეთის იმპერიის წამყვან თეატრებში მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველგან უზარმაზარ ძალასა და ენერჯიას გასცემდა, და უდიდესი ღვაწლი მიუძღოდა XX საუკუნის რუსული თეატრის ფორმირებაში, ის მაინც „გასტროლიორად“ რჩებოდა. „მხატვი“ მისვლამდე მარჯანიშვილი საგანგებოდ მიიწვიეს ბულგარეთის თეატრში და კულტურის მინისტრის მიწვევით ბულგარეთში სამუშაოდ ემზადებოდა.

მოსკოვის სამხატვრო თეატრში მარჯანიშვილი უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა ჰამსუნის პიესას, შემოუშავა გარკვეული კონცეფცია, რაც პიესის სრულიად ახლებურ გააზრებას და „ნაკითხვას“ გულისხმობდა. მარჯანიშვილის კონცეფცია კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა თეატრის ხელმძღვანელობისთვის, თუმცა რეჟისორს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და იძულებით კომპრომისს დათანხმდნენ – მარჯანიშვილს სამოქმედო არეალი დროებით დაუთმეს:

„ნემიროვიჩს რომ შეძლებოდა წაეკითხა, რაც ჩემს სულში ხდებოდა, რასაკვირველია, იგი არ მომცემდა პიესას დასადგმელად.“ – იგონებდა მოგვიანებით მარჯანიშვილი.

მან თამამად დაარღვია თეატრში მანამდე არსებული დეკორატიული გაფორმების და სცენური გადანწყვტის მოძველებული პრინციპები. მარჯანიშვილმა სცენის არქიტექტურული სივრცის აგების სრულიად ახალი და ორიგინალური მეთოდი გამოიყენა, რისთვისაც მხატვარი სიმოვი „აიძულა“ ახალი ტექნო-კონსტრუქტიული საშუალებანი გამოეყენებინა.

ეროვნულმა ხასიათმა და რიტმებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა პიესის ბედი. მარჯანოვმა სრულიად დამოუკიდებლად გაიზარა ჰამსუნის პიესა, რაც კრიტიკოსთა მხრიდან აღქმული იყო, როგორც რუსული თეატრის წინააღმდეგ მიმართული ანარქიულ-ესთეტიკური ბუნტი. მარჯანოვის სპექტაკლი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც რუსული ავანგარდის წინამორბედი ნიმუში. თამამი ექსპერიმენტებით მარჯანოვმა მსახიობთა სასაუბრო ენის, ინტონაციის, პიესის ტექსტის მხატვრულ-იდეური კონსტრუირება მოახდინა.

ჰამსუნის პიესაზე „ცხოვრების ბრწყინებულში“ მუშაობისას მარჯანიშვილის შემოქმედებაში ახალი ეტაპი დგება – ის საოცარ სულიერ მეტამორფოზასა და ნოსტალგიას განიცდის, რაც მის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებშიც დასტურდება: მან იგრძნო ქართული მიწის ყივილი, მოენატრა სამშობლოს მთები, „შავი, ხვეწილი, მოციმციმე ვარსკვლავებით უხვად მოჭედილი ცა“, რეჟი-



ოლიკო ულენტი ტრომსოს უნივერსიტეტი (ნორვეგია)

სორი „თავის პატარა საქართველოს“ უმადლის, რომ მას მინიჭა მშობლიური რიტმები, ქართული ტემპერამენტი, უსაზღვრო ფანტაზია, და რაც განსაკუთრებული სიძლიერით გამოჩნდა მის დადგმაში „ცხოვრების ბრწყინებულში“.

ჰამსუნის პიესის დასრულებისთანავე რეჟისორი მოულოდნელად დაასკვნის: „ჭეშმარიტად, რასაც მე აქამდე სცენაზე ვაკეთებდი, ჩემი შემოქმედება – ყოველივე ეს რუსული იყო, რუსეთიდან მიღებული, მაგრამ ახლა მე უკვე ვამთავრებდი სასარგებლო ძიების პერიოდს და დამოუკიდებელ გზაზე გამოვდიოდი. ჭეშმარიტად, „ცხოვრების ბრწყინებულში“ ჩემი პირველი ქართული წარმოდგენა იყო, მას თამაშობდნენ რუსულ ენაზე რუსი არტისტები, რუსულ თეატრში, მაგრამ იგი მთლიანად ქართული ქმნილება გახლდათ.“

მარჯანიშვილმა უხეშად დაარღვია სამხატვრო თეატრის „სულიერი განწყობილება“ და მხატვრულ-ესთეტიკური ნოვაციებით შოკში ჩააგდო რუსული საზოგადოება და მაყურებელი.

პიესაზე მუშაობის დროს, 1910 წლით დათარიღებულ წერილებში ჩანს, რომ მარჯანიშვილს სურდა ნორვეგიაში ემოგზაურა. გამოირიცხული არ არის, რომ რეჟისორი პირადად შეხვედროდა კნუტ ჰამსუნს, თუმცა როგორც ჰამსუნის, ასევე მარჯანიშვილის წერილებში ამის შესახებ არაფერია ნახსენები. სავარაუდოა, რომ 30-იან წლებში, როცა სტალინის ძალაუფლება განმტკიცდა, ხოლო საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის პოლიტიკურ-იდეოლოგიური დაპირისპირება გამოიკვეთა, ქართველი რეჟისორის წერილებიდან და მასალებიდან ჰამსუნთან დაკავშირებული მოსაზრებანი ამოიღეს – ამ დროს ჰამსუნი რუსეთისთვის უკვე „არასასურველ“ მწერლად იყო მიჩნეული. სავარაუდოა, რომ 40-იან და 60-იან წლებში ნიგნებად გამოცემულ მარჯანიშვილის წერილებში ჰამსუნთან დაკავშირებული ეპიზოდები ცენზურამ ამოიღო.

ალსანიშნავია, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელობამ თავისი ინიციატივით მიიწვია მარჯანიშვილი სპექტაკლების დასადგმელად, მაშინ, როცა ახაერით გამოჩენილი რეჟისორის ოცნება იყო ამ თეატრში მუშაობა, სამწუხაროდ, ჰამსუნისა და იბსენის პიესების დადგმის შემდეგ მარჯანიშვილის ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან საკმაოდ დაიძაბა და კონფლიქტამდეც მივიდა. მარჯანიშვილი იძულებული შეიქნა თეატრიდან წასულიყო და ამის შესახებ გულნატკენი წერდა: „იქ მე მიმიწვიეს, და ჩემთვის ეს იყო სულის ზეიმი. ვფიქრობდი, რომ აღმოვაჩინე ხელოვნების ნამდვილი წმინდა წყარო... შემდეგ იყო ბრძოლა – ჩემი პროტესტი მათი უფერულობის, უდიდებობის, უხამსობის წინააღმდეგ, რასაც ისინი მოჩვენებით ებრძოდნენ...“

მიუხედავად ამისა, 1911 წელს მარჯანიშვილმა მოახერხა, რომ მაყურებელი დაებრუნებინა მოსკოვის სამხატვრო თეატრისთვის.

მარჯანიშვილის სპექტაკლი 163 –ჯერ დაიდგა „მხატვი“ – ეს მონაშობს მის არნახულ წარმატებას.

ჰამსუნის „ცხოვრების ბრწყინებულში“ მარჯანიშვილის პირველი დამოუკიდებელი სპექტაკლი იყო „მხატვი“. არ-

სებობს უამრავი მოსაზრება, რუსული კრიტიკის შეფასება, რომელთა მიხედვით, იმხანად „მხატვის“ რეპერტუარში არ მოიპოვებოდა მეორე ასეთი მაჟორული, ხალასი სპექტაკლი... ცნობილი მსახიობის კარალოვის შვილი თავის მოგონებებში წერდა, რომ არც ერთი როლი, არც მანამდე, არც შემდეგ, არ უთამაშია მამამისს იმგვარი სიამოვნებით, როგორც ბასტის როლი შეასრულა მარჯანიშვილის სპექტაკლში.

რუსი მკვლევარები აღიარებდნენ, რომ მარჯანიშვილის სპექტაკლი „ცხოვრების ბრწყინებულში“ ნიშნავდა თეატრის სრულ „რეთეატრალიზაციას“, რომ ეს იყო თეატრის ნამდვილი დღესასწაული.

მართლაც, მარჯანიშვილმა სრულიად ახლებურად, მოდერნიზმთან მიმართებით წაიკითხა ჰამსუნის პიესა, ამით მან თამამად დაარღვია პიესის ირგვლივ მანამდე არსებული ესთეტიკური ნორმები და სტერეოტიპები. ჰამსუნის პიესამ სცენაზე ოპტიმისტური ინტონაცია, სადღესასწაულო-კარნავალური ელფერი და ჟღერადოვანი გამა შეიძინა. სპექტაკლმა მძაფრი პოლემიკა და აზრთა დაპირისპირება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ქართველმა რეჟისორმა გადატრიალება მოახდინა რუსული თეატრის ისტორიაში.

აღნიშნავდნენ, რომ რუსულ სცენაზე მარჯანიშვილის დადგმა გამოირჩეოდა ნამდვილი ქართული ტემპერამენტით. თვით რუსულმა კრიტიკამაც კი აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის გავლენა იგრძნობოდა როგორც დადგმის საერთო გადაწყვეტაში, ასევე სამსახიობო შესრულებაში, სწორედ ეს ფაქტორი იქნებოდა სტანისლავსკისთვის მიუღებელი. ცნობილია, რომ სტანისლავსკის საკუთარი სისტემა ჰქონდა შემუშავებული, რასაც ბევრი მსახიობი არ ემორჩილებოდა და ტოვებდა კიდე თეატრს.

მარჯანიშვილის ამ გახმაურებული სპექტაკლის შემდეგ – 1910 წლიდან – მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება რუსული ავანგარდის ისტორიაში, ეს პროცესი 1932 წლამდე გაგრძელდა. სწორედ ამ წელს უკანასკნელად დაიდგა მოსკოვის სცენაზე მარჯანიშვილის სპექტაკლი „ცხოვრების ბრწყინებულში“, ამით არსებითად დასრულდა მშფოთვარე ავანგარდის ეპოქა საბჭოეთში, დასრულდა შემოქმედებითი თავისუფლების, „ხულიგნობის“, ინდივიდუალიზმის, ავანტიურულ-ექსპერიმენტთა ხანა, რითაც ასე გამოირჩეოდა XX საუკუნის 10-20-იანი წლები. 30-იან წლებში უკვე სტალინის კულტი, ტოტალიტარული სისტემა სპობს ყოველგვარ მხატვრულ მიმდინარეობას და ინდივიდუალურ სტილს. რუსეთსა და საქართველოს პოლიტიკური რეპრესიების ახალი ტალღა გადაუვლის.

გასაკვირი არ არის, რომ მარჯანიშვილის სპექტაკლი სტანისლავსკიმ აღიქვა, როგორც მხატვის ტრადიციების წინააღმდეგ ამბოხი, ამიტომ იყო, რომ რუსული თეატრის მოძღვარმა არ მიიღო პიესის მარჯანიშვილისეული გაგება. მაგრამ მარჯანიშვილის შემოქმედებითი რეფორმები დაგვიანებით მაინც აიტაცა რუსულმა თეატრმა და კინომ – წამყვანი რუსი რეჟისორები, რუსული კინოავანგარდის პიონერები საკუთარ თავს მარჯანიშვილის მონაფეხად მიიჩნევდნენ.

ციალა არდაშელია

# „მოდი-ნახეს“ მეცისოვნანი

□

## ნამდვილი ამაზი

სქელი, ძველისძველი ფოლიანტი ნელა დახურა. მერე სათვალე აუჩქარებლად მოიხსნა და წიგნზე ფრთხილად დადო. გაირინდა.

„დიდება შენდა უფალო!.. თუ ვცოდავ... თუ ვდრტვი-ნავ... მომიტევე, შემინდვენ... მაგრამ ამდენი? ამდენჯერ? ასეთი?“

რა უსაშველო, რა უსასრულო და... უნუგემო გზა გოლ-გოთისა გვერგო ნილად ამ მხოლოდ დამხვედურად მებ-რძოლ ხალხს!

დრო-ჟამის ამ სისხლიან სრბოლაში აქა-იქ თუა ხან-მოკლე გამონათებები – სასწაულებრივი, თვალისმომჭრე-ლი სიკაშკაშე – მყისვე რომ ქრება და... მერე ისევ ისე დგე-ბა უკუნი. ბნელი. არა და აღარ უჩანს დასასრული ტანჯვა-ვაებას, ურვას, სულთქმას, სისხლის წვიმებს...

„ქართლის ცხოვრების“ ყოველ ნაკითხვაზე ემართე-ბოდა ასე – სასონარკვეთილს, გულგასენილს წამიერად თითქოს ეთიშებოდა გონება და ნკვარამსა და ღურღმელ-ში ჩაძირულს მღვრიე, უჟმური აზრები იძვრობდა, ტვინს უბურღავდა, დაურიდებლად, უღმობლად უფლეთდა გულ-ღვიძლს.

ამ შავეთიდან გამოსვლა კი უჭირდა, ერთობ უჭირდა. ისევ ლოცვები და... ცრემლები შველოდა. ცრემლები, ახ-ლაც დაუკითხავად, თავისთავად რომ მოედინებოდა მის დამჭკნარ-დაღარულ ლოყებზე და ნკაპა-ნკუპით რომ ეცემოდა ბებრულად დაფორაჯებულ და დაძარღვულ ხე-ლის მტევნებზე.

წამოიკრიფა. წელის და მუხლების ტკივილმა უნებუ-რად სახე დაუღმიჭა. ერთხანს იდგა ასე გაშეშებული. მერე წელში მოკაკეული, სარკმლისკენ წაფრატუნდა. ეზოში გა-დაიხედა დათალხული თვალებით.

გვიანი შემოდგომის უღიმღამო, ნაცრისფერი დღე იყო. ნისლით დაძენილი, ჩამოქუფრული ციდან ნემსებივით წვრილი წვიმა ირიბად ცრიდა. თითქოსდა ჩონჩხებად ქცე-ული, უშნოდ გაფარჩხული ხეხილის ხეები, დამჭკნარი, შემ-პალი ფოთლები ჯერაც რომ შერჩენოდათ – წვერწამახულ კვიპაროსებთან ერთად ბაღის გარშემო ჩარიგებულები და სევდიან განწყობილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა.

მართლაც მკვდრული მდუმარება დასადგურებულებიყო ირგვლივ, თითქოს სიცოცხლის ნიშან-წყალი მართლა სა-მუდამოდ გამქრალიყო ამ ცისქვეშეთიდან.

„ზამთარი მოდის... დაიწყება ანი გაუთავებელი წვიმე-ბი, ცივი ქარები, ნუნწკლიანი ამინდები, ნოტიო და ნესტი... მერამდენეა ეს ზამთარი, ნეტა?... ეგებ... უკანასკნე-ლია?... ეგება!.. დარეკა უკვე მწუხრის ჟამმა?..“

ვინ იცის, ვინ იცის...

ყველაფერი უფლის ნე-ბაა!.. ისე კი – დროა, დროა უკვე!..“

ილუმენიამ უეცრად თავის სარკმელთან ახლოს, შიშველი ვაშლის ტოტზე ჩა-მომჯდარ, აბუზულ ბელურას ჰკიდა თვალი – ჩიტი ყვინ-თავდა და... უმონყალოდ ილუმებოდა.



ჰოი, შე საბრალო ჩიტუ-ნავ, რატომ ინუნები აგრე? რად არ გაფრინდები სადმე? თავშესაფარს რისთვის არ ექებ?

ერთი ბენო, ფრთებში თავჩარგული, უმწეო ფრინველი შეურხეველად იჯდა და... საგულდაგულოდ სველდებოდა!

ჩიტო, ჩიტო ჩიორაო!..

„გადია, რატო უგდებდა ჩიორა თავის ბარტყებს იმ ბო-როტ, საძაგელ მელაკუდას?“

„ეშინოდა, შვილო, და... იმიტომ!“

„რატო ეშინოდა, გადია?“

„ცულს მოვიტან ცუნცულასა... ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენ შვილსაცაო... რა უნდა ექნა, აპა, საწყალ ჩიორას? იძულებული შეიქნა... სხვა გზა არ ჰქონდა...“

„რატო არ ჰქონდა სხვა გზა?.. იმ წუნკმა და ოხერმა მე-ლიამ ხომ სამივე შვილი გადაუსანსლა?.. რატო ვერ უშვე-ლა?.. რატო?“

„რატო... რატო... რა შემინვრილე, ბოშო, გული?.. რატო და... იმიტომ! სხვა გამოსავალი არ ჰქონდა-თქვა გეუბნები და... გეიგონე!“

„რატო არ ჰქონდა სხვა გამოსავალი-თქვა, გადია?“

... ცულს მოვიტან, ცუნცულასა...

ჩიტო, ჩიორავ, გაფრინდი... პანანუნავ!.. თავს უშველე, ნუ ახანებ! თორე... გაითოშები, შე საცოდავო!“

ბელურა უწინდებურად დასკუბებულიყო გაჩხინკულ, ტიტლიკანა რტოზე და... ადვილს არ იცვლიდა!

ილუმენიას შეაჟრჟოლა. თითქოს მის სხეულში იდგა ეს უსიამოვნო ამინდი...

უფრო მჭიდროდ მოიხვია თავშალი ბეჭებზე და კვლავ მიაშტერდა ჩაჟამებულ სივრცეს.

ოჰ!.. რამ გაანათა ნეტავი ერთბაშად ეს ნისლით ჩამო-ბურუსებული ირგვლივეთი?.. ეს გადახუნებულ-გაბურ-ძგნული სველი მინდორი?

ვინ, ვინ მოაგეღვებს, ნეტა, თეთრ რაშს ამ მყისიერად ამწვანებულ-აბიბინებულ მდელოზე? მზის ბარჩხალა სხი-ვეებით ანაზღეულად გაბრდღვიალებულ ეზო-ყურეში?

მხედარი სარკმელს მიაწყდა.

აცინციმებული, სხივოსანი, ბუდეშურა თვალები... კრიალა, ნათელი ღიმილი...

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..

– რისთვის მოხვედი?.. ვინ გიხბო?..

– ნუთუ... ეს შენა ხარ, ქეთევან ჩემო?.. რას დამსგავსე-ბულხარ, ბეჩა? ნუთუ... დრო-ჟამმა დაგამახინჯა და... და-გაჩიავა ასე?

– ჰოო... წლები სიმრავლემ დამიძაბუნა ხორცი!.. სუ-  
ლი კი – ვერა! სულზე ხელი აღარ მიუწვდა!..

– კი მარა, რა უნდა ამ დაჩანანაკებულ, დაუძღურებულ  
სხეულში... სულს?... რად არ ტოვებს ამ უგვან ჭურჭელს?...  
რად არ მიაშურებს ზეცის ლაჟვარდებს? რა დარჩენია ამ  
ბინძურ, ცოდვილიან სააქაოში?

მხედარმა მოულოდნელად ხმამაღლა, გულიანად გა-  
დაიკისკისა. ხორბლისფერი, ხშირი თმა ყაბალახიდან უეც-  
რად მხრებზე გადმოეღვარა ტალღებივით. მერე უნაგირ-  
ზე აინვართა და:

– შემომხედე! კარგად შემომხედე!.. მე... არ შევ-  
ცვლილვარ! მე – არ ვსდევ ფამთა ცვლას!.. მე – იგივე ვარ,  
რაც ვიყავი!.. და... აგრე დავრჩები მარადფამს! – თქვა თუ  
არა, თავი უკან გადაიგდო, კვლავ გადაიტკარცალა ხალი-  
სიანად, ცოტა არ იყოს, ნიშნის მოგებითაც, მერე ყალყზე  
შემდგარი ცხენი შეატრიალა და... წამისწამში გაქრა  
თვალსაწიერიდან, თითქოს მსუბუქ ნისლში განიმქრა ერ-  
თბაშად.

ილუმენიამ თვალები მოიფშვინტა.

ნუთუ?

ნუთუ თავისი ყმანვილქალობა მოელანდა?

მერედა, ასე ცხადლივ? ასე ამკარად?

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..

უფერული ტუჩები მწარე ღიმილმა დაუგრინა...

ისევ ისე მიაჩერდა დაჟინებით მონასტრის ეზო-ბაღს,  
მერე ბელურაზე გადაიტანა კვლავ მზერა.

თავფეხიანად გალუმპული, აძაგდაგებული ჩიტი ისევ  
ისე იჯდა გაუნძრევლად, თითქოს დაკოსებულიყო შიშველ  
ტოტზე და მდგრად უმკლავდებოდა ავდარს!

რტოებზე მძივივით ასხმული წვიმის მომსხო წვეთები  
კი დრო და დრო ძირს ცვიოდა და ჰაერში უკვალოდ იფან-  
ტებოდა...

წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ!

საოცარია! რატომ მიუშვერია თავი ჩიორას აბეზარი  
წვიმისთვის? რად არ გაეცლება ამ ქარაშოტს და სიცივეს,  
ძვალ-რბილში რომ ატანს?

რას ელოდება ნეტა ეს ბეჩავი? ვის ან რას უჯიუტდება  
თუ ეურჩება ასე თავგამეტებით?

... ილუმენიამ თავის დალეულ მკერდექვეშ დალილ-  
დაქანცული ჩიტის გულისფეთქვა მკაფიოდ შეიგრძნო  
ანაზდეულად. ამქვეყნიური, უღმობელი, ბედისწერისეუ-  
ლი სისასტიკით ამაო არსებობის წუთებს თუ ითვლიდა  
იგი?

უეცრად...

ბელურა შეტოკდა. ერთი შეიფრთხილა, თითქოს წვი-  
მის წვეთებს იშორებოს, და... ძირს წამოვიდა ქვასავით.

„აუჰ!.. ღმერთო ჩემო!“

იქ შიგნით, სულის სიღრმეში თითქოს ვიღაცამ თუ რა-  
ღაცამ წამოიკვილა უნებლიეთ.

ოჰ, შე საბრალო ჩიტო ჩიორავ! ნუთუ, ნუთუ გული გა-  
გისკდა? ვეღარ გაუძელ, ბეჩავო?..

მოვიდა განა შენი აღსასრულის წამი?

მოვიდა და დამთავრდა, დამთავრდა შენთვის ყველა-  
ფერი?

ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...

ცულს მოვიტან, ცუნცულასა...

... კარზე ფრთხილი კაკუნით მოესმა. ახალგაზრდა მონა-  
ზონმა შემოიხედა და მოკრძალებით მოახსენა, თქვენთან  
სტუმარია მოსულიო.

– სტუმარი?!

„ვინ უნდა იყოს?“

– ვინაობა ხომ არ უთქვამს, შვილო?

– არა, დედაო. მოხუცი ვაჟბატონი ბრძანდება...

– შემოვიდეს, დედაო. სთხოვე...

მაგიდასთან მიბრუნება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა  
და სარკმელთან შეჩერებულმა, შემოსასვლელს მიაპყრო  
დანისლული მზერა.

ვინ უნდა ყოფილიყო? ვინ უნდა სწევოდა მონასტერში  
ასეთ დროს ილუმენიას, თითქმის განყვეტილი რომ ჰქონ-  
და კავშირი გარე-სამყაროსთან?

მცირე ხნის შემდეგ კარი გაიღო და მსცოვანი თავადი  
ქუდმობდილი სენაკში შემოვიდა. ჯერ მიიხედ-მოიხედა და  
სარკმელთან მდგარი ილუმენია რომ დაინახა, თითქოს შე-  
ყოვნდა წამით, მერე... პირდაპირ მისკენ გამოსწია მძიმე  
ნაბიჯებით, გულში ქუდჩახუტებულმა.

ილუმენიას წამით თითქოს რეტი დაესხა. ქუთუთოები  
დაუმიძიდა, სუნთქვა შეეკრა.

მოულოდნელად... ბერიკაცს ახოვანი, თმასუჭუჭა,  
პირმშვენიერი ჭაბუკი აეფარა – იგი ფართო ღიმილით,  
დინჯად, ნელ-ნელა უახლოვდებოდა შემცბარ, სულთქმა-  
შეკრულ ილუმენიას.

ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!..

ნუთუ?!

ოჰ, ეს... თეთრი, თეთრი კბილები... და...

„შავი გული?!“

უცებ ახალგაზრდა კაცი მუხლებზე დაეცა და...

ილუმენიას თვალწინ ელვისუსწრაფესად გაირბინა  
წარსულის სურათებმა, წამიერად გაცოცხლდა თითქოს  
მინავლულ-მიჩქმალული აჩრდილები გარდასული  
დროისა.

\*\*\*

ინათა თუ არა, უხმაუროდ, სწრაფად ჩაიცვა, მძინარე  
მოახლეებს ფეხაკრეფით აუარა გვერდი და გაღავნის  
ქონგურს მიაშურა.

მთელი ღამე არ უძინია. წინა დღის გამარჯვების სიხა-  
რულს შერთვოდა რაღაცნაირი, გაუცნობიერებელი შფო-  
თი და ნუხილი. წრიალებდა. ვერ ისვენებდა და აი, დგას ახ-  
ლა ჭოგრიტმომარჯვებული და ყურადღებით ათვალიე-  
რებს მონინალმდეგის ადგილ-სამყოფელს: პატარა, დან-  
გრეული ციხე-სიმაგრედან მოშორებით ველზე გაშლილი  
ბანაკი არსად ჩანდა.

– ეტყობა, მაგრად არიან დამფრთხალნი, ქალბატონო  
ქეთევან!.. დილა მშვიდობის! – მიესალმა ზურგსუკან  
მდგარი მამაკაცი ოდნავ ჩახლუჩილი ხმით.

„აჰა, ამასაც არ სძინებია!“

არ მოუხედავს, არც გაკვირვება გამოუხატავს მისი  
ასეთი მოულოდნელი გამოცხადებით, ისე გაეპასუხა: –  
მშვიდობა მოგცეს უფალმა!.. საეჭვოდ მეჩვენება მე ასეთი  
გაუჩინარება. შენ რას იტყვი, ჩემო ბასილიკა?

– ჯერ კიდევ ალბათ გონსმოსულები ვერ არიან გუშინ-  
დელი დამარცხების გამო, ქალბატონო ქეთევან, ჭრილო-

ბებს თუ იშუშებენ ახლო-მახლო ხევ-ხევში, – დაცინვა გა-  
ისმა მამაკაცის ხმაში. მერე რამდენჯერმე ჩაახველა, ხმა  
ჩაინმინდა.

– რუსები არ ვიცი, მარა ჩემი მაზლისწული არა მგონია  
ასე ადვილად შეეგუოს ამ მარცხს... რაიმე ხრიკს მოისაზ-  
რებდნენ უთუოდ. – ქალი თითქოს ფიქრშიაო, ხმადაბლა,  
თავისთვის ბუტბუტებდა და თან ჭოგრიტს არ იშორებდა  
თვალეზიდან, ისევ ისე დაჟინებით გაანგრძობდა გარემოს  
დაზვერვას: – საკვირველია, სად უნდა გამქრალიყვნენ?  
ცამ უყო პირი თუ... მინამ ჩაყლაპა?

– გრიგოლ ბატონი, რასაკვირველია, იოლად ვერ მოი-  
ნელებს გუშინდელ სიმწარეს. აჰა, თქვენ თვითონ განსა-  
ჯეთ: მათმა ნასროლმა ვერც ერთმა ყუმბარამ მიხანს ვერ  
მიადნია, ყველა ჰაერში გასკტა. ერთი-ორი ქე მოხვდა  
თითქოს გალაჟანს, მარა რა მერე? დოუშავდა ამით ციხეს  
რაიმე? ეგ ხომ „მოდი ნახე“, ჩემო ბატონო!.. ჰოდა, წვი-  
დენ ახლა ბატონ ტორმასოვთან და საცა თავისი დეიკვე-  
ხონ, იქ ჩვენიცა თქვან!

– ეგენი წამსვლელებს არა ჰგვანან, ჩემო ბასილიკა! –  
ქალი კვლავ განაგრძობდა გულისყურით არემარეს თვა-  
ლიერებას.

– არ ნავლენ და... თავ-ბედს ვანყევლინებთ! არც ისეთი  
ყარამან ყანთელები ბრძანდებიან, ქე რო ჰგონიათ თავი.  
აქანა, ამ ჩვენს მიწა-წყალზე არ უნდა გაჭაჭანდეს რუსის  
ჯარი და... ვერც ვერავისი, ჩემო ბატონო! მაგენს ისიც  
ეყოფათ, რაც ქართლ-კახეთს დამართეს. ჩვენში, იმერეთ-  
ში ეგენი კინჩხს და კისერს მეიტხეავენ, სოლომონ მეფე და  
ქაიხოსრო ბატონი გვიცოცხლოს ოლონდ ღმერთმა!

– შენს პირს შაქარი, ჩემო ბასილიკა, შენს პირს შაქარი!  
მარა... ხომ იცი, მუხამ რა თქვა: ცული მე რას დამაკლებდა,  
ჩემი ჯიშის რომ არ ერიოს შიგო...

„ეჰ, ურიცხვი მტერი მართლაც ვერას გვიზამდა, ისევ  
ჩვენი ჯილაგისანი რომ არ მოუძღვებოდნენ წინ!“

ქალმა წამით იყუჩა, მერე სევდანარევი ხმით განაგ-  
რო: – ჩვენში ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდებოდა, ჩე-  
მო ბასილიკა! მაგი შენც იცი, ყოლიფერი შენი თვალთ  
გაქვს ნანახი და გადატანლი...

– ეჰ, ჩემო, ქეთევან ბატონო, ნეტაი არ მენახა!.. რო გა-  
მახსენდება, გული მიკვტება... რაფერ გმირულათ იბრძო-  
და იმ სულკურთხეული ერეკლეს ჯარი!.. რა სასწაული მო-  
ახთინეს დავით ბატონიშვილის მეზარბაზნეებმა!.. რა ვეფ-  
ხეპივით ბიჭები იყვნენ და... რა ახლოს იყო გამარჯვება  
ურჯულოებზე, მარა... შავმა ღალატმა შავი დღე გაგვითე-  
ნა... წყალში ჩეიყარა ყოლისფერი... პირველათ მაშინ ვნახე  
ცრემლი ქაიხოსრო ბატონის თვალეზში...

„მაშინ მეფესთან და ქაიხოსროსთან ერთად, ერთ ბა-  
ნაკში იბრძოდა ზურაბ წერეთელიც!“

– ბრმავე, რას ჩივიო და... ორთავ თვალის ჩინსაო. მეც  
ამას ვჩივი, ჩემო ბასილიკა! საკუთარი შვილების გაუტან-  
ლობა და მუხანათობა უფრო რო აქცევს ქვეყანას, ვიდრე  
ურჯულოები...

– მარა ჭკუა ხომ უნდა ვისწავლოთ ოდესმე, ქალბატო-  
ნო ქეთევან?.. მე ასე მგონია, არ გოუვათ ანი ჩვენს მტრებს  
უწინდელი ხრიკები. ასე მითქვამს მე გული, ასე მჯერა...

– ღმერთმა ვისმინოს, ჩემო ბასილიკა, ღმერთმა ვისმი-  
ნოს! – ამოოხვრით თქვა ქეთევანმა, მერე ჭოგრიტი მოი-

შორა თვალეზიდან და გვერდულად გამოხედა მისგან სა-  
პატიო მანძილზე მდგარ მეციხოვნეს, მოწინებით, თავდახ-  
რით რომ ესიტყვებოდა ქალს.

„ეჰ, ვის სად უგანებს წუთისოფელი, ღმერთმა თუ უწ-  
ყის!“

ბასილიკამ ისევ წამოიწყო:

– ახლა ვნატრობ, მაშინდელი ჯანი და ღონე მომცა-  
თქვა. გული ქე მერჩის ისევ ძველებურათ, კიდო შემძლია  
გავუმკლავდე მტრებს, კიდო შემძლია ჩვენი მეფის, ბა-  
ტონი ქაიხოსროს და თქვენი სამსახური-თქვა... მარა...

– ღმერთმა შეგაძლებინოს, ჩემო ბასილიკა!..

„და, ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ბედკრულ სამშობლოს  
შენისთანა ერთგული შვილები!“

– ისე, – ყოყმანის შემდეგ განაგრძო ქალბატონმა ქე-  
თევანმა: – ისე, სიბერე მართლა ცუდი რამე ყოფილა, ბასი-  
ლიკა ჩემო!.. მართლაც, ყველა ჭირზე უფრო დიდი ჭირია  
თურმე ეს ოხერ-ტიალი. მეც აგერ 38 წლისა ვხდები, დავ-  
ბერდი უკვე, თუმცა შენი არ იყოს, გულს მაინც არ ვიტხვ,  
არ გავახარებ ჩვენს მტრებს სიძაბუნით-თქვა, მარა...

– აჰა, აჰა, აჰა! რა დროს თქვენი სიბერეა, ქალბატონო  
ქეთევან. მაგი არ თქვათ, თქვენი ჭირიმე! რასაც მე გუშინ  
ვუყურე!.. თქვენი ნასროლი ყუმბარები... სასწაული იყო  
პირდაპირ, სასწაული, თქვენს მზეს ვფიცავარ!

მეციხოვნის ხმაში ისეთი გულწრფელი ალტაცება ის-  
მოდა, რომ ქეთევანს უნებურად გაელიმა: – მე მგონი, არც  
შენ შეგიტყვევებია თავი, ჩემო ბასილიკა!.. სიმართლე თუ  
გინდა, შენმა სიმარჯვემ გამაბედინა მეც...

– აჰა, აჰა, აჰა! რას ბრძანებთ, ქალბატონო ქეთევან,  
თქვენი ცხენზე ჯირითი, თქვენი თოვ-იარაღის ხმარება  
მთელ სააბაშიძეოსა და საწერეთლოშია განთქმული,  
თქვენს ნადირობასაც შევსწრებევარ, მარა... ზარბაზანი?..

– ჰო, ბასილიკა, ცხენზე გამახსენდა, – შეანყვეტინა  
ქალმა შინაყმას ხოტბა-დიდება: – ცხენები თუა მიხედლი  
კარგათ?

– აჰა არა!.. ჯავრი ნუ გაქვთ, ქალბატონო ქეთევან! ერ-  
თი თვის სამყოფი თივა მოვიმარაგეთ. პური, ღვინო, –  
ბლომად გვაქვს. თქვენ არხეინად იყავით. წყალიც საკმა-  
რისზე მეტი დავაგროვეთ! ასე რომ...

– კაია! ბიჭები არ უნდა დაიმშენ. ახალგაზრდები არი-  
ან, ხო იცი! ჰოდა, ჯანი სჭირდებათ. ომი სახუმარო საქმე  
არაა! „ჩემი პაპუნა, ვინ იცის, რაფერ არის ახლა იქ!.. მო-  
უკვდეს დედა!“

– რასაკვირველია, ქალბატონო, რასაკვირველია.  
თქვენ ნუ შიშობთ. ყოლიფერი ისე იქნება, რაფერადაც  
თქვენ გაგიხარდებათ და ბატონ ქაიხოსროს!.. მაგ დურ-  
ბინდს თუ მათხოვებთ პატარა ხანს? გედვიხედავ მეც ერ-  
თი... მართლა მოუსავლეთში ხომ არ გადაიკარქენ ჩვენი  
„ძვირფასი სტუმრები“? ეგებადა, ჩვენი დახმარება სჭირ-  
დებათ? ვინ იცის... – ჩაიქირქილა მეციხოვნემ და ხელები  
მოიფშვინტა. ქალბატონმა ისე მიანოდა ჭოგრიტი ბასილი-  
კას, რომ თავად ციხე-სიმაგრის გალავნიდან გადაშლილი  
სივრცისთვის მზერა არ მოუცილებია.

სექტემბრის მშვენიერი დილა თენდებოდა. ოდნავ ქარ-  
ვისფერშეპარებული გორაკები და ველ-მინდვრები ჯერაც  
მწვანედ ხასხასებდნენ. შორს, ხელმარცხნივ მოჩანდა ლი-  
ლისფერ ნისლში ამოვლებული ლისის მთები, ხელმარ-



ჯვნივ კი კავკასიონის გოლიათი, ლურჯი მთაგრეხილები ზვიადად განოლილიყვნენ და თითქოს თვლემდნენ. ჰაერი სუფთა და გამჭვირვალე იყო.

ისეთი სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა გარშემო, თითქოს ძეხორციელს არასოდეს დაერღვიოს აქ ეს ღვთიური გარინდება.

მზე ოქროს ჯილად მორგებოდა მთის თხემს და მის სხივებში ცურავდა თითქოს მთელი არე-მარე. ამ წარმტაცი სურათის ხილვა ადამიანის თვალს ატკობდა და გულს სიამით ავსებდა.

ორივენი – ქალი და კაცი – ერთი, დიდი ქალბატონი, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის სარდლის ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე ქეთევან აბაშიძე და „მოდი-ნახეს“ მეციხოვნე ბასილიკა ლონდაძე მონუსხულნი შესცქეროდნენ კავკასიონის ლილო-ჭრელოს და ისე ჩანთქმულიყვნენ თავიანთ განცდებში, რომ ხმაურმა, უცებ რომ გაისმა, წამით ორივე დააბნია. მერე გაცეცხობით და შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს. ყუმბარის ბათქაბუთქის ხმა ისევე განმეორდა.

გონსმოსულებმა საჩქაროდ ჩაირბინეს კიბის საფეხუბრები.

ციხე-სიმაგრის ეზოში რიგ-რიგობით ჩაცვნილი ყუმბარები ხმაურით სკდებოდა.

მეციხოვნენი ეზოში გამოცვნილიყვნენ ყვირილით და უთავბოლოდ დარბოდნენ აქეთ-იქით.

ქეთევანმა და ბასილიკამ სწრაფად იაზრეს, რაც მოხდა. ჩანდა, სიმონოვიჩის და გრიგოლ წერეთლის ჯვარს მთელი ღამე ევლო, „მოდი-ნახეს“ ციხეს აღმოსავლეთიდან მოსდგომოდა და ახლა მოპირდაპირე, თითქმის თანასწორ სიმაღლეზე მდგარ „თოდაძის ციხიდან“ უშენდა ყუმბარებს.

– ბასილიკა! სწრაფად შეაბრუნე ზარბაზნები „თოდაძის ციხისკენ!“ – დაუყვირა ქეთევანმა მეზარბაზნეთა მეთაურს. – გუჯი სად არის? გუჯი მომგვარეთ!.. ბუხუტია?.. ხომ არ დაშავებულა ვინმე?

– აქა ვართ, შენი ჭირიმე!.. არავინ დაშავებულა. ყველა-ნი ცოცხლები ვართ!

ქეთევანმა უბრძანა თავის ძიძიშვილს, წყალსაცავებიდან სასწრაფოდ გამოემვათ წყალი და ეზოში დაეგუბებინათ, ნახევარ არშინზე მიანიც: – ნაბდები, ნაბდები დაასველეთ!

რაზმელები უხმაუროდ, სწრაფად ასრულებდნენ თავიანთი მეთაურის განკარგულებებს, თუმცა ბევრი მათგანი აზრზე ვერ მოდიოდა, თუ რას ნიშნავდა ეს ყოველივე, ან რა ხდებოდა საერთოდ.

– სველი ნაბადი მეც მომიტანეთ საჩქაროდ!

უცებ ქეთევანმა თვალი ჰკიდა პატარა საყდრის წინ ლოცვად ხელაპყრობილ მღვდელს. ერთი რაზმელის პირით შეუთვალა, შიგ შესულიყო, თან ქეთევანის ორი მოახლე გოგოც შეეყვანა და იქიდან ფეხი არ მოეცვალათ, სანამ ყველაფერი არ დაწყნარდებოდა.

გალავნის შორიახლოს მდგარი ქეთევანი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა რამდენიმე აუზიდან ეზოში ჩამომდინარე წყალს, ხანაც გალავნის ქონგურებზე გადაჰქონდა მზერა, სადაც ბასილიკა და მისი მეზარბაზნეები ადგილს უნაცვლებდნენ ზარბაზნებს.

ის იყო გუჯის ბიჭმა სველი ნაბადი მოურბენინა ქეთევანს, რომ უცბად მათ მახლობლად ყუმბარა დაეცა ზუზუნით. შიშატანილი, დაზაფრული ყმაწვილი სანამ რაიმეს მოისაზრებდა, ქეთევანმა უყვირა, დაწეკი, დაწეკიო, თავად ნაბდით ხელში ყუმბარასთან მიიჭრა, ჯერ რომ არ აფეთქებულიყო, და აფუებულ ჩლას ნაბადი გადააფარა სასწრაფოდ. ცოტაც და... ყუმბარის გასკდომის ხმა ყრუდ გაისმა.

შეშფოთებული რაზმელები ქალბატონ ქეთევანს მივარდნენ, მაგრამ ქეთევანმა საქმიანი იერით და მშვიდი ხმით უბრძანა, ყველა თავ-თავის ადგილს დაბრუნებოდა და მზად ყოფილიყვნენ ყოველგვარი მოულოდნელობისთვის.

ამასობაში წყალი ეზოში თითქმის ნახევარ არშინზე იდგა. ყუმბარები დროდადრო შიგ ცვიოდა და შიშინით სკდებოდა. ხოლო ბასილიკას და მის ხელქვეითებს უკვე მოეხერხებინათ ზარბაზნების გადაადგილება.

– ბასილიკა! აბა შენ იცი! შენებურად დასცხე მაგ მამა-ოხრიშვილებს!

მერე თვითონაც ქონგურზე ავარდა, განზე გასწია ერთი მეზარბაზნე, გულმოდგინედ დაუმიზნა ლულა ქვემოთ, თითქმის „მოდი-ნახეს“ გასწვრივ „თოდაძის ციხის“ ეზოში მდგარ ზარბაზანს და...

– ვაჰა! მოხვდა, მოხვდა! – ყიჟინა დასცეს ალტაცებულმა მეზარბაზნეებმა.

შემდეგ ბასილიკამაც მშვიდად, აუჩქარებლად მიზანში ამოიღო მონინალმდევის ზარბაზანი, და ყუმბარა შიგ ტურში შეაძვრინა. ზარბაზანი შუაზე გასკდა. მეორე გასროლით წამლის ყუთები აბრიალდა ციხის ეზოში. მას მოჰყვა მეორე, მესამე...

– აგრე, აგრე მოუხდებათ, მაგ ძაღლიშვილებს! მოილხინონ ახლა კარგათ და ირიკაონ, რამდენიც უნდათ!

თანდათან, რიგრიგობით, „მოდი-ნახეს“ მეციხოვნეთა კარგი პოზიციის გამო და თავად მეზარბაზნეების, განსაკუთრებით კი ბასილიკას და ქეთევანის ოსტატობის და სიმარჯვის წყალობით, რუსის ჯვარის ზარბაზნეები მთლიანად განადგურდა.

შინაგანად ალგზნებული, მაგრამ გარეგნულად მშვიდი იერით, ქალბატონი ქეთევანი გალავანზე გადმოდგა და იქიდან გადახედა ძლეულ ბანაკს. მტერს მთავარი იარაღი – ზარბაზნები ხელიდან გამოეცალა, და მამასადამე, ან ნაკლებად საშიში და სახიფათო იყო!..

აქამდე ჩუმად მდგარმა ქალბატონმა ქეთევანმა უცებ წყალი მოითხოვა. მყისვე მიურბენინეს. თითქმის ნახევრამდე დაცალა დოქი, მერე გახურებულ სახეზე შეისხა ცივი წყალი, ყაბალახი მოიძრო, სველი ხელები ნელა გადაისვა თავზე, მერე ყაბალახი, ასე რომ შვენოდა, ისევე წაიკრა და წამით გაყურდა. სავსე, ლამაზ ტურებს წყნარი, კმაყოფილების ღიმილი უტოკებდა.

„ესეც ასე!“

გარშემომყოფნი, გაუნძრევლად მდგარნი, მდუმარედ, დაუფარავი ალტაცებით შესცქეროდნენ თვალტანად, მომხიბლავ, დიდებულ მანდილოსანს, ასე ვაჟკაცურად რომ ეჭირა თავი, ასე მამაცურად, ასე თავგანწირვით რომ იბრძოდა მეფის, მეუღლის და თითოეული მათგანის ღირსების დასაცავად.

„მეფე ბატონო, ჩემო ძვირფასო ქაიხოსროე! შეგიძლიათ მშვიდად იყოთ: სირცხვილს არ გაჭმევთ აბაშიძის ქალი!“ – გაუბრუნა თავში ანაზად ქეთევანს და გალავნიდან დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი სახით, ძირს, ეზოში დაეშვა. გეზი ეკლესიისკენ აიღო, რათა უფლისთვის მადლობა შეენირა იმ გამარჯვებისთვის, რაც დღეს მოიპოვეს „მოდინახეს“ დამცველებმა.

\* \* \*

ციხე-კოშკის ეზოში გაშლილ გრძელ სეფას ოცდაათამდე ახალგაზრდა მეომარი – ქეთევანის რაზმელები და მეციხოვნენი შემოსხდომოდნენ – ბასილიკას თამადაობით.

ქალბატონმა ქეთევანმა თავადაც ისურვა, რომ მის რაზმელებს, რაკი სწაღდათ, შეძლებისდაგვარად, მოეღონინათ, აღენიშნათ დილანდელი გამარჯვება. თვითონაც, მამა ზოსიმეს თანხლებით, პატივი დასდო ახალგაზრდებს და ლხინზე ეწვია.

მზე ჩანურვახე იყო, გრილი ნიავი საამოდ უბერავდა. ჰაერი დაყურსულიყო ადრეული შემოდგომის სურნელით, რაც უფრო სასიამოვნოს ხდიდა ისედაც გახარებულ მეციხოვნეების გუნება-განწყობილებას.

ღვინოს პატარა-პატარა თიხის ჯამებით სვამდნენ. ბასილიკას მოკლე სადღეგრძელოების თემა, ცხადია იყო დილანდელი ორთაბრძოლა მეზარბაზნეებისა და ის გამარჯვება, რაც რუსებზე მოიპოვეს „მოდინახელებმა“ – ქალბატონ ქეთევანის წინამძღოლობით.

ქეთევანს ეშხში შესულებმა თანდათან ხმაურს და ოხუნჯობასაც უმატეს, თუმცა მანდილოსნის და მამა ზოსიმეს რიდი ზღვარს არავინ გადასულა. მცირე ხნის შემდეგ მამა ზოსიმემ ბოდიში მოიხადა, ხელმეორედ აკურთხა სუფრა და ეკლესიისკენ გაემართა.

ქალბატონი ქეთევანიც არ აპირებდა დიდხანს დარჩენას, თუმცა მიაჩნდა, რომ თავის რაზმელებთან ერთად უნდა გაეზიარებინა საერთო სიხარული. ამასთან, ქალბატონმა ქეთევანმა მშვენივრად უწყოდა, რა გულწრფელი და განუზომელი სიყვარულით სარგებლობდა იგი თავის ქვეშევრდომებში, რა მონივნებით, კრძალვით იყო მის მიმართ გამსჭვალული ყოველი მათგანი. ვინაიდან ყველაფრის გარდა, ქალბატონი ქეთევანიც, თავის მხრივ, დედობრივ მზრუნველობას არ აკლებდა რაზმელებს – ამიტომაც, თუმცა დაღლილ-დაქანცული გახლდათ ყოველივე იმით, რაც თავს გადახდა ამ დღეს, ქეთევანი მაინც იჯდა სახე-მომღიმარნი და ცდილობდა მხნედ მოეჩვენებინა თავი მონადიმეებისთვის, ამ ერთიმეორეზე უკეთესი, დარჩეული ყმანვილებისათვის, ძირითადად გლეხობის წრიდან რომ იყვნენ, მაგრამ სიჩაუქით, მამაცობით თუ გარეგნული სილამაზით ტოლს რომ არ უდებდნენ წარჩინებულთა გვარის შვილებს.

ქეთევანი თავის გუნებაში ესიყვარულებოდა თითოეულ მათგანს, როგორც საკუთარ შვილებს. სიყვარული და თანადგომა მოყვასის მიმართ – აბაშიძის ასულისათვის თანდაყოლილი, ბუნებრივი თვისება გახლდათ...

ხშირად იგონებდა ხოლმე თავისი აღმზრდელი ბიცოლას, ვალიდა აფაქიდის ქალის სიტყვებს: ადამიანს პატივი უნდა მიაგო მისი ღირსების მიხედვით და არა წარმომავლობის გამო, ეს კი იმ დროისთვის არც თუ ჩვეულებრივი

ამბავი გახლდათ. აკი, ახლობლები მას, სოლომონ I-ის მეუღლეს მარიამს – ოტია დადიანის ასულს – ტყვეთა სყიდვის სასტიკ მონინაალმდეგეს – ამსგავსებდნენ, თუმცა ქეთევანი არ შესწრებოდა მის დედოფლობას, თავად კი მამის ძმის ცოლის, ოდიშიდან ზემო იმერეთში გამოთხოვილი ვალიდა აფაქიდის შვილობილად მიიჩნევდა თავს.

ქეთევანს მხარმარცხნივ, უსაყვარლესი ძიძიშვილი გუჯი ეჯდა, ხოლო მისი ბიჭი, 19 წლის ბუხუტია, თავის ორ თანატოლთან ერთად, მარჯვედ ემსახურებოდა სუფრას.

ბუხუტია გამორჩეული გრძნობით უყვარდა ქეთევანს. თავის უფროს ვაჟს, პაპუნას ამგვანებდა. მასავით პირბადრი იყო, მასავით დიდრონი, თავლისფერი, მოცინარე თვალები და მიამიტი, კრიალა ღიმილი ჰქონდა, მასავით მარდი, მკვირცხლი და უშიშარი გახლდათ.

გუჯის იგი თავად ბუხუტიას თხოვნა-მუდარით მოეყვანა ქეთევანის რაზმში. ამ ძნელებდობის უამს, როცა სამეფო ანწილ-დანწილი იყო, მეფე კი – განდევნილი, როცა ძმა ძმას არ ინდობდა, როცა დიდებულთა ოჯახები ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ბანაკებად იყო გაყოფილი – ზოგი სოლომონ II-ს ემხრობოდა, ზოგი – რუსთ ხელმწიფეს – თითოეული ერთგული მეზრძოლი შეუფასებელი, ძვირფასი განძი იყო ქეთევანისთვის, რომელსაც მეუღლის, ქაიხოსრო სარდლის თხოვნით – ახალციხეში რომ ახლდა მეფეს – მათ დაბრუნებამდე მეთაურის მძიმე ტვირთი უნდა ეკისრა.

მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის მოსახლეობა – გალტაკებული, გაძვალტყავებული გახლდათ გამუდმებული ომიანობის გამო – კვლავაც მზად იყო მხარი დაეჭირა დევნილი მეფისთვის და ებრძოლა როგორც რუსის ჯარის, ასევე, ოსმალების წინააღმდეგ, რადგან მიაჩნდათ, რომ ერთი ბაბრი იყო, მეორე კი – ფოცხვერი. რა მგელს შეეუჭამივართ და რა მგლისფერ ძაღლსო, იძახდა ხალხი და ორივეს, როგორც დამპყრობელს, ისე უყურებდა. მით უფრო, რომ ცოცხალ მაგალითად ჰყავდათ თავიანთი მოძმე ქართლ-კახელები, შეთანხმების მიუხედავად, ვერაგულად რომ წაართვეს დამოუკიდებლობა, მოუსპეს ბაგრატიონთა მეფობა და მონობის უღელი დაადგეს მთელ ხალხს და ქვეყანას.

იმერთა უმეტესობა არ აპირებდა შეგუებოდა რუსების მმართველობას, მისთვის ეგ ზომ უტცხოს და სასტიკს. ამიტომაც სოლომონ მეორის მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, ხალხის დიდი, საყოველთაო აჯანყება უკვე შორს აღარ იყო!..

... ქეთევანი დრო და დრო ცოტას კი სვამდა ღვინოს, მაგრამ თავისთავს ატყობდა, გახალისების ნაცვლად, ნალველი თანდათან ემატებოდა, გული უნებურად უკვნესოდა, თუმცა ცდილობდა, უგუნებობა არ დატყობოდა, მაგრამ მისდაუნებურად ვერ იმორებდა ფიქრს თავის მეუღლეზე, უფროს ბიჭზე, პაპუნაზე, მამას რომ ახლდა ახალციხეში, და თავის მცირეწლოვან ქალ-ვაჟზე, რაჭაში, დედულეთში რომ ჰყავდა გახიზნული. ვერა და ვერ მოეშორებინა დარდი სოლომონ მეფესა და რუსების მიერ მუხურის ციხეში გამომწყვდეულ მარიამ დედოფალზეც.

ქეთევანის აზრი ერთი საგნიდან მეორეზე ხტებოდა, მეორიდან – მესამეზე, მერე ისევ ირეოდა ერთმანეთში ყველაფერი: აზროვნება და ფიქრი ხომ მოუხელთებელი,

უსწრაფესი რამაა. არც იცი, რა წუთას სად გაუტევეს, რას გაიხსენებს, რას წარმოაჩენს გონებაში, რას წარმოსახავს... და მაინც... ფიქრით კვლავ თავისიანებს უბრუნდებოდა.

ვინ იცის, რა დღეში არიან ახლა? იქნებ ისინიც დაბოლო-მილ-გამწარებულნი მასავით ჩუმად ყლაპავენ უილაჯობის, უმწეობის, უიმედობის ცრემლებს? კი, დღეს გაიმარჯვა ქეთევანმა და მისმა რაზმმა, მაგრამ... ხვალ? რა იქნება ხვალ? რას მოიტანს უთანასწორო ჭიდილი გადამთიელთა ურიცხვ ჯართან? კი, ეს გულადი ბიჭები მზად არიან თავი შესწირონ მეფეს, ქვეყანას, თავისუფლებას, მაგრამ... მერე? რა მოხდება მერე?

ნუთუ სამართლიანობამ ოდესმე მაინც არ უნდა გაიმარჯვოს?

უცებ, მოულოდნელად მამა ზოსიმეს დაცარიელებულ ადგილზე დამჯდარ მანდილოსანს მოკრა თვალი. ქეთევანი შეცბა, მერე ფარულად მიიხედ-მოიხედა.

სხვები თუ ხედავენო ქალს? ეგება, მე მეზმანება რამეო?

არა. ხილვა კი არა, თითქოს ცოცხალი არსება ეჯდა გვერდით. დიდი ხნის გარდაცვლილი ვალიდა ბიცოლა, ტანთ თალხი კაბა რომ ემოსა, თალხი ფერისვე ლეჩაქით თავდახურული, უცნაური ლიმილით და დაჟინებული მზერით შესცქეროდა სახეში ქეთევანს ანუ თავის სულიერ შვილს, როგორც ეძახდა იგი პატარაობიდანვე მაზლისწულს.

– რატომ ხარ ასე დაღობული, შემოგველე?

– ნუთუ?! შენა ხარ ბიცოლა?

– ჰო. მე ვარ, შემოგველე. ნუ კრთები. აქ ახლა მე და შენ ვართ მხოლოდ. რას დარდობ, ბიცოლა გენაცვალოს, ასე? რა მიზეზია?

– მეტყობა რამე, ბიცოლა? – ძლივს ამოიღო ხმა ქეთევანმა.

– მე გატყობ!

ქეთევანმა კვლავ მალულად გააპარა თვალი თავის გარშემო მსხდომებისკენ. უკვე შეზარხოშებული მენადიმენი ხმატკბილად მღეროდნენ და გუჯიც თავისი ჩინებული ხმით ბანს აძლევდა მათ. თითქოს არავის არაფრის

დარდი არ ჰქონდა (ნადიმობა და მოლხენა – თუნდაც მცირე მიზეზის გამო, ხომ დედის მუცლიდან გამოყოლილი, სისხლისმიერი თვისება გახლდათ ყოველი ქართველისათვის – ლიხთიმერი იქნებოდა ის თუ ლიხთამერი). და, რაც მთავარია, ვერავინ ამჩნევდა, ქეთევანის გვერდით მიცვალებული ქალის ლანდს.

– განა... არა მაქვს სადარდებელი, ბიცოლა? გამოსავალს ვერ ვხედავ. გახსოვს, შენ მასწავლიდი, ჩვენი საქართველო – ივერია ერთიანი, მთლიანი და ძლიერი იყო ერთ დროს. შენ ბევრ რამეზე ამიხილე თვალები... ბავშვობიდანვე. შენ მიკითხავდი და მაკითხებდი ჩვენს უძველეს წიგნებს და ხელნაწერებს.

სადღაა ერთიანი საქართველო, ბიცოლა ბატონო? ერთმანეთის მტრობით, ქიშპობით აქცევენი ქვეყანას. ახლა იმერეთილა იბრძვის, იბრძვის ჩვენი უფლებაყრილი სოლომონ მეფე და მისი მომხრენი, ცდილობენ გაუმკლავდნენ მოძალებულ მტერს, ფარ-ხმალს არ ყრიან, მარა სხვები?... ჩვენი მთავრები – სამარცხვინოდ შეეკრნენ უკვე რუსის იმპერატორს...

კი, ვეომებით მომხვდურებს, ჩვენ, ვინც დავრჩით მეფის ერთგულები, არ ვთმობთ ჩვენს მიწა-წყალს, მარა... როდემდე, ბიცოლა ბატონო? როდემდე გავძლებთ? ყველას პირველობა სურს... აგერ, ჩემი მაზლისწული, ქაიხოსროს ბიძაშვილი, გრიგოლ წერეთელი, სახლთუხუცესის, ზურაბის ვაჟი, ორივე გაუორგულდა სოლომონ მეფეს.

მამა-შვილმა ბევრი გადაიბირა თავის მხარეზე, ოღონდ ეგაა – მეორე ვაჟს სიმონს ვე-

რაფერი მოუხერხა ზურაბმა – იგი მეფის ერთგული დარჩა!.. ოსმალები ვითომ გვიმეგობრდებიან ახლა, სინამდვილეში კი ჩასაფრებული არიან, და ელანე ჟამს, რათა ერთხელ კიდევ მოგვასწორონ მიწასთან.

ამასობაში გაივსო ურჯულოების ბაზრები ჩვენი დარჩეული გოგო-ბიჭებით. ბევრი ჩვენი ხარბი, წუნკი, გაუმძლარი თავადი, აკრძალვის მიუხედავად, მაინც არღვევს კანონს, მაინც ახერხებს საკუთარი ყმების გაყიდვას არა მხოლოდ თურქებზე, ყველა ჯურის გადამთიელზე!

ხოთქარსა და ბეგებს ვინლა ჩივა? რიგითებიც გამაცადინებულები არიან, თავიანთი ჰარამხანები გაავსონ



მხატვარი მალხაზ იაშვილი

ჩვენი მზეთუნახავებით!.. ხო უნდა გააკეთილმოხილონ თავისი უჯიშო მოდგმა და ჯილაგი! ირგვლივ მხოლოდ მზაკვრობა, მხოლოდ მზაკვრობა და ცბიერებაა!

ამდენი ხანია აგერ ჯოჯოხეთის ალმურში ვინვით და უანგაროდ შემხიდებელი არავინ გამოჩნდა.

რუსთ ხელმწიფე ხომ ვითომ ერთმორწმუნეა, მარა ხო ყველამ დავინახეთ, როგორ არ დაინდო ქართლ-კახეთის სამეფო!.. რა ვერაგულად მოიქცა!.. ჩვენც ხო იმავეს გვიპირებს?

რა ვქნათ?.. რაფერ მოვიქცეთ?

სულ ვეკითხები ჩემს თავს, რატო არ გვანებებენ თავს ეს ღიდრონი სამეფოები? რას ერჩიან ამ პატარა ქვეყანას? ვის რა დაუშავებენ? ვის რა ნავართვით-თქვა? რატომ არ გვაყენებენ? ჩვენ ხომ მხოლოდ დამხვდურად მებრძოლები ვართ? – ალბათ თავისთვის უფრო აზრობდა ყოველივე ამას ქეთევანი, მაგრამ გრძნობდა, აფაქიძის ქალს ყველაფერი ესმოდა და ამის ნიშნად, თავს მწუხარებით უქნევდა.

– ჩვენი უკეთურობისთვის ღვთის სასჯელს ვიმსახურებთ, შვილო. გაფრთხილდი! როცა თავს ზევით ძალა არაა, უნდა მოითმინო, დაელოდო უკეთეს დროს. ხომ ნათქვამია, დრონი მეფობენო...

– მარა, ეგება ამგვარ ყოფას მართლა სიკვდილი სჯობია, სახელიანი სიკვდილი? ეგება სჯობია ყველანი ერთ დღეს გავნყდეთ, ერთბაშად დავიხოცოთ ბრძოლაში? რა აზრი აქვს მონურ სიცოცხლეს, ბიცოლა ბატონო, საძრახ არსებობას? სულ ვიშვიშა და ვაებას?..

შენ მასწავლიდი, გახსოვს, ცხენზე ჯდომას და ჯირითს, თოფ-იარაღის ტარებას, სანადიროდაც დაგყავდით, ჩვენი ქალები უძველესი დროიდან უშიშარი მეომრები იყვნენო. მაქეზებდი, ასი ათასსა აჯობებს თუ გამორჩევით მქნელიაო, მაგულიანებდი! კარგად რო ვიცი თოფ-იარაღის ტრიალი და ზარბაზნიდანაც ვისწავლე აგერ სროლა, რა მერე? მინდა გამოვადგე ჩემს სამშობლოს, ჩემს ქვეყანას, ჩვენს მეფეს-თქვა. და ავიღე თავზე ხელი... და ადამიანებს ვნოცავ აგერ! მარა... რისთვის – აზრი აქვს რამეს?

ან კაცმა რომ თქვას, რა ქალის საქმეა თოფ-იარაღი? სისხლის ღვრა – თუნდაც ნადირ-ფრინველის?

რატომ, რატომ უნდა გაისასტიკო გული ადამიანმა, მით უმეტეს ქალმა, დედამ?.. მარა, რო არ გაყენებს მტერი მოძალადე და გაიძვერა?

ან ეგება...

სისასტიკე, სიკეთესთან ერთად, სულაც თანდაყოლილი ადამის მოდგმისათვის იმთავითვე, დასაბამიდან?.. და საერთოდ, ამდენი „რატომ“ იბადება ამ ცისქვეშეთში?

მიუსაფარნი, უთვისტომონი, უნათესაონი. გალიაში მომწყვდეული არწივივით ვასკდებით აქეთ-იქით ყრუ კედლებს!.. ხსნა კი – არა და არ ჩანს არსაიდან-თქვა! მხოლოდ ხანმოკლე გამარჯვებები და შემდგომ, ისევ ისე განუწყვეტელი სისხლის ღვრა, ცრემლი, გოდება, ტანჯვანვალება, სიმწარე და... უძლურებისგან ნეკა თითზე კბენანი!

ამდენი დაცემა, ლალატი! წამიერი ამაღლება, ფენიქსისებრი წამიერი აღდგომა და მერმე ისევ... უკუნეთი, სიბნელე!

როდემდე, როდემდე?!

– საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ნათქვამია, ჟამს უნდა დაველოდოთ, საყვარელო! ამას გასწავლიდი მეც!

– რუსთ ხელმწიფე ოქროთი, ჩინ-მედლებით ყიდულობს ჩვენს თავად-აზნაურობას, ჩვენს მთავრებს, რა უნდა გავანყოთ?

– ოქრო ჯოჯოხეთსაც ანათებსო, ნათქვამია. ოდითგან ყველა მოლაღატე ოქროთი იყო მოსყიდული, შემოგველე! დიდი ცდუნებაა ოქრო და ძალაუფლება! ასეა ეს, ჩემო საყვარელო, ასე იყო მიწყვი – დასაბამიდან დღემდე! ფეშქაშებით, სულთნის თუ შაჰის ხალათებით ხდებოდა მოსყიდვა ადრე და... ახლაც იგივე გრძელდება... ოლონდ სხვა სახით...

ფხიზლად იყავი, შვილო, ერიდე უზნეო ადამიანებს, ოქროთი მოსყიდულებს!.. სიხარბე, პატივმოყვარეობა, მედიდურობა, ამპარტავნება, შური – ოქროს მოკავშირეებია, იცოდე! სიღარიბე კი – მათი სარბიელია.

– ჩვენ ღარიბები ვართ, ბიცოლა, მაშასადამე...

– ოდესღაც მდიდარი ქვეყანა ვიყავით, შემოგველე! – შეანყვეტინა აფაქიძის ქალმა თითის ანეით: – ჩვენგან გაჰქონდათ ოქროც და ბევრი სხვა, ძვირფასი რამეები!.. მარა... ახლა სხვა სიმდიდრეები გააქვთ! რამეთუ ჩვენ თვითონ ვიქეციით ავაზაკებად, ჩვენი დიდი წინაპრების აჩრდილებილა ვართ! ფხიზლად იყავი-თქვა, ჩემო საყვარელო, თავს გაუფრთხილდი, შვილო!

– რისთვის? რა თავში ვიხლი ასეთ სიცოცხლეს, ბიცოლა? თუკი უზნეობა იმარჯვებს ზნეობაზე, უსამართლობა – სამართალზე, ბოროტება – სიკეთეზე, ურჯულოება – სჯულიანობაზე!..

... ცულს მოვიტან ცუნცულასაო, ჰმ! ერთი ბარტყი აკი მეც გადავუგდე მელიას – ვითომ სხვების გადასარჩინად! გადარჩებიან კი? თუკი გადარჩებიან... სად, სად უნდა იცხოვრონ?.. რა ქვეყანაში?

თალხკაბიანი ქალი ისევე უეცრად გაქრა, როგორც გამოჩნდა. ქეთევანის უკანასკნელი კითხვა კი – უპასუხოდ დარჩა, იგი ჰაერში უკვალოდ დაიკარგა!

გაოგნებული ქალბატონი ქეთევანი კარგა ხანს მისჩერებოდა იმ ადგილს, საიდანაც სხვისთვის უხილავი მესიტყვე გაუჩინარდა.

მცირე ხანს იჯდა მზერადახრილი, თითქოს გათიშული. მერე უცებ წამოიჭრა და გულდამძიმებული, აფორიაქებული უსიტყვოდ, უხმოდ, აჩქარებული ნაბიჯებით თავის სენაკისკენ გაეშურა.

\*\*\*

სარკმლიდან შემოპარული მზის სხივები სახეზე დასცილოვებდა, და საოცრად მოუნდა კიდევ ცოტა ხანს გაფოფინებულიყო, კიდევ ცოტა ხანს ებანავა ამ თბილ ჩქერალში. კიდევ ცოტა ხანი თვალი მოეტყუებინა, მაგრამ... თავს ძალა დაატანა, ნაბადი გადაიძრო, სწრაფად წამოდგა ტახტიდან, რომელზეც ქვეშაგებლად ნაბადივე ჰქონდა დაგებული.

ვიდრე თავს მოინესრიგებდა, ვიდრე ისაუზმებდა – წუხანდელ ზმანებაზე ფიქრი ისევ მოეძალა.

რატომ გამოეცხადა მისი საყვარელი ბიცოლა აქ, ციხესიმაგრეში, ამ გასაჭირის ჟამს? რას ნიშნავდა ეს? წლების განმავლობაში სიზმარშიც არასოდეს უნახავს. თუმცა კი

ხშირად იგონებდა უდიდესი სინაზითა და გულისტკივილით. თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე ცხენზე ამხედრებული, – მარჯვენა ხელზე მიმინო რომ ესვა! სანადიროდ გამზადებულს, გოროზი, შეუვალი იერი ჰქონდა და გარშემომყოფთა უნებლიე რიდს და ალტაცებას ინვევდა. არადა, გარეგნული სიმკაცრის მიუხედავად, გულჩვილი, უსათნოესი ადამიანი იყო ვალიდა ბიცოლა, რომელსაც ამავე დროს შეეძლო, თუ ისურვებდა, თავის ნებისთვის დაემორჩილებინა ნებისმიერი სულიერი.

დედით ობოლი ქეთევანი ბავშვობიდანვე აღმერთებდა თავის ულამაზეს ბიცოლას, მშობლიურ მზრუნველობას რომ არ აკლებდა მაზლისწულს. ვალიდა აფაქიძეს განსწავლულობით, ზნეკეთილობით და გარეგნულადაც მარიამ დედოფალს, სოლომონ I-ის მეუღლეს, ოტია დადიანის ქალს ადარებდნენ იმერლები...

თუმცა კი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო ვალიდა ბიცოლა, ქეთევანი დღემდე ვერ ეგუებოდა მის არყოფნას. ხშირად, ძალიან ხშირად თავის გონებაში ეთათბირებოდა კიდევ და თითქოს რჩევასაც თხოვდა, მაგრამ... ასე ხელშესახები სიცხადით, ასე თვალნათლივ არასოდეს ჩვენებია სხვა დროს!..

... ბუხუტიამ მორიდებით, ნებართვის მიღების შემდეგ, შემოალო კარი და მოახსენა – შიკრიკი გეახლათ და თქვენს ნახვას თხოულობსო.

შიკრიკი? ვისგან? საიდან?

სწრაფად, ზეზეურად დაასრულა საუზმე და ბუხუტიას შიკრიკის შემოყვანა უბრძანა.

ახალგაზრდა კაცი თავდახრით, მონინებით მიესალმა ქეთევანს და ბატონ გრიგოლ ნერეთლის წერილი გადასცა. წამით გული შეუქანდა ქალს. გრიგოლი?! გიგო ნერეთელი ბარათს უგზავნის მას? ქეთევანს?!

როცა შიკრიკი პასუხის მოლოდინში გარეთ გავიდა, თავის მოახლე გოგოებს ნამუყო, რომ ისინი მოციქულს უკან მიჰყოლოდნენ, თავად კი გულაჩქროლებულმა, სწრაფად გახსნა ბარათი, სწრაფადვე ჩაიკითხა ბოლომდე, მერე ხანგრძლივი მზერით დააცქერდა ხელმოწერას. მერე წერილით ხელში ბოლთისცემას მოჰყვა ოთახში. თავში მრავალმა, ერთიმეორის გამომრიცხავმა აზრმა გაურბინა, მერე როგორც ჩვეოდა, ხელად მიიღო გადაწყვეტილება, ბუხუტიას მოუხმო თავისთან და დაავალა – მამა ზოსიმე, გუჯი და ბასილიკა მოეყვანა საჩქაროდ.

... როცა წვეულები შემოვიდნენ ოთახში, ქეთევანმა მოუბოდიშა მღვდელს, არ მინდოდა შიკრიკს გარეთ გასული ვენახე და ამიტომ შეგანუხეთო, მამაო, – და ბარათი გადასცა გადარაჯებული იერით.

მამა ზოსიმემ აუჩქარებლად, დინჯად ნაიკითხა წერილი, მერე ქეთევანს ახედა უზაკველი, წყლიანი, ცისფერი თვალებით: – მამ, გრიგოლ ბატონი ითხოვს თქვენთან შეხვედრას შერიგების მიზნით და ერთგულებას გეფიცებათ?

– დიახ, მამაო, ასე გამოდის. – მერე ბასილიკას და გუჯის გადახედა ქეთევანმა: – მეო, შენი ერთგული და მოსიყვარულე მაზლისწული ვარო. ნება მიბოძე მოვიდე და გალიაროო. ძუძუებზე კბილი დამადგმევინე, რომ უფრო დამერწმუნო. დიდი მოსალაპარაკებელი მაქვს შენთანო. შენ შეგიძლია სოლომონ მეფე ისევ იმერეთში დააბრუნო შენი მეუღლითურთ. ქვეყანა დაამშვიდოო, ჩვენზეც მეფის

წყალობა გადმოავლინოო, ხელმწიფე იმპერატორის ნებაც ეს არისო, რომ მხოლოდ მფარველობდეს სოლომონ მეფესო, მეტი არა უნდა რაო.

– რაფერაც მეფე ერეკლეს და მის შთამომავლებს უმფარველა, – ჩაიდუდუნა მამა ზოსიმემ და გრძელ, ქალარა წვერზე ხელისგული ჩამოისვა რამდენჯერმე თვალეზმონკურულმა.

ბასილიკას და გუჯის, ორივეს გვერდულად ჩაელიმათ.

– რანაირად მოვიქცე, მამაო?... რას მირჩევ?

– რაფერაც გული და გონება გიკარნახებს, შვილო! – ყოყმანით წამოიწყო მღვდელმა: – რაკი... შერიგებას გთავაზობს, ალბათ უარი არ ეგების. სისხლისღვრას და ომს ყოველთვის მშვიდობიანობა სჯობია. მით უფრო, ჩვენ ქრისტიანები ვართ. ოლონდაც...

– ოლონდ რა? რაზე გაჩუმიდით, მამაო?

– ოლონდ... მე მგონი, მაინც აჯობებს, ჯერ თვითონ მარტო მობრძანდეს გრიგოლი.

– რასაკვირველია, მამაო. მეც მასე მიმაჩნია, – სწრაფად დაეთანხმა ქეთევანი, მერე განაგრძო, ისე, არა მგონია, რაიმე სიავე ედოს გულში, მით უმეტეს, ხატზე თუ დაიფიცავს და შეასრულებს შეილობილად მოკიდების წესჩვეულებას.

– ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო, ესეც უთქვამს ჩვენს ხალხს, შვილო! კარგად მოიაზრე ყოველისფერი, კარგად აწონ-დაწონე და... ისე გაეცი პასუხი!.. – მერე ისე, თითქოს ფიქრშიაო, გააგრძელა:

– არა მგონია მეც, სახლთუხუცესის ვაჟმა, დიდი გვარისშვილმა, რაიმე მუხთლობა ჩაიდინოს, მით უმეტეს, რომ ასე დაიმდაბლა თავი, შერიგებაზე ყაბულსაა და თქვენ გთხოვთ შუამავლობას მეფესთან!

ისე, მოგეხსენებათ ალბათ, ქალი, მანდილოსანი, ყოველთვის იყო ჩვენში თავმდეები, მოსისხლე მტრების შემარიგებელი... და შუამდგომელი! ბატონ გრიგოლს, ეტყობა, ძალიან გაუჭირდა. ამდენმა მარცხმაც, შესაძლოა, გონს მოიყვანა და უფალმა მისცა საშუალება, გამოასწოროს თავისი შეცოდებანი. ვინ იცის, შეუცნობია გზანი უფლისანი!..

ბასილიკამ, როცა მასაც მიმართა რჩევით ქალბატონმა ქეთევანმა, ჩვეულებისამებრ, პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადა:

– არ მჯერა მე რუსის ოფიცრის და გუშინდელი მტრის სიტყვების, ქეთევან ბატონო! რუსები ოსმალებზე არანაკლებ გაიძვერები, ცბიერები და მზაკვრები არიან! და ეს მათ მრავალჯერ დაადასტურეს...

ისე, მე თუ მკითხავთ, ვერავის ვაპატიებ ვერც ერეკლეს ლალატს და ვერც ჩვენი მეფის მიმართ ჩადენილ ვერაგობას, ვითომ მოსალაპარაკებლად რომ მიიწვიეს და... მერე დაატყვევეს! არა, არ მჯერა-თქვა, გრიგოლ ნერეთლის – რუსის ოფიცრის და სოლომონ მეფის დაუძინებელი მტრის – უცებ... პავლედ ქცევა! დანარჩენი თქვენი ნებაა!

– ჰო, მარა თუ ხატზე აპირებს დაფიცებას და ხალხური წმიდა, უძველესი წეს-ჩვეულების შესრულებას?

– მე ჩემი ვთქვი, ან თქვენ იცით, ქალბატონო!

გუჯიმ კი მხრები აიჩეჩა და დინჯად, ბუბუნა ხმით წარმოთქვა:

– რაკი, ჩემო ბატონო, ბატონი გრიგოლი ხატზე დაფიცებას და ხალხური წეს-ჩვეულების აღსრულებას აპირებს, თავ



ნაც თუ მნიშვნელოვანი რამეები აქვს სათქმელი, ასეთ შემთხვევაში მოლაპარაკებაზე უარის თქმა, მგონი, არ ივარგებს. დიდი ზურაბ წერეთლის ვაჟია ბატონი გრიგოლი, დიდი ოჯახის შვილი და ვერ დავიჯერებ, უპირო აღმოჩნდეს!..

შენ, ჩემო ქალბატონო ქეთევან, მოვალეც ხარ, მოუსმინო მას და თუ ჭკუაში დაგიჯდა მისი ნალაპარაკები, ისე გადაწყვიტო, რაფერადაც მოუხდება იმ საქმეს, რისთვისაც ვიბრძვით და რასაც ვემსახურებით, ღვთის წყალობით და თქვენი ხელმძღვანელობით!

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ერთგვარი ყოყმანის მიუხედავად, ქეთევანმა შეხვედრაზე დასტური შეუთვალა გრიგოლ წერეთელს, თავის მაზლისწულს და მტრის ჯარის ერთ-ერთ მეთაურს!

\*\*\*

ქალბატონი ქეთევანი ხის პატარა სამფეხზე იჯდა და ხისვე სავარცხლით ნელ-ნელა ივარცხნიდა ახალდაბნილ სქელ, ოქროსფერ თმას, მხრებზე რომ გადმოშლოდა, თან დრო და დრო სარკეში იხედებოდა, ხელით რომ ეჭირა გოგოს. მეორე მოახლეც იქვე ტრიალებდა და თვალ-ნარბში შესცქეროდა ქეთევანს.

– ოჰ, რა მშვენიერი თმა გაქვთ, ქალბატონო, რაფერ ბზინავს, რა ფაფუკია, რა ფუმფულა!.. – აღტაცებული ტიკტიკებდნენ ცქრიალა, მოხდენილი გოგოები და ისე ფრთხილად, სათუთად უბნავდნენ თმას საყვარელ ქალბატონს, თითქოს ჩვილი სჭეროდათ ხელში.

– ეჰ, თმაში ჭალარა გამომერია, რალა დროს ჩემი სიმშვენიერეა!.. დავბერდი უკვე, ჩემო ჩიტუნებო!

– უიმე, ღმერთო კი მომკალი! – შეიცხადა ორივემ ერთდროულად: – არ დროს თქვენი სიბერეა, ქალბატონო! ერთი ნაოჭიც არა გაქვთ სახეზე, და ისეთი გადატკეცილი კანი გაქვთ... და ისეთი თეთრი, რავარც უმტვერო თოვლია! – ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. საგულისხმო ის იყო, რომ ამას გულწრფელად, სიყვარულით ამბობდნენ, რასაც ქება-დიდებაში ყურგახედნილი ქალბატონი ქეთევანი უტყუარად გრძნობდა და აღიქვამდა.

– თოვლივით უმტვერო და ლამაზი თქვენ უნდა ნახოთ ვინცაა სინამდვილეში – ჩვენი ტანჯული და ბედკრული მარიამ დედოფალი! აი, ვისზე ითქმის ამომავალი მზეა და ჩამავალი მთვარეო! – ქეთევანმა ღრმად ამოიოხრა და სახე მოეღრუბლა.

– დიახ, ამბობენ ქალბატონო, მარა... თქვენზე მშვენიერი და ლამაზი ამ ცისქვეშეთში მაინც არავინაა!

– ოჰ, ოჰ, რამდენს ტლიკინებთ, თქვე კუდიანებო! – ღიმილით დაუცაცხანა ქეთევანმა გოგოებს: „ეჰ, სიტუარფე და მშვენიერება არ აკლია ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს, მარა რა სიკეთე მერე?“ – გაივლო გუნებაში.

– აბა, კუდრაჭებო, დატრიალდით ახლა, მიაღაგ-მოალაგეთ აქაურობა. ხომ იცით, დღეს ვინ უნდა გვეწვიოს? ო, რუსთ ხელმწიფის დიდ ქალაქში, პეტერბურღსა შინა ხუთ ნელს ნამყოფი, იქ დიდებულ სრა-სასახლეებში ცხოვრებას შეჩვეული... ჭაბუკი! მართლა... დიდი კაცი! აქაურობას რომ ნახავს, ამ ჩვენს უბადრუკ გომურს, შეიძლება გული შეუწუხდეს კიდეც!

– ქალბატონო, ამ „უბადრუკმა გომურმა“, თქვენ რომ ბრძანეთ, ამ „მოდი ნახემ“ ხომ კუდით ქვა ასროლინა რუ-

სის ჯარს? ხო დაინახეს, რაფერი დახვედრა იციან ჩვენებურებმა!

– სწორედაც! „მოდი ნახეს“ მომრევი ძე-ხორციელი არავინაა ქვეყნიერებაზე – ღვთის მადლით და თქვენი წყალობით!

– ამათ უყურე ერთი? რა ამბავში არიან? რაფერ გაუღესიათ ენები? – უნებურად გაეცინა ქეთევანს.

– აბა არა? თქვენ თუ იარაღით სპობთ გადამთიელებს, ჩვენ ენაც არ გავიღესოთ, ქალბატონო?

„ოჰ, ოჰ! რაფერ ეტყობათ, ქეთევან აბაშიძის უბეში რო არიან გამოზრდილებო, იტყოდა ახლა ალბათ ჩემი ცხოვნიებული დედამთილი!..“

დიდი ხანია არ მინახავს ჩემი მაზლისწული. წერეთლური მედიდურობა და ამპარტავნობა რომ არა, აქამდისაც უნდა მიხვედრილიყო, რო... თანამოძმეთა სისხლის დაღვრით ვერ მოიპოვებს იმ დიდებას და სახელს, ასე რო ეძებს და სწყურია! მარა... ყმანვილია და!..“

მერე ისევ თავის მოფუსფუსე მოახლეებზე გადაიტანა ფიქრი: „რა გოგოები არიან! რა ლამაზები, მკვირცხლები! ვინ იტყვის ამათზე, უბრალო გლეხის შვილებიაო!..“

ერთი მათგანი, სახემწყაზარი თათა თავის სახლიკაცს გამოსტაცა აკი ხელიდან, გაყიდვას რომ უპირებდა! ცხენს მოახტა გაგულისებული, გაედევნა გამტაცებლებს, კაკას ხილამდე მიუსწრო და გადაარჩინა გოგონა.

„ეჰ, ისევ ჩვენიანების ხელით ხდება ეს სიავე და ბოროტება! არც დიდი სოლომონის კანონს დაგიდევენ, არც ქრისტეს სჯულს...“

ღმერთო დიდებულო! რამ დავგიბნელა ასე გონება: სიღატაკემ, სიხარბემ, წუნკობამ თუ... უღმერთობამ? არადა, ქრისტიანები ვართ თითქოს და ურჯულოებს, თათრებს ვკიცხავთ და... ვებრძვით! სინამდვილეში კი – ზერელებ, მხოლოდ გარეგნულად ვყოფილვართ მორწმუნე ქრისტიანები. ასე გამოდის! და ჰე, რა უნდა ქნა?“

– თათულა, გაიქეცი ახლა და ბუხუტია მომიყვანე აქ!.. საქმე მაქვს მასთან... ისე, თუ გგონია, ვერ ვამჩნევ რაფერ უუუუუნებ ხოლმე თვალეებს ბუხუტიას, ძალიან შემცდარხარ! – იღიმებოდა ქეთევანი.

– იმე! რას ბრძანებთ, ქალბატონო? – ყურებამდე განითლდა თათა და დარცხვენით დახარა თავი.

– კაი, კაი. თქვენ მე რას გამომაპარებთ, თქვე მაკვარანცხებო? ან შენ, ან მაკუნია, ან ის ბოჩოლა-თვალეება ბუხუტია, ისე რო ახამხამებს წამწამებს, ვითომ მამა აბრამის ბატკანი იყოს! კაი ქვეშ-ქვეშა ვინმე ბრძანდება მაგიც! – ქალბატონი ქეთევანი კვლავ კეთილად იღიმებოდა და სადღაც გონებაში ტკებოდა ამ სახელანძული, დარცხვენილი და დაბნეული გოგოების, განსაკუთრებით კი თათულიას მზერით, პატარა ბავშვივით საით წაელო ხელეები რომ არ იცოდა.

ქეთევანმა ახლა ხმამალლა გაიცინა:

– ნაღი ახლა, ბოშო და, აქ მომგვარე ის აყლაყუდა! აბა, ჰე, გაიქეცი! – უბრძანა მოახლეს და გულში კი გაივლო, ამ ბოვშების ბედნიერებას ომის შემდეგ წინ არაფერი დაუდგებო.

როცა უკვე გამოწყობილ ქეთევანს მოახლეებმა ფერუმარილი მოუტანეს, ქალბატონმა ხელი აუკრა ორივეს – არ არის საჭიროო. გაუკვირდა კიდეც გუნებაში, საიდანა აქვთ ამ ეშმაკუნებს ფერუმარილიო. თავად თითქმის არა-

სოდეს ხმარობდა მას. სხვების ზომაზე მეტად დათითხნილი პირსახეც არ მოსწონდა. მით უმეტეს, დღეს უნდოდა ბუნებრივად, უბრალოდ გამოჩენილიყო სტუმრის თვალში – მეუღლის ბიძაშვილთან, აგერ რამდენი წელი რომ არ ენახა და მოსისხლე მტრად ქცეული, ახლა მოციქულის როლში უნდა მოვლენოდა თავისიანებს!

ერთმანეთს დაპირისპირებული, ერთმანეთს სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკიდებული უახლოესი ნათესავები – ერთმორწმუნე რუსის ჯარის ერთ-ერთი მეთაური გრიგოლ წერეთელი და სოლომონ II-ს სარდლის, ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე ქეთევან აბაშიძე, თავის მცირე რაზმით რომ გამაგრებულიყო „მოდი-ნახეს“ ციხე-კოშკში და აგერ უკვე ოთხი დღე იყო, წარმატებით იგერიებდა მტერს – უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და მოლაპარაკება გაემართათ.

... წარმოსადევი, ბრგე, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ჭაბუკი სახეგაბადრული რომ გამოემართა ქეთევანისკენ, ქალი წამიერად დაიბნა, – თითქოს გუშინ ზარბაზნებს არ ვუშენდითო ერთმანეთს, – გაუელვა თავში უნებურად.

თავდახრილი გრიგოლ წერეთელი მონინებით მიეხალა ქეთევანს, დაუჩოქა და, ძველი წესისამებრ მის კაბის კალთას ემთხვია. ქეთევანმა თავშეკავებით დაუბრუნა სალამი და თან გაოცებით გაიფიქრა: რაფერ დავაჟაკებულა მას შემდეგ, რაც არ მინახავსო.

– ჩემო ძვირფასო რძალო, ქეთევან ბატონო, შენ ისევე ისე მშვენიერი და დიდებული ბრძანდები, რაფერიც მახსოვხარ ჩემს ბავშვობაში! – ყურებამდე პირჩახეული ახალგაზრდა კაცი, თვალგაბრწყინებული, ალტაცებული შესცქეროდა სახეში ქალბატონ ქეთევანს, მისდაუნებურად გაორებული გრძობა რომ დაუფლებოდა, ასეთი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გულთბილი შეხვედრით გაონვებული.

ქეთევანმა თავაზიანად მიიპატიჟა სტუმარი ტაბლასთან, თავად კი – მოპირდაპირე მხარეს, სამფეხზე ჩამოჯდა.

თავიდან ზოგადი საუბარი გაიბა – იმ მთისა, ამ ბარისა – ამასთან, გრიგოლ წერეთელი გზადაგზა ქათინაურებს

არ იშურებდა ქალის მიმართ, სხვათა შორის, ისიც უთხრა, რომ მის „ლაგერში“ თურმე იმყოფება ერთი განსწავლული „ნემენცი“ ექიმი, საკუთარი სურვილით წამოსული რუსის ჯარში სამსახურად და როდესაც გაიგო, რომ „მოდი-ნახეს“ ციხის გარნიზონს ქალბატონი ქეთევანი სარდლობდა, ალტაცებულმა გაიხსენა ძველი კოლხეთი, მისი მებრძოლი ქალები ანუ ჩვენებურად – ამორძალებიო.

ქეთევანს მყისვე მოაგონდა, ვალიდა აფაქიძის ქალიც რომ ახსენებდა ხოლმე ამორძალებს, კოლხეთს, ჭანეთს და ლაზებს, როგორც თვისტომელებს და იმასაც ეუბნებოდა, აბაშიძეთა გვარი ჭანეთიდან ანუ ლაზეთიდან არის გადმოსული იმერეთშიო.

მაგრამ ახლა ისტორიული ექსკურსების დრო არ იყო, თუმცა ბატონმა გრიგოლმა ისიც გაიხსენა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, პატარა ბიჭზე, ქეთევანის პირველმა დანახვამ, როცა ის ჯვარბადანერილი, ქაიხოსროსთან ერთად გამოვიდა ეკლესიიდან.

– შენ მაშინ სულ პატარა იყავი, გიგო. ასე რაფერ გახსოვს ეს ყოლიფერი? – ცოტა არ იყოს, უხერხული ღიმილით და გაოცებული სახით ჩაურთო ქეთევანმა.

– კი, კი. სამი წლის ვიყავი, მარა გუშინდელ დღესავით მახსოვს ყოლიფერი და ის სურათი არც არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან, ვინაიდან და რადგანაც... – ენამზეობდა სტუმარი, უზომოდ აღფრთოვანებული რომ ჩანდა ქეთევანის გმირული საქციელით, მისი ვაჟკაცური ბუნებით და როცა ამოწურა ხოტბა-შესხმის მარაგი, გრიგოლ წერეთელი, როგორც იქნა, მთავარ სათქმელს მიადგა, ანუ... იწყო საუბარი იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის და მისი სამეფოს გადარჩენის გეგმაზე, რომელიც თურმე შეუშუშავებია რუსთ ხელმწიფეს. ყოველივე ამაზე უფრო დაწვრილებით და დალაგებულად მოახსენებს ქალბატონ ქეთევანს რუსების ჯარების სარდალი პოლკოვნიკი სიმონოვიჩი, თუკი ინებებს ქეთევანი მის ნახვასო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

8 ნომბერს კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა შეხვედრა ებრაელ მწერალ ედგარ კერეტთან, რომელიც საგანგებო მოწვევით ბრძანდებოდა საქართველოში. აქვე შედგა მისი მოთხრობების კრებულის „ნებროთმა გარეკა“ პრეზენტაცია, რომელიც თარგმნილია ქართულ ენაზე თამარ ბაბუაძის მიერ.

წიგნი გამოიცა ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ თაოსნობით.

სხვათა შორის, ამ მწერალს ჩვენი ჟურნალის მკითხველიც იცნობს. სწორედ ცოტა ხნის წინათ შევთავაზეთ მისი ორი ნოველის მამუკა ბუცხრიკიძისეული თარგმანი.

საღამოზე ნაიკითხეს მოთხრობა „სქელო“, რომელიც იმ კრებულშია შესული და რომლის წარდგინებაც საღამოზე მოხდა. მწერალმა აღნიშნა, რომ ეს მოთხრობა მეუღლეს უძღვნა, რომელსაც წინ ასეთი ისტორია ახლდა: „ჩემი მეუღლე ყოველთვის საყვედურს გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ ამდენ წაწარმოებს ვწერდი და მისთვის არცერთი არ მქონდა მიძღვნილი. ამიტომაც გადავწყვიტე დამეწერა ეს მოთხრობა, რომელიც სწორედ მას მიუძღვნე“.

მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობას უცნაური ქვეტექსტი გასდევს, ის ძალიან ჰუმანურია, როგორ პირობებშიც უნდა იმყოფებოდეს ადამიანი, საბოლოოდ მაინც ინარჩუნებს სულიერებას, – აღნიშნა ავტორმა.

როგორც ბატონმა კერეტმა დასძინა, მას თავისი მუშაობის სტილი გააჩნია, რითაც დიდ სიამოვნებას განიცდის. აღნიშნავს, რომ თავის მოთხრობებში არის უფრო ამბივალენტური. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ერთი მხრივ პოლიტიკური მწერალი, მეორე მხრივ კი – არა, მაგრამ მის წაწარმოებებს აშკარად ეტყობა იმ რეალობის გავლენა, რომელშიც უხდება ცხოვრება: „მე ხშირად ვწერ იმ პოლიტიკურ რეალობაზე, რომელშიც მიწევს ყოფნა, ჩემს მოთხრობებში ვცდილობ პოლიტიკური კუთხით ვისაუბრო, მაგრამ უფრო განსხვავებულად...“

კითხვაზე თუ როგორ დაიწყო მან წერა, ასეთი პასუხი გასცა: მე მარტოობით დავიღალე, შემდეგ კი როცა მივხვდი, რომ მარტო ვიყავი, დავიწყე წერა. ბატონმა კერეტმა ძალები კინემატოგრაფიაშიც მოსინჯა, მაგრამ იგი აცხადებს: მწერლობა უფრო მიტაცებს, რადგან მწერლობას გააჩნია დადებითი მუხტი და, რასაც წარმოადგენს, შეგიძლია გადაიტანო ფურცელზეო. საღამოზე წარმოადგინეს მისი ფილმი „მედუზა“.

ნინო საერთოდ მქვია, ჰექსე – ინტერნეტში. 28 წლის ვარ.

რაც თავი მახსოვს, სულ ვწერ – ჩემთვის, ჩემზე. ნახევარი წელია, რაც ვირტუალური „სხვებისთვისაც“ – ოღონდ ისევ ჩემზე. ლექსებში რაც არ წერია ჩემ შესახებ, თითქოს მოსაყოლადაც დიდი არაფერია.

დავიბადე, გავიზარდე და ვცხოვრობ ამ ქალაქში, რომელიც ჩემი არსებობის ერთადერთი ბუნებრივი კალაპოტია. აქედან აღარსად გავრბივარ. ვსწავლობდი უნივერსიტეტში – გერმანულ ლიტერატურას მივეყვე ასპირანტურამდე ნოდარ კაკაბაძის ხელმძღვანელობით. ჩემი ცნობიერებისა და აზროვნების არაერთ მკაფიო ნიშნულამდეც ბატონმა ნოდარმა მიმიყვანა – ჩემმა უდიდესმა მასწავლებელმა, ამ სიტყვის ყველაზე ფართო და ყველაზე სწორი გაგებით.

უკვე წლებია, ჩემი ყოველდღიური სამსახურეობრივი საქმიანობით ლიტერატურას საკმაოდ ჩამოვშორდი – და ეს ჩემთვის აუტანელი დისტანცია იქცა ინტერნეტში ჰექსეს ნაწერების გაჩენის ფონად.

მეტი არაფერი. ჩემი პირველი არავირტუალური პუბლიკაცია მკითხველის წინაშეა – მადლობა ყველას, ვისი ყურადღების არეალშიც იგი მოექცევა.

## ნინო ჰექსე

### ჩარჩოთი

შორიახლოს

ვარ –

მოვდივარ

ვრჩები

ვიწყებთ ფერების არჩევას –

სიმკვეთრის მიხედვით

სინათლის მიხედვით

სისავსის მიხედვით –

ვალაგებთ

ვლაგდებით

თითებზე ვიკეთებთ რგოლებს

შუაში ვდგამთ საფერფლეს

კედელზე ვკიდებთ მარტოობას –

ასე გულდაგულ შერჩეული

ფერის

ჩარჩოთი

### ნარილი

გაიგებ

ყველაფერს

როცა გაბეზრდება ღამე –

როცა ფიქრებზე მეტი გახდება

და ოქტომბერში ჩამოცვენილ ფოთლებზეც მეტი –

როცა

საკუთარ ნაწერს

ველარ ვიცნობ უბის ნიგნაკში

რადგან

იმდენი ხანია

მხოლოდ ამ კლავიშებით ვწერ რომ

აღარც კი მახსოვს

ძველი სიტყვების მოყვანილობა –

და შენ

გაიგებ

რატომ არ აქვს

ჩემს წერილებს

მელნისა და

ცრემლების სუნი

და რატომ არის ღამე ბევრი –

ისე ბევრი

რომ შენს ერთ ნაბიჯს

მილიონობით ქუჩისა და

მილიონობით ფანჯრისა და

მილიონობით სადარბაზოს

სიბნელით

ავსებს –

და შენ გაიგებ

როგორ ზრუნავს ჩემს სიმშვიდეზე

საათის ცისფრად მოციმციმე ოთხნიშნა რიცხვი

და რა სიდინჯით იცვლება იგი

და როგორ არ ჰგავს ჩემს გულისფეთქვას

და შენ გაიგებ

რა დავარქვი

და რა დავუთმე

და როგორ ვკარგავ

დროს

როცა ღერებს ვითვლი კოლოფში

და ვანგარიშობ

კიდევ რამდენი ამოსუნთქვა

უნდა გავგრძელდე

კიდევ რამდენჯერ შემოგათენდე

კიდევ რამდენი ღიმილი მაქვს მისახატი

სტრიქონებს შორის –

და შენ

გაიგებ

ყველაფერს –

მე

ამალამ

მოგწერ

### გარეთი

მახსოვს –

ტროტუარზე ნაგდები ცის-

ფერი შარფი

უთვალავი სიტყვისგან შემდგარი  
შენი ლექსი –  
გარეთ  
ნაბიჯები მზერები შეხება  
გარეთ  
კარები ღია და  
სამყარო ღია და  
გვიან –  
შინ არავინ არის  
კარს არავინ კეტავს  
გარეთ  
ბარბაცით ბორძიკით ფარფატი  
ოლონდ გარეთ –  
და აჰა ეს ხელი  
შენს პულსს გულდასმით რომ  
სინჯავს  
ეს ხელი რომელიც  
ყოველთვის გაგიყვანს  
გარეთ

**ფრთხ-**

შენც იქ იყავი –  
ახლდი ამაღას  
და შენც ხედავდი,  
ფრთებდამტვერილი ანგელოზი  
როგორ ისმენდა ბახის ფუგებს  
და ამზადებდა კოქტილეებს  
სტუმრებისათვის –  
ბახის ფუგებს ყურსასმენებით,  
კოქტილეებს სტუმრებისათვის –  
ენვოდა ფრთები.

შენც იქ იყავი –  
კარტს შლიდა ერთი,  
და ღმერთის შველას,  
და შავგვრემანი ქალის სიყვარულს  
რომ გპირდებოდა,  
ფრთებდამტვერილი ანგელოზი –  
ყურსასმენებით,  
ვანილის და  
ბზის არომატით –  
უნონო ტერფებს  
მხოლოდ ოდნავ ახებდა პარკეტს,  
და ფრთებით გრძნობდა  
შენს არსებობას.

შენც იქ იყავი  
და გახსოვდა –  
დიდი ხნის წინათ  
შენი ფანჯრის  
ღამისფერი მართკუთხედიდან  
როგორ მოვიდა –

გამჭვირვალე კანი რომ ჰქონდა,  
როგორ კოცნიდი –  
კანქვეშ მფეთქავ კაპილარებს  
უთბობდი ენით  
და უტიროდი  
შენით სავსე  
გაცრეცილ მზერას –  
და როგორ ფრთხილად გაგინმინდა  
ფრთებით სხეული  
წლების,  
გზების და  
დამარცხების  
უღევი მტერისგან.

ახლა კი  
შენც იქ იყავი და  
სიტყვებს კარგავდი,  
დრო გასულიყო –  
მეტი,  
ვიდრე დღემდე გეგონა –  
ყველა ფანჯარა ჩაერაზათ,  
ენტო ქალები,  
კოქტილს ჰქონდა მომწარო გემო –

ფრთებდამტვერილი ანგელოზი  
უსმენდა ბახს და  
არ გიღიმოდა.

**რადგან**

ჩვენი ექვსციფრა ნომრები გახდა ცხრაციფრა  
და ჩვენ მათ ახლა უფრო ადვილად ვიმახსოვრებთ  
და სიგარეტის კოლოფზე აღარ ვინერთ  
და არც ჯინსის ჯიბეში ჩაკუჭულ ხელსახოცზე  
და არც სანერკალამს ვთხოვლობთ გამვლელისგან  
და არც მარშუტკას ველოდებით რომელიც აგვიანებს  
და არც თითებზე ვიხაზავთ მოლურჯო ჯვარედინებს  
და არც არაფერია დასავინყებელი –

რადგან მახსოვრობა  
ახლა შედგება მეგაბაიტებისგან  
და აღარ ვწვრილმანდებით

რადგან დამტენი  
თითქმის სულ თან გვაქვს  
და ანგარიშზე იმდენი მაინც  
რომ ასსამოცი ასო-ნიშანი  
ვაფრინოთ სადმე

რადგან შინ მისულებს  
რამდენიმე ახალი წერილი გვხვდება  
და ძველები ამ დილით  
ჯერ კიდევ ახალი იყო

რადგან ღამის ოფისში  
ჩვენი დღეების რიტმი  
შუქებჩანული ხალიჩასავით აგდია ძირს –  
გახუნებული ფერებით ქვემოთ  
და ჩვენ მასზე  
უერთმანეთო სხეულების მოძრაობით  
ჩვენს ხვალეებს ვხაზავთ  
ხოლო ზემოდან  
გვერეკლება ყველა ფერი  
რაც კი არსებობს ან იარსებებს

რადგან ეს ქუჩები  
და ეს ხიდები  
და ეს ჩასახვევები  
ალარ არის ბნელი  
და ბანკომატები ყოველ კუთხეშია  
და მოციმციმე რეკლამები  
გვეკარნახობენ მომდევნო ნაბიჯს  
და ჩვენ მარტივად  
ვცვლით მიმართულებას  
და ვუმატებთ სიჩქარეს  
და ვეშვებით –

და თუ მაინც გახსოვარ  
სულაც არ მომწონს ამით თავი –  
არც არაფერია დასავინწყებელი

### როგორ იღრუბლება

როგორ იღრუბლება –  
როცა მეტისმეტად ბევრი გზა და  
როცა მეტისმეტად ბევრი ხმა  
დაგროვდა ირგვლივ  
და მეტისმეტად ბევრმა სიტყვამ  
აავსო ეს  
ოთხკუთხა სივრცე –

როგორ იღრუბლება  
როცა შეხვედრები მიენყო ერთმანეთს  
და მისალმებაც კი გაგვიხდა ზედმეტი  
და დრო იმდენია  
ნახევარ ჭიქა ყავას ძლივს ეყოფა

როგორ იღრუბლება  
როცა ნაფიქრია უკვე ყველაფერი –  
როცა შინაარსს  
ყურსასამენებში გვიყვებიან  
და ხაზგასმული თქვენობით  
მოგვმართავენ

როგორ იღრუბლება –  
გარედან კედლებს  
მჭიდროდ ეტმასნება  
და ამ დაგმანული ფანჯრებიდანაც

გვალწევს  
და გვირევს  
დანყობილ ფრაზებს  
და სუნთქვას გვიგუბებს  
და ძლივსლა გვაკავებს  
გვითრევს  
გვიყოლიებს  
და გარეთ გასულებს  
დაგვხვდება ასფალტზე –

და ჭრელ გუმბათებად გაშლილ ქოლგებზე  
და ავტომანქანის დაბურულ მინებზე  
რუხ შენობებზე  
ქვაფენილებზე –  
დაგვხვდება წვეთებად  
შხეფებად  
შხაპუნად  
და გუბებზე  
ნიაღვრად  
სურნელად –  
ღრმად ჩავისუნთქავთ  
და გავილიმებთ

როგორ იღრუბლება

### გადავიხლართეთ

გადავიხლართეთ –  
სად ვმთავრდები მე და სად იწყები შენ  
ეს შენი ხელეობია თუ მე გეხვევი  
ეს ჩემი გულია თუ შენ ფეთქავ  
ეს მე მაქვს შენი სუნი თუ შენ ჩემი  
მე უფრო მეტკინა თუ შენ უფრო მიხვდი  
ეს ჩემი ჰაერია თუ შენ მსუნთქავ  
ეს ჩემი ტუჩებია თუ შენ მკოცნი –  
სად ვმთავრდები მე და სად იწყება  
შენი მზერა –

რომელმაც იცის რა ფერი ვარ  
და ღამ-ღამობით  
ლაქებს აშორებს ჩემს დაღლილ სხეულს  
რომელმაც იცის რამდენი ვარ  
და მაინც მყოფნის  
რომ ახლომხედველს გამიმკვეთროს სილუეტები  
რომელმაც იცის რომ გავამხელ  
და მაინც მხედავს  
და შორიდანვე ამირეკლავს თავის ნიაღში

და მე ვბრუნდები ყოველ ჯერზე  
და ყოველ ჯერზე  
ხელახლა ვრჩები –

ჩვენ რა ხანია გადავიხლართეთ



# ქალაქური ყოფის ანარეკლები

ჰექსემ იცის, რომ ვერლიბრი არ არის უმიზნო ნანგრევი, რომ ყოველ სიტყვას თავის ფუნქცია აქვს და ფუჭსიტყვაობით თავს არ იქცევს, ამიტომაც მისი განცდები განზოგადდება, პოეზია კომუნიკაციის საშუალებად რჩება.

როცა ვამბობ „იცის“, არ გფულისხმობ, რომ მისი ტექსტი ცოდნისმიერია, ვგულისხმობ, რომ ნიჭისმიერია. ამ ლექსებში ჩანს გარკვეული კულტურული გამოცდილება, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია. იგი ნიუანსებითა და ინტონაციებით ანაცვლებს „ტროპულ საშუალებებს.“ მოულოდნელია თითქმის ყველა მისი ლექსის დასაწყისი, რადგან იგი პირველივე სტრიქონით აგრძელებს ჩვენთვის უცნობ ამბავს, რითაც გვითრევს ტექსტში, მკაცრად, დაძაბულად რომ ვითარდება და ფინალი მოულოდნელობის ეფექტს ერწყმის. ავტორი, საერთოდ, ქალაქური ყოფის ანარეკლების ნაწილად და, ამავე დროს, მის გამომხატველად გვევლინება.

ჰექსეს ზოგიერთი ლექსი ჰერმეტიულია, თუმცა მძაფრ დინამიკას ყოველთვის ინარჩუნებს. ზოგჯერ რაღაცას ცვლის და ეს რაღაც ინტონაციაა. უცნაურია, მაგრამ მისი

ჰერმეტიზმი ჩემთვის არ არის დახშული სივრცე. მე მას ვკითხულობ მინიშნებათა ენის მეშვეობით - „დეპეშურ ფრაზებში“ ჩარჩენილი ამბებისა და განცდათა ფრაგმენტებით. მხოლოდ განცდების ხატვა, თან დანვრილებით, - ლამის ნუნუნში გადაზრდილი, - მხატვრული ხერხების სიჭარბე, როცა ისინი ერთმანეთს აუქმებენ, არასაგნობრივი ბუნდოვანება, კონკრეტულის სრული უარყოფა და, ამავე დროს, თვითგამოხატვის, იქნებ თვითმომსახურების სტრიქონებად დალაგება - ავტოფსიქოთერაპიას უფრო წააგავს, ვიდრე პოეზიას. სამწუხაროდ, ეს დინება დღეს მეტად წყალუხვია და მღვრიე.

ჰექსეს ეს ლექსები გამოდგება წინარე აზრში ნაჩვენები ესთეტიკის უარსაყოფად და დასაწუნებლად.

მის ლექსებში დომინირებს ქალაქის სივრცე, სხვადასხვა ამბების ეგსისტენციური მონახაზი, ორი „პერსონაჟი“- „მე“ და „შენ“, და, რაც მთავარია, ინტონაციური ენა, დაწუნებული ძველი რეკვიზიტები და პეიზაჟური დეკორაციები, პოეტოზმები და თვალშისაცემი სიმულაციები, მხოლოდ გასაპრანჭად რომ იყენებენ და სხვა დანიშნულება არც გააჩნიათ.

იგი პირველად აქვეყნებს ლექსებს გუტენბერგული ნუსხით, რადგან აქამდე მხოლოდ ლიტ.საიტებზე ბეჭდავდა მათ ელექტრონულ ვერსიას. ვფიქრობ, მკითხველი ინტერესით წაიკითხავს მის ლექსებს. მე კი ყურადღებითა და იმედით დაველოდები მის მომავალ პუბლიკაციებს.

გივი ალხაჯიშვილი

## ჩვენი ყოფა, წუთისოვალი

ნატო გაგნიძე

### „უკალი ტკვენტანა...“

□

**კვლავ „ერთმორწმუნე ძმები“,  
ანუ ორი სიტყვა იმაზე,  
თუ ვის სურს სინამდვილეში დაეპატრონოს  
ქართულ კათოლიკეთა ტაძრებს**

*„ფიქრი ატყორცნე ცეცხლის სვეტივით,  
ორივე ხელი ალაპყრე, როგორც ორლესული  
ცეცხლოვანი ხმალი სატანის მოატებელი,  
ფეხი კი ეკლესიაში ჩადგი, როგორც რკინის  
სამსჭვალე, მარად ურყევი...“*

**ძველი ეთიოპიური ანაფორადან**

ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ დავარქვით რუსებს „ერთმორწმუნე ძმები“ და მათ კი რა აღარ ჩაიდინეს ამ „ერთმორწმუნეობით“ ხელფეხგახსნილებმა. მერე დადგა ჭეშმარიტების მომენტი და ვალიარეთ, რომ თურმე მშვენივრად ვიცოდით, რაც იმალებოდა ამ „ერთმორ-

წმუნეობის“ უკან. მტერი ვამხილეთ და ყველაფერი ჩვენს უბედობას და პოლიტიკურ სიტუაციას გადავადრალეთ. ყოველივე ეს სულ ახლახან იყო, შეიძლება ითქვას, გუშინ. და დღეს კი, იმის იმედით რომ ქართველს სინანულის ნიჭი არ გააჩნია და, მაშასადამე, არც შეცდომებზე სწავლა ეხერხება, კვლავ გვახვევენ თავს ამ „ერთმორწმუნეობას“ ახალი, კათოლიკური კუთხით სომეხთა სასარგებლოდ, ოღონდ – ოფიციალურად – ამას ქვია ეკუმენიზმის (გლობალიზაციის) სასარგებლოდ. ეკუმენიზმი, მოგეხსენებათ, დიდი ბლევია (ეკლესიების გაერთიანებას ადამიანის სურვილი და მეცადინეობა არ ეყოფა: რაც ეშმაკმა ნაბიღნა, იმის გამოსწორება კაცს არ ძალუძს – ღვთის ნებაა საჭირო), მაშასადამე, აქ წაირ-წაირი სპეკულაციებისთვის ფართო შესაძლებლობებია. მაგალითად, კათოლიკური ეკლესია საქართველოში არ შეიძლება იყოს ქართული (იგულისხმება რიტი, რომლის დამკვიდრებისათვის ბრძოლასაც სიცოცხლე შეალიეს ჩვენმა დიდმა კათოლიკე მამებმა. ქართულენოვანი რომაული ლიტურგია კი ჩვენში უკვე, მაღლობა ღმერთს, ასე თუ ისე, აღევლინება), ან: ერსა და ეკლესიას არაფერი საერთო ერთურთთან არ შეიძლება ჰქონდეთ, ერი ერია და ეკლესია – ეკლესია, ან კიდევ: ის, რაც ერის საზრუნავია, ეკლესიის საზრუნავი არ შეიძლება იყოს, ეკლესიის საზრუნავი არის ის, რაც ერისა და სახელმწიფოს საზრუნავზე ბევრად მაღლა დგას – სული და მისი ხსნა (თითქოს სანყალი ადამიანის სული ხორცში არ იყოს გამოწყვედილი და ადამის ცოდვით დაბეჭდილი!)და ა.შ. მოკლედ, საყოველთაო ეკუმენიზმის სახელით დიდი მუშაობაა გაჩაღებული ქართველობისა და კათოლიკობის

(ერისა და ეკლესიის) ურთიერთგაუცხოებისა და გათიშვისათვის. რას ემსახურება ეს დემაგოგია სინამდვილეში, რატომ არ შეიძლება კათოლიკური ეკლესია საქართველოში იყოს ქართული, ანუ, ჰქონდეს მას თავისი განუმეორებელი ელფერი, ისე როგორც ეს აქვთ კათოლიკური ევროპის სხვადასხვა ეკლესიებს? იმიტომ არ შეიძლება, რომ კათოლიკურ ეკლესიას საქართველოში უნდა ჰქონდეს სომხური „ელფერი“! ქართველი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნიშნავდეს კათოლიკეს. ქართველი უნდა ნიშნავდეს მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელს. კათოლიკე კი საქართველოში უნდა ნიშნავდეს სომეხს. ანუ, კათოლიკობა ჩვენში, კვლავ ჰაი-კათოლიკობა უნდა გახდეს, როგორც ეს იყო ჩვენი წარსულის ერთ-ერთ შეგბენელ პერიოდში. პრაქტიკულად რა არის ამისათვის საჭირო? ამისათვის საჭიროა ქართველი კათოლიკეები მუდმივ უმცირესობაში იყვნენ: არიან კიდევაც, კვლავაც იქნებიან და სულაც გაქრებიან, ვინაიდან, ქართველი მართლმადიდებლისავე მიერ მოღალატედ და სექტანტად შერაცხულ კათოლიკეს ხმა გაუკმენდია და ისევ ურჩევნია მართლმადიდებელი ერქვას – ბოლოს და ბოლოს, ღმერთი ღმერთია და სახარება-სახარება (თავისი ეკლესიის ისტორიის ცოდნით თავს ის, მაინცადამაინც, არ იწუხებს და არც მომავალში შეიწუხებს: სულერთია, ღვთის სიტყვას ეკლესიაში მშობლიურ ენაზე მაინც ისევ ვერ ისმენს – „უპალი ტკვენტანა“ არ არის ქართული და, კაცმა არ იცის, რა არის!) და ეს მაშინ, როცა საქართველოში მცხოვრებ სომეხ „კათოლიკეთა“ (გნებავთ ლათინური, გნებავთ სომხური რიტის) რიცხვი იზრდება არა წლობით, არამედ საათობით. კათოლიკეთა ეკლესიები კი დგანან უპატრონოდ. სწორედ მომენტია, ამ უპატრონო ეკლესიებს „ერთმორწმუნე სომეხი ძმები“ დაეპატრონონ! მაგრამ, როგორ? ასე, დღისით-მზისით, ვერ აიღებ და სხვისას ვერ მიითვისებ – „ნუ გული გითქუმან სახლსა მოყვასისა შენისასა, ნუცა ქვეყანასა მისსა...“ და ა.შ. – დღეს ადვილად ამას ველარ გადაახტები. მაშ, რა უნდა ქნა? როგორ უნდა მოიქცე? ქართველთა ნდობა უნდა მოიპოვო (ჯობს იყიდო: „მწურჩნავ და მოღალატე ათაბაგებს“ ჩვენში რა დაღვეს!), ამიტომ, ჯერ მხარში უნდა ამოუდგე მას, როგორც „ერთმორწმუნე ძმა“ და მასთან ერთად დაიცვა ეს უპატრონო კათოლიკური ტაძრები მართლმადიდებელ ქართველთაგან. მთავარია მოახერხო და ეკლესიაში შეაღწიო. ცოტა ხანში „ძმა“ იმრავლებს და იყოჩაღებს როგორც ჩვევია: ქართულ ენას ჯერ ნელ-ნელა შეავიწროებს და მერე სულაც გამოაძევეს, როგორც უმცირესობის ენას, უსარგებლოს და უხმარს. მოგეხსენებათ, მას ამის დიდი ისტორიული „ტრადიცია“ აქვს და ხელთ კი მძლავრი ბერკეტები უპყრია: სომხური ტიბიკონი და, რაც მთავარია, რუსულენოვანი ლათინური ტიბიკონი, როგორც უშუალოდ ქართული ენის მომგერიებელ-შემაკავებელი (საქართველოში ქართველი კათოლიკე მოძღვარია სანთლით საძებარი, თორემ რუსულენოვანი – რამდენიც გნებავთ იმდენია!). ქართველი, რომელიც ამ სიმახინჯეს და ძალმომრეობას ვერ შეეგუება, მიატოვებს იქაურობას – რად გინდა სიტყვა, თუ მან გულში ვერ შეაღწია! – და, ან მართლმადიდებლობას მიეკედლება გულგამოჭმული, ან სულაც უეკლესიო შეიქ-

მნება, ხოლო, ვინც შეეგუება, გადაგვარდება და გახდება გონჯი, დაბეჩავებული და ღირსებააყრილი – თავის სამშობლოში თავისი ეკლესიის პატრონობის უფლების არმქონე. და, საბოლოოდ კი, „ერთმორწმუნე ძმას“ დარჩება არა მხოლოდ ეკლესია, არამედ – და ეს მთავარია! – მიწა, რომელზედაც ეს ეკლესია დგას.

სომხური ექსპანსია ჩვენში, სსრკ-ს დროს, მიჩუმათდა მართალია (სსრკ, მოგეხსენებათ, ათეისტური ქვეყანა იყო, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს თავისი *filiae ecclesiae* საბჭოთა დროსაც ჰქონდა), მაგრამ განულებით, არ განულებულა, რადგანაც ის რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო ყოველთვის. ახლა, არც ცარიზმია და არც სსრკ, მაგრამ ჩვენთვის, როგორც ჩანს, არსებითად არაფერი შეცვლილა და, ცხადია, ამ „ერთმორწმუნეობის“ ამოტივტივებაც არ გახლავთ შემთხვევითი: სომხების ექსპანსიას საქართველოში როგორც მაშინ ჰქონდა *carte blanche*, ისე აქვს დღესაც, საყოველთაო თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის – ე.წ. გლობალიზაციის პირობებში. ერთი სიტყვით, ცული კვლავაც ხის ფესვთან დევს...

ქართველის რელიგიურ-ეროვნული თვითშეგნების რღვევა, მისი მენტალური გადაგვარება (რის გამოც საქართველოს სახელმწიფოებრიობა აგერ უკვე საუკუნეებია ჩანასახს ვერ გასცილებია!) მაშინ დაიწყო, როცა *Una Sancta*-ს მთლიანობა დაირღვა, მიუხედავად იმისა, რომ სქიზმის მერე საქართველოში ეკლესია კიდევ ორი საუკუნე იყო გადუყოფილი. ასე რომ, ეკლესიების გაერთიანება, ღრმად მნამს, ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხია და, მისთვის ლოცვა-ვედრებაა, როგორც იტყვიან, სულამომავალის ლოცვა-ვედრებაა: ჩვენ ველით *Una Sancta*-ს როგორც აღდგომასა და განახლებას – და ეს არ გახლავთ გადაჭარბება: ქართველ მართლმადიდებლებთან თანადგომა ჩვენ, ჩვენმა დიდმა კათოლიკე (და მართლმადიდებელმა) მამებმა ანდერძად დაგვიტოვეს, რადგანაც სომხური ექსპანსიის მოსაგერიებელ ერთადერთ გზად და საშუალებად ეს თანადგომა ესახებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ რომი რატომღაც ყოველთვის, ნებით თუ უნებლიეთ, ამ ექსპანსიას უჭერდა მხარს და ჩვენ კი ვიყავით „ცარიელ-ტარიელზედ გულხელდაკრეფილნი მონმენდილის ცივის ცის ქვეშ, ღვთის ამარას...“ როგორც ჩანს, „ტრადიციას“ რომი არც ახლა ღალატობს. ამიტომ მე მინდა სრულიად გულწრფელად ვთქვა: ჩვენი ეკლესიის ფეხზე დასაყენებლად აქვთ მოვლინებულ წმინდა საყდრის დესპანს და, ზოგადად, სამოციქულო ადმინისტრაციას ნუ დაავიწყდება, რომ ქართველი კათოლიკე ქართველია (ერთი-ორი გზაკვალმემლილი, „ჩვენზედ მოშვებული მაჭირვების“ ნება-სურვილის აღმსრულებელი, საბოლოოდ ამინდს მაინც ვერ შექმნის!) და აღარც მას აქვს რაიმე გასაცემი და გასაჩუქებელი. და თუ მან თავისი ეკლესიები ვერ დაიბრუნა, ისევ ურჩევნია ისინი მართლმადიდებელ ქართველებს დარჩეთ, ვიდრე მათში სომეხმა „ერთმორწმუნე ძმებმა“ მოიკალათონ.

ჩვენ კი სულხან-საბა ორბელიანის სიტყვები ნუ დავავიწყდება: „მტერი რო მტრობით ვერას დაგაკლებს, დავიმოყვრდება და მით გაგისრულებს მტრობას!“

ემზარ კვიციანიშვილი  
**ივრისპირელი  
მზაჭაბუკი**

მირზა გელოვანი

გამომცემლობა „აბული“ (ხელმძღვანელი მანანა ზარიძე) მალე გამოსცემს ნაადრევად დაღუპული უნიჭიერესი ქართველი პოეტის მირზა გელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მოზრდილ წიგნს, რომელშიც შეტანილია მისი რჩეული ლექსები, მოთხრობები, დღიურები, პირადი წერილები. აგრეთვე, მოგონებები და სხვა იშვიათი მასალები თვით პოეტზე. აქვე მრავლად იქნება წარმოდგენილი ნაკლებად ცნობილი ფოტოები. წიგნს წინასიტყვაობად დაერთვის ეს წერილი.

ხშირად ვფიქრობ – რა ბევრი დაკარგა ქართულმა პოეზიამ, ომისდროინდელი თაობის უნიჭიერესი წარმომადგენლები – ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია და გიორგი ძიგვაშვილი რომ დაიღუპნენ. ასევე სავალალოა, ძიგვაშვილთან ერთად, ვითომდე სამშობლოს ღალატისთვის უღმობლად დახვრეტილი დიდად ნიჭიერი პროზაიკოსის კოტე ხიმშიაშვილის ბედიც.

ცნობილია ამ ახალგაზრდა მწერლების ძირითადი ბირთვის ჯგუფური ფოტო, გადაღებული 1939 წლის შემოდგომაზე, რის შემდეგაც მირზა გელოვანი და ლადო ასათიანი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ლადო და მირზა წინა პლანზე არიან წამოწოლილები. ლადოს გადაშვებულ, ჯიბეებიან შალის ხალათზე ფართო ქამარი აქვს შემოჭერილი; სუნთქვაშეგუბებული, ფოტოაპარატის ბროლს მიჩერებია, მარცხენა ხელის ზურგზე ძარღვები ამობურცვია (ავადმყოფობის ნიშანი), გრძელი, თლილი თითები ძირს აქვს დაშვებული. მირზას თბილ, ოთხ ლილზე შეკრულ ნაცრისფერი ნაქსოვის ზემოდან მუქი ფერის ბორტებნამახული პიჯაკი აცვია. კომისარიატის უწყებამიღებულს, თავი გადაუხოტრავს, ვაჟკაცურ, ძლიერ სახეზე ნალვლიანი გამომეტყველება ამჩნევია. ხარიჩებივით განლაგებული ორი ძმადნაფიცი სურათის მთლიან კომპოზიციას სულ სხვა ლაზათს აძლევს.

ბოლო რიგში თვალგადახრილი დგას მათსავით მშვენიერი და სამზოვოს ასევე ნაადრევად განშორებული ალექსანდრე საჯაია. თეთრ პერანგზე შავი ჰალსტუხი იკვეთება და შავი კოსტუმშიც ზედმიწევნით ესადაგება მის დახვეწილ, არისტოკრატიულ იერს. ლადო ასათიანის უკან ზის ამ ახალგაზრდების უფროსი და უღალატო მეგობარი, მათი პირუთვნელი მემკვიდრე, ოდნავ ჭალარაშერეული ნიკა აგიაშვილი. მასაც ლადოსნაირი ხალათი აცვია და თავი ოდნავ გვერდზე აქვს გადაწეული. ნალველთან ერთად (რამდენი უბედურების მომსწრენი გახდნენ ეს ადამიანები!), თვალგადახრილი და სახეზე ძლივს შესამჩნევი, კვიპატი ლი-

მილი უკრთის. მის გვერდით, ნაბლისფერ, სახელურებიან ხის სკამზე ზის ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქტორი, მკვრივად ჩადგმული, ლამაზი გარეგნობის ვაჟკაცი, იქ მყოფთა გაბედული ქომაგი და დამხმარე, კრიტიკოსი დიმიტრი ბენაშვილი. ფართო, ნათელ სახეს ტალღოვანი თმა ამშვენებს, სივრცესაა მიჩერებული. ღია ფერის კოსტად შეკერილი კოსტუმში აცვია და ორნამენტებიანი, გვერდზე საყელოგახსნილი თეთრი ტილოს ხალათი („უკრაინკა“) აცვია. მრავალი განსაცდელის გადამტანი, იგი ამ დროს ორმოცი წლისაც არ არის. ამავე სურათს აღუბუჭდავს გრიგოლ აბაშიძე, გაბრიელ ჯაბუშანური, რევაზ მარგიაანი, ალექო შენგელია, გიორგი კალანდაძე, ლადო ავალიანი და სხვები, რომელთაც უხვად იგემეს მოახლოებული ომისა და უღმობელი ეპოქის საშინელებანი. მაინც სასიხარულოა, რომ ეს მრავლისმეტყველი ფოტო დარჩა.

მუდამ კეთილად მაგონდება პიონერთა სასახლეში გატარებული წლები. ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი, ქართული პოეზიის უებრო მცოდნე და დამფასებელი ქეთევან ანანიაშვილი, ჩვენი უსაყვარლესი დეიდა ქეთო, უზადო გემოვნების ქალბატონი, საათობით გვიკითხავდა ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის და სხვათა ლექსებს, გვესაუბრებოდა პოეზიის იდუმალ ძალაზე, ადამიანის სიცოცხლეს აზრითა და სინათლით რომ აცხებს. იმ დაუფიქრებარმა წლებმა განსაზღვრა ჩემი სამომავლო გზა და გეზი.

მოგვიანებით, „ცისკარში“ რომ ვმუშაობდი (ჯანსუღ ჩარკვიანის რედაქტორობის დროს), ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ან განსვენებულმა გივი გეგეჭკორმა მირზა გელოვანზე დამიწყო ლაპარაკი და უცნაურად სახეგანათებულმა მითხრა: ასე მგონია, ფრონტზე, დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე დაწერილი, უკანასკნელი ლექსი ჩვენი თაობის ყურთასმენის მოსანვდენად ჰქონდა გამიზნული, ჩვენ გვეხმიანება. ვინაიდან მის ნაფიქრსა და ნაგრძობს ჩვენსავით, ომისშემდგომი თაობის დარად, ვერავინ გაიგებდა, ვალდებულები ვართ, მირზასი და მისი ნაადრევად დაღუპული მეგობრების ხსოვნა დავინყებას არ მივცეთ. მერე გივიმ ზეპირად წარმოსთქვა ნაგულისხმევი სტრიქონები: „ჩემი ლექსები, როგორც მილოცვა, მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ..“ და თან დაატანა: რამოდენა სული და კეთილშობილება ჩანს ტყვიების პირისპირ შეუდრეკლად დამდგარი ახალგაზრდა კაცისა, რა სიყვარულს უცხადებს მის შემდგომად მოსულს, რომელთა ნახვაც არ უნერია. უცებ ისევ მომიბრუნდა. მღელვარებისგან ნესტოები უთრთოდა; როგორ შეიძლება, ეს ჩვენზე დაწერილად არ ჩავთვალოთო და ამ საკვირველი წინათგრძობით დამუხტული ლექსის შუა, მეორე სტროფი, სულმოუთქმელად წაიკითხა:

**გაბზარულ სხივებს – ამართულ ხელებს,  
სალამოს, დღეში – თრთოლვას, ძიებას,  
ძვირფას სახელებს, უცნობ სახელებს,  
ჩემი ლექსები, ვით პატიება!**

ხოლო „პატიება“ რისთვისაც იყო აქ ნახსენები, აუხსნელადაც ვხვდებოდით; ამ სიტყვაში გამოხატა მან უსაზღვრო ნუხილი იმის გამო, რომ სამშობლოს მოშორებული, მკერდგანგმირული პოეტი ველარასოდეს შეეხებო-

და უმცროს თანამოძმეთა მისკენ განვდილ, მის გასამხნე-  
ვებლად „ამართულ ხელებს“.

ლიტერატურულმა საზოგადოებამ 18 წლის მირზა გე-  
ლოვანის სახელი პირველად გაიგო რაჟდენ გვეტაძის რო-  
მანიდან „ლაშაური საღამოები“, სადაც მირზას (მაშინ იგი  
რეზო გელოვანად იწოდებოდა) ძალზე სასიამოვნო სატ-  
რფიალო ლექსი „თეთრი მინა“ არის მოტანილი. ორსტრო-  
ფიან ლექსში იმთავითვე გამოჩნდა ავტორის სულიერი  
სიფაქიზე და რაინდული ხასიათი. ირგვლივ ყველაფერი,  
მთელი დედამიწა თოვლის ფაფუკ საბურველშია გახვეუ-  
ლი და ცად აჭრილი მთებიც თეთრ კარვებად მოჩანან. ჭა-  
ბუკს აგონდება ადრევე, ასეთსავე ზღაპრულ ზამთარში  
ნანახი საყვარელი არსება („მახსოვს შენი გუნდაობა  
უხელთათმნო ხელით...“)და იმ ნეტარი ნუთების განმეო-  
რებას ნატრობს:

**ეს სურვილი ძლიერია, როგორც ქარიშხალი  
სისპეტაკით შემოსილი, ვით ეს თოვლი წმინდა,  
მომავონდა შენს სახეზე პანანინა ხალი  
და თუ შენი ღმილი მსურს,  
შენი გულიც მინდა.**

ალბათ ისიც ნიშანდობლივია, რომ მირზას ეს ლექსი  
რაჟდენ გვეტაძისთვის გადაუცია უფროსი თაობის პო-  
ეტს, მისაბაძი ზნეობის კაცს გრიგოლ ცეცხლაძეს. ეს  
ფაქტი აღნიშნულია მირზა გელოვანზე დანერგილ თეიმურ-  
რაზ მალღაფერიძის უაღრესად საყურადღებო, დიდი  
გარჯით შეკრებულ დოკუმენტურ მასალებზე აგებულ  
რომანში „ცხრაკარა“. იქვეა მოხმობილი (ამაზე ქვემოთ  
ცალკე ვიტყვი) მირზა გელოვანის რამდენიმე ბარათი, სა-  
იდანაც კარგად ჩანს, ასაკით უფროსმა თანამოკალმემ  
რაოდენი მზრუნველობა გამოიჩინა, რათა უნიჭიერესი  
ყმანვილისათვის მწერლობაში გზა გაეკვალა.

როგორი პატიოსნად აღზრდილი სული და ზნეობა, რა  
უდრეკი ხასიათი და შეუპოვრობა უნდა ჰქონოდა 17 წლის  
ჭაბუკ მირზა გელოვანს, რომ უკომპრომისო, ჭეშმარიტ  
პოეტს, ბოგანოდ, თითქმის მათხოვრად გარდაცვლილ  
ტერენტი გრანელს, ვისაც სულისშემხუთველი იდეოლო-  
გიის მსახური ლაქია კრიტიკოსები და ხელისუფლებისგან  
გათავებულნი უნიჭო პროლეტპოეტები დასცინოდნენ,  
ცოცხლად მარხავდნენ, მან აშკარა თანადგომითა და სიყ-  
ვარულით აღსავსე ლექსი უძღვნა და თავი მის მონათესა-  
ვედ გამოაცხადა.

ამგვარი სულისკვეთებისთვის სიცოცხლის ბოლომდე  
არ უღალატია. ასეთივე და უფრო მეტი მოქალაქეობრივი  
გმირობა იყო, რომ ჯალათების მიერ წამებით მოკლულ  
ტიციან ტაბიძეს, დალუპვის წლისთავზე, კლასიკურად  
გამართული სონეტი დაუნერა, მკაცრად შეზღუდულ  
ფორმაში დიდი ადამიანური ტკივილი და მღელვარება მო-  
აქცია. ბოლო ექვსი სტრიქონის მოტანაც იკმარებს, რომ  
ულმობელი, სისხლში შეცურებული ეპოქის მთელი საში-  
ნელება და ვერაგობა ვიგრძნოთ:

**ღვთისმშობლის ხატთან დაეცემი, გინდა პასუხი,  
თუ შენი ტანჯვა ზეციურმა რისთვის ინება!  
რისთვის დაჰკიდა თმის ლერებზე ამდენი სუსხი!**

**დასჭიმავე სახსრებს, ხატს დაამსხვრევ ოქროთი  
ნაშენს,  
ნანამებ სახით წარმოსდგები ქვეყნის წინაშე –  
და როგორც ობოლს, სიცივეში აგეტირება.**

პაოლო იაშვილისთანა პოეტს და ვაჟკაცს, ვინაც ნიჭის  
ყადრიც იცოდა და გარეგნული შესახედობისაც, შეუძლე-  
ბელი იყო, არ სცოდნოდა მირზა გელოვანის ფასი, პირვე-  
ლივე ნახვისთანავე არ ეგრძნო მისი განსაკუთრებულობა  
და ალბათ ამადაც შეარქვა „ივრისპირელი მზეჭაბუკი“,  
რაც ასე დაშვენდა ტოლ-ამხანაგებში გამორჩეულს.

მირზასა და მის გარემოზე არაერთი მნიშვნელოვანი  
ცნობა და მასალა მომანოდა ნიკა აგიაშვილის ქვრივმა,  
უზომოდ კეთილმა და გულისხმიერმა ადამიანმა, ქართუ-  
ლი მწერლობის მოამაგე პიროვნებამ ქეთევან ფულარიაშ,  
რისთვისაც მას დიდად ვემადლიერები.

მირზა გელოვანის სიყრმის ერთ-ერთმა მეგობარმა,  
ქალბატონმა ნათელა ბერძენიშვილმა, რომელიც, ღვთის  
შენეწით, ცოცხალია და, რომლის მეხსიერებას ბზარი არ  
დასტყობია, ბევრი საგულისხმო რამ მიაშბო პოეტის  
ცხოვრებასა და ხასიათზე. მისგან გავიგე, რომ ხუთიოდე  
წლის მირზას საკმაოდ გამართული, ერთსტროფიანი, სა-  
ხუმარო ლექსი დაუნერია კრუხის მიერ წინილების გამო-  
ჩეკვაზე და იქვე თავისი და, როენაც, მსუბუქად გაუქილი-  
კება. აქ, უნებურად გვახსენდება პატარაობა აკაკისა, ვი-  
საც როსტომ წერეთლის სასახლის მოურავისა თუ მზარე-  
ულთა გაკენლვა ჰყვარებია.

საერთოდაც, მირზა გელოვანმა ძალზე ადრე იპოვა  
საკუთარი პოეტური ხმა და სამყარო, რაც ჭეშმარიტი პო-  
ეტის ნიჭის უპირველესი ნიშანია. დავაკვირდეთ, რაოდენ-  
ი სინატიფე და სილაღეა ხალხური პოეზიის ტონალობით  
ზომიერად შეფერილ ჭაბუკობისდროინდელ უმშვენიერეს  
სატრფიალო ლექსში, სიმღერასავით რომ უღერს:

**მივალ და შენი ხელები  
ბურუსში დაიჩრდილა,  
გადათოვლილან ველები,  
დანისლიანდა დილა.  
ნეტავ არც ღამე მეთია,  
ვწუხვარ, ვდარდობ და გელი.  
შენი ყელივით თეთრია  
მთა საბადურის ყელი.  
შნო მახსოვს შენი ბინისა,  
თითი, გაჭრილი დანით,  
უკან ჩამორჩა თბილისი,  
დელუბანი და გლდანი.  
მახსოვს ცაზე რომ დნებოდა  
იაგუნდი და ლალი.  
ნეტავ არ დაგძინებოდა,  
დალილ, ძვირფასო დალილ!  
ნეტავ არ დაგძინებოდა,  
დალილ!**

საზოგადოებას უნდა შევახსენოთ, თუ რამდენად სა-  
ნიფათო იყო იმ შავბნელ დროს ფაშისტად შერაცხული და  
საჯაროდ შეჩვენებული გრიგოლ რობაქიძის შემოქმედე-

ბაზე ოდნავი მინიშნებაც კი. ჭაბუკი მირზა არ შეუშინდა ამ საფრთხეს და ამავე ხანის სხვა, მცირე ლექსის („დაღუნული ლერწამი“) ფინალურ სტრიქონებში დაუფარავად მოიხსენია რობაქიძის კალმით დიდოსტატურად დახატული, დასაღუპავად განწირული აქლემის სახელი, რაც ჩვენს წარმოსახვაში უმალ აცოცხლებს „გველის პერანგის“ ცნობილ პასაჟს და ლექსი ტრაგიკულ იერს იძენს:

**ეს სიმღერა ბლავილია მართალი  
უდაბნოში დატოვებულ ბეხანის.**

მირზა გელოვანის ერთი უმთავრესი ღირსებათაგანი ისიცაა, რომ ინტონაციას, ლექსის სულს, მუდამ სათქმელს უფარდებს – თანაბრად ხელენიფება მძაფრი, დრამატული განცდების სასურველ სადინარში მოქცევა და უფაქიზესი ლირიზმის ნატიფ პოეტურ სახეებად ჩამოქნა. აქ უნდა გავიხსენო მისი კიდევ ერთი მცირე, ადრინდელი ლექსი „სახლი №8“. ეს სახლი მთაწმინდის უბანში, „კოტე მესხის ქუჩაზე“ ჰქონდა შეგულებული და ეტყობა პოეტის სიყმანვილის ყველაზე ნათელ დღეებთან იყო დაკავშირებული. აკვარელის ფერებით მსუბუქად დატალღული, ყვავილებით თეთრად აკელაპტრებული ალუჩა გაზაფხულის ულაამაზეს ხატად გამოიყურება. ოთხიოდე სტრიქონში იმდენი რამ არის დატეული, სხვას საამისოდ პოემაც არ ეყოფოდა:

**შენი სახე, გულზე ამოსერილი,  
დაშორება, საიდუმლო ხეკები;  
შორი გზები, შორი შესახვევები,  
თიანეთი, ცრემლები და წერილი.**

ერთი სასიამოვნო შემთხვევა მაგონდება. მრავალი წელია გასული მას შემდეგ. ტრადიციულ ქართულ ოჯახში სუფრაზე ვიყავი. ბლომად იყვნენ ახალგაზრდები. ბატონი იოსებ ნონეშვილი სწევდა თამალობას და ამის გამო ერთთავად ყურადღების შუაგულში მოექცა, ილხენდა, ენამზებოდა. ერთმა სანდომიანმა სახის გოგონამ სთხოვა, რაიმე ლექსი წაგვიკითხო. პატიყი არ დაუწყია. ხელები ლაღად გაშალა, მთელი სხეულით ამოძრავდა, ოდნავ გვერდზე გადაიხარა. პირველივე სტრიქონიდან შევიცანი მირზა გელოვანის „დამშვიდება“ და ძალზე გამიხარდა, რომ ძვირფასი იოსები ძმურად მიაგებდა პატივს ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულ მეოცნებეს, თავისი თაობის ერთ უპირველეს პოეტთაგანს. ახლაც თვალწინ მიდგას ფართოდ გაღიმებული სახე კეთილი კაცისა, მისი მთრთოლვარე, არტისტული ხმა:

**რისი გეშინია?  
შენი აჩრდილია,  
დაგდევს და სურვილი აწვალებს.**

**შენი კოცნა უნდა?  
არც გასაკვირია, –  
მას კოცნა აკვანში ასწავლეს.**

ლექსი ასე სუნთქვასავით თავისუფლად, შეუბორკავად უნდა ინერებოდესო, თქვა და ამით თავისი ალტაცება გამოხატა ამ მომფერებელ სტრიქონებზე.

„ივრისპირელმა მზეჭაბუკმა“, ხატოვანდ რომ ვთქვათ, მრავალ, სხვადასხვა ტონალობის გამომცემ საკრავზე მოსინჯა თავისი გრძნეული ხმა, რასაც, ძირითადად, სათქმელი განაპირობებდა. ტრაგიზმის გრძნობა უაღრესად მძაფრად გამოხატული 19 წლის მირზას ლექსში „დისადმი“, რომელიც, უეჭველია, მისი შინაგანი ბუნების ყველაზე მეტად შემცნობსა და გულის მესაიდუმლეს, უფროს დას რუსუდანს ეძღვნება. სწორედ რუსუდანმა უსახსოვრა მას გალაკტიონის სახელგანთქმული „ზარნიშაიანი ნიგნი“, რითაც „ეფემერას“ ავტორის ღვთაებრივი პოეზიის მაღლს აზიარა. ხსენებული ლექსი თალხი ფერებითა და აპოკალიფსური ხილვებითაა სავსე, რაც იმ დროის საქართველოში, ცოტა არ იყოს, უჩვეულოა. ეს ჰგავს ჯოჯოხეთის პირქუში ბჭეების მინიატურულ მოხილვას, სადაც პოეტი ჯერ განუცდელ წამებასა და თავის შემზარავ საფლავს დაეძებს:

**ცხოვრების ჩემის ჰორიზონტი რამაც გალუნა,  
გამოვეთხოვე უნახესი ხელის შეხებით;  
მერე ვფორთხავდი საფლავებზე, როგორც ღამურა,  
ვიდრე ჩემს საფლავს მიაგნებდნენ ჩემივ ფეხები.  
ავნიე კუბო, სავსე ძვლებით, სევდით, კირთებით,  
სავსე თვალებით, სიცოცხლეში რომ გამიქურდეს,  
ჩემივ საკუთარ ტვინს გასთხრიდნენ ჩემივ თითები,  
ეძებდნენ აზრებს და საფეთქლებს სცემდნენ  
ნკაპურტებს.**

ნალვლიანი კილო, კომპარული, მრუმე სურათები, საერთო განწყობილება რამდენადმე მოგვაგონებს გრიგოლ ორბელიანის ელეგიური ხასიათის საუკეთესო ლექსს „ჩემს დას ეფემიას“, რის უფრო ნათლად წარმოჩენასაც საგანგებო დაკვირვება ესაჭიროება. „უცნობ ძალას“ დანებებული მზეები სიმბოლიზმის სახეობრივი სისტემიდან მომდინარეობს, მაგრამ მირზა გელოვანის წუხილი, ურვა, მოგონილი, ნასხვისარი როდია („გემობდი სიცოცხლეს, სიკვდილშიაც გაუთავებელს, ვიდრე ღამეში არ გავეთერდი, როგორც თენება...“). ავტორის გამოუცდელი გამო, ლექსს ჯერ კიდევ აკლია ოსტატის ხელი, სრულყოფა, მაგრამ ფინალური სტრიქონები, საყვარელი დისადმი აღსარებად და განდობად რომ გაისმის, ლალი და გამართულია:

**ქვეყნად შენ ერთი ჩემს ამნაირ ბედზე სწუხდები  
და გაამაყებს უცნაური ჩემი წამება.**

მირზა გელოვანი აშკარა მიდრეკილებას იჩენს ფაბულის მქონე ბალადის ტიპის ლექსებისადმი. ასეთია იმავე წელს დაწერილი „ცხენის ტირილი“. მებრძოლს, მხედარს, დავალებას აძლევენ, შებინდებისას შტაბში გზავნიან. იგი გათენებამდე უნდა დაბრუნდეს. მყისვე მოახტება თავის ერთგულ ცხენს და ვინრო ხეობისკენ ისარივით გაიჭრება. მოულოდნელად ცხენი ხის დახლართულ ფესვებს წამოედება, ნაიფორხილებს. გაქანებული მხედარი გაშვერილ ტოტებს შეაკდება, უნაგირს მოსწყდება და ხეში გადაიჩეხება. გადავარდნილს, ფრენისას, კივილი, მთების შემაზანზარებელი ხმა აღმოხდება. ხდება საკვირველი რამ – ცხენი არ დაერიდება საშიშ ნაპრალებს, ჩაქანდება დაბ-



ლა, გაშმაგებული მიეახლება, დახედავს სულთმობრძავ პატრონს, სურს მისი გულის ფეთქვა მოისმინოს და განწირულის სისხლი „წითლად, წალისებრ“ დაემჩნევა პირზე. ჯიშინი, გონიერი პირუტყვი საკუთარ სიშმაგეს აბრალებს ამ მარცხს და თვალთაგან ცრემლები წამოუვია, ატირდება. ხეობაში ღამე ისადგურებს. ამალღებული, პოეტური და მწუხარეა მოხდენილად მიგნებული ფინალი, ისევე ჩააღუსკუმებული ღამის ფონზე:

**და ერთხელ, როცა ძლიერ ბნელოდა,  
ეკრა ღრუბელი მთვარის დასავალს,  
გზაზე ვიღაცა სევდით მღეროდა  
კაცის და ცხენის თავგადასავალს.**

ეს სიმღერა თავად მირზა გელოვანმა შექმნა, დაბადებით პოეტმა და უშიშარმა მეომარმა. „ცხენის ტირილმა“ გამახსენა მეოცე საუკუნის დიდი ბერძენი პოეტის კონსტანტინოს კავაფისის (1863-1933) ერთ-ერთი შედევრი „აქილევსის ცხენები“. მასში ნათქვამია, უმამაცესი პატროკლეს გვამის დანახვაზე რა დამართათ მრისხანე აქილევსის უკვდავ ცხენებს – მათ ცრემლები ვერ შეიკავეს, ფლოკეები დაუშინეს მიწას, სიმწრისგან თავებს აქნევდნენ და გლოვის ნიშნად, კეთილშობილები, მშვენიერ ფაფარს ინუნავდნენ სულამოცლილი გმირის ცხედართან. ცხადია, მირზას წაკითხული არ ჰქონდა კავაფისის ლექსი (იმჟამად და კარგა ხნის მერეც მისი სახელიც არ ხსენებულა). ასეთ შემთხვევას ერთი ფრანგი ლიტერატურათმცოდნე, ქრონოლოგიურად დაშორებულ პოეტთა შორის, „ძმურ გადაძახილს“ უწოდებს. ზემთაგონება, ღვთივობა-ძებნული ნიჭი იოლად პოულობს სხვა ნიჭთან მისასვლელ ბილიკს. ამის მაგალითები მრავლად მოიპოვება.

თუმცა ისიც სათქმელია – ჯიშინი ცხენის ზნე და ბუნება საქართველოს მთიანეთში, სწორუპოვარ ხალხურ პოეზიაზე გაზრდილ მირზა გელოვანს არვისგან ესწავლება; მან პატარაობიდანვე იცის – დროის არტახებიდან თავდახსნილ უშორეს წარსულში როგორ მოიქცა ასეთ დროს სასიკვდილოდ გადაადებული მითიური გმირის, ხოგაის მიწის ბედაური, ციდან ჩამოყრილი ვარსკვლავებისა და უკუღმა შეყენებული მთვარის შემხედვარე: „ცხენი იმისი ტიალი, ლურჯა, ტოტზედა დგებოდა...“

პარალელების ძებნისას, შესაძლოა, რომის იმპერატორთაგან უდიდესის, ოქტავიანე ავგუსტუსის ეპოქაშიც გადავინაცვლოთ.

ვერგილიუსს, ვისთან ერთადაც დანტემ თავისი „ჯოჯოხეთის“ წრეები მოიხილა, „გეორგიკების“ მეოთხე წიგნში აღწერილი აქვს, ევრიდიკეს მეორედ დაკარგვის შემდეგ, სტრიმონის უკაცრიელ სანაპიროზე, კლდეთა თაღქვეშ, შვიდი თვე გაბმულად როგორ გლოვობდა და მღეროდა ორფევის და მის ქვითინზე, ბუნაგში განოლილი ვეფხვები ცრემლებს როგორ ღვრიდნენ.

„ცრემლთა დადენა“ და ტირილი „ვეფხვისტყაოსნის“ ოდენი ძნელად თუ იქნება სადმე. მარტო ერთი თავის გახსენებაც („წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“) კმარა, როცა თინათინს დანატრებული ავთანდილი მთელი ხილული სამყაროს, მნათობების პირისპირ დგას და მისი არაამქვეყნიური ხმა, ორფევის მსგავსად, აჯადოებს

სულიერსა თუ უსულოს. ეს გენიალური სიცხადითა და სწორუპოვარი ოსტატობით არის წარმოჩენილი დასახელებული თავის ბოლო სტროფში:

**რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,  
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა  
გამოსხდიან,  
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,  
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ  
ცრემლნი სდიან.**

თუნდ მარტო ამ სტრიქონების მოხმობაც უფლებას გვაძლევს ვთქვათ – მირზა გელოვანს დიდი ქართული პოეზიის უმდიდრესი ტრადიციებიც უწყობდა ხელს, „ცხენის ტირილი“ დაენერა.

1936 წლითვე არის დათარიღებული „საუბარი იორთან“, მირზა გელოვანის საუკეთესო, საკვანძო ლექსთაგანი. იორი მისი პოეზიის წმინდა სათავეა და სრულიად ბუნებრივია, რომ პოეტს იგი წარმოდგენილი ჰყავდა ცოცხალ არსებად, ვისთანაც დალაპარაკება, გულს ნადების განდობა შეეძლო. ყალბი პათეტიკა, ხელოვნური, ნაძალადევი სამკაულები შეუთავსებელია მირზას პიროვნებასთან და, აქედან გამომდინარე, შეუმცდარად არის შერჩეული უშუალო, სასაუბრო მეტყველება:

**კარგი წყალი ხარ, კალმახის ბუდე,  
საილალ მთების აბანო,  
შენთან მწყემსები იხსნიან გუდებს,  
ტალღებს სხეული რომ დაამგვანონ.**

ძნელია, იორს მიმართავდე, მისი ქება თქვა და ვაჟა არ ახსენო, არ მოგაგონდეს მთის მდინარესავით აჩქროლებული პოეზია გენიალური ფშაველისა, ვისი სიტყვის მადლი და ნაფხურებიც იქაურობას სამუდამოდ დააჩნდა. მშობლიური და დიდებულია ეს სამყარო:

**ვაჟამ დალოცა შენი ტალღები,  
მთიელმა მთიელს გითხრა ლექსები,  
სადაც მორევში, როგორც ბაღლები,  
ჭყუმპალაობენ მურყნის ფესვები.**

„საუბარი რიონთან“ სისხლისმიერად ენათესავება (აქ გავლენა არ იგულისხმება) გიორგი ლეონიძის ასევე ლონიერ, მისი მსოფლგანცდის გამომხატველ ლექსს „ივრის პირად“ და სიახლოვე, ნათესაობა მხოლოდ დასათაურებაში არ ვლინდება. გიორგი ლეონიძესაც მასავით აღლევებდა „წყალი მწყემსური“, იგიც ასევე სათუთად ეაღერსებოდა იორს, თავისი ყრმობის მდინარეს:

**შენთან მოველი, რომ გავიხარო,  
შენი ზვირთები გულზე მეტუროს,  
ქალამნის წყალო, წნორების ღვარო,  
მდინარე ჩემო შეყვარებულო.**

მანამდე, ფიროსმანისეული სიმსუყითა და სიცხადით წარმოსახულია ერთი დაუვიწყარი, ულამაზესი სურათი

(„ცისფერ ჩქერებში ეხახუნება ქონიან მკერდით ქვას ორაგული...“), რომლის მსგავსი მირზა გელოვანის ლექსშიც ილანდება („მურნაც ქვებს უღვაშს უღიტინებდეს...“). მთავარი მაინც ის არის, რომ გიორგი ლეონიძის ლექსის დამაგვირგვინებელ სტრიქონებშიც ვაჟას სახელი ხშიანობს, როცა პოეტი ისევ მის სანუკვარ იორს მიმართავს:

**და მეც გამიძეხ, სიტყვას შავება,  
სამშობლოს შუქით გამოვანათო,  
როგორც დამლოცა ვაჟა-ფშაველამ,  
დამსკდარი ხელი თავზე დამადო.**

ორივე პოეტის შთაგონების წყარო, ამაღლებელი, მწყემსებისთვისაც ესოდენ საყვარელი ქართული მდინარეა და მათი სულიერი ნათესაობა, მეტაფორათა, ტემპერამენტთა სიახლოვე სრულიად ბუნებრივია.

ჭაბუკობაშივე (1937) დაწერა მირზა გელოვანმა თავისი ყველაზე ძლიერი ბალადა „აონი“, რომლის გამოქვეყნება კარგა ხანს ვერ შეძლო. მეტად შთამბეჭდავია მთავარ (დედო) ზარზე შემწირველის, იოანე ბეჭაურის მიერ ამოტვიფრული ნაწარწა, რომელიც სასონარკვეთილი კაცის ვედრებით თავდება: „მიშველე, აონ!“ პირველივე სტრიქონიდანვე ეს ბალადა დაჭიმული სიმითვითა და ავის მოლოდინს აღძრავს. დასაწყისშივე ვიგებთ, რომ ხევსურ ბიჭს შეწირული ზარისთვის ტყვია დაუხლია, რასაც საყდარში მყოფი ბერი საშინლად განურისხებია და გახელებული სოფლისკენ გაქცეულა, რათა მრევლს მკრეხელისთვის სამაგიერო მიეზღო. მისი აღშფოთება უნაპიროა:

**ალუდას ვოჟმა ზარი დათოფა!  
ხალხმ უნდ განსაჯოს სასჯელი მისი.  
სადალას თემი ან ადათობა?  
ნაიბილნაო საყუდარ ხვთისი.**

დროება სანუხად შეცვლილია, პატივსაცემი, ჭალარა ბერის აღშფოთებასა და განრისხებას არად აგდებენ, ყმანვილებიდან ზოგიერთები სიცილ-ხარხარსაც ასტეხენ. გაცოფებული ბერი ხალხს დასწყევლის და ნიშისკენ

გარბის; იგი თვით ღმერთსაც აუფს უთვლის („მიყვარდი, მაგრამ არ მეყვარები...“), რადგან ხატის შეურაცხმყოფელს ასეთი გაუგონარი თავხედობა შეარჩინა. მთელ სოფელს გადაუფლის მის მიერ დარისხებული ზარების ხმათა ექო – სამჯერ განმეორებული – აონ! აონ! აონ! – უძლიერეს ეფექტს ახდენს, ხატის სახელს თითქოს ლითონის გამბული ჟღრიალი იმეორებს. მერე ბერი ქოხიდან ცულს გამოიტანს და საკულტო ხეს, ცაცხვსაც ჭრის, რომლის ტოტებზედაც ზარები „ჩამომხრჩვლებივით ჰკიდია“. ერთიანად შეშლილი ბერი (აქ ილიას „განდეგილის“ ფინალიც გაგვახსენდება) ხევისკენ გარბის და კლდეზე გადაიჩხება. ბალადის დაბოლოება შემზარავია – „თავგაჩეხილი კაცის ცხედარს“ იორი წაიღებს. კიდევ უფრო ბოხოქარია ფინალური სტრიქონები; ამაღლებელ სურათს ნინ უძღვის ეპიურ ქმნილებებში („გავიხსენოთ ვაჟას პოემები „გოგოთურ და აფშინა“, „გველის-მჭამელი“...)



პირველ რიგში: ლადო ასათიანი და მირზა გელოვანი;  
მეორე რიგში: დიმიტრი ბენაშვილი, ნიკა ავიაშვილი, გიორგი კალანდაძე,  
ერეშია ქარელიშვილი და გრიგოლ აბაშიძე; მესამე რიგში: გივი კაჭახიძე,  
რევაზ მარგიანი, ალეკო შენგელია, ალექსანდრე საჯაია, ლეო კიკნაძე,  
ლადო ავალიანი, ვასილ ლორთქიფანიძე და გაბრიელ ჯაბუშანური

„თავგაჩეხილი კაცის ცხედარს“ იორი წაიღებს. კიდევ უფრო ბოხოქარია ფინალური სტრიქონები; ამაღლებელ სურათს ნინ უძღვის ეპიურ ქმნილებებში („გავიხსენოთ ვაჟას პოემები „გოგოთურ და აფშინა“, „გველის-მჭამელი“...)

სწორედ ამგვარი სიტყვა-ფორმულა „ამბობენ“, რასაც უშუალოდ მოსდევს იდუმალი ხილვა – ღვთის მგობელი „ტანდა-ძონძილი მოხუცის ლანდი“ ცახცახებს, ბაგე უთრთის, „კედელივით დგას ნესტიან ქარში“, მერე ზურგზე წამოიკიდებს დაბზარულ ზარებს და ბარში, სამჭედლოსკენ მიექანება.

„აონში“ თვალნათლივ გამოიკვეთა მირზა გელოვანის პოეტური ხელოვნების პოლიფონიურობა, ნაირგვარ საზომთა ბუნებრივი მონაცვლეობა, რასაც შემდგომში იგი მარჯვედ იყენებდა. დასაბამი, რომ აქ გამოვლენილი მძლავრი ეპიური ნიჭის გაშლა, სრულყოფა მას აღარ დასცალდა.

სრულიად განსაკუთრებულია მირზა გელოვანის აღტაცება და გაუნელებელი სიყვარული გალაკტიონ ტაბიძისადმი, ვისაც ჯარში განვევამდე ერთი წლით ადრე (1938) თავისი ერთ-ერთი საუკეთესო, უძლიერესი ლექსი უძღვნა, თავიდან ბოლომდე შთაგონებული და დაქარაგმებული ეპოქალური, ლურჯყდიანი წიგნით (ყდის ფერში „ლურჯა ცხენების“ ავტორის რომანტიკული ბუნება იგულისხმება), სიყმანვილეში უფროსმა დამ, რუსუდანმა რომ აჩუქა. იმ ლექსების ანარეკლს, თვალისმომჭრელ ათინათსა და გალაკტიონის მღელვარე, ქარიშხლიანი სულის ღრმად წვდომას კიდევ უფრო ხაზგასმულად გვაგრძნო-

ბინებს წამკითხველის, მეოცნებე ჭაბუკის გარეგნული, მოჩვენებითი სიმშვიდე:

**ჯერ კიდევ ბავშვმა გავშალე წიგნი,  
გავშალე წიგნი, ჩახხედე მშვიდად,  
ვნახე გრიგალი, ლურჯი ყდის შიგნით,  
მთანინდის მთვარის ნაკვალევს შლიდა.**

აქ სტრიქონიდან სტრიქონში გადადის ზომიერად, დახვეწილი გემოვნებით მოხმობილი რემინისცენციების უწყვეტი ჯაჭვი, რომელზეც ასხმული და აელვარებულია გალაკტიონის მომაჯადოებელი პოეტური სამყარო – უფაქიზეს, სიზმარეულ ხილებთან ერთად, ნგრევისა და სიკვდილის დამთრგუნველი სურათებია წარმოჩენილი, მაგრამ ყოველივეს უმაღლესი პოეზიის მაღლი მოსავს. რა გულშიჩამწვდომი და მოკრძალებულია საკუთარ ძალთა მომსინჯველი ყმანვილი კაცის შეხმიანება სიტყვის დიდოსტატთან:

**შენ გეხსომება, უნახეს უბეს  
როგორ აესებდა ცრემლების ჩქერი.  
მდინარეს შავი მოქონდა კუბო  
და შიგ ესვენა დიდება ჩვენი.  
კუბო, რა კუბო, რა საშინელი,  
რა შავი საღვთო შემორკინული,  
თუ სულში ჰყინავს, უფროა ძნელი,  
როდესაც სულში დნება ყინული.**

ასეთ ჩაქუფრულ, მგლოვიარე ფერებს მირზა გელოვანი იმედის სხივის გარეშე როგორ დატოვებდა; გალაკტიონის მუზარადად მას უჭკნობი გვირგვინი ესახება და მთელი მაშინდელი თაობის სახელით პოეზიის გაუხუნარ ენაზე ამბობს სათქმელს:

**დაე ახალმა სიტყვამ ადიდოს,  
ვინც სიბნელეში გრიგალს შეება,  
შარიშურობენ სამარადისოდ  
გადარჩენილი ალვის ხეები.**

მსოფლიო ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდ, „სასტიკო ომში“ ჩაბმული, ყუმბარების ნამსხვრევებსა და ტყვიების სეტყვაში მოხვედრილი, შეუდრეკელი, „სვანური მუხლის“ მოიმედე ვაჟკაცი კვლავ გალაკტიონის წმინდა სახელს ეკრძაღვის („მე თქვენთან ბავშვის სიმორცხვე მახლავს...“).

მკვლევარმა ნინო ხოფერიამ თავის ძალზე მნიშვნელოვან ნერილში „რას ამბობს პოეტი მირზა გელოვანი“ („ლიტერატურული საუბრები“, 2006, გვ. 88-98) დაადგინა, რომ მეორე ლექსში რედაქტორს უგერგილოდ შეუცვლია ზოგიერთი სიტყვა, ხოლო ერთი აუცილებელი სტროფი, სადაც მირზა გალაკტიონს რევოლუციურ გარემოს, პიტერის დღეებს მოაგონებს, მთლიანად ამოღებულია:

**ის დღენი ქარმა ცეცხლით შენიღბა,  
ის დღენი სისხლმა გზად გადაღობა,**

**და სჩანს ის ქარი, როგორც ჩემი ხმა  
თქვენი ძვირფასი ხმების მახლობლად.**

ეს მართლაც რომ სისხლით დაწერილი ლექსი ისევე და ისევე დამახინჯებული იბეჭდება, რაც ყოვლად შეუწყნარებელია და პოეტის ხსოვნის შეურაცხყოფელიც. ბოლო სტროფი კი, ფრონტზე მყოფის მღელვარე შემონათვალი საფიცარი მოძღვრისადმი, ყოვლად გაუმართლებლად გადაკეთებულის ნაცვლად, ასე უნდა იკითხებოდეს:

**და როცა სიკვდილს მოვლუნავ ერთი  
და ყოფნის შუქი ასიათასობს,  
თქვენ გიგონებთ და ცას იმერეთის,  
ბრძენო მაღალო, ცაო ძვირფასო!**

ჭეშმარიტ პოეტთა უმრავლესობის მსგავსად, მირზა გელოვანსაც გულით უყვარს და ებრალება ცხოველები, მათ შორის უერთგულესი და გონიერებით გამორჩეული არსება, ძალღი. ამავე სათაურით ცნობილ სამსტროფიან ლექსში შემადრწუნებელი სიცხადითაა დახატული, ვილაც სალახანა ტყვიას როგორ დაახლის ძაღლს, ერთ ფეხს მოტეხს, მერე კი, დახეობრებულს, მანქანა გაიტანს. მშვენიერია ბოლო, მესამე სტროფი, რომელსაც სულ სხვა შუქი შეაქვს ხსენებულ ლექსში, ყოველივე სხვა განზომილებაში, მაღალ რეგისტრში წარმოგვიდგება:

**სული რა იქნა? ვინ მიიღებს მინაზე დალილს,  
ყველა სამოთხის კარიბჭეებს მისთვის მოჭრიან,  
არც სადმე მცველად გამოდგება: იგი კოჭლია,  
წმინდაო ქრისტე! შეინყალე საბრალო ძაღლი!**

ამ დიდი ადამიანური თანალმობით აღსავსე სტრიქონებმა უნებურად გამახსენა ფრანსის ჟამის გახმაურებული ლექსი „ლოცვა, რომ სამოთხეში ვივრებთან ერთად შევიდე“, რომელიც ფრანგულიდან ჩინებულად თარგმნა გივი გეგეჭკორმა და მკითხველისთვისაც კარგადაა ცნობილი.

ბლადებისკენ მირზა გელოვანის მიდრეკილება ადრევე აღვნიშნეთ, ხოლო ამ ლექსებიდან უდავოდ გამოირჩევა „შავლეგო“, სადაც პოეტი კვლავ ოსტატურად იყენებს საზომთა მონაცვლეობას და ლექსში, ალაგ-ალაგ, ხალხური სიმღერის სტრიქონებსაც ურთავს. ფინალი ანუ ბოლო სამი სტროფი მკვეთრად განსხვავდება ძირითადი ტექსტისაგან, მასში ფშაური ნატირლების სევდიანი, გლოვის ხმა ისმის, ოღონდ მთლიანად ჯვარედინი რითმით არის განწყობილი. აქ თავად დაღუპული გმირი (ხალხური რწმენით, არსენას რაზმელი) მეტყველებს. ბალადის ეს, დამაგვირგვინებელი, ნაწილი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, რაც მირზა გელოვანს შეუქმნია:

**– ქარო, შე ქარო, შარიანო,  
ნადი, გაიარე მუხრან-ველი,  
კლდეს არწივები არიანო,  
არსენას უთხარ, ნულარ მელის.**

**შავლეგ ხიფათმა დაიტანაო,  
იქ, სადაც უტყვი მთები არი,  
არც ქვრივმა დედამ დაიტირაო,  
არც სატრფო მოსთქვამს თმებიანი.**

**ქარო, აშარო, ფრთა გაშალეო,  
არნივებს უთხარ კაცის ენით:  
კლდის ძირას კვდება ბიჭი შავლეგო,  
მარტო კლდე ტირის ჟანგისფერი.**

ამ გულიდან ამომსკდარ, მღელვარე სტრიქონებს როცა კითხულობ, როცა ხედავ, რომ გმირის სიკვდილზე კლდეს ცრემლი სდის, ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს რაღაც უცნაური, აუხსნელი წინათგრძნობით, მირზა საკუთარ სიკვდილს გვამცნობდეს.

ნამდვილ შემთხვევაზეა აგებული მირზა გელოვანის ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და მშვენიერი ლექსი „ვაჟას ეზოში მოკლული ჩხიკვი“. მის უახლოეს მეგობარს კოტე ხიმშიაშვილს, შემთხვევით, ჩარგალში თოფი უსვრია, ჩხიკვი მოუკლავს. ძალზე შეწუხებულია და მირზასთვის უთხოვნი, მის მაგივრად მონანიების მსგავსი რამ დაენერა. მირზას ჩარგალშივე შეუსრულებია თხოვნა. ეს აღნიშნული აქვს თავად კოტე ხიმშიაშვილს, მეუღლისადმი გაგზავნილ ბარათში, აგრეთვე, მის დას, შესანიშნავ საბავშვო მწერალს ქალბატონ დოდო ხიმშიაშვილს, რომელმაც წინამდებარე კრებულში გამოსაქვეყნებლად გამოგვცა მცირე მოგონება მირზასა და კოტეს ახლო ურთიერთობაზე.

ხსენებულ ლექსში გამოკვეთილად იგრძნობა სამყაროს, ბუნების, ცოცხალ არსებათა ვაჟასეული აღქმა, როცა სულით ხორცამდე შეძრული ლირიკული გმირი მისგან „შეცდომით მოკლულ ჯაფარს“ ვედრების კილოთი მიმართავს და პატიებას ითხოვს:

**მე შენი მოკვლა როდი მდომია,  
სხვა ვილაც გახდა ამის მიზეზი,  
გულიც კქონია, სულიც გდგომია,  
ყოველგვარ სულზე უფაქიზესი.**

**დამისათუთდნენ თითები მკაცრი,  
ეგ შენი სისხლი ქარმა შელოკა,  
კაცი ყოფილხარ, ჩიტგულა კაცი,  
შემინდოს ვაჟამ შენი მკვლელობა.**

ეპოქისეული კომპრომისები, სავალდებულო ხარკის მოხდა მირზა გელოვანის ვაჟაკურ, ამაღლებულ პოეზიაში იმდენად მცირეა, სალაპარაკოდ არ ღირს. მისი ხასიათისათვის წარმოდგენილი იყო დიქტატურისადმი უსიტყვო, მონური მორჩილება და, ამდენად, იმ საშინელ, სულისშემხუთველ დროში ასე სუფთად, შეუბღალავად დარჩენა ცალკე გმირობაა.

დასამალი არ არის, რომ გასული საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლების რევოლუციურ აღტკინებას თავისებური რომანტიკაც ახლდა და სწორედ ეს არის გადმოცემული შთაგონებით, ძალზე ოსტატურად დანერგული პოემა „შავნაბადაში“, სადაც ახალგაზრდა ბორის ძნე-

ლაძე და მისი შეყვარებული, თანამოაზრე გოგონაა გამოყვანილი. მომაბეზრებელი პლაკატურობა, შიშველი ლოზუნგები, შუბლში ტლანქად მოხლილი იდეურობა აქ არსად იგრძნობა, ბრწყინვალე ფერწერული სახეების, იშვიათი ექსპრესიით დახატული პეიზაჟების მოხმობა კი უხვად შეიძლებოდა. მირზა გელოვანი „შავნაბადაში“ საუცხოოდ იყენებს ადრევე ნაცად პოეტურ ხერხს – ნაირგვარ საზომთა ჰარმონიულ მონაცვლეობას, რითაც ინტონაციურად მდიდრდება ნაწარმოები, ხოლო პოემის ბოლო მონაკვეთი („ქართლის მიწავ უტკბილესო...“) ჩვენი მრავალგზის ნატანჯი სამშობლოსადმი აღვლენილი დიდებული ჰიმნია, რომლის გამოძახილი მკვეთრად ისმის გალაკტიონ ტაბიძის გახმაურებულ პატრიოტულ ლექსში.

მირზა გელოვანს არ უყვარდა ჰაიპარად რაიმეს წამოძახება; მას უეჭველად ჰქონდა საიმისო ძალა, თავისი პოემის ფინალურ სტრიქონებში ამაყად ეთქვა: „მე ოცი წლის გმირი ვარ და საუკუნე მომაქვს მხრებით...“, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, ქართული მწერლობისთვის სამწუხაროდ, აღარ დასცალდა, ეს გოლიათური, მისი დაუდრეკელი მხრების შესაფერისი ტვირთი ბოლომდე ეზიდა.

სურვილი მიჩნდება, თვალი შევავლო მირზა გელოვანის კიდევ ერთ, გამორჩეულად ძლიერ, გენიალური ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილისადმი მიძღვნილ ბალადას „შუალამისას“, რომელშიც პოეტის ახლებურად ხედვამ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი. პირველივე სტრიქონებიდანვე საცნაურია ზამთრის ქარიანი შუალამე, რითაც შემოქმედი ადამიანის დაუდგრომელ, ბობოქარ სულზეა მინიშნება:

**შუალამისას ადგება ქარი,  
რომ ცას შეუდგას შავი სვეტები,  
შუალამისას ადგება ქარი  
და ისევ თავი გამემეტება.**

ასეთ, ძვლებისგამთოშავ ყიამეთში მხოლოდ მხატვარი და პოეტი თუ გაბედავენ სახლიდან გამოსვლას და ისინიც შორიდან დალანდავენ ერთმანეთს. გუდიაშვილს მისი ყოვლისშემძლე ფუნჯის პირმშო ეცხადება, რომელიც ადრეული შედევიდან („ქეიფი განთიადისას“ ანდა „ცოცხალი“) გადმოსული და, განანყენებული, წინ გადაელობება. იგი მარტო არაა, სხვებიც ახლავან, ახალი, შეჩვეული მყუდროების დამანგრეველი, ყოფიდან გაქვეყნებულები – „ქედმაღალნი, მტრედის ქამრებით, ვერცხლის მტრედებით“, მაგრამ თვითონ ყველაზე მეტად გულფიცხობს. აქ მირზა გელოვანი ძალზე ეფექტურად მიმართავს ფრაზის სამგზის განმეორებას, რაც ქართულ პოეზიაში პირველად ბარათაშვილმა გამოიყენა („არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ...“), თუმცა ხსენებულ ბალადაში ამ ხერხის დანიშნულება და ინტონაცია სრულიად განსხვავებულია:

**ირიბ ქუჩაში, ხელადით, მწვადით  
დაგხვდება კინტო შეითანს ზემოთ:  
„აქეთ მობრძანდით, აქეთ მობრძანდით,  
აქეთ მობრძანდით, ოსტატო ჩემო!**

ამის მთქმელი აშკარად განირჩევა თავისი ამფოსონე-ბისგან; გაცოცხლებული, ჩარჩოდან გადმოპარული მო-დელის დაჟინებული, სამჯერ განმეორებული შეკითხვა პასუხს ითხოვს, მაგრამ პროზაულ მსჯელობას ჯობს, თვით ბალადის ცოცხალ დინებას მივიწოდოთ:

**ერთი კარტივით გადაშლის მტკაველს,  
გთხოვს, გემუქრება, რომ შეგაჩეროს:  
„რა დაგიშავე, რა დაგიშავე,  
რა დაგიშავე, ოსტატო ჩემო?  
რისთვის გამკიდე, როგორც სიონში  
ყვითელ ჩარჩოში ჰკიდია ჯვარცმა,  
რას შემდუროდი, რას მიჩიოდი,  
რა განყენინე მტრედევით კაცმა?!  
რბოდნენ დღეები უამინდოდა,  
ბოლოს შევიცან სიკვდილის გემო.  
მე სამუდამო ძილი მინდოდა,  
რად გამაცოცხლე, ოსტატო ჩემო?!“**

თავისი მტანჯველი ხვედრის დამანყევარი კინტო მხატვარს უყვება, დღისით, მუზეუმის დარბაზში როგორ ჯგროდ შემოდინ მნახველები, გაღიმებულნი აცქერდებიან ულამაზესი, „თეთრი ქალები“ და დამხატავის მარ-ჯვენას აქებენ, იგი კი არავის ებრალება; დატყვევებული, გულჯავრიანი, შებინდებასლა უცდის:

**... და მხოლოდ ღამით, როდესაც ცაში  
შეირხვიან ვერცხლის მტევნები,  
დავტოვებ ჩარჩოს, გავდივარ კარში**

**და ჩემს ძველ თბილისს ავედევნები.  
გავრბივარ... სწორის ძებნას ვუნდები,  
მწენავენ ფიქრთა შავი გედები.  
გათენებისას ისევ ვბრუნდები  
და შავ ჩარჩოში ჩავიჭედები.**

ამის მერე ამბის მდინარებაში პოეტი ერთვება: კიდევ რამდენიმე სურათითაა წარმოდგენილი მხატვართათვის ესოდენ სასურველი და ახლობელი გარემო: მტკვრის ხრი-ალი, გამტყდარი ხელადა და თოვლზე დაქცეული წითელი ღვინო, მთაზე შემომჯდარი მთვარე და განათებული ნა-რიყალა, მის ქვემოთ გასუდრული მეტეხი, ნარიყალადან მაცქერალი, მოცინარი, მთვრალი ნიკალა. დასასრულ, თავად მხატვარი მონყდება ყრუ ქუჩას, იქაურობას რომ სწრაფად გაშორდეს:

**გარბიხარ, ლანდი, როგორც დიდება,  
მოგდევს, შრიალებს თოვლის სირბილე,  
და მხოლოდ ერთს არ გაუკვირდება  
გუდიაშვილის სწრაფი სირბილი.**

ძნელი მისახვედრი აღარაა – ის „ერთი“ მისი დამხატავის, უკვდავყოფელის საყვედურებით ამვსები მარტო-კაცია, გარდასულ წლებში ძველი თბილისის მკვიდრი, დროის ქარტეხილების მიერ სამოქმედო ასპარეზიდან აღგვილი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მარინე ტურავა

# თვითგადარჩენა თუ საკუთარ ბედთან შეგუება?!

□

**ფრანც კაფკას „პროცესის“ მიხედვით**

„პროცესი“ კაფკას ერთ-ერთი ცნობილი ნაწარმოებია, როგორც ყველა რომანი, ისიც დაუმთავრებელია. მწერალს არ ყოფნიდა ფიზიკური და ემოციური ძალისხმევა ეპიკური პროზის შესაქმნელად. „პროცესის“ მთავარი პერსონაჟის იოზეფ კ.-ს (სიმბოლურია მისი გვარის ინი-ციალი, რაც მწერალთან სულიერ ნათესაობასა და ავტო-ბიოგრაფიულ მსგავსებას მიანიშნებს) პრობლემა იწყება იმ დილას, როცა იგი ოცდაათი წლის უნდა გახდეს. იგი ფრანც კაფკას პროზის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაჟია, მასში თავმოყრილია ადრეული ნაწარმოებე-ბის თითქმის ყველა პერსონაჟის ძირითადი შტრიხები. მას მოულოდნელად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარე-

შე, აპატიმრებენ. კ.-მ არ იცის, რა დანაშაული მიუძღვის, არც კანონი, რომლის ძალითაც დააპატიმრეს. ზოგიერთი ლიტერატურისმცოდნე თვლის, რომ „კ.-ს დანაშაული არის კანონის არცოდნა“ (ე. ემრიხი). თუმცა კაფკას ტექ-სტი კანონი განხილულია, როგორც უაზრო, მინაარსისა-გან, კონკრეტული საგნობრიობისაგან დაცლილი მოცე-მულობა. კანონი არის განაჩენი, სასჯელი. არავინ არ იცის მისი ჭეშმარიტი საზრისი. იქ, სადაც, ერთი შეხედვით, უნ-და იყოს კანონი, რეალურად მხოლოდ შიშველი მოთხოვ-ნილება ვლინდება. სასამართლო – სურვილის გამოვლი-ნების სიმბოლოა, სამართლიანობა კი არის შემთხვევითო-ბა და არა აუცილებლობა.

იოზეფ კ.-ს მთავარი პრობლემა არის თვითგამართლება. ვ. ემრიხი ფიქრობს, რომ იოზეფი აცნობიერებს აღტქმის აზრს, რომლის მიხედვითაც მან უნდა მიმართოს საკუთარი თავის განსჯას – „იოზეფ კ. მივიდა დასკვნამდე, რომ იგი საკუთარი სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგეს, ეს არის უმაღლესი აღმოჩენა, რომლის მიღწევაც მას დედამიწაზე შეეძლო“. ვ. ზოკელის თვალსაზრისით, იოზეფ კ.-ს ფაქტობრივი უარი ემორჩილება თვითბრალდების მოთხოვნას: „იოზეფ კ.-ს პროცესი, როგორც ფრანც კაფკას წერილი მამისადმი, არის მცდელობა საკუთარი დანაშაულის მოხსნისა, მთელი პასუხისმგებლობა გარეშე ძალებს ეკისრება“. ჰერმან კაფკასადმი მიწერილ წერილში ფრანცი ფსიქოანალიზით ხსნის მამამისთან ურთიერთობას, რადგანაც მთელი ცხოვრების განმავლობაში სტანჯავდა მისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, ფარული სიძულვილიც კი. გარდა იმისა, რომ აქ ახსნილია ფრანცის საქციელის მიზეზები, დადანაშაულებულია თავად ჰერმან კაფკაც. გრიგოლ რობაქიძესთან „კოსმიურად გამანაყოფიერებელი თესლის“ უარყოფას ადამიანი სიყვარულის დაკარგვამდე მიჰყავს. მამისადმი გაგზავნილი წერილით კაფკა ცდილობს მამის სიძულვილი „მისტიკურად დაძლიოს“.

მნიშვნელოვანია რომანის დასაწყისი, დაპატიმრების სცენის გამძაფრება, რითაც პერსონაჟი პარადოქსული მოქმედებების სამყაროში შედის. ეს პარადოქსი ზუსტად ერთი წლის მანძილზე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში იგი მონყვეტილია რელიგოზიურობისა და საკუთარი თავის გამართლებით, ან გამართლების მცდელობით არის დაკავებული. კაფკას პროზის დრო არ ჰგავს XX საუკუნის არც ერთი სხვა მწერლის დროს, „კაფკასეული დრო ბიუროკრატიულია, ან უფრო ზუსტად, ბიუროკრატია გულისხმობს, კაფკას აზრით, დროისა და მასში არსებობის შეუძლებლობას“ (ზედი სმითი). ბიუროკრატიული დრო თავისი აბსურდულობითა და უსასრულობით ასახავს ჭეშმარიტ რეალობას. ბიუროკრატია „კაფკასეული კომპარია“ და ეს ყველაზე დრამატულად „პროცესში“ გამოვლინდა. ის, რაც აქ ერთი წელი გრძელდება, ასევე წარმატებით შეიძლება მთელი ცხოვრება გაგრძელდეს.

იოზეფ კ.-ს პრობლემის განხილვისას ორი მომენტი იკვეთება: პირველი – ის ცდილობს საკუთარი თავის გამართლებას და მეორე – კაფკას სხვა პერსონაჟების მსგავსად, იგი ეგუება სიმართლეს, თავს არ იტყუებს ყალბი წარმოდგენებით. ამ გაორებული მდგომარეობის გამო მისი თვითგამართლების პროცესი არ არის თანმიმდევრული და მიზანმიმართული.

სასამართლო პროცესზე უნდა განხორციელდეს მთავარი პერსონაჟის მთელი ცხოვრების გამართლება. მაგრამ საყოველთაო გამართლება სცილდება ადამიანის შესაძლებლობების ფარგლებს, მით უფრო კაფკასთან. არავის არ შეუძლია „გაანალიზოს თავისი ცხოვრება“ და „შეამონმოს იგი ყოველი მხრიდან“. ცხოვრების მთლიანი ანალიზი აუქმებს თავად ცხოვრებას. მეორე მხრივ, საერთოდ გამართლების გარეშე ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია (მით უფრო, უღმერთო სამყაროში, სადაც არ სრულდება ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქრისტიანული საიდუმლო – აღსარება და ექსპრესია). იგი პასუხისმგებელია საკუთარი ყოფის გამო. თავისი ცხოვრების წინააღმდეგობების გადალახვის დროს იოზეფ კ. მარცხდება, თუმცა, გრძნობს, როგორც მოპასუხე (იგი პროცესზე საკუთარი თავის ადვოკატია) ვალდებულია, ფიქრობდეს „გლობალურ გამართლებაზე“. ეს კი ნიშნავს „გაიხსენო, აღწერო და გადაამონმო მთელი ცხოვრება, ყველაზე წერილმანი საქმეებისა და მოვლენების ჩათვლით“.

მიუხედავად ასეთი ფიქრისა, იოზეფი ვერ აკეთებს საბოლოო განცხადებას. პროცესზე წარმოთქმულ ამ სიტყვას განმსაზღვრელი როლი ეკისრება პერსონაჟის თვითგადარჩენაში, რაც უპირველესად, ფიზიკურ გადარჩენას გულისხმობს.

იოზეფი პროცესს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქვამდა სერიოზულად და შეძლებდა მაქსიმალური ძალისხმევის გამოვლენას, თუ მონანიების, განმარტოების, შეგრძნებების დახშობის გზით საკუთარი „მეს“ კათარზის დაადგებოდა. ამგვარი გზა ყოველგვარი გართობის და პროფესიული პატივმოყვარეობის, სამყაროში შენი ადგილის უარყოფას მოითხოვს. გამარჯვება მხოლოდ საკუთარი უდანაშაულობის ბოლომდე შეგრძნების დროს შეიძლება, უფრო მეტიც იოზეფ კ.-ს უნდა ჰქონოდა საკუთარი პრივილეგიებულობის განცდა.

„შენ ძალიან ხშირად ელოდები სხვების დახმარებას, განსაკუთრებით ქალისაგან“, – ეუბნება მღვდელი იოზეფს. მის ინტონაციაში იგრძნობა, რომ იგი არ ამართლებს ამგვარ საქციელს. მწერლის ერთი პატარა, „შეტყობინების“ ტიპის, მოთხრობის („მთაში გასეირნება“) პერსონაჟს ძალიან უნდა ვილაცასთან, თუნდაც უცხო ადამიანთან, ან ადამიანებთან ერთად მთაში წასვლა. „მე არავისთვის არ გამიკეთებია ბოროტება, არც ჩემთვის გაუკეთებიათ ბოროტება. მაგრამ მე არავინ დამეხმარება, არადა ეს არავინ ძალიან სასიამოვნო იქნებოდა“. ამ პერსონაჟს მწერლის სხვა გმირების მსგავსად, არ შეუძლია ადამიანებთან ურთიერთობა, რაც ბოროტება-სიკეთის ქმნით იზომება. მას იმდენად ანუხებს საკუთარი მარტო-



ფრანც კაფკას ჩანახატებიდან



ობა, რომ მზად არის არაფერი აკეთოს (მთაში წავიდეს) ვილაცასთან ერთად, ოლონდ ის ვილაცა ხმის გამცემი, მეორე ადამიანი იყოს.

კაფკას ნამითაც არ ავინყდება, რომ ამ სამყაროში ადამიანი მარტოა, მარგინალია, სიყვარულის გარეშეა დარჩენილი, ამიტომაც კ. იძულებულია მარტო, „სხვისი დახმარებისა“ და ჩარევის გარეშე გაამართლოს საკუთარი თავი. სასამართლომდე თავად იოზეფსაც ნაკლებად ახსოვდა ადამიანები და მათ მიმართ კაფკას სხვა პერსონაჟების მსგავსად, ხშირად ივინყებდა მოვალეობას. ამ თვალსაზრისით იგი გეორგ ბინდემანის („განაჩენი“) და გრეგორ ზამზას („მეტამორფოზა“) ანალოგიით მორალური დანაშაულის ზღვარზე იდგა. თუ მცირე პროზაში ოჯახი გვევლინება ადამიანის ბრალმდებლად, „პროცესში“ ამ როლს მთელი გარემომცველი სამყარო ასრულებს. ნაწარმოების ტრაგიზმს იმის განცდა ამძაფრებს, რომ იოზეფი „ჩვეულებრივი ადამიანია“ და სხვა ადამიანების მსგავსად, ჩვეულებრივად ცხოვრობს. კაფკასათვის სწორედ ეს არის დანაშაული. კნუტ ჰამსუნს ეკუთვნის სიტყვები „ქმნიდე – დღენიდაგ ასამართლებდე საკუთარ თავს“. ფრანც კაფკა თავისი ნაწარმოებებით უპირველესად საკუთარ თავსა და ცხოვრებას ასამართლებს, განიკითხავს, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ ადამიანის გაუცხოება, მორალური დანაშაულის არსებობა თავად დანაშაულებრივი გარემოს შედეგია.

რომანის მოვლენებს პარაბოლურ სიმბოლიზაციას ანიჭებს ლეგენდა „კანონის კარიბჭესთან“. ეს მწერლის „გზავნილია“, რომელშიც იგი ცდილობს დაგვანახოს, რომ კანონთან ყველა თავისი გზით, ინდივიდუალურად უნდა მივიდეს. კანონი განუსაზღვრელი, მიუღწეველი და შეუცნობელია. ადამიანის ყოფის უაზრობის დამადასტურებელია მისი სიკვდილი – მართლმსაჯულების კარიბჭესთან, მასში შესვლის, მისი გათავისების გარეშე.

ეს გზავნილი იმასაც ემსახურება, რომ იოზეფმა გაიგოს სასამართლო პროცესის არსი, თავი დააღწიოს გაუგებრობას. თუმცა მისი გაუგებრობა პირადი კი არა, ინსტიტუციონალური ხასიათისაა.

მართლმსაჯულების მცველი, მეკარე არ უშვებს ადამიანს კარიბჭეში, თუმცა არც უარს ეუბნება, მოგვიანებით შეშვებას პირდება. „თუ ძალიან გეჩქარება შიგნით შელწევა, შედი, ჩემი აკრძალვის მიუხედავად, მაგრამ დაიმახსოვრე, მე ყოვლისშემძლე ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დაბლა მდგომი ვარ. დარბაზიდან დარბაზამდე ერთმანეთზე ყოვლისშემძლე დარაჯები დგანან, მესამის წინ მეც კი ვიკარგები“. ეს სიტყვები მუქარასავით ჟღერს არა მარტო იოზეფისათვის, არამედ ზოგადად ადამიანისათვის, რადგან ამ ლეგენდის პერსონაჟი ერთი სოფლიდან ჩამო-


სული კანონიერების მაძიებელი, ანუ ზოგადად ადამიანია. წლების მანძილზე ელოდება იგი კარიბჭის გაღებას და შიგნით შელწევას. იგი გმობს გარემოებათა საბედისწერო დამთხვევას, რადგან საკუთარ თავს ვითარების მსხვერპლად მიიჩნევს. მისი მდგომარეობა იმდენად აბსურდულია, რომ მცველის ბენვიან საყვლოში ჩაბუდებულ რწყილებს სთხოვს დახმარებას. იგი უძღვება სიმართლის გაგებაში, მაგრამ კარიბჭესთან მომაკვდავს უკვირს, რატომ არ ხედავს აქ კანონის სხვა მაძიებლებს. სიკვდილის წინ იმის გაგებას ახერხებს, რომ ეს შესასვლელი მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი, აქ სხვა ვერავინ შეაღწევდა. მისი სიკვდილის მერე ეს კარიბჭეც სამუდამოდ გაქრებოდა, გაუქმდებოდა. ცხადია, სიცოცხლის ბოლოს გაგებულ იქნეს სიტყვები შვებას ვერ მოუტანს მართლმსაჯულების მარადიულ მაძიებელს. ალბათ იმიტომ, რომ შვება კაფკასა და მისი პერსონაჟებისათვის არ არსებობს. ამ გზავნილის მიხედვით არ არის საკმარისი იპოვო შენი, საკუთარი, ერთადერთი მართლმსაჯულების კარიბჭე, საჭიროა მასში შეღწევა. ამისათვის მხოლოდ ადამიანური თუნდაც მაქსიმალური ძალისხმევაც ცოტაა, რადგან გარემოებათა დამთხვევას ვერავინ უპირისპირდება.

ამ ლეგენდის მიხედვით, იოზეფის ყოველგვარი მცდელობა – იპოვოს სიმართლე, მიაღწიოს მართლმსაჯულებას იმთავითვე განწირულია. იგი იმ სოფლელი მაძიებლის მსგავსად გარკვეულ ძალისხმევას იჩენს, „რათა არ ეგონოს, რომ რაღაც არ გააკეთა, სადღაც დაავიანა“. მართლმსაჯულების კარიბჭესთან დგომა იოზეფს ზუსტად ერთი წელი დასჭირდა, ერთი წლის მერე მას სიკვდილით სჯიან. ამას იოზეფი ჩვეულებრივად, სულიერი სიმშვიდით ხვდება, თითქოს ერთწლიანმა გზამ და ლოდინმა მოამზადა იგი ამგვარი დასასრულისათვის.

ცნობილი ფაქტია: კაფკამ ვერ შეიკავა სიცილი, როცა ხმამაღლა უკითხავდა „პროცესს“ თავის გაოგნებულ ოჯახს. ასეთივე სიცილით ელოდა, ალბათ, მკითხველის რეაქციასაც.

მწერალს ეკუთვნის სიტყვები: „ვერ ვამჩნევ ვერავითარ აშკარა სიყალბეს, გარდა იმისა, რაც თავს იჩენს ადამიანთა ურთიერთობებში. სრულყოფილია მხოლოდ ჩაკეტილი წრე“. ამგვარ სრულყოფილად ჩაკეტილ წრეში ამყოფებს და ატრიალებს იგი თავის პერსონაჟებს, მანამ, სანამ „არ დაიხოცებიან სულ (მთლიანად), სულითა და ხორციით“ (ლუის ბორხესი).

იოზეფ კ., ფრანც კაფკას ადრეული პროზის პერსონაჟების მსგავსად მარცხდება, კვდება. „იმისათვის, რათა სრულად ჩავნვდეთ კაფკას სრულყოფილებასა და უჩვეულო ხიბლს, – წერს ვალტერ ბენიამინი, – არ უნდა დაგვაინყდეს ერთი რამ: ესაა მისი მარცხის სრულყოფილება და ხიბლი“.





გიორგი ალხაზიშვილი  
მესამე ელექცია

1.

ასე ვარსებობთ, ამბობიდან ამბობებამდე  
გადის ცხოვრება უღიმღამოდ ჩვეულებრივი  
და შენ იზოგავ ლუკმაპურს და დღიურ საზრუნავს,  
რომელიც მუდამ გელოდება, თვითონ დაგეძებს  
და გიხარია რომ თენდება, არ დაასრულა  
ღმერთმა სიცოცხლე დღიდან-დღეში გარდამავალი,  
ზოგჯერ ეს სისხლი გასუსული არსებობიდან  
ამოიცივლებს უცაბედად, როგორც მამალი.

ის, ვინც მზესავით ამოვიდა შენი ღამიდან  
და შემოგხედა წვეთით, ფანჯრით, სარკით, გუბეთი,  
მდინარეების ანარეკლით და ხის ნუჭრებით,  
ჭურჭრუტანებით, მიტოვებულ ხელნაწერებით,  
ქალით, რომელსაც თვალში ცრემლად ამოუშრები,  
სსოვნის დარბაზში გამოკიდულ დაგეროტიპით  
და ორიათას მეშვიდე წლის ბუნიობისას,  
შემოდგომის ხმით წაიმღერე ძველი მოტივი.

ასე ვარსებობთ, ამბობიდან ამბობებამდე  
ჩნდება პაუზა ერთწლიანი, თორმეტწლიანი  
ან ოთხწლიანი და დღე-ღამეს ვითვლით პულსით,  
გახშირებული სუთქის სითბო მინებს დაორთქლავს,  
თვალში ჩაგვხედავს გაოგნების წუთი გულცივი  
და დავმუნჯდებით, უსიტყვობით გავისუსებით  
და მეგაფონებს, ტელე-არხებს შეესევინა  
იგივეობის უსახური ჰაბიტუსები.

ის, ვინც მზესავით ამოვიდა შენი ღამიდან  
და შემოგხედა სიტყვით, საგნით, შვილის თვალებით,  
რომელიც მუდამ სადღაც მიდის და ნაკვალევი  
რჩება მზერაში, გულისგულში, სულის სიღრმეში,  
საშიში ფიქრი, დარდით თვალის ამომკალავი,  
თვალების ფსკერზე უსასტიკეს ხაზის გავლება  
და წარმოსახვის მოშორება ხელის აქნევით  
და გაოგნების უცაბედი ამოხავლება.

2.

შენ რას გაიგებ, სად მიგრირდა დროის დინება,  
ხმები, ხმები და მღელვარეთა შეძახილები  
ამოქოლავენ უთვალავ ყურს, მერე საკუთარ  
ხმაში ჩამხრჩვალეbs აღარ ესმით აღარაფერი,  
და სისხლმემხმარი წერს კალამი, ძველი, სამკუთხა,

რომ უცაბედად შეარყია ღელვამ გემბანი  
და გადაეშვი შუა ზღვაში და ყველაფერი  
გასაგებია, ამავე დროს გაუგებარი.

სადღაც მიცურავ, მოასვენებ დაღლილ კიდურებს,  
განვები ზურგზე, იტივტივებ, დასაფიქრებლად  
რჩება რაღაც დრო, ცდილობ, ამ დროს რომ აენებო  
მთელი არსებით, ჰორიზონტი ვიდრე ყულფივით  
დავინროვდება, თვალს დახუჭავ, რათა ეძებო  
საყრდენი შენში, რადგან გარეთ აღარ არსებობს  
აღარაფერი, მხოლოდ სივრცე მუდამ გულგრილი  
და ზედაპირზე მოტივტივე ყოფის ნავავი,  
მეტი რა გზაა, დროს იზოგავ, ებლაუჭები  
წუთებს, რატომღაც რომ შემოგრჩა გაუფლანგავი.

და რაც ამჟამად იბადება, მუდამ მზად არი  
თავგანწირვისთვის და აწყვები ახალ ნაპირებს,  
შენი სიტყვები ნიჩბებია, ისმის დგაფუნი,  
ბედს მინდობილი არსებობის აღმოსაჩნად,  
შემოდგომაში გადაცურდა ყველა ზაფხული  
და ზურგის ქარი იალქნებად, ფერად აფრებად  
აედევნება ყველა ბალს და ყველა თაობას  
და შენ რატომღაც ყველაფერი გეარაფრება.

ხმები, ხმები და მღელვარეთა შეძახილები,  
მზიან სივრცეში აშენებენ ხმების ყორეებს  
და გაუმადრებს იდეების ცივ სალაფავით  
და ტალღებით აფოფრისებს არც ახსენდებათ,  
რომ ხორხი ჩვენი იმ სიტყვების არის საფლავი,  
ალტკინებამ რომ ამოყარა, როგორც კენჭები  
და შენ აბიჯებ საკუთარ გულს და ნაბიჯები  
ხმებს გამოსცემენ ორჭოფობის და შეეჭვების,

რომლებიც სივრცის წყალთაშუა იკარგებიან,  
რადგან მიზანი არ არსებობს სინამდვილეში  
და ქიმერამდე ვერ მიიღწევ და არ შესტირი,  
იმ გზას, სადღაც რომ დაიკარგა და იკვეთება  
გაურკვევლობის გარკვეული ორიენტირი  
და რთულ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებებს  
გკარნახობს მორხეს მოკაკუნე მრავალწერტილი.

აი, ფანჯარა და ხსოვნაში აღარ შეაღებ  
და სიმშვიდიდან ამოზრდილი ბავშვის თვალები,  
შეშინებული საკუთარი გამჭვირვალებით,  
კედლების იქით და ჭერს იქით ხედავს გამჭოლად  
და დრო, ჩაკარგულ ფიგურების თავგადასავლებს  
აქცევს სიზმრების ფრაგმენტებად და მონაჭორად.

ხმები, ხმები და მღელვარეთა შეძახილები  
და თვალში ფიქრი, ფიქრში სიტყვა ნაუკითხავი,  
ხეივანის მღვიმე, სკვერის ვარდი, ბოლთა, გაზონი  
და უთვალავი გულისცემა, მრავალ წამმზომით,  
ითვლის თანაბარ აჩქარებით წუთებს, საათებს  
და არ იღლება, აწყვეტილი რიტმი დინებით,  
წაილილინებ უთქმელობის გაურკვევლობას,  
და ყველა სიტყვას გააუქმებ წაილინებით.

გია ჯოხაძე

## „ამ სულ სხვა ხმელეთია...“\*

პაატა და როსტომ ჩხეიძეები ელიოტმა ჯერ კიდევ მაშინ გააერთიანა, როცა პოეტის ფენომენი მხოლოდ სპეციალისტებს თუ უმძიმებდა ტვირთს და ეს პრივილეგიად არ ქცეულიყო. ამ დროის ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილებად მახსოვს ელიოტის საეტაპო ესეის „ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება“ მათეული თარგმანი: რომ შემოქმედებითი ემოცია უპიროვნოა და პოეტი ვერ ეზიარება უპიროვნობას, თუ მთელი არსებით არ შთაინთქა პოეზიაში; რომ თუ მხოლოდ ანწყობი იცხოვრებს და არ იცხოვრებს წარსულში ისე, თითქოს ანწყო ყოფილიყო, ვერ მიხვდება, რა უნდა შექმნას; რომ ვიდრე არ შეიცნობს არა მარტო იმას, რაც მკვდარია, არამედ იმასაც, რაც სწორედ ახლა ცოცხლობს, პოეტური ფიასკო ელის და ა.შ.

და მაინც, რატომ იქცა ელიოტი არა მხოლოდ ამ ტანდემის (პაატა და როსტომ ჩხეიძეები) დემიურგად?

საქმე ის იყო და, საბედნიეროდ, ის არის, რომ ელიოტის მოქმედების ჟინი და ნება, ინტელექტი, სარკაზმი ნუსხავდა პუბლიკას, რომელიც, თავის მხრივ, იძულებული იყო, ახალი ორიენტირები მოემარჯვებინა. მაგ; კიპლინგი ცუდი პოეტია, მაგრამ კარგ ლექსებს წერსო, – იტყოდა და კიპლინგის პოეტური რენომე იმცრობოდა. ესეიში „ვინ არის კლასიკოსი?“ წინააღმდეგი იყო, ჯონ დონისთვის კლასიკოსი ეწოდებინათ (არადა, თავის დროზე, სწორედ ელიოტმა დაამკვიდრა დონის კულტი!). არც შექსპირისთვის ემეტებოდა კლასიკოსის წოდება. ასეთად მხოლოდ ვერგილიუსს მიიჩნევდა. შექსპირის „ჰამლეტსაც“ ესეიში „ჰამლეტი და მისი პრობლემები“ არათუ შედევრად, არამედ – ავტორის ყველაზე დიდ წარუმატებლობად თვლიდა. საკუთარი კოსმოგონიისთვის ბლეიქს განაქიქებდა: მასთან თავს ისე გრძნობ, როგორც – სამზარეულოში, სადაც მაგიდა და სკამები პატრონს თვითონ გამოეთალოს. კარგია, მაგრამ განა არ აჯობებდა, ავეჯი მალაზიაში შეეძინა და თვითონ უფრო გონივრული საქმისთვის მოეკიდა ხელი? – კითხულობდა ელიოტი.

თვითონ ხომ ხშირად სარგებლობდა ამ ე.წ. „მალაზიით“ – ელიზაბეთისდროინდელი ავტორებით, ანტიკურობით, ფრანგი პოეტებით, ჰენრი ჯეიმზით, „უპანიშადე-

### ტომას სტეინს ელიოტი

ათი ესეი

T. S. ELIOT Ten Essays



ბით“, ბიბლიის ციტირებისგან ჯერგა-უცვეთელი ფრაგმენტებით... ელიოტმა შექმნა არა მხოლოდ ლექსები და პოემები (გენიალურია თუ არა ისინი, ეს სცდება რესპექტაბელური დისკუსიის ფარგლებს), არამედ – ახალი კანონი, თუ გნებავთ, შაბლონი, რომლის მეშვეობით ახერხებ, განარჩიო ხორბალი ღვარძლისგან, თხა – ცხვრისგან, ლექსი – მისი მეტნაკლებად კეთილსინდისიერი იმიტაციისგან... და ამ შაბლონით მან საუნივერსიტეტო პროფესურა შეაიარაღა.

ელიოტის მიერ მორგებული წინასწარმეტყველის მანტია მომგებიან პოზიციას უქმნიდა თვით პოეზიას. ელიოტის გამოჩენა უკვე იმას ნიშნავდა, რომ მან კარგად იცის, რა სჭირდება თანამედროვე პოეზიას.

ჩემი აზრით, აი, ამან, რასაც ხშირად ლიტერატურტრეგერობას ეძახიან, აქცია ელიოტი ელიოტად.

ამის შემდეგაც და მას მერეც, რაც პაატა და როსტომ ჩხეიძეები ელიოტს ხამუშ-ხამუშ ქართულად „ათარგმანებდნენ“, დიდი დრო გავიდა. და აი, ჩვენს წინაშეა ელიოტის ესეების თარგმანთა კრებული, რომელიც ავტორებმა თვით ელიოტს დაამსგავსეს. ეს კრებულიც არაკანონიკურია. აქ „მეტაფიზიკოსი პოეტებისა“ და „ლანსელოტ ენდრიუსის“ გარდა ელიოტის კარგად მცოდნე მკითხველიც კი ვერ აღმოაჩენს პოეტის ყველაზე ცნობილ პროზაულ ოპუსებს. გარდა იმისა, რომ ესეთა წვდომა და გაცნობიერება მოითხოვს ინგლისის ეკლესიის, დრამატურგიის, მეტაფიზიკური სკოლის, ბრედლისა და ჰობსის ფილოსოფიის, ფრანგული ლიტერატურის ცოდნას, ასევე – მზაობას, რომ ადრეული შეხედულებანი ამა თუ იმ ფიგურაზე პასიურ მესხიერებაში გადაისროლო და ახალი იერარქია აღიარო;

ამდენად, არაკანონიკურია ესეთა შინაარსიც.

ასეა დედოფალ ელიზაბეთის ფავორიტი ეპისკოპოსის, ლანსელოტ ენდრიუსზე (1555-1626) შექმნილ ესეიში: ელიოტი ვირტუოზული ანტინომიებით ცდილობს, დააცხროს ჯონ დონის როლითა და მნიშვნელობით გამონვეული ეგზალტაცია, შეწყვიტოს ეს გაჭანურებული ანუ ბერნი ტკბობა დ ახალი მოძრაობა წამოიწყოს, ახალი წესრიგი შექმნას. იმხანად, ამ მიზნისთვის ენდრიუსი დასჭირდა და სწორედ ის გამოიყენა. ბოლოს და ბოლოს, ელიოტი დავალებულიც იყო ენდრიუსისგან: ლანსელოტ ენდრიუსის ქადაგების ესეიში მოტანილი ქართული თარგმანიდან ჩანს, რომ ელიოტმა ენდრიუსის მთელი აბზაცი გამოიყენა თავის შედევრში „მოგვთა მოგზაურობა“. შევა-

\* ტ. ს. ელიოტი, „კაცის ფიტულები“

დართო: ქადაგების ფრაგმენტის პაატა და როსტომ ჩხეიძისეული თარგმანი:

**„ზაფხული გასულიყო. წელიწადის ამ დროს სიცივე იწყებოდა. ეს წელიწადის ყველაზე უარესი დრო იყო სამოგზაუროდ და, განსაკუთრებით, თუ ხანგრძლივ მოგზაურობას დააპირებდი. ტალახიანი გზები, მკაცრი ამინდი, მოკლე დღეები,.... „ნამდვილად მკვდარი ზამთარი“...“**

ელიოტის ლექსის „მოგვთა მოგზაურობას“ ჩვენეულ თარგმანს:

**დავიძარი და აცივებაც დაიწყო მაშინ,  
მგზავრობისათვის, მით უმეტეს, ამ ხანგრძლივი  
მგზავრობისათვის,  
ყველაზე ცუდ დროს – მთელ წელიწადში.  
გვიფლობდა თოვლი და გვკბენდა ქარი,  
იღვა ზამთარი.**

იგივე მეტასტაზი მსჭვალავს ესეის ანგლიკანიზმის დამცველ ეპისკოპოსზე, ჯონ ბრომჰოლზე (1594-1663): ელიოტს ბრომჰოლის ისტორიაცა და პოლემისტიკაც იმისთვის სჭირდება, რომ გადააფასოს ჰობსის ფილოსოფია.

იაკობინელ დრამატურგსა და პოეტზე, თომას მიდლტონზე შექმნილ ესეიში მიდლტონს ირიბად შექსპირს უპირისპირებს და ირიბადვე მიდლტონის მხარეს იხრება: თავისი ტრაგედიების ბოლოს შექსპირი საკუთარ თვალსაზრისს გამოთქვამს. მიდლტონი კი მხოლოდ ხმად, სახელად, თავისი ტრაგედიების ავტორად რჩება ანუ იმპერსონალური. ყოველივე ეს იმდენად ესადაგება ელიოტის ფორმულას, რომ პოეტი უნდა იყო პიროვნულობისგან თავისუფალი, პერსონიფიცირებისგან განძარცვული, რომ პირდაპირ გრცხვენია შექსპირის გამო... მიდლტონი თავის პიროვნებას მეტაფიზიკურ „მეს“ სწირავს და ამიტომ ახალ იერარქიაში ელიოტი მას უთმობს ადგილს.

ესეიში, რომელიც ინგლისელ მეტაფიზიკოს პოეტს, ბრწყინვალე ელნისტსა და ლათინისტს, იტალიურისა და ესპანურის მცოდნეს, მუსიკოსს, მხატვარსა და გრაფიკოსს რიჩარდ ქერშოუს (1613-1649) ეძღვნება, ელიოტი პოეტის ფიგურას იმისთვის იყენებს, რომ პოეტთა იერარქიაში კიტისა და შელის ადგილი შეარყიოს, მეტიც: პირდაპირ თქვას, რომ ისინი არც თუ ისე დიდი პოეტები არიან, როგორც მიაჩნიათ.

ასე ხდება „ნიკოლო მაკიაველიში“, სადაც მაკიაველი ყველაზე ნაკლებ „მაკიაველისტად“ ცხადდება; „ფრენსის ჰერბერტ ბრედლიში“, სადაც ინგლისელი კრიტიკოსისა და მწერლის ჯონ რასკინისა (1819-1900) და ასევე, ინგლისელი პოეტისა და კულტურის კრიტიკოსის, მეთიუ არნოლდის (1822-1888) გადაფასების ხარჯზე ცდილობს ბრედლის ნაზრევისადმი ყურადღების მიპყრობას; ესეიში „ბოდლერი ჩვენს დროში“, სადაც ბოდლერი არც ვნების მგზნებარე თაყვანისმცემელია და არც – სასტიკი და ისტერიული, პირიქით, მას ურთულესი ქრისტიანული სათნოებისთვის – მორჩილებისთვის – მიუღწევია; და ა.შ. არის კიდევ რამდენიმე ესეი, რომლებშიც მე დავინახე ელიოტის მატრიცის მომარჯვების ცდა... რასაკვირ-

ველია, არავინ იცის, გულისგულში რას ფიქრობდა თვით ელიოტი (თვალთმაქცობა ხომ პოეტის ღირსებაა და არა – ნაკლი!), მაგრამ ასე წერდა და ასე ქმნიდა ახალ წესრიგს.

სამწუხაროდ, მე კრებულში შესული ერთადერთი ესეის ორიგინალზე მიმინვდა ხელი და მთარგმნელთა ოსტატობაზე მხოლოდ მასზე ზერეულ დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილება შემიძლია გაგიზიაროთ. ესაა „მეტაფიზიკოსი პოეტები“, რომელიც ყველაზე მეტადაც მომეწონა. საუკეთესოადაა ნათარგმნი ტენისონის ლექსი „მიაბიჯებდა ვილაც თავის ცოლ-შვილთან ერთად...“; ჩემი აზრით, მშვენიერი ქართული შესატყვისია მოძებნილი ელიოტის ერთი პნკარისა „Mr. Grierson's book is in itself a piece of criticism, and a provocation of criticism;“ ქართულად თარგმნილია ასე: „მისტერ გრიერსონის წიგნი ნაწილობრივ, კრიტიკასაც მოიცავს და აგულთანებს კიდევ კრიტიკას;“ მე სწორედ ეს „აგულიანებს“ მომეწონა;

შესანიშნავადაა თარგმნილი ქაულის ლექსი, რომლის ერთ სტროფს ილუსტრაციადაც გამოვიყენებ: ორიგინალშია

**On a round ball  
A workman that hath copies by, can lay  
An Europe, Afrique, and an Asia  
And quickly make that, which was nothing, All...**

ლექსში ნათქვამია, რომ მრგვალ ბურთზე, რომლის მსგავსსაც მუშა ამზადებს, შესაძლოა განლაგდეს ევროპა, აფრიკა და აზია

და უმალ ის, რაც არაფერი იყო, ყველაფრად გადაიქცევა; ამ „უმალ“-ს აქ ვერაფერი ჯობს!

ესეიში მოტანილია ბენჯამინ ჯონსონის ლექსის ერთი ფრაგმენტი, რომელშიც არის სიტყვები: „Barren strand“. აქ მთარგმნელები, ალბათ, ელიოტის ალუზიამ გაიტაცა და ეს სიტყვები თარგმნეს, როგორც – „უწყალო მიწა“ (ელიოტის პოემის სათაური), თუმცა, უნდა შევნიშნო, რომ strand, როგორც მახსოვს, უმალ სანაპირო ზოლია, ნაპირია, ის ადგილია, მიქცევ-მოქცევას რომ აშუალებს... ეგებ, ამას ჰქონდეს მნიშვნელობა კონტექსტისთვის ანუ იმისთვის, ადამიანს სიკვდილმა თუ ბედისწერამ რომ გაწუსაზღვრა;

ესეიში ნახსენებია XVIII საუკუნის ინგლისელი პოეტი ქინგი, რომელსაც ელიოტი უწოდებს „Bishop King“-ს და მთარგმნელებსაც პირდაპირ გადმოაქვთ: „ბიშოპ კინგის ლექსში...“ ან „ბიშოპი ამჟღავნებს დიდ მოუთმენლობას...“ და ა.შ. საქმე ისაა, რომ ელიოტი აქ გულისხმობს ინგლისელ პოეტ ქინგს (1592-1669), რომელიც ლონდონის ეპისკოპოსის ვაჟიც იყო და თვითონაც მიეღწია ქენტურბერის პროვინციაში მდებარე ჩიჩისთერის ეპისკოპოსობისთვის. ამიტომაც, მგონია, რომ უნდა ითარგმნოს: „ეპისკოპოს ქინგის“, რადგანაც ქინგს სახელად ჰენრი ერქვა;

ესეიში ნახსენებია ჯონსონი, რომელმაც შემოიტანა ტერმინი „მეტაფიზიკოსი პოეტები“ და რომელიც ამბობდა, რომ დონთან, კლივლენდთან, ქაულისთან ძალზე განსხვავებული იდეები ძალად არის ერთმანეთთან მიტმასნილი; „მიტმასნილის“ ორიგინალური ადეკვატი გახ-

ლავთ სიტყვა „ოკე“, რაც, როგორც მახსოვს, ნიშნავს შერწყმას, შეთანადებას; კონტექსტშიც, მე მგონი, ნაძალადევი შერწყმა იგულისხმება და არა – მიტმასნვა.

ესეიში ნათქვამია, რომ „ძნელია, იპოვნო ერთი ზუსტად ხმარებული მეტაფორა, სიმბოლი ან სხვა კონსიტი“... და ა.შ.

ორიგინალში მოტანილი simili მე მგონი, არის „შედარება“, როგორც – სტილისტური ხერხი, ხოლო conceit გახლავთ „იდუმალი პოეტური სახე“. ჩემი აზრით, ამ სიტყვების ამგვარად თარგმნა უფრო სწორი იქნებოდა;

რამდენიმე ფორმა: მაგ; „გაჰქრა“, „შეერწყოს“, თუ მთარგმნელები მათ ე.წ. „პოეტური ლიცენციის“ გამოვლინებად არ მიიჩნევენ, შესაძლოა, ასეც გვეთქვა: „გაქრა“ და „შეერწყას“...

ერთი რეპლიკაც:

კრებულს ასრულებს ამერიკელი ისტორიკოსისა და ლიტერატურის კრიტიკოსის, ელიოტის, ემერსონის, სინკლარ ლიუსის, მელეილის, ტოროს, უიტმანის მკვლევრის, ფრენსის ოტო მატისენის (1902-1950) ოპუსი „როგორ

უკავშირდება პოეტის აზრი მსმენელის წარმოსახვას?“, რომელშიც ბევრი საგულისხმო დაკვირვებაა ელიოტის ალუზიებსა და პოეტურ ექსპერიმენტებზე; აქვეა ოთარ ჩხეიძის შესანიშნავი თარგმანი ელიოტის პოემის „იავარქმნილი მინის“ ერთი თავისა „ჭადრაკის თამაში“...

ტექსტს ამშვენებს ელიოტის ლექსი „იისფერ საათს, როცა თვალები და ზურგი ზემობრუნდება საწერი მაგიდიდან...“. მასთან დაკავშირებით სქოლიოში წერია: „ლექსისა პნკარედული თარგმანი მოგვაქვს...“ ამ მინაწერმა, მართალი გითხრათ, ხუმრობის გუნებაზე დამაყენა და ესეც კი მაფიქრებინა: იქნებ, ეს „ლექსისა“ იმ საქვეყნოდ ცნობილ ოთარ ჩხეიძისეულ „ა“-დ ჩაგვეთვალა, რომელმაც ბატონი ოთარის წიგნები მათაც კი ნაკითხა, ვისთვისაც კითხვა ყავლგასული ღირებულებაა.

და ბოლოს: მადლობა პაატასა და როსტომს, რომ ზოგადად, თავიანთი სალიტერატურო ღვაწლითა და კერძოდ, ელიოტის სიყვარულით უპასუხებენ ჩვენს დროში ვირტუალურ ლოზუნგად გამოკიდულ მკრეხელურ კითხვას: „რა საჭიროა პოეზია?“

მომონებათა სკიპრი

ნოდარ ცერცვაძე

# სერგო ზაქარიაძე და ჩვენი ეზო

ღმერთმა მარგუნა იღბალი და ბედნიერება დავბადებულისა და ბავშვობის წლები გამეტარებინა იმ სახლსა და ეზოში, სადაც ცხოვრობდა დიდი ქართველი მსახიობი სერგო ზაქარიაძე და სადაც ოთხი წლის შემდეგ დაიბადა მისი ერთადერთი ვაჟი, შემდგომში ჩემი უახლოესი მეგობარი, გუგა. ეზო და უბანი იმდენად ლამაზი და თავისებურად საინტერესო იყო, რომ იმსახურებს მცირე აღწერა-დახასიათებას.

ეზო იყო ოთხკუთხა ფორმის, ასიოდე კვადრატული მეტრის ფართის მქონე, შუაში წყლის ონკანითა და აგურის პატარა აუზით. გარშემო ორ და სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები გარშემორტყმული იყო ღია რიკულებიანი აივნებითა და შემინული შუშაბანდებით. მისი დამამშვენებელი, სპეციფიური და განმასხვავებელი ყველა სხვა ეზოებისგან იყო სამივე სართულის შემაერთებული ხის ხრახნისებური კიბე გადახურული ხისავე ქოლგით. ერთი სიტყვით, ტიპიური ძველთბილისური ეზო იყო, როგორცაც დღეს რატომღაც „იტალიურ ეზოს“ ეძახიან. იმდენად ჰქონდა შემორჩენილი ძველი იერი, რომ ჩემი იქ ცხოვრების პერიოდში და მერეც, რამდენიმეჯერ გადაიღეს ძველი თბილისის ცხოვრების ამსახველი კადრები სხვადასხვა ფილმებისათვის („პეპო“, „დღე პირველი-დღე უკანასკნელი“ და სხვა).

ჩვენი მრავალფაზიანი და მრავალეროვანი სახლი მდებარეობდა „ზემელის“ (ახლანდელი რუსთაველის მოედნის) მიმდებარე ტერიტორიაზე. ზემელიდან მოსკოვის ქუჩის (დღევანდელი „ძმები კაკაბაძეების“) აყოლებაზე პირველივე შესახვევი მარჯვნივ არის ბარნოვის ქუჩა, ხოლო ბარნოვზე პირველი მარცხენა განტოტება არის „გურიის შესახვევი“, ვინრო, ერთი მანქანის ძლივს შესატევი შუკა.

ჩვენი სახლი და ეზო მისაგნებად და ასახსნელად ადვილი იყო: „მოსკოვისა და ბარნოვის ქუჩების გადაკვეთაზე, მეტროს უკან“. ამ გადაკვეთაზე ზედა კუთხეში მინისქვეშ ჩასასვლელი სარდაფი იყო, ერთ დროს ნავთის ნერტი, რომელიც შემდგომში მუნიციპალურ ტუალეტად გადააკეთეს. ვილაც ოინბაზმა მოიფიქრა და ჩასასვლელის თავზე დაანერა დიდი რუსული ასო „М“, რაც მოსკოვის მეტროს სადგურების აღმნიშვნელი იყო. ასე და ამგვარად ეს საერთო ჩეჩმა მონათლა როგორც, „მეტრო“ და გახდა თბილისში პირველი და მეტად პოპულარული „მეტრო“, რომლის არსებობა ყველამ იცოდა. ვინრო შუკაში შეხვევისთანავე ოციოდე მეტრში მიადგებთ ჩვენი ეზოს ალაყაფს. ჭიშკრის პირდაპირ, მეორე სართულზე ცხოვრობდა სერგო ზაქარიაძე. სერგო ზაქარიაძის, მისი მეუღლის მერი ქორელის, სიდედრის – ქართული თეატრის პიონერთაგან ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მსახიობის ნუცა ჩხეიძის, სიმამრის – დიდი ქართველი თეატრალური მოღვაწის მიშა ქორელისა და მათი ვაჟის გოგი ქორელის გარდა ამ ეზოში ცხოვრობდნენ: ამალლობელი, ედიშერაშვილი, გვარამაძე, ოქრომჭედლოშვილი, აბდუშელიშვილი, საჩიშვილი, კულიჯანოვი, მიქაძე, თაბაგარი, კერესელიძე, ყაჭეიშვილი, მოდებაძე, ჩხენკელი, კახიძე, ჩხაიძე, ზეიცი, ბაგიროვი, ცერცვაძე, სოკოლოვი, ვაინშტოკი, ქარცივაძე, მეგრელიძე, თარხნიშვილი, ვასაძე და სხვა. მათი აივნები და შუშაბანდები ერთმანეთს

უცქერდა და ვინ მოდიოდა, ვინ მიდიოდა, ვინ ჩხუბობდა, ვინ ქეიფობდა, ვის ვინ მოყავდა და აცილებდა ყველაფერი სამზეოზე იყო გამოტანილი. რაც მთავარია, ზემოჩამოთვლილ ამბებში, რალაც დოზით ყველა მონანილეობდა. მახსენდება ომის პერიოდის (1942 ან 43 წელი იქნებოდა) ერთი ტიპიური შემთხვევა: მარჯანიშვილის თეატრში მორიგი გახმაურებული პრემიერა შედგა. ბ-ნმა სერგომ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და იმ გაუბედურებულ დღეებში სიხარული აჩუქა მაყურებელს. სპექტაკლის შემდეგ ცოტა ხანში, ალბათ 10-11 საათი იქნებოდა ხმაურითა და ალტაცებული შეძახილებით ეზოში შემოვიდა მარჯანიშვილის მსახიობთა გუნდი 4-5 კაცის შემადგენლობით. მახსოვს ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე და შალვა ლამბაშიძე, დანარჩენებს ვერ ვიგონებ. ეზოდანვე გაისმა შეძახილები: „სერგო! ვიცით რომ სახლში ხარ და ვერ დაგვემალები, ასეთი საზეიმო განწყობის დროს მარტო ვერ მიგატოვებთ, გამოგვხედე“. ლამის სიმყუდროვეში ასეთ შეძახილებზე და ხმაურზე მთელი ეზო, მითუმეტეს მისი ცნობისმოყვარეობით გამორჩეული ფრაქცია, გამოეფინა აივნებსა და შუშაბანდებზე. ასეთი მომენტის გაშვება როგორ შეიძლებოდა, ამდენმა სახელოვანმა და მოკაშკაშე ვარსკვლავმა ერთდროულად შემოანათა ჩვენს პატარა ეზოში. ბ-ნი სერგო გადმოდგა მეორე სართულიდან და სტუმრები შეიპატიჟა შინ. ეზოში ატყდა ალიაქოთი, რალაცა უნდა ელონათ და გამოეყვანათ ოჯახი ამ ლამის თავდასხმისაგან. დედამ სასწრაფოდ მოზილა წინა დღით ბებიასა და ბაბუას გამოგზავნილი ფეკილი, დააკრა მჭადი (პურს ბარათებით გვირიგებდნენ 400 გრამს სულზე და, ცხადია, პური არავის ექნებოდა) და ჩემი უფროსი დის, ლეილას ხელით გაუგზავნა ზაქარიაძეებს. მამამ იმ პერიოდში შამპანური ღვინოების ქარხანაში მუშაობდა და შამპანური სულ გვექონდა სახლში. მამამ სასწრაფოდ ოთხი თუ ხუთი ბოთლი შამპანური ჩამინყო ჩანთაში და გამატანა ბიძია სერგოსთან. კახიძეებიდან ბიძია ვასო გამოვიდა მძიმე ნაბიჯებით და ქვებით რალაც ხორციანი კერძი მიართვა (ბიძია ვასო ვეტერინარი იყო და ხანდახან ხორცს შოულობდა, რაც მაშინ დიდი იშვიათობა იყო). ჩხენკელებს ლობიო აღმოაჩნდათ, ქარცივაძეებს – ყველი და ერთი სიტყვით, ომის პირობაზე მშვენიერი სუფრა გაიშალა. მე პატარა ვიყავი და მალე დამეძინა. მეორე დღეს ჰყვებოდნენ, რომ გათენებამდე მშვენივრად მოუღებინათ.

ჩვენი პატარა ეზო იყო ბავშვების გასართობი ძირითადი ასპარეზი, სადაც ვთამაშობდით: ფეხბურთს, კალათბურთს, წრეში ბურთს, ვისი სული გსურს, ჩიკორს, ჩირკა ჯოხს, ომობანას, მრგვალ ვირს, გრძელ ვირს, ლახტს, „ზდრასტი ასიოლს“, „დეა უდარას“, დამალობანას, დაჭერობანას, ასფალტზე დახაზულ კლასობანას, ავჭალურს (ფეხით ბურთის ან ნაჭერში გამოკერილი ლობიოს ან სიმინდის პარკით კენწეულას), **где сапожник живет, Гуси, гуси домой** და სხვა. ისეთი თამაშებისას, სადაც ორი მოწინააღმდეგე გუნდი უნდა შექმნილიყო, ანუ გუნდური თამაშებისას იწყებოდა მონანილეთა გაყოფა. ერთ-ერთი დაიძახებდა: „არჩევანი მე“, რაც მას ანიჭებდა პირველი არჩევანის უფლებას. ვინმე დაიძახებდა: „არადანი მე“, ანუ შემდგომი არჩევის უფლება მას ერგებოდა.

მაგრამ პირველი არჩევის უფლებას ძნელად თმობდნენ და ამისათვის არსებობდა შეძახილი: „ნოლ ბიუ“. ე.ი. პირველი არჩევანის უფლება მასთან გადადიოდა. არსებობდა კიდევ უფრო ძლიერი და ყველა უფლების გადამჯოკრავი ფრაზა: „მარქს-ენგელს ბეზ ოჩერედ“ და ვინც ამის თქმას სხვას დაასწრებდა, ის იწყებდა ყველაზე გამორჩეული მოთამაშის აყვანას.

ხშირად უკვე აზარტში შესული თამაშის დროს ეზოში შემოდიოდა ხოლმე ბიძია სერგო. ისე ვერ მიაღწევდა მეორე სართულზე ასასვლელ კიბემდე ეზო რომ არ გადაეჭრა. შეჩერდებოდა, ცოტა ხანს გვითვალთვალვებდა, აინტერესებდა რითი ვერთობოდით და ვინ რისი მაქნისი იყო, მითუმეტეს თუ თამაშში ჩართული იყო გუგა. როგორც ყოფილ ფეხბურთელს, განსაკუთრებით უყვარდა ჩვენი ფეხბურთის ყურება. ბავშვებისთვის ხელი რომ არ შეეშალა ელოდა, როდის შეჩერდებოდა შეჯიბრი და დაიძრებოდა კიბეებისკენ. თვალწინ მიდგას მისი დამახასიათებელი, არავის რომ არ ჰგავდა, სიარულის მანერა: ოდნავ წელში მოხრილი, ცალი მხარი წინ წაწეული, თავი მაღლა ამართული. დადიოდა ჩქარი და დიდი ნაბიჯებით. კიბეზე თითქმის ყოველთვის თითო საფეხურის გამოტოვებით ადიოდა.

მთელ ჩვენს ეზოში ბიძია სერგო ყველაზე მაღალი და ბრგე იყო და ამიტომაც ჩემს პატარაობაში ყველაზე ღონიერიც მეგონა. იმის დასამტკიცებლად, რომ ამაში არ ვცდებოდი, გავიხსენებ პატარაობის წლებიდან ყველაზე მძაფრ შთაბეჭდილებად შემორჩენილ ერთ ისტორიას. 1936 თუ 1937 წელს საახალწლო ნაძვისხეები იდგმებოდა და ირთვებოდა. ბიძია სერგომ იმხელა ნაძვის ხე მოიტანა, რომ მისი წვერი ოთახის ქერს ეხებოდა. მყარად რომ მდგარიყო მისი საკმაოდ სქელი და მძიმე ჯვარედინი სადგომი იატაკზე დააჭედეს. ბიძია სერგომ ნაძვის ხე თავისი ხელით გაკეთებული, საკმაოდ ორიგინალური სათამაშოებით მორთო: გულტაპერჩის პატარა დათუნები, ბატები, გედები, ციყვები, კურდღლები შუაზე, გადანებების ადგილზე გადახსნა, შიგ ნათურები შეიყვანა და ისევე შეანება. ერთი სიტყვით ძალიან ლამაზი და რაც მთავარია ფრიად ორიგინალური ნაძვის ხე გამოვიდა. ნაძვის ხის ზეიმზე გარდა ნათესავებისა და ახლობლებისა ეზოს ბავშვებიც დაგვპატიჟეს, ბევრი ვუარეთ გარშემო ნაძვის ხეს და ბევრი ვიმღერეთ:

**Ёлочка, ёлочка, как ты нам мила  
Сколько счастья радости ты нам принесла.**

ფერხულს თავში გოლიათური აღნაგობის ბიძია სერგო ედგა და მისი დადგმული მიზანსცენებითა და დირიჟორობით ტარდებოდა საღამო. განსაკუთრებულად ჩამრჩა მესხიერებაში ბიძია სერგოს მოშვევული სქელი შავი წვერი და უღვაშები, რაც კინოფილმ „დარიკოს“ გადაღებებისათვის სჭირდებოდა, სადაც ბიძია სერგო სიმონას როლს თამაშობდა. ასეთ შავ წვერ-უღვაშა თოვლის პაპა მანამდე არსად მენახა და ამიტომაც დამამახსოვრდა ასე კარგად.

ბიძია სერგომ ძალიან გავგამხიარულა, გვაცეკვა, გვამღერა, გვათამაშა და რაც მთავარია ოთხი წლის გუგა

იმდენად კმაყოფილი დარჩა და იმდენად მოეწონა ნაძვის ხის ირგვლივ გართობა, რომ ნაძვის ხის ქვეშ დაძინების სურვილი გაუჩნდა. გამოუტანეს პატარა საწოლი და დაუდგეს ნაძვის ქვეშ და ის ღამე შიგნიდან განათებულ თეთრ დათუნიებთან, ციყვებთან და გედებთან ერთად ეძინა. დილაადრიან უფროსებს შემოესმათ გუგას სიცილი და აღტაცებული შეძახილი: „მამა! მამა! ნახე გედი თავს რა სასაცილოდ აქნევს და რაღაც ხმებს უშვებს“. გამოცვივდნენ უფროსები და დაინახეს, რომ გედი მართლა ქინდრავდა გრძელ კისერზე მიბმულ თავს. თურმე გუტაპერჩის გედმა შიგ შეყვანილი ელექტრონათურისგან გადახურების გამო დაიწყო დარბილება და თავის თანდათან ძირს დაშვება. უფროსების შემოსვლისთანავე რამდენიმე სათამაშო ერთდროულად აფეთქდა და ცეცხლი მოედო ნაძვის ტოტებზე მიმოზნეულ ბამბის ფიფქებს და სწრაფად გადავიდა შემხმარ წინვებზე. ბიძია სერგო არ დაბნეულა, დასტაცა ხელი ბავშვის საწოლს და მოაშორა ცეცხლის კერას, ბოლომდე გააღო ოთახის ორივე კარი, გავარდა შუშაბანდში, ფართოდ გახსნა ეზოში გამავალი ფანჯრები, შებრუნდა ცეცხლმოდებულ ნაძვთან და უცნაური, ძალიან მოხერხებული რაღაცნაირი მოძრაობით აგლიჯა იატაკზე დაჭედებული ალში გახვეული ნაძვის, ჩემს თვალში უზარმაზარი ხე და ისროლა ეზოში. ამას ყველაფერს ხანძრის გაჩენის ყვირილები გაღვიძებული და ფანჯრებში გადმომდგარი ცნობისმოყვარე მეზობლები ვადევნებდით თვალს. ბიძია სერგო ისეთი სისწრაფით მოძრაობდა და ისე წამიერად გააკეთა ყველაფერი ეს, რომ ვერავინ მოასწრო მიხმარება. ხანძრის საშიშროებამ გაიარა, მაგრამ ბიძია სერგოს ცეცხლთან შეჭიდებისას შეეტრუსა წვერი, უღვაში და თმები და რაც მთავარია მიიღო სახის დამწვრობა. მთელი დღის განმავლობაში მეზობლის ქალები გაუთავებლად ფუსფუსებდნენ ზაქარიაძეების შუშაბანდში და ბიძია სერგოს სახეზე ხშირ-ხშირად უცვლიდნენ რაღაც საფენებს. ამის შემდეგ უფროსებისგან გავიგე, რომ კარგა ხნით შეჩერებულა „დარიკოს“ გადაღებები.

იმ დღის შემდეგ ბიძია სერგო ჩემს თვალში გახდა ულონიერესი, დაუმარცხებელი გმირი.

ქორელი-ჩხეიძე-ზაქარიაძეების ერთიანი დიდი ოჯახიდან ომში არავინ გაუწვევიათ, მაგრამ მაინც ვერ გადაურჩნენ უამრავი საბჭოთა უკუღმართობებიდან ერთერთ დიდ უბედურებას. ომის წინა წლებში მათი ოჯახის წევრმა გოგი ქორელმა (ბ-ნი სერგოს ცოლისძმამ) ცოლად შეირთო ჩვენი მეზობელი, გერმანული წარმოშობის, მაღალი, სპორტული აღნაგობის, კოხტად აწყობილი ლილი ზეიცი. შეეძინათ არაჩვეულებრივად ლამაზი გოგონა, რომელსაც დაარქვეს ირინა და რომელიც გახდა მთელი ეზოს უსაყვარლესი და მოსაფერებელი ბავშვი. ირინას მშობლები მსახურობდნენ და ბავშვზე ზრუნვა მთლიანად აიღო ბებია, ქ-ნმა ნუცამ, რომელსაც ასაკის გამო აღარ აწუხებდნენ თეატრიდან და კინოდან. ბებია შვილიშვილს მოფერებით ცუნცულკას ეძახდა და ჩვენთვისაც ირინა ცუნცულკა გახდა.

გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელები გაეასახლებინათ შუა აზიაში

და ამით თავიდან აეცილებინათ ქვეყნის შიგნით გერმანელების მხრიდან რაიმე გაუგებრობები. გასასახლებელთა სიაში მოხვდა ზეიციების ოჯახიც და რაც მთავარია პატარა ცუნცულკაც, ვინაიდან იმ მომენტისთვის გოგი და ლილი გაცილებულები იყვნენ. ოჯახს მიამაგრეს ერთი სატვირთო ავტომანქანა და მისცეს უფლება რაც ამ მანქანაზე დაეტეოდა თან წაელოთ. ჩვენს ვინრო შესახვევში უკანა სვლით ძლივს შემოეთია მანქანა. დატვირთეს, ძარაზე ავიდნენ გასახლებულებიც და მანქანა წელა დაიძრა. დადგა ცრემლიანი, სულის შემძვრელი და გულის დამამძიმებელი მომენტი: მთელი ეზო გამოფენილი იყო აივნებზე და შუშაბანდების ფანჯრებზე, მეორე სართულის ფანჯრიდან, რომელიც ეზოდან გამავალ ქუჩას გასცქეროდა, გადმომდგარი იყო თეთრთმებ-განწილი, ცრემლიანი ნუცა ჩხეიძე, შვილიშვილისკენ ორივეხელბავანდილი და მთელი ხმით გასძახოდა: „ცუნცულკა! სად მიყავხართ, როგორ მტოვებ!“ კაციან-ქალიან-მილიციელებიანად ყველა ქვითინებდა. ქვის გული უნდა გქონოდა ადამიანს, რომ ამ სურათისათვის გაგეძლო.

ტრაგიკული როლების დიდოსტატს ნუცა ჩხეიძეს ალბათ არასდროს ჰქონია ასეთი მძიმე როლი და არც არასდროს ასე არ შეუსრულებია. თვალი გავაპარე ბიძია სერგოსკენ, დამაინტერესა ასეთ დროს გმირები როგორ იქცეოდნენ: თვალბზე ხელაფარებული პატარა ბავშვივით ტიროდა.

გუგა მე-4 ან მე-5 კლასში იქნებოდა როდესაც ერთ დღეს სკოლიდან ნაჩხუბარი დაბრუნდა, თანაც ისეთი ნაჩხუბარი, რომ მუშტების ნაკვალევი ემჩნეოდა და ვერ დამალა. ბიძია სერგომ დანვრილებით გამოკითხა რაში იყო საქმე, რამ გამოიწვია მუშტი-კრივი. ველარ ვისხენებ რა გამოირკვა, მაგრამ მთავარი აზრი მახსოვს: მონინააღმდეგე არ იყო სწორი და უსამართლოდ მოექცა გუგას და ოჯახური გადაწყვეტილებით აუცილებლად უნდა დასჯილიყო. ბიძია სერგო ხომ არ იკადრებდა პატარების ჩხუბში ჩარევას და მით უმეტეს შვილის გამოქომაგებას და ყველაზე სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება მონახა: უსამართლო და უსინდისი დამნაშავე თვითონ გუგას უნდა დაესაჯა. ამ გადაწყვეტილების აღსასრულებელი პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ მეორე დღესვე ბიძია სერგომ კინოსტუდიიდან მოიტანა კრივის ორი წყვილი ხელთათმანი, დაგვიძახა გუგას და მე და გამოგვიცხადა: „ისწავლეთ ამ ხელთათმანების ხმარება, მიეჩვიეთ, ივარჯიშეთ, დახვეწეთ მოძრაობები – შეტევა დაცვა და როდესაც გუგა მეტყვის, რომ ფსიქოლოგიურადც და ფიზიკურადც მზად არის, მივა მონინააღმდეგესთან და სამართლიან ბრძოლაში გადაუხდის სამაგიეროს. დაიწყეთ ნელი და დამზოგავი მოძრაობები, თანდათან მოუმატეთ ტემპსა და დარტყმის ძალას. აბა თქვენ იცით როგორ მოემზადებით სამართლიანი ბრძოლისათვის“.

თავიდან თვითონ დაგვაცენა ერთმანეთის პირისპირ, ნამოგვაცვა და დაგვიმავრა ხელთათმანები და გვიჩვენა სწორი დგომა. მეორე დღიდან, ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ გუგა და მე ვვარჯიშობდით კრივში ანუ ვცემდით ერთმანეთს. პირველი რაც ვისწავლეთ და რასაც მი-



ვეჩვიეთ ის იყო, რომ მოწინააღმდეგის ხელის მოქნევაზე თვალს აღარ ვხუჭავდით და ჩვენ მოქნეულ ხელს სწორ მიმართულებას ვაძლევდით. მე, როგორც ასაკით უფროსი და მისი სპარინგ-პარტნიორი დარტყმებისაგან თავს ვიკავებდი და საერთოდ თავიდან რაც შეგვეძლო ერთმანეთს ვერიდებოდით. თანდათან ისე გავუთამამდით ხელთათმანებს, რომ აღარ ვზოგავდით ერთმანეთს. ზოგჯერ ზედმეტი მომდიოდა და განანყენებული გუგა ტირილს იწყებდა და გარბოდა სახლში. იქედან ჩემკენ გამოვბოდა გუგას ბებია, დეიდა ნუცა შემდეგი ტექსტით: „არა გრცხვენია ამხელა კაცს, რომ პატარა ბავშვს სცემ? ეს რა თამაშია. სხვა გასართობი ვერ მოიფიქრეთ?“ თავის მართლებას არ ვინყებდი, ვინაიდან ბიძია სერგოსგან მქონდა მიღებული დავალება გუგა მეგარჯიშებინა კრივში ე.ი. ხანდახან მეცემო. აბა ხომ არ შეიძლება, რომ სულ იმას ერთყა ჩემთვის და მე ხელი არ შემებრუნებინა. ზოგჯერ აზარტში შესული ვეღარ ვზომავდი და კარგა ლაზათიანი დარტყმა გამომდიოდა, რაზედაც გუგა ტირილს იწყებდა. ჩვენს შორის ასაკობრივი განსხვავება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ იმის დარტყმაზე მე არ ვტიროდი და ჩემს სახლში იმ დროს არავინ იყო, რომ გუგა დაეტუქსა.

ჩვენმა ვარჯიშმა საბოლოოდ კარგი შედეგი გამოიღო. ერთ დღეს გუგა სკოლიდან თავანუელი, გაღიმებული და ძალიან ამაყი დაბრუნდა და განაცხადა: „ვცემე“. მეორე დღით, როცა ბიძია სერგო კიბეზე ჩარბოდა, მე აივანზე ვიდექი. ამომხედა, გამიღიმა და მარჯვენა ხელი ცერი ჩემსკენ გამოიშვირა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კარგად გიმუშავიათ და გავიმარჯვეთო.

მეცხრე კლასში ვიყავი, როდესაც ბ-ნმა სერგომ დაიწყო მხატვრული კითხვის პროგრამაზე მუშაობა. მალე მოამზადა მხატვრული კითხვის რეპერტუარი, რომელიც ორ-სამ საათს იკავებდა და მოიცავდა შოთა რუსთაველით დაწყებული – მაშინ სრულიად უცნობი პოეტით, ანა კალანდაძით დამთავრებული. მისი ლექსები ჯერ არ იყო გამოქვეყნებული და „პაპიროსის ქაღალდზე“ მანქანით ნაბეჭდი და ძაფით აკინძული ხელიდან-ხელში გადადიოდა და ასე ვრცელდებოდა პოეზიის მოყვარულთა შორის. ერთი ასეთი შეკვრა ბიძია სერგოსაც ჩაუვარდა ხელში და ჩვენც გვაზიარა ანას სრულიად ორიგინალურ და უკვდავ პოეზიას.

ყოველდღე, სკოლიდან მობრუნებული ვხედავდი ზურგზე ხელებანყობილი, საათობით როგორ დადიოდა შუშაბანდში წინ და უკან ბიძია სერგო და როგორ ამოძრავებდა ტუჩებს – ბუტბუტებდა. ვხვდებოდი, რომ რაღაც როლს იზეპირებდა. რამდენიმეჯერ იქვე იჯდა ზაქარიძეების კარის მეზობელი, იმ დროს უკვე სტუდენტი

გოგი კახიძე და თავაულებლად რალაცას ჩასჩერებოდა. ერთ დღესაც სკოლიდან მოსული აივანზე ვიყავი გადამდგარი და ველოდი როდის გამოჩნდებოდნენ ეზოში ჯუანშერი ან ზეიკო ან იურა ან კიდეც სხვა, რომ მოგვეფიქრებინა რაიმე გასართობი. ამავე დროს ჩუმჩუმად, ისე რომ არ გამჟღავნებულყო ჩემი ცნობისმოყვარეობა თვალყურს ვადევნებდი ბიძია სერგოს წინ და უკან სიარულს, ტუჩების მოძრაობას, პერიოდულად ხელეში ჩახედვას, თვალეების ზეცისკენ აპყრობას, იშვიათად ხელის ზემოთკენ აღმართვას. ნუთიერად გამოვიდა როლიდან, ღრმად ამოისუნთქა, თითქოს დაძაბულობა მოიხსნა და ჩემკენ გამოიხედა. დამინახა თუ არა მარტო, უსაქმოდ მდგარი, ხელი დამიქნია, მანიშნა მასთან მივსულიყავი. ადგილიდან მოვწყდი და სწრაფი მოძრაობით გავჩნდი ბიძია სერგოს პირისპირ. მან ჩვეული, ძალიან დამახასიათებელი ღიმილით მკითხა: „ნოდარ! გცალია, რომ ცოტა ხნით მომეხმარო?“ ჩემი თანხმობის შემდეგ გამომინოდა პატარა ბლოკნოტი და ამიხსნა რაშიც უნდა დავხმარებოდი: „დაჯექი სკამზე, გექჩროს ხელში ბლოკნოტი და თვალი ადევნე, სწორად ვკითხულობ თუ არა ლექსს, ხომ არ ვტოვებ რაიმეს, ხომ არ მეშლება. თუ შევჩერდი, არ მიკარნახო სანამ მე არ განიშნებ“.



სერგო ზაქარიადე

ასე დაიწყო ჩვენი ერთობლივი მუშაობა ახალ პროგრამაზე. როგორც ჩანს, კარგად გავართვი თავი დავალებას, რადგანაც ამის შემდეგ რამდენიმეჯერ მიმიპატიჟა დასახმარებლად. როდესაც დაიწყო კონცერტები ერთი შემოსულებლის მონაწილეობით, რაც ძალიან დიდი ხმაურითა და წარმატებებით ტარდებოდა, არც ერთი საღამო არ გამიცდენია. ვიჯექი მეტად ამაყი და უსაზღვროდ ველავდი. მინდოდა ყველას ცოდნოდა, რომ ამ პროგრამის მომზადებაში მეც ვმონაწილეობდი.

ამ საღამოებით სერგო ზაქარიადემ ჩვენში დაიმკვიდრა მხატვრული კითხვის უბადლო ოსტატის სახელი.

1947 წელს დავამთავრეთ სკოლა. მაშინ მოდაში იყო სკოლის გამოსაშვები საღამოების მოწყობა და რაც შეიძლება პომპეზურად. იყო სკოლებს შორის შეჯიბრი და ერთგვარი დათვალეობა, ვინ უკეთეს საღამოს მოაწყობდა. ყველა ცდილობდა რაც შეიძლება საინტერესო, მხიარული და მრავალფეროვანი სანახაობა წარმოედგინა. მე-7 ვაჟთა სკოლის 1947 წლის გამოსაშვები საღამოს დადგმა განახორციელა რუსთაველის თეატრის მსახიობმა, ჩვენმა უფროსმა მეგობარმა ბიჭიკო ანდრონიკაშვილმა. სკოლის დამთავრების საზეიმო კონცერტი გაიმართა პიონერთა სასახლის სცენაზე. კონცერტში სკოლადამთავრებულ ბავშვების გარდა მონაწილეობდნენ მონვეული მსახიობებიც.

იმდენად ხალისიანი სანახაობა გამოგვივიდა და რაც მთავარია ჩვენ თვითონ იმდენად აღფრთოვანებულები ვიყავით, რომ გავთავხედდი და გამოშვების საღამოზე ბიძია სერგოც მოვიპატიჟე. ის ლელვა და აფორიაქება კარგად მახსოვს, როდესაც გავბედე და ბიძია სერგოსთან მივედი სათხოვნელად მოსულიყო ჩვენ გამოსაშვებზე. ეხლა რომ ვიხსენებ იმ დროს, რა ასაკოვანი მეგონა ბიძია სერგო, არა და თურმე ორმოცი წლისა ყოფილა. „შენი სკოლის დამთავრებას მოვესწარი და მაგაზე უარს როგორ გეტყვი. აუცილებლად გეახლება“ – იყო მოკლე და აღერსიანი პასუხი. მართლაც მოვიდა საღამოზე და სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად პირველ რიგში დავესვით. დარბაზი გადაჭედული იყო ჩვენი მეგობრებითა და სტუმრებით. ჩვენს მხიარულ და ხალისიან პროგრამაში ერთი მეტად ორიგინალური ნომერი გვქონდა: მე გამოვდიოდი ავანსცენაზე და ვაცხადებდი: „შედეგა კონკურსი ცნობილ მსახიობთაგან ვინ უკეთესად წაიკითხავს ბართაშვილის ლექსს „მერანი“. ამის შემდეგ სცენაზე გამოდიოდა ჩვენი კლასელი, უნიჭიერესი ნორჩი მხატვარი და კიდევ უფრო ნიჭიერი იმიტატორი გოგი თოთიბაძე და კითხულობდა „მერანს“ ისე, როგორც ამას წაიკითხავდნენ აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ჟორა შავგულიძე, ვასო გოძიაშვილი, კუპრაშვილი და ბოლოს სერგო ზაქარიაძე. ყველა მათგანს საოცრად ზუსტად ბაძავდა როგორც ხმით, ისე შესტიკულაციით, მიმიკითა და სიარულის მანერით. თვალი რომ დაგვეხუჭათ (იმიტომ რომ გოგი ყველა მათგანზე დაბალი იყო) სრული ილუზია გექმნებოდათ რომ მართლაც ეს ჩამოთვლილი არტისტები გამოდიოდნენ სცენაზე. დარბაზში გამაყრუებელი სიცილხარხარი და ოვაციები იყო. დაამთავრა თუ არა გოგიმ ზაქარიაძის ხმითა და შესტებით „მერანის“ კითხვა და ოდნავ ჩაცხრა მაყურებლის რეაქცია, გამოვედი კვლავ ავანსცენაზე და მაყურებელს ვამცნე: „დღეს ჩვენთან სტუმრად იმყოფება ნამდვილი ბ-ნი სერგო ზაქარიაძე.“ ამის გაგონებაზე ტაშით კინალამ დაინგრა დარბაზი. საქმე იმაში გახლდათ, რომ ორიოდ წელი იქნებოდა რაც ბ-ნი სერგო არავის ენახა სცენაზე რაიმე როლში და ახალგაზრდობას ძალიან მოეწონებოდა. მცირე სინყნარით ვისარგებლე და ბ-ნი სერგოს მივმართე: „ბ-ნი სერგო ხომ არ ამობრძანდებით სცენაზე და მოგვილოცავთ სკოლის დამთავრებას?“ ბ-ნი სერგო წამოიმართა ადგილიდან და დაიძრა სცენისაკენ. კვლავ ატყდა გამაყრუებელი ტაში და შეძახილები. ავიდა სცენაზე, ხელის მოძრაობით გააჩუმა ხალხი და დაიწყო: „იცით, მე სრულიად არ ველოდი სცენაზე გამოსვლას და თქვენთან შეხვედრას და...“ შუა ფრაზის დროს ატყდა ისტერიული სიცილი, რაც იყო რეაქცია იმაზე, რომ თურმე გოგი თოთიბაძე რა ზუსტად ბაძავდა სერგო ზაქარიაძე. ბ-ნი სერგო ხალხის მოულოდნელი მძაფრი და არაადეკვატური რეაქციისაგან ცოტა შეცბა, თითქოს აღარ იცოდა რა უნდა ექნა. მცირე პაუზის შემდეგ კვლავ დაიწყო: „მე თქვენ წაგიკითხავთ“... რასაც კვლავ მოყვა ხალხის არაბუნებრივად ხმაურიანი და სიცილიანი რეაქცია. ეს უკვე იმას ნიშნავდა: „რა კარგად ბაძავს სერგო ზაქარიაძე გოგი თოთიბაძეს“-ო. ბ-ნი სერგო გაერკვა სიტუაციაში და თითქოს საიდუმლოს უმხელდა, ოდნავ წელში ხალხისკენ გადახრილმა მიმართა

აუდიტორიას: „გოგის ხომ არ ვთხოვთ ჩემ მაგივრად რაიმე წაიკითხოს“. ეს ხუმრობა ახალგაზრდობამ ტაქტიკური სიცილით შეაფასა და დაწყნარდა.

ბ-მა სერგომ ანა კალანდაძის რამდენიმე ლექსი წაიკითხა, რასაც ოვაციები მოჰყვა. გარდა მსახიობის მართლაც უზადო ოსტატობისა ეს გამონვეული იყო იმიტაც რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის უცნობი იყო როგორც ეს ლექსები, ისე მათი ავტორი.

საღამოს შემდეგ გვქონდა ბანკეტი დათუნა მუსხელიშვილის სახლში ზემელზე, პეროვსკაიას და ყორღანოვის ქუჩების გასაყარზე. სუფრა გაშლილი იყო გრძელ ფართე აივანზე, რომელიც ეზოში გადიოდა. პედაგოგები ვინც დაგვეხმარა გამოსაშვები საღამოს მოწყობაში (ციალა ამაშუკელი, ნოდარ ნაკაშიძე) და ვინც მონაწილეობა მიიღო საკონცერტო ნაწილში (ემანუილ აფხაიძე, გოგი გეგეჭკორი, ბიჭიკო ჩხეიძე, ბიჭიკო ანდრონიკაშვილი და, რაც მთავარია, სერგო ზაქარიაძე). შუა ქეიფში უკვე შეზარხოშებულებმა გოგი თოთიბაძეს ვთხოვეთ გაემეორებინა თავისი ცნობილი იმიტაციები. გოგიმ უარი გვითხრა, რადგან ბ-ნი სერგოსი მოერიდა. ბოლოს ბ-მა სერგომაც სთხოვა: „გოგი! სხვები არ მაინტერესებს, ძალიან გთხოვ ჩემი მიბაძვა გააკეთო. მაინტერესებს რაში გამომიჭირე და რა გაქვს ჩავლებული“. გოგიმ უარი ვეღარ უთხრა და მე გამოვაცხადე კონკურსი არა „მერანის“ წაკითხვაზე, არამედ ვინ უკეთ შეასრულებს ოტელოს ბოლო მონოლოგს: „ჯერ შეიცადეთ! ვიდრემდე ნახვალთ, მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა“. გოგიმ დიდი მონდომებით ჩაატარა ეს კონკურსი და ძალიან ბევრი ვიცინეთ. ყველა მიჩერებულები ვიყავით ბ-ნი სერგოზე, როგორ რეაგირებდა, როდესაც თავის ორეულს უყურებდა.

ღვინისგან და მხიარულებისგან ისე გავთამამდით, რომ ბ-ნი სერგოსაც ვთხოვეთ რაიმე წაეკითხა, რაზედაც უარი არ უთქვამს. იგი იჯდა აივნის მოაჯირთან და როდესაც წამოიმართა, ახოვანი, ხშირი თმებით, ფართო მხრებიანი მამაკაცი მუქი ცის ფონზე არაჩვეულებრივად შთაბეჭდავი სანახავი იყო. წაიკითხა აკაკის „განთიადი“. იდგა თავანუელი, კითხულობდა რიხითა და დიდი შთაგონებით. ლექსის კითხვისას ცა ნელ-ნელა გამტრედისფრდა, დაიწყო სხვადასხვა ფრად ნათება, რაც ქმნიდა ნიჭიერად დადგმულ შუქ-ჩრდილის ეფექტს. ბოლო ფრაზა: „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“ ჩურჩულით ჩაამთავრა და ცაც მთლიანად განათდა. განათებული ცის ფონზე ქანდაკებასავით იდგა თვალზე ცრემლმორეული, ცალხელამართული, სქლად აშლილ თმებში სხივებგაყრილი, სპეციფიური ქართული კეხით, დიდი მსახიობის სერგო ზაქარიაძის ულამაზესი სილუეტი, რომელიც კარგა ხანს არ შერხეულა.

ნიჭიერი მსახიობისა და ყოვლისშემძლე შემოქმედის ერთობლივად დადგმულმა ამ სანახაობამ გაგვაშეშა, ჟრუანტელი მოგვეგვარა და ადეკვატური რეაქციის უნარი წავგვართვა. ბოლოს დეიდა ვარო ვარდიაშვილმა, ჩვენთვის კლდესავით შეუვალმა პედაგოგმა და თავშეკავებულმა ქალბატონმა ტაში შემოკრა, რასაც ჩვენი გულწრფელი და მოუთოკავი ოვაციები, ტაში და შეძახილები მოჰყვა.

კარგა გათენებულს დავიშალეთ. მივლასლასდი სახლში და მთელი დღის ნაფორიაქებს, შთაბეჭდილებებით დაღლილს და ღვინისგან შელახულს მკვდარივით ჩამეძინა.

1947 წელს მისაღები გამოცდები ჩავაბარე პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. ჩემი სკოლის მეგობრებთან თამაზ ალაიძესთან და თემურ ნაცვლიშვილთან ერთად ჩავირიცხე ჰოდროტექნიკური მშენებლობის სპეციალობაზე. პირველი კურსის საგაზაფხულო სესიებისთვის თემური და მე ვემზადებოდით თემურის სახლში. მაისის პირველი რიცხვები იყო. საღამოხანისთვის დავიღალეთ, ამდენი ფორმულებისა და დებულებების ზეპირობით თავები დაგვიმძიმდა და შიგ ალარაფერი შედიოდა. თემურმა აიღო გიტარა და ნავილილინეთ ორ ხმაში. ცოტა ხანში თემომ რაღაც უცნობი მელოდია წამიღერა, რომელიც ძალიან მოგვეწონა და ორივემ დავიმახსოვრეთ. ახალ მელოდიას მოერგო სიტყვები:

**კიდევაც დაიზრდებიან  
ალგეთს ლეკვები მგლისანი...**

კარგა დაღამებულს წამოვედი სახლში და მთელი გზა აკვიტებული მელოდია მილიტინებდა ტვინში. ჩემდა უნებურად იმავე მელოდიაზე წავიმღერე სიტყვები:

**საქართველოო ლამაზო  
სხვა საქართველო სად არის...**

მეორე დღით მივედი თუ არა თემურთან, ვახარე, რა კარგად ჯდებოდა მის ახალ მელოდიაში ანას ლექსი. ჩავვარდით საგონებელში, სად მოგვეძებნა ანას ლექსები, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებულიყო. გამახსენდა, რომ ბიძია სერგოს აქვს ჩანერილი ეს ლექსი თავის ბლოკნოტში. წამოვხტი, გავიქეცი სახლში. ბიძია სერგოს ავუხსენი ჩემი გაჭირვება და ვთხოვე ლექსის გადანერის ნებართვა. ბიძია სერგომ გამომინოდა თავისი მუდამ თანმხლები ბლოკნოტი და გამატანა გადასანერად. გადავწერე ლექსი:

**ქარი გიმღერის ნანასა,  
ზღაპარს გაიმბობს ჭადარი...**

ბლოკნოტი დავუბრუნე პატრონს და გავიქეცი თემურთან. თემურმა დაიდო ანას ლექსი პიანინოს სანოტეზე და დაიწყო ახალი სიმღერის დაბადება, რომლის მისამღერი: „საქართველოო ლამაზო სხვა საქართველო სად არის“ უკვე მზად იყო. ვილას ახსოვდა სესიები და გამოცდა, გაგვიტაცა სიმღერის შექმნამ ამ შესანიშნავ სიტყვებზე. ეს იყო თემურისთვის სიმღერის შექმნის პირველი სიმღერა დაწერა. საღამოსთვის სიმღერა შეიკრა და ორ ხმაში ვასრულებდით დიდი მონდომებით. ჩვენ ძალიან მოგვეწონდა და მომენტს არ ვუშვებდით რომ არ წაგვემღერა. გვრცხვენოდა და ვერ ვბედავდით ვინმეს თანდასწრებით სიმღერას, ვშიშობდით არ გავეშაყირებინეთ. მეორე საღამოს, ექვს მაისს, შუა მეცადინეობის დროს შე-

მოვიდა თემურის კარის მეზობელი გურამ ლორთქიფანიძე, ეხლა ცნობილი კინომსახიობი „ლორთქია“ და გამოგვიცხადა: „დღეს ჩემი დაბადების დღეა, ბიჭები ამოვიდნენ. მართალია ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ ღვინო ძალიან კარგი და ძალიან ბევრი მაქვს და გირჩევთ ნუ გადაყვებით მეცადინეობას და ცოტა ხნით გამოდით. არ დამინყოთ ეხლა საჩუქარი არა გვაქვსო, საჩუქარი შემდეგისთვის იყოს, მაგაზე არც ხვალ გეტყვით უარს“. რასაკვირველია გავედით. მე-4 თუ მე-5 ჭიქის შემდეგ თემურმა თვალი ჩამიკრა და მანიშნა ახალი სიმღერა ვუმღეროთო. მე ალელუებისგან გავნითლდი და ვანიშნე არ გინდა-მეთქი. თემურმა გიტარაზე რამოდენიმე აკორდი აიღო და თავისი რბილი და ხავერდოვანი ხმით დაიწყო:

**ქარი გიმღერის ნანასა  
ზღაპარს გაიმბობს ჭადარი...**

მე მეორე ვუთხარი. სუფრა გაინაბა. ეს იყო ამ სიმღერის პირველი საჯარო შესრულება და გვანტერესებდა როგორი რეაქცია ექნებოდა პირველ მსმენელებზე. სიმღერის დამთავრებისას ავხედე ლორთქიას სკოლის ძმაცაცებს: ლაშა ჯანაშიას, გურამ თოფურიას, თემურ საყვარელიძეს, გურამ ნემსაძეს, გურამ ბარნოვს და თვითონ გურამ ლორთქიფანიძეს და საოცრება დავინახე: ყველა მათგანს ცრემლი ჰქონდა თვალებზე. თემურმა ამაყად და გახარებულმა გადმომხედა, რითაც მანიშნა: „ხომ კარგი ექნით რომ ვიმღერეთო“. პირველმა აპრობაცია ძალიან კარგად ჩაიარა, იყო ხოტბის, მადლობის, მოფერების სიტყვები, სადღეგრძელოები, ჩვენი ლოცვა-ქება-დიდება და ასეთი ლამაზი სიმღერის შექმნის მოლოცვა. რამდენიმე დღის შემდეგ ეზოში ბიძია სერგო შემომხვდა და მოვუყევი მისგან გადანერილ ლექსზე ახალი სიმღერის შექმნის ამბავი. დიდი ენთუზიაზმი ვერ შევატყევე, სერიოზულად არ მიუღია ჩემი ალტაცებული ინფორმაცია. ჩათვალა, რომ ბავშვური გართობა იყო, ალერსით გადამისვია თავზე ხელი და „კარგი გიქნიათო“ მითხრა.

ივნისის ბოლოს ეს სიმღერა თემურმა, ქინქლამ, ციალა ამამუკელმა და თემიკო ჩირგაძემ რამდენიმე სკოლის გამოსაშვებ საღამოს საკონცერტო პროგრამაში ჩაურთეს და ცოტა ხანში სიმღერა ძალიან პოპულარული გახდა.

ახალი დაბრუნებული ვიყავი ზაფხულის არდადეგებიდან და შემოდგომის ერთ მზიან დღეს შუშაბანდიდან გადმომდგარი ბიძია სერგო შემეხმინა: „ნოდარ! ერთ-ერთი სკოლის გამოსაშვებ საღამოზე მოვისმინე მშვენიერი სიმღერა ანას იმ ლექსზე შენ რომ გადაინერე ჩემი ბლოკნოტიდან. შემდეგ ერთ სუფრასთან გოგი გელოვანმა და ზურა ლეჟავამ იმღერეს იგივე სიმღერა და გავოგნდი ისე მომეწონა. ეს ის სიმღერაა შენ რომ მომიყევი – ახალი სიმღერა გავაკეთეთო თუ...“ ჩემი დადებითი პასუხის შემდეგ მომეფერა და გამეხუმრა: „ძალიან გთხოვთ ამავს ნუ დამიკარგავთ და ჩემი როლიც აღნიშნეთ ამ სიმღერის დაბადებაში.“ მე დავპირდი, რომ ასეც ვიზამდი და მართლაც ხშირად ვყვები ხოლმე როგორ გადაგვანერინა ბიძია სერგომ ანა კალანდაძის ლექსი სიმღერის შესაქმნელად.

არსებობს მოარული შეხედულება, თითქოს მიძღვნილი ლექსებს მარტოდენ სააღბომო, მეორეული მნიშვნელობა ჰქონდეთ — უკეთესსაც და უარესსაც. თუმცა ჯერ მარტო აკაკი წერეთლის „განთიადის“ გახსენება, დიმიტრი ყვიანის მოწამებრივ აღსასრულს რომ ეძღვნება, ერთბაშად აცამტვერებს ამგვარ შეხედულებათა სანდოობას. ოღონდ ესეც თვალნათლივია, რომ მიძღვნილი ლექსების უფერულ ზღვაში აქა-იქ თუ დაიძებნება რჩეული ან მეტ-ნაკლებად წარმატებული ნიმუშები.

და მაინც, პოეტებს არა სურთ შეგუება, რომ მიძღვნილი ლექსი მხოლოდ სააღბომო დანიშნულების ჩარჩოებში იკეტებოდეს. დაე ნუ გაუთანასწორდებიან „განთიადს“ — მათ არანაკლები უფლება აქვთ სალიტერატურო პროცესში მონაწილეობისა, ვიდრე სხვა განწყობილებათა პოეტურ ნიმუშებს.

ერთი იმათაგანი, ვინც მიძღვნილი ლექსისათვის სამოქალაქო უფლების დასამკვიდრებლად მიზანმიმართულად იღვწის, მურმან ჯგებურია. მას მთელი წიგნი მოუგროვდება ამ ყაიდის ლექსებისა და კვლავაც აგრძელებს პოეტურ შეხმიანებებს თანამოკალმეებთან. თამაზ ჩხენკელს აქამდეც წარმატებით შეხმიანებია. ეს ახალი პოეტური ქმნილება იმ მიზანსაც ისახავს, რომ მკითხველს ჩაებეჭდოს გამორჩეულ წიგნთა თარიღები, როგორც თავისებური ნიშანსვეტები სამწერლო ცხოვრებაში.

მურმან ჯგებურია

# თამაზ ჩხენკელს

ბო ძიუ-ის ლექსების კრებული (50 წლისთავზე) ხელახალი გამოცემის გამო

*„Вот эта книга небольшая, Томов премногих тяжелей“.*  
А.Фет

მე შენი ლექსების პატარა წიგნი  
საცა მივდიოდი, დამქონდა მუდამ,  
ისე მიტაცებდა სიტყვათა რიგი,  
ასჯერ ნაკითხულის ნაკითხვა მსურდა.  
და წიგნი მედო მე ხელის ახლოს,  
მედო სასთუმალთან, მეძინა როცა,  
მე ამ წიგნს ვკითხულობ ხანდახან ახლაც  
და სარკმლით გავცქერი ქაფათის ბორცვნარს.  
ქაფათის ბორცვნარიც წიგნია, ვიცი,  
იმ წიგნში მარხია მშობლები ჩემი  
და ჩვენი მეზობლის პატარა ბიჭი -  
სპეტაკი, ვითარცა მაცხოვრის ცრემლი.  
წიგნია სოფელი, წიგნია ქალაქი,  
წიგნია ქალი და წიგნია კაცი,  
წიგნია ღვინო და წიგნია არაყი,  
წიგნია ღობე და წიგნია ქაცვი.  
მე წიგნებს ვუდარებ ერთმანეთს გულში

და მთელი ცხოვრება ამრიგად მიდის,  
ქაფათის გორზე ყვავილობს ნუში  
და უსტვენს ანგელოზს საფლავის ჩიტი.  
და ათას ორასი წელია თითქმის  
სტრიქონში ბუდაელ ბერიკაცს სძინავს,  
და ათას ორასი წელია – ფიფქი –  
რაც ეთამაშება დაბინდულ მინას,  
ფეტმა თქვა, ხომ გახსოვს, ეს ციცქნა წიგნი  
ინონის უთვალავ წიგნების ტომებს,  
მე ამ წიგნს ვუნოდებ ქართულის გვირგვინს,  
ქართულის ზეიმს და ქართულის ღონეს.  
და ათას ორასი წელია, გაღმა  
ნასული ბორანის ჭრიალი ისმის,  
ვარდზე ნუ იდარდებ, ასე რომ გახმა,  
ვარდი აყვავდება გაისად ისევ.  
ლამეა. ხვიმარში ფხაჭუნებს თავი  
და კაცი კითხულობს მეგობრის წერილს,  
და ათას ორასი წელია, აგერ,  
სვლას აღარ აკეთებს მონასტრის ბერი.  
ჭადრაკის დაფაზე ბამბუკის ჩრდილია  
და მორბის ბილიკზე ბიჭუნა დოქით,  
და ჩემი სათქმელი რაკილა მწირია -  
უნდა გავაკეთო აქ გრძელი როქი:  
მე ლიბო ვიქნები. შენ კიდევ ბო ძიუ,  
ანდა, მე – ვან ვეი, ხოლო შენ – დუფუ,  
და სამსახურიდან რაკი ვართ მოცლილი  
(როცა სურნელოვანს გავახვევთ თუთუნს), –  
ერთურთს შეეუხამოთ აზრები მწყაზარი  
(ლაო ძი ცაა და კონფუცი – მინა),  
მოვიხმოთ ქართული, რაც ითქმის ლაზარედ,  
რომ ხორცი მოისხას და კაცად იქცეს!

28 ოქტომბერს ქიათურაში გაიხსნა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ აბაშიძის სახლ-მუზეუმი. ეს არის პოეტის პაპისეული სახლი. ჯიბო აბაშიძე გამოჩენილი მწერარე გახლდათ და ქიათურ-მანგანუმის წარმოება ქიათურაში სწორედ მის სახელს უკავშირდება. თავის დროზე ქართველი მწერარე გადაასახლეს, 1927 წელს ჩამოართვეს კიდევ ეს სახლი. გრიგოლ აბაშიძემ სწორედ ამ სახლში გაატარა ბავშვობის წლები. ამდენად, სახლ-კარის დაბრუნება და მასში მუზეუმის გახსნა ასმაგად უფრო ძვირფასი გახლდათ პოეტის ახლობლებისათვის. გახსნაზე მოვიდნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მწერლები... თბილისიდან ქიათურაში საგანგებოდ ამ დღისთვის ჩავიდნენ პოეტები, ლიტერატორები – ემზარ კვი-

ტაიშვილი, ნინო ქუთათელაძე, ნინო ხოფერია, რომლებმაც, გარდა იმისა, რომ გაიხსენეს ამ შესანიშნავი პოეტის პიროვნული თვისებები და სიყვარულით ისაუბრეს მასზე, გრიგოლ აბაშიძისადმი მიძღვნილი ლექსებიც წაიკითხეს. დამსწრე საზოგადოებას გულითადად მიესალმა პოეტის ქალიშვილი თამარ (თოლია) აბაშიძე, რომელმაც ისაუბრა მუზეუმის გეგმებზე, იმაზე, რომ მუზეუმში უნდა გაიმართოს შეხვედრები საზოგადო მოღვაწეებთან, ხელოვნების წარმომადგენლებთან, გაიმართოს ახალი წიგნების პრეზენტაციები. ერთი სიტყვით, მუზეუმმა უნდა იცხოვროს ნამდვილი კულტურის პროპაგანდით და დინამიკაში წარმოაჩინოს ყოველივე მნიშვნელოვანი, რაც ამ დიდი ტრადიციების მქონე კუთხესა თუ ქალაქს გააჩნდა და გააჩნია დღეს.

# შექმნილია საქართველოში

ლელა ოჩიაურს  
ესაუბრა  
ლევან თუთხარიძე

ქართული კინო ბოლო წლებია იშვიათად „ხმაურებს“ და უკვე სულ იშვიათი და იშვიათია საუბარი „ქართული კინოს“ ფენომენზე, როგორც ეროვნულ კინემატოგრაფს არა საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთ, პირველად მეოცე საუკუნის 60-იანი წლების პროდუქციის ნახვის შედეგად უნდეს.

სახელმწიფოებრივი წყობის შეცვლამ, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამ და ამასთან დაკავშირებულმა პოლიტიკურ-სოციალურმა თუ ეკონომიკურმა ცვლილებებმა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე და, მათ შორის, კულტურაზეც მოახდინეს ზეგავლენა და, შეიძლება ითქვას, მძიმე დარტყმა მიაცემეს.

ბუნებრივია, კინოს დაფინანსების ის ფორმა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა, თავისუფალ, კაპიტალისტურ ქვეყანაში ვერ გაამართლებდა. სახელმწიფომაც ვერ შეძლო ან არ მოინდომა მთლიანად ეტვირთა კულტურის ხელშეწყობა და მატერიალური უზრუნველყოფა. ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ძვირი დარგი – კინემატოგრაფი – დაღმავალ ფაზაში შევიდა. აისახა თუ არა ეს ყველაფერი შემოქმედებით კრიზისზე, ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ეკონომიკური კრიზისი აშკარა იყო, თუმცა მის დასაძლევად გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც „ბახალეზი“ პირდაპირი ჯდომას“ და სახელმწიფოსგან ფილმის გადასაღებად თანხის გამეტების გულისგამანვრილებელ ლოდინს კერძო დაფინანსების გზა აირჩიეს და კინოსთვის დამოუკიდებელი თანხების ძიება და მოპოვება დაიწყო.

პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმი „გასეირნება ყარაბაღში“, რომელიც 2006 წელს ლევან თუთხარიძემ გადაიღო აკა მორჩილაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, ახალგაზრდა პროდუსერის ლევან კორინთელის ინიციატივით შეიქმნა. მანვე 2007 წელს გაახორციელა მეორე დამოუკიდებელი საპროდუსერო პროექტი „რუსული სამკუთხედი“, რისთვისაც მოსკოვში ბოლო ხანს მოღვაწე ქართველი რეჟისორი – ალექო ცაბაძე (ქართული ფილმების „ლაქა“, „ღამის ცეკვა“, „მარტოობის ორდენის კავალერი“ ავტორი) მოიწვია.

საუბარი ლევან კორინთელთან ფილმის გაქირავებაში გასვლამდეა ჩანერული და არამხოლოდ „რუსულ სამკუთხედს“, არამედ საერთოდ, ფილმარმოების თანამედროვე ფორმებს უკავშირდება და მათ შესახებ გარკვეულ განმარტებას იძლევა. გამომდინარე იქიდან, რომ ლევან კორინთელი საქართველოში კინონარმოების ან ახალი ფორმის ინიციატორია, ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი კინოსტუდიის „რემკა“ დამფუძნებელი და პირველი დამოუკიდებელი საპროდუსერო პროექტის ავტორი და განმახორციელებელი.

– როგორ დაიწყო „რუსულ სამკუთხედზე“ მუშაობა? რატომ მიმართეთ ალექო ცაბაძეს თქვენ და არ მოხდა პირიქით, როგორც „ნესიტა და რიგით“ ხდება (თუ ხდებოდა) ხოლმე, როდესაც რეჟისორს პროდუსერთან გამზადებული სცენარი ან, ვთქვათ, სინოფისის მიაქვს?



– მიმართა, რომ ალექო ცაბაძე ერთ-ერთი სა-

ინტერესო რეჟისორია და არამარტო საქართველოში, გადავიღე საერთოდ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მივინყებულები მყავდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი „ლაქა“ ძალიან მომწონს. როდესაც პროდუსერობა დავიწყე, მაშინ იგი საქართველოში არ იმყოფებოდა, რუსეთში მთელი ოჯახით

იყო გადასახლებული. ჩემმა მეგობრებმა ვახო და ნიკუშა რურუებმა მითხრეს, რომ არსებობდა ასეთი რეჟისორი და დავაკავშირებოდი მას. შემდეგ უცბად გამახსენდა, ვისზე იყო საუბარი. დავეურეკე. ვავეცანი, ვუთხარი, რომ ვარ ესა და ეს, ვინც გადავიღე „გასეირნება ყარაბაღში“ (რომლის შესახებაც გაგონილი ჰქონდა) და ისიც ჩამოვიდა იმ იმედით, საქართველოში ფილმს გადავიღებო.

ჩამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში სიტუაცია ძალიან დალაგებული ჰქონდა, ძალიან კარგ პროდუსერ ტოდოროვსკისთან ერთად მუშაობდა, მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო, აქ კი, არ იცოდა, სად მოდიოდა. არ იცოდა და მაინც ჩამოვიდა. ჩემი თხოვნის შემდეგ მიატოვა იქაურობა, რადგან ირწმუნა, რომ ჩვენ შეგვეძლო გავგეკეთებინა ის, რაც მას ყოველთვის უნდოდა (მოგეხსენებათ, ძალიან ძნელია, დატოვო რაღაც, რაც უკვე აწყობილი გაქვს) – საქართველოში ფილმის გადაღება. ეს კი ჩვენი წინა პროექტის „ყარაბაღის“ დამსახურებაა. მისი ძალიან მაღლობელი ვარ, რომ მენდო. იგი ქართველია, საქართველოში პატრიოტია და არსადაც არ აპირებს წასვლას, სურს, რომ ვიმუშაოთ და ქართულ კინოს მივხედოთ.

თავიდან ჩვენ სხვა ფილმზე გვექონდა საუბარი. შემდეგ ალექომ ორი სცენარი მომცა და რატომღაც „რუსულ სამკუთხედზე“ შევჩერდით, რომელსაც მაშინ „რუსული ენის მასწავლებელი“ ერქვა. ალექოს უნდოდა, რომ მოქმედება საქართველოში გადმოგვეტანა. მე შევეწინააღმდეგე, დიდი ხნის კამათის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ მაინც რუსული პრობლემა დაგვეტოვებინა და გადაღებებზე უკრაინაში წავედით. კიევი სლავური ქალაქია, ძალიან ჰგავს რუსეთის ქალაქებს. სცენარში მოქმედება მოსკოვში ხდება, ჩვენთან – რუსეთის ერთ-ერთ მეგაპოლისში.

ასეთი გადანაცვლებები იმიტომ მივიღეთ, რომ რუსეთის ბაზარი ქართულზე ბევრად დიდია (იქ მოსახვედრად უცხოური კომპანიებიც კი ბევრს შრომობენ), ჩვენთვის ერთ-ერთი ძალიან კარგი და საინტერესოა და თუ გვინდა (ყოველ შემთხვევაში, პროდუსერული თვალსაზრისით) ფილმიდან იმდენი ფული შემოვიდეს, სხვა ფილმებიც გადავიღოთ, გადავიღოთ და გადავიღოთ, მაყურებლის მოზიდვაზე უნდა

ვიფიქროთ. რუსეთისთვის ბევრად უფრო საინტერესო იქნებოდა მათი პრობლემა, მით უმეტეს, ამ ყველაფერს ქართველი რეჟისორი და ქართული სტუდიის მიერ გადაღებული ფილმი ინტრიგას მატებდა. ამიტომ ავირჩიეთ სცენარი, რომელსაც საფუძვლად რუსული პრობლემა უდევს.

საერთოდ საქართველოში ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ, რომ ვაკვირდები, პროფესიონალიზმი აკლიათ. ამ ყველაფრის თანხვედრა კი ალექო ცაბაძეში მოხდა.

ძირითადად რეჟისორზე და ამდენს იმიტომ ვლაპარაკობ, მისი მუშაობით მართლა აღფრთოვანებული ვარ. მართლმე კი არა, მთელი ჯგუფი. თავიდან, როდესაც კიევში ჩავედით, ისინი „ეჭვის თვლით“ გვიყურებდნენ, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა, რაც ძალიან სასიამოვნოა და ეს ნამდვილად ალექოს დამსახურებაა. მინდა მას ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო, რომ ასეთ რეჟისორთან მაქვს მუშაობის საშუალება. ასეთივე მადლიერი ვიყავი ლევან თუთბერიძისა, როდესაც „ყარაბაღზე“ ვმუშაობდით.

**– ალბათ, ისინიც მადლობას უნდა გიხდინენ, რადგან თქვენ და თქვენი კომპანიონები მუშაობის შესაძლებლობას აძლევთ და თანაც, ქართულ სინამდვილეში, საუკეთესო პირობებში.**

– დარწმუნებული ვარ, ფილმი მაშინ გამოვა კარგი, როდესაც პროდუსერისა და რეჟისორის ურთიერთობაში სხვა რაღაც დევს მხოლოდამხოლოდ ფულის, მხოლოდ-დამხოლოდ მუშაობის პირობების გარდა. უნდა შეიქმნას მეგობრული გარემო, რაღაცნაირად უნდა მოხდეს მათი აზრების თანხვედრა.

ჩვენ, ვინც ერთად ვმუშაობთ – გუჯა რჩეულიშვილი, აჩიკო გელოვანი, სალომე კობახიძე, მე, ალექოც უკვე ჩვენს სტუდიასია, ერთ გუნდად ვართ ჩამოყალიბებული და შეკრული და ვნახოთ, ალბათ რაღაც გამოგვივა. ყოველ შემთხვევაში, იმედი გვაქვს.

ყოველთვის ვაცხადებ, კომერცია აუცილებელია-მეთქი. ჩვენ სახელმწიფო არა ვართ, რომ გრანტებს ვიძლეოდეთ, ჩვენი საქმე ისაა, ისეთი პროდუქტი შევქმენათ, შემოსავალი შემოვიდეს და შემდეგ უკვე ამ შემოსავლით მერე, შესაძლებელია და მომდევნო ფილმები გადავიღოთ. მოტივაციაზეა ლაპარაკი.

**– თქვენს გუნდში ანუ ამ ფილმში შეიყვანეთ მსახიობები, რომლებიც რუსეთში მაღალრეიტინგულნი არიან, მაღალი ანაზღაურება აქვთ, მაგალითად, ხაბენსკი, რომელიც ერთი გადაღებისას დღეში რამდენიმე ათას დოლარს იღებს. რითი მოხიბლეთ ისინი, როგორ დაითანხმეთ?**

– ეს მთლიანად (მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მსახიობთა მონგვევა ფილმში პროდუსერის საქმეა) ალექოს დამსახურებაა. ისინი მართლა ძალიან ძვირი ღირან, თან მიუწვდომლები არიან, ძალიან ბევრი შეთავაზება აქვთ, არჩევენ სცენარებს, სადაც უნდათ, იქ მიდიან, მაგრამ ვიდრე ალექოს სცენარს ნაიკითხავდნენ, უკვე ვიცოდით, რომ ჩვენთან იქნებოდნენ. ტკაჩენკოსაც და ხაბენსკისაც ალექოსთან სერიალზე (რომელიც რუსეთში გადაიღო) ნამუშევარი ჰქონდათ (სხვათა შორის, ის სერიალიც რუსულისგან განსხვავებულია, ფილმივითაა გადაღებული). მოკლედ, ალექოს წამოჰყვანენ. იგი იყო ჩვენი მთავარი კოზირი, რადგან მსახიობები ალექოს პროფესიონალიზმში

დარწმუნებულნი იყვნენ.

ალექოს ხაბენსკისთვის ჰქონდა ნათქვამი, ისეთ როლში უნდა გადაგიღო, როგორც ჯერ არ გაგიკეთებიაო, და მართლაც ასე მოხდა. თეატრში ხაბენსკი მართლა ძალიან კარგი მსახიობია, მაგრამ კინოში განსახიერებულიდან, მე პირადად, იმ როლს გამოვარჩევდი, რომელიც ჩვენთან აქვს შესრულებული.

**– როდესაც „გასეირნება ყარაბაღის“ პროდუსერობას მოჰკიდეთ ხელი, გარისკეთ. რატომ?**

– მოკლედ გიპასუხებთ. ჯერ ერთი, ძალიან მიყვარს კინო და მეორეც, ყოველთვის მინდოდა, ფული მეკეთებინა იმით, რაც მიყვარდა. მივხვდი, რომ რეჟისორი (რაც მთელი ბავშვობა ძალიან მინდოდა) ჩემგან არ გამოვიდოდა, ამიტომ იმას მოვკიდე ხელი, რისი უნარიც მქონდა. ეტყობა, ორგანიზატორული ნიჭიც მაქვს. ეგ იყო და ეგ. საქმე საიდანდაც ხომ უნდა დანყებულიყო და ამიტომ გადავწყვიტე, ისეთი რამ გამეკეთებინა, რასაც შემდეგ რაღაც სხვაც მოჰყვებოდა. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც „ყარაბაღი“ გადავიღეთ, კერძო დაფინანსებით სხვა, თუნდაც მოკლემეტრაჟიანი ფილმები შეიქმნა. ადამიანები მიხვდნენ, რომ თურმე ამის გაკეთება საქართველოშიც შესაძლებელია.

ისიც მინდა გითხრათ, რომ ახალ პროექტზე „კოკა-კოლაში“ ფული მოგვცა, რაც კინოსთან კავშირში პირველი შემთხვევაა, და თუ თემურ ჭყონიას მაგალითის სხვებიც მიბაძვენ, ძალიან კარგი იქნება.

**– „გასეირნება ყარაბაღში“ მთლიანად ქართული ფულით გადაიღეთ. ახალ ფილმზე ჭყონიას გარდა არავინ შემოგიერთდა?**

– უკრაინელები. სხვათაშორის, ეს თავიდანვე არ მომხდარა. მათ აქეთ ვუხდით ფულს, ჩვეულებრივად, როგორც დაქირავებულებს, მაგრამ, როგორც კი მასალა ნახეს და ცაბაძის მუშაობა (მათ არც ის ეგონათ, რომ ფილმში ხაბენსკი მიიღებდა მონაწილეობას), თვითონვე შემოგვთავაზეს ამ პროექტში ფულის ჩადება. ის კი არა, ამბობენ, ახალ პროექტსაც დავაფინანსებთ, რათა ალექო ცაბაძემ ჩვენთან ერთად იმუშაოსო. ასე რომ, ნელ-ნელა ვიხვეჭთ სახელს.

ის შეცდომებიც, რომლებიც წინა ფილმზე მუშაობისას მოგვივიდა (ეს ჩემი შეცდომა იყო, რადგან უბრალოდ, არ ვიცოდი, რას ვაკეთებდით, მაგრამ მაინც დავინყეთ, როგორღაც ადგილიდან ხომ უნდა დავძრულიყავით), რაც ახლა დავინახეთ, ვცდილობდით, აღარ გავგემორებინა და „რუსულ სამკუთხედზე“ მუშაობისას გამოგვესწორებინა. თუმცა რაიმეს დანამდვილებით თქმა ჯერ მიჭირს, მერე გამოჩნდება, რა შედეგს მივალნიეთ. ამაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული.

**– რა შეცდომებს გულისხმობთ? რა შეგეშალათ?**

– საერთოდ, მსოფლიო კინოინდუსტრიაში მთელი კონტრაქტები, ფაქტობრივად, სცენარის დონეზე იდება. ვიდრე ფილმს გადაიღებენ, მანამდე უკვე გარკვეულია, სად უნდა გავიდეს, რომელმა ტელევიზიამ უნდა იყიდოს...

ჩვენი მდგომარეობა განსხვავებულია. შეიძლება ქართული სცენარი ძალიან მოეწონოთ, მაგრამ ბოლოხანს იმდენად დაიკარგა ნდობა, რომ ჩვენც შეგვიძლია კარგი ფილმების გადაღება, სიტყვაზე არავინ დაგვიჯერებს. ხომ არ დავინყებთ ახსნას და მტიკიცებას, ვიღაცა რაღაცას გადაიღებს და ის კარგი იქნებაო. პროცესი შეიძლება

ისე გაინელოს, ფაქტობრივად, არაფერი გამოვიდეს. ჯერ უცხოელ პარტნიორებს უნდა გაუჩნდეთ რწმენა, ქართველებს მართლაც შეუძლიათ კარგი კინოს შექმნაო.

ამიტომ საჭირო იყო რაღაც გზა გაგვეკვალა და ამის შემდეგ, როგორც კი რწმენა კვლავ გაჩნდება, გარკვეული შეთანხმებები შეიძლება უკვე სცენარის დონეზეც გაკეთდეს. შეთანხმება სცენარის დონეზე არც „რუსულ სამკუთხედზე“ გვექონია, მაგრამ წინა ფილმისგან განსხვავებით, ეს უკვე გადაღების პროცესში მოხდა. ასე რომ, ერთი საფეხურით წინ წავინეთ.

**– მაშინ მე შეგეკამათებით, რომ ეს უკვე შეცდომა კი არაა, არამედ რეალობის ზუსტი და არაამბიციური შეფასება.**

– საქმე ისაა, რომ ეს თავიდან არ ვიცოდი და მეგონა, რომ შეიძლებოდა კარგი ფილმი გაკეთებულიყო, რომელსაც შემდეგ გავყვიდით. მართალია, დღეს რომ ვუყურებ, ვფიქრობ, ისევე მოვიქცეოდი, რადგან სხვა გზა მართლაც არ არსებობდამეთქი, მაგრამ მაინც შეცდომა იყო, რადგან ამისთვის ყურადღება არც მიმიქცევია.

**– ვიცი, რომ „ყარაბალმა“ უცხოელი დისტრიბუტორი იპოვა.**

– გეთანხმებით, მაგრამ მე კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ხანდახან არსებობს

ფული და არსებობს რაღაც სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დივიდენდები, რომლებიც მუშაობას შემოაქვს. მიმაჩნია, რომ ამ ფილმმა თავისი თქვა. არ ვამბობ, ფინანსური თვალსაზრისით-მეთქი. თავიდანვე სხვანაირად რომ გვემოქმედა, შესაძლებელი იყო მეტი შემოსავალი გვეკონოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი დივიდენდები მოგვითანა, რითაც პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ. დისტრიბუციაზე აღარ ვფიქრობ. ეს ჩემთვის უკვე ჩავლილი ეტაპია. არ შეიძლება იმ დონეზე დარჩენა. წინ უნდა წავიდეთ. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, თუ ყველაფერი შემდეგ და შემდეგ განვითარდება და ფინანსურად მეტ და მეტ შემოსავალს მოიტანს, მაგრამ სულ რომ არაფერი მოიტანოს, მიმაჩნია, ფილმმა ისეთი რაღაც გააკეთა, რასაც ვერანაირი ფულით ვერ შეძლებ. არ ვიცი, სწორია თუ არ არის სწორი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მე რატომღაც ასე ვუყურებ.

**– როგორ წარადგენდით ფილმს?**

– მიუხედავად იმისა, რომ ფილმს „რუსული სამკუთხედი“ ჰქვია და მასში რუსი მსახიობები თამაშობენ (ქართველები, ფაქტობრივად, მხოლოდ ეპიზოდურ როლებს, ჩეჩნებს თამაშობენ, ვინაიდან ფილმი რუსულ თემაზეა და მათი დაკავება ვერანაირად ვერ მოხდა), ეს პირწმინდად ქართული ფილმია – სცენარის ავტორი და რეჟისორი ალექო ცაბა-

ძე ქართველია, ოპერატორები – გიორგი ბერიძე და არჩილ ახვლედიანი, დამდგმელი მხატვრები – გიორგი ტატიშვილი და კოტე ჯაფარიძე, კომპოზიტორი – ვატო კახიძე, პროდუსერები – არჩილ გელოვანი, გუკა რჩეულიშვილი და მე ქართველები ვართ. ფილმი ქართული კინოსტუდიის „რემკას“ პროდუქტია. მოსკოვში გვეუბნებოდნენ, რომ ეს ქართული ფილმი არაა, რუსული პრობლემეტიკის გამო, მაგრამ, დამეთანხმებით, რომ ფილმი ქართულია, შექმნილია საქართველოში, ქართველი რეჟისორის, ქართული კომპანიისა და ქართული შემოქმედებითი ჯგუფის მიერ.

ვფიქრობ, „რუსული სამკუთხედი“, როგორც მხატვრული ნაწარმოები, ძალიან საინტერესოა, და თუ მაყურებელი მოვა მის სანახავეად, გულდანყვეტილი ნამდვილად არ წავა, არ ინანებს, რომ დაკარგა ორი საათი.

**– მაინც რაზეა ფილმი?**

– ეს არის ის, რაც ცხოვრებაში ხდება. ეს ჩვენ დროს არ დაწყებულია და, დარწმუნებული ვარ, ჩვენ დროშიც არ დამთავრდება, და როდის დამთავრდება არც ის ვიცი. რეჟისორს მიაჩნია და ამ აზრს მეც ვიზიარებ, რომ ასეთი კონფლიქტები მუდამ იქნება. არ მეთანხმებით?

**– გეთანხმებით.**

– ახლა ფილმი რუსეთის გაქირავებაშია. ესაა

პირველი შემთხვევა, ქართული კინოს ისტორიაში.

**– რას ელოდებით, როგორ აღიქვამს რუსი მაყურებელი პრობლემას (რომელიც შეიძლება ჩეჩნეთიც იყოს, რუსეთიც, შეიძლება ვიეტნამიც, ავღანეთიც), რომელიც „რუსულ სამკუთხედშია“ ასახული?**

– შეიძლება, ერაყიც... რას ელოდებით?

**– დაახლოებით მაინც, რადგან თქვენ უკვე გქონდათ რუს თუ აზერბაიჯანელ მაყურებელთან შეხება.**

– გეტყვით, რა იყო მოსკოვის ფესტივალზე და თქვენ კითხვას ალბათ ეს გასცემს პასუხს. ფესტივალის მიმდინარეობისას გაიმართა კენჭისყრა მაყურებლის სიმპატიის გამოსავლენად, თუ როგორ აფასებდა ჩვეულებრივი მაყურებელი ამა თუ იმ ფილმს; და იყო მეორე გამოკითხვა – პროფესიონალების, კინოში მოღვაწე, მოდი, ასე ვუნოდებ, ჩინოვნიკების (რომელთაც საგანგებო კომისია ჰქონდათ შექმნილი) შეფასების რეიტინგი.

კინოჩინოვნიკთა შეფასებით, ფილმი ძალიან დაბალ-რეიტინგული იყო, მაგრამ, როდესაც „მაყურებლის სიმპატიის“ შედეგები გამოქვეყნდა, აღმოჩნდა, რომ პირველ ადგილზე გავედით. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის საგულისხმოა, რადგან ჯერ კიდევ ფესტივალის დაწყებამდე ვიცოდით, რომ ფილმი გაქირავებაში მოხვდებოდა და მნიშვნელოვანად მიმაჩნდა გამეგო, როგორ მიიღებდა





ჩვეულებრივი ხალხი ფილმს. ყველაზე მაღალი ქულები კი იმის საწინდარია, რომ ფილმი რუსეთის გაქირავებაში არ უნდა ჩავარდეს. ჩვენი კომპანიონებიც გვეუბნებიან, ყველაფერი კარგად იქნებაო. ვნახოთ.

წინასწარ თქმა ცოტა მიჭირს, თუ რას მიაღწევს ფილმი გაქირავებაში, მაგრამ იმ რეაქციებიდან გამომდინარე, რაც ვნახე, ალბათ რაღაც კარგს. ჩვენთან ჩვეულებრივი რუსი ხალხი მოდიოდა, გულს გვიშლიდნენ, თავიანთი პრობლემების შესახებ გვიყვებოდნენ, რომ, მაგალითად, ქმარი ჩეჩნეთში „კონტრაქტნიკი“ იყო და როგორ შეიცვალა პირველი ნასვლის შემდეგ, როგორ სცემდა ცოლს; გულს გვიშლიდნენ, ტიროდნენ და გვეკითხებოდნენ, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს აღარასოდეს დამთავრდება, აბა, რას ნიშნავს ის კადრი, ჯარიკაცები რომ მიდიანო? აი, ასეთი საუბრები გვექონდა. ძალიან განიცადეს. მართლაც, რამდენია ასეთი ოჯახი, როგორიც ჩვენს ფილმში. ძალიან ბევრი.

ეს ხომ არანაირად არაა ანტირუსული ფილმი, არანაირად. გვეუბნებოდნენ, მე რუსეთის პატრიოტი ვარ, მაგრამ თქვენს ფილმს ვუფულშემატკივრებ, რადგან ფენომენალური სურათიაო. ამ თემას აღარ გავაგრძელებ, რეკლამა რომ არ გამომივიდეს, მაგრამ მოსკოვიდან ძალიან დადებითად დამუხტულები წამოვედით, იმის მოლოდინში, რომ ფილმი ძალიან სერიოზულად უნდა გაქირავდეს.

**– ფილმი უკვე ორ ფესტივალზე იყო ნაჩვენები და ორივე მოიგო. სხვაგან არ მიგაქვთ?**

– ძალიან ბევრი მიწვევა გვაქვს, მაგრამ, რადგან მოსკოვში ვიყავით, „ა კლასის“ ფესტივალები ჩვენთვის დახურულია, ანუ საკონკურსო ჩვენებაზე „რუსული სამკუთხედი“ ველარსად გავაქვს. მონრეალშიც ვიყავით, მაგრამ იქ არასაკონკურსო პროგრამაში ჩასვეს. მანამდე გვთხოვდნენ, მოსკოვზე უარი თქვით და მონრეალში კონკურსზე წაიღეთო, მაგრამ ჩვენ მოსკოვი ვარჩიეთ, რადგან მაინც გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი იყო გაქირავების გამო.

მე კონტრაქტი მაქვს დადებული რუსულ კომპანიასთან, რომელსაც მთელი ჩემი საავტორო უფლებები ეკუთვნის, ის ყველაფერს თვითონ აკეთებს და მთელი მონაცემები მასთან მიდის. ფილმი მიწვეულია შანხაიში, საბერძნეთში, გერმანიაში, კოპენჰაგენში... ანუ „რუსულმა სამკუთხედმა“ ჩვენგან დამოუკიდებლად დაიწყო ცხოვრება.

**– თქვენ წინ ძალიან დიდი და სერიოზული პროექტი გელოდებოთ – „დავით აღმაშენებელი“. ხომ არ გადავი-**

**ფიქრებით?**

– არა, რა თქმა უნდა. ესაა ძალიან სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმე, რომელთან პირდაპირ მისვლა არ შეიძლება. საჭიროა, რომ ყველანი ფორმაში ვიყოთ, ჯგუფი უკვე შეგულებული და მობილიზებული გვყავს.

**– ხომ არ გადაწყვიტეთ, ვინ იქნება რეჟისორი?**

– ჯერ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, მაგრამ მასობრივი, სანახაობითი ეპიზოდების დასადგმელად ალბათ ბატალური სცენების უცხოელ სპეციალისტს ჩამოვიყვანთ.

რისთვის გვინდა ჩვენ „აღმაშენებლის“ შექმნა? რა არის მიზანი? რათა მთელმა მსოფლიომ ნახოს. ხოლო

იმისთვის, რომ მთელმა მსოფლიომ ნახოს, რაღაც ახალი უნდა აკეთდეს. ისე უნდა მივანოდოთ მაყურებელს, რომ საინტერესო გახდეს, რადგან თუ იგივე გავაკეთებთ, რაც იყო, საქართველოს იქით ვერავის მოვიზიდავთ. არ უნდა გავიმეორებოთ ის, რაც ამერიკელებს დაემართათ ათი წლის წინათ და არც ის, რაც რუსებმა, როდესაც „მე-9 ოცეული“ გადაიღეს. ეს ფილმი მხოლოდ რუსეთის ბაზრით შემოიფარგლა და სხვაგან ვერსად გავიდა, რადგან ასეთი კინო, ამერიკელების გადაღებული, ჩვენ წლების წინათ უკვე ნანახი გვაქვს.

როგორი იქნება „დავით აღმაშენებელი“ დრამატურგიულად, რა ფორმა ექნება, ამას უკვე დამდგმელი რეჟისორი გადაწყვეტს.

**– როდის დაინტერესდით საპროდუსერო საქმიანობით?**

– რომ არ მოგატყუოთ, მე, რასაც პროდუსერი ქვია, არა ვარ. ჯერ ერთი, გამოცდილება არ გამაჩნია, მეორე მხრივ, არ გამაჩნია შესაფერისი ცოდნა და საპროდუსერო საქმიანობას ცოტა სხვანაირად ვუყურებ. თუმცა, იმედი მაქვს, გავიზრდები და სერიოზულ პროდუსერად ჩამოვყალიბდები. ნელ-ნელა, მუშაობა-მუშაობაში გავიცანი ადამიანები, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ და, მათი შემყურე, ვსწავლობ. უბრალოდ, თვითონ პროცესი მომწონს, შემიძლია, ადამიანები დავარწმუნო გასაკეთებელია ის, რაც გასაკეთებელია-მეთქი; და ფინანსები, რაც გამაჩნია, მთელი სულითა და გულით მიწდა, რომ ამ საქმეში ჩავვლო.

**– ძნელია დღეს კინოს გადაღება?**

– ძალიან. ძალიან ძნელია. იმდენად ძნელია, რომ თუ ერთიანად არა ხარ მონდომებული, ამ საქმეში ჩაფლული, თუ სიყვარული არ გაგაჩნია, ფილმს ვერ გადაიღებ, იმიტომ, რომ პირადი ცხოვრება, ყველაფერი მეორე პლანზე გადადის. მხოლოდდამხოლოდ დიდი შრომისა და ძალისხმევის შედეგადაა შესაძლებელი, რომ შეიქმნას ისეთი სრულფასოვანი პროდუქტი, რომელიც აღიარებას მარტო



ნონა კუპრეიშვილი

# რე-კონსტრუქტივისტი

□

## რევაზ თვარაძე

ვინმეს აზრად რომ მოსვლოდა ისეთივე სერიოზული დისკუსიის საგნად გაეხადა დეკონსტრუქტივიზმისა და, კერძოდ, დერიდას კონცეფციის მიმართება ქართულ მწერლობასთან, როგორც ეს რუსული მწერლობის მაგალითზე რუსმა ფილოსოფოსებმა და ლიტერატურის-მცოდნეებმა ჯერ კიდევ 1990 წელს განახორციელეს, ვფიქრობ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა პოზიციას დაიკავებდა რევაზ თვარაძე – ლიტერატორი, რომელსაც შეურყევლად სწამდა ქართული კულტურის მეტაფიზიკურობა.

საგულისხმოა, რომ ეგრეთწოდებული „ცეცხლის ფენომენი“, რომელიც ეყრდნობა მემკვიდრეობის არა დაცვას, არამედ, პირიქით, ნოვატორობას, ტრადიციის შენახვას იმავე ტრადიციასთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტით (ფუკო, ლაკანი, ბურდიე), რევაზ თვარაძისათვის სახიფათო თამაშების კატეგორიას განეკუთვნებოდა. ეპოქამ, სადაც „თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის კაცს სამუშაოდან დათხოვნა ან გაციმბირება ემუქრებოდა“ (რ. თვარაძის სიტყვებით), იგი არა ინტელექტუალურ მოთამაშედ, არამედ მწერლობის ოდინდელი ფუნქციის აღმდგენად, საბჭოური რიტორიკით მკითხველთა დახლქილი ცნობიერების გამამთლიანებლად ჩამოაყალიბა, რის გამოც სინანული, ვგონებ, არასოდეს გამოუთქვამს.

მისი შესაძლებლობების მქონე მეცნიერისათვის უარყოფა იმისა, რომ „ტექსტი, როგორც ყოველი ფილოლოგის საქმიანობის ამოსავალი წერტილი და გადამწყვეტი პირობა, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული აზრების თვითღირებულება არ გახლავთ“ – საჭიროებას არ წარმოადგენდა. მაგრამ მოსაზრება იმავე ტექსტის განუწყვეტელი ფილიაცია-თამაშის საგნად განხილვის შესახებ, რომელშიაც თანამედროვენიც და შთამომავალნიც არიან ჩართულნი, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად ხიბლავდა. თუმცა საკუთრივ მისეული განსჯა ანუ ინტერპრეტაცია, რომელსაც თვითონ მიმართავდა, შეიძლება ითქვას შუალედური უფრო იყო, რადგან თავისი არსით არა ერთგვარადი, არამედ უსასრულოდ მედინი გახლდათ და, ამასთან, ხშირად „ეპოქასა და ინტერპრეტატორის პირად მდგომარეობაზე უფრო მეტს გვიამბობდა, ვიდრე თვითონ ტექსტზე“... ყოველ შემთხვევაში, იყო თუ არა ყოველივე ეს ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი რომანტიკულობისა და 80-90-იან წლებში (დერიდა, დელიოზი) მანიფესტირებული კრიტიკული ტრადიციის შეუთავსებლობის ერთ-ერთი სახიერი ნიმუში – დრო გვიჩვენებს.

სსრკ-ს ინტელექტუალური ცხოვრების თავისებურება, შესაძლოა, არა ქრესტომათიულად, მაგრამ საგრძობლად აისახა რევაზ თვარაძის მოღვაწეობაზე. მის სამეც-

ნიერო სახელს ქმნიდა არა მარტო კვლევის ხასიათი, და, ცხადია, ხარისხი, არამედ კვლევის საგანიც. ე.წ.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, საიდანაც ყველაფერი დაიწყო – პოსტსტალინური ხანის ინტელექტუალური სიმწირის ფონზე, თავისი საკმაოდ სპეციფიკური ფილოსოფიურ-ესთეტიკური პრობლემებით – ბოლშევიზმის ფხიზელი იდეოლოგიური მუშაკებისათვის არც ისე ადვილად დასაძლევ დისციპლინა იყო. ის, ვინც პროფესიულ ენაზე „სიბრძნე ბალაჰვარის“, „ვისრამიანის“, „ვეფხისტყაოსნის“, „დავითიანისა“ თუ პეტრე იბერის, დიონისე არეოპაგელის, აბუსელიძე ტბელის შესახებ საუბრობდა, უკვე თითქოს ყოფითობის ელფერს ჰკარგავდა, და ფაქტობრივად, უცხო – ე.ი. მტრული, ფაქტობრივად არასაბჭოური ცოდნის, ინფორმაციის მფლობელი ხდებოდა. ამასთან, დიალოგი, რომელიც ასეთ დროს მკვლევარის მიერ ნაკლებად ცნობილ თხზულებათა ავტორებთან და ფილოსოფოსებთან იმართებოდა, „ცოდნის იმ ტრადიციასაც აღადგენდა“, რომელიც საბჭოთა წყობის დამყარებამდეც არსებობდა. გამორიცხული არ იყო ერთგვარი იდეოლოგიური რეკონსტრუქციულიზირებაც, რადგან ქართული მწერლობა არა რუსული მწერლობის დანამატად ან სსრკ-ს ხალხთა ლიტერატურის შემადგენელ ნაწილად, არამედ ევროპულ ან ევროაზიულ კულტურათა კონტექსტში უნდა განხილულიყო. ასეთი თვალთახედვა კი საბჭოური იზოლაციონისტური პარამეტრიზებისათვის მიუღებელი, მეტიც, ოპოზიციურიც კი იყო. ამ პრინციპით მუშაობა საბჭოური სინამდვილის გაღმა გავლის ტოლფასი გახლდათ, თვით მეცნიერი კი უცნობი და მიმზიდველი სამყაროს შემფასებლისა და რეკონსტრუქტივისტის ფუნქციას იძენდა. არადა, რევაზ თვარაძეს, როდესაც ბედმა იგი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ნომენკლატურული პოეტის ოჯახთან დააკავშირა, წარმატებით შეეძლო ოფიციალურად დეკლარირებულ იდეოლოგიურ სქემებს მორგებოდა და სერიოზული მეცნიერული კვლევის ნაცვლად მხოლოდ მისი იმიტაცია შეექმნა.

თუმცა ასე ბევრი მიზეზის გამო ვერ მოხდებოდა: რეპრესირებულ მამასთან არაჩვეულებრივი სულიერი ერთიანობისა და უკაცოდ დარჩენილი ოჯახისადმი პასუხისმგებლობის გამო; მეგობრობის ნიჭისა და ლიტერატურით, წიგნით უსახური რეალობის ჩანაცვლების უნარის გამო და სხვ. შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ქართული კულტურის ისტორიის კუბიურების გარეშე, რამაც მას, მაშინ ჯერ კიდევ მომავალ მეცნიერს, როგორც თვითრეფლექსიისა და თავისუფლების ერთადერთი ზონა, განსაკუთრებული მნიშვნელობის დრო-სივრცული არეალი აღმოაჩინა. ამ არეალის აზრობრივად შეკვრისა და გამთლიანებისათვის კი ხანგრძლივი შრომა მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგრძელდა. უთუოდ მაშინვე გაკეთდა არჩევანი არა მხოლოდ ლიტერატურული ევოლუციის, არამედ ჰუმანიტარის იმ ახალი ფუნქციის სასარგებლოდ, რომელიც საბჭოური ჰერმეტიზმის (და ეს მიუხედავად „რკინის ფარდის“ გახსნისა) პირობებში პრიორიტეტულად ქართული კულტურის იდენტობის გადარჩენას დაიხასიავეს. სხვა სიტყვებით, ეს ფუნქცია „თაობათა პასუხისმგებლობის“ სახეცვლილი იდეა იყო, „ცისკრელებად“ თუ

„სამოციანელებად“ მოვლენილ ახალგაზრდა ლიტერატორებს ენის, როგორც იდენტობის უპირველესი ნიშნის, დაცვას რომ ავალდებულებდა.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს რევაზ თვარაძის ერთ-ერთი პირველი წერილი „რა ენა წახდეს“ („მნათობი“, 1964, 5), რომელიც, ერთი მხრივ, ლიტერატურული კრიტიკის დეპოლიტიზირების ნიშნულს, მეორე მხრივ კი მწირ, კლიშირებულ აზროვნებასთან შედარებით მაღალპროფესიული, ანალიტიკური განსჯის უპირატესობის ილუსტრირებას წარმოადგენს. ავტორი ენის კლასობრიობის თეორიის კრიტიკული შეფასებით არ კმაყოფილდება (თუმცა ამ ეტაპზე უმნიშვნელო არც ამგვარი განაცხადი იქნებოდა), არამედ სალიტერატურო ქართულის მიმართ კარგა ხნით დავიწყებულ სწორ დამოკიდებულებას წერს. ილიასა და ვაჟას ენობრივი პოლიტიკის გამოსარჩლება საკუთრივ მისი მეცნიერულ-კვლევითი პრინციპების დეკლარირებაცაა. რაც შეეხება წერის მანერას, იგი რეფლექსირების ახალი (თუ გან-ახლებური) ფორმაა, რომელიც ზედაპირულობასა და დილექტანტიზმს ისევე გამორიცხავს, როგორც დემაგოგიურ „იდეოლოგიზმებს“, და მკითხველს მზამზარეული ფორმების ნაცვლად კვლევის პროცესუალობას სთავაზობს. სწორედ ამიტომ წერილის შთამბეჭდავ ნაწილად იქცა ის ასეულობით ტექსტობრივი მაგალითი, რაც საბოლოოდ მკითხველს ქართული ზმნის უჩვეულო აპოლოგიად წარმოუდგება. ენის ასეთი სიყვარულის აუცილებლობა 50-60-იანების მიჯნაზე არცთუ ისე ბევრ ლიტერატორს ჰქონდა გააზრებული.

არსებობდა თუ არა წარმოსახულსა თუ რეალურ სამყაროში, თვითრეალიზების ამ ორ სხვადასხვა განზომილებიან სიბრტყეში ერთდროულად მყოფი მეცნიერისათვის „სტაბილურობის ზონა, რეფერენციის წერტილი?“ ცხადია, არსებობდა, და იგი მემკვიდრეობითობის იმ ხაზზე გადიოდა, რომელიც თვითონ აღმოაჩინა და დაიმკვიდრა კიდეც. ვფიქრობ, სრული საფუძველი გვაქვს, რევაზ თვარაძე XX საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურის განმარტებელთა გამოცდილების გამზიარებლად და დამფასებლად მივიჩნიოთ. იმდროინდელ კულტურტრეგერებზე იგი ასე დაწერს: „გამორჩეულ მოღვაწეთა შორის ყველაზე სამძიმო იქნებ ორი თუ სამი აღმინანის ხვედრი იყო“, და, ამასთან, აქცენტს ამ „სამძიმო ხვედრის“ მისუელ გააზრებაზე აკეთებს: არა მხოლოდ ევროპული განსწავლულობა და მაღალი ინტელექტი, რითაც მართლაც გამოირჩეოდნენ XX საუკუნის ათინი-ოცინი წლების მოღვაწეები, არამედ მათ მიერ ისტორიული საზრისისა და მასთან ერთად უნივერსალური მნიშვნელობის ძიება, რასაც ყოველივე ნაციონალურისათვის მასშტაბურობა უნდა მიენიჭებინა. ამ შეფასებით მართლაც იცნობა რევაზ თვარაძე, რომელსაც არა მარტო ქართულ მწერლობაში, არამედ ზოგადად ჩვენს კულტურაშიც უნივერსალურ მნიშვნელობას მოკლებული მოვლენა მხოლოდ „საყველპურო პატრიოტიზმით“ მოტივირებულ ფსევდოშენაძენად მიაჩნდა, რასაც მისი ზრდის, ზრდასთან ერთად კი მუდმივი განახლების უზრუნველყოფა არ შეეძლო.

მართებული ენობრივი პოზიციის შემუშავებისთანავე, რაც დროში პოსტსტალინურ ქართულ მწერლობაში სოც-

რეალისტური რიტორიკის დასაძლევად პოეტიკის თავის უფლებებში აღდგენის ეტაპს დაემთხვა, რევაზ თვარაძე, მოიაზრებს რა საკუთარ თავს ანტისოცრეალისტთა ბანაკში, კიდეც ერთ მნიშვნელოვან წერილს აქვეყნებს. 1957 წელს ახალდაარსებულ ჟურნალ „ცისკარი“ იბეჭდება „კრიტიკა და მკითხველის მისტიფიკაცია“. წერილი ადასტურებს ფაქტობრივ გამიჯვნას ოფიცოზურ სერვილიზმში გადაზრდილი მავნე ნომენკლატურული კრიტიკისაგან, რომელიც პოზიციებს არ თმობს და უკიდურესად აღრეული კრიტიკერიუმების ატმოსფეროში თავის დისფუნქციას იდეოლოგიური შტამპების მანიპულირებით ნიღბავს. დააკვირდით შალვა რადიანის ნაწერს, მასში შტამპებისა და ლექსიკური სიმწირის დონე ისეთი მაღალია, რომ წერილს კონსტანტინე გამსახურდიასადმი „ეძღვნება მიხეილ ჯავახიშვილს“ რომ წავაწეროთ, არაფერი დამავდება. ნაცადი კრიტიკოსიც დაახლოებით ასე იქცევა – წერდა მაშინ რ.თვარაძე და ეს ტოტალური შემგუებლობის ატმოსფეროში საკმაოდ თამამად და ზუსტად იყო შენიშნული.

ენციკლოპედიზმითა და ისტორიზმით აღჭურვა „განვითარებული სოციალიზმის“ წლებში იქნებ სრულიად საკმარისია მოჩვენებითი პიროვნული ავტონომიურობისათვის, საზოგადოებაში ელიტარული მეცნიერების სახელის დასამკვიდრებლად. თუმცა რევაზ თვარაძე ამ დაცულობას და ცოდნის მექანიკურ შექენა-გადაცემას ესთეტიკურ-ფილოსოფიური პრობლემატიკის კვლევას, როგორც თვითონ განმარტა, „არსებობის უღრმეს საწყისთა წვდომასა და გააზრებას“ ამჯობინებს. „მე ჩემდათავად დიდი შრომა გავწიე, რათა მივმხვდარიყავი“... – ისეთი უშუალოებით დაწერს, რასაც სხვა მეცნიერული დამაჯერებლობის, სიტყვის წონადობისა თუ აზრის სიღრმის დაკარგვის შიშით არ გაამხელს. აქ კი ეს უშუალოება გარწმუნებს და სერიოზული აღქმისთვის განგანყოფს. ნამდვილ ლიტერატურულ პროცესს მონატრებულ მკითხველთა არც თუ ისე ფართო წრე ყურადღებით ადევნებს თვალს ახალ პუბლიკაციებს, ახალ სახელებს, ახალ ქვეტექსტებსა თუ მინიშნებებს. ცხადი ხდება, რომ ამ კონტექსტში რევაზ თვარაძე ყალიბდება ქართული კულტურულ-ლიტერატურული პროცესის მთლიანობის ცნობიერად მატარებელ მეცნიერად, ამ ერთიანობის ქომგად და დამამკვიდრებლად. წერილში „ფიქრები მომავლის პოეზიაზე“ იგი ერთგვარ კულტუროლოგიურ ფორმულასაც კი ქმნის, რომლის მიხედვით აღნიშნული მთლიანობის გათვალისწინებით მომავლის კულტურა – სულიერ ფასეულობათა უმაღლესი სინთეზია, მისი საფუძველი და უპირველესი მახასიათებელი კი – სიბრძნე.

60-იან წლებშივე ქვეყნდება რევაზ თვარაძის ერთობ უცნაური წერილი „ოცნება ეტრუსკებისათვის“ (1967 წ.), რომელშიც ქართული ეთნოგენეზისის პრობლემა არა მეცნიერული პედანტიზმით, არამედ ინტერპრეტაციისა და მხატვრული თავისუფლების სინთეზირებითაა დაყენებული. ეტრუსკებთან მიმართებაში სივრცისმაძიებლობის ისეთი მასშტაბია წარმოჩენილი, რომელიც უმეტესად მკვლევართა განსაკუთრებულ ჯგუფს უნიკალურ ტექსტებთან და სულებთან ხშირი კონტაქტის შედეგად უვითარდებათ ხოლმე. თამამი და სრულიად არასაბჭოური ჰიპოთეზისათვის, მოგვიანებით უცხოელთათვის დაწე-

რილი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესავალში, რევაზ თვარაძე საკუთარ თავს მსუბუქი ირონიით „აღზნეული ფანტაზიის ქართველს“ უწოდებს, რაც პირდაპირ მინიშნებად უნდა აღვიქვათ თაობაზე, რომელმაც, მიუხედავად ყველაფრისა, „გვემული ესთეტიკური აზრის“ გამოთავისუფლება, მისი ახლებურად მოტივირება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეროვნული ფასეულობების გადასარჩენად ლიტერატურის, მწერლობის მორალური პასუხისმგებლობის აქტუალიზება შეძლო.

რევაზ თვარაძისა და მისი თაობის მოღვაწეობა უთუოდ მაშინ იქნა სწორედ შეფასებული, როდესაც ითქვა, რომ „ისინი ქართველ მკითხველს კონკრეტულ დროსა და სივრცეში სწორედ იმას აწვდიდნენ, რასაც იგი ქართული მწერლობისაგან მოელოდა“ მ. კვაჭანტირაძე.

მოლოდინის გამართლების შთამბეჭდავი მაგალითია 1972 წელს გამოცემული „გალაკტიონი“ – ახალი ტიპის გამოკვლევა, სოცრეალისტური რიტორიკის პოეტიკით დაძლევის ნიმუში, 70-80-იანი წლების უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამაგიდო ნიგნი, რომელმაც გარკვეულწილად დააჩქარა თეიმურაზ დოიშვილის ინიციატივით „გალაკტიონოლოგიის“ – როგორც კვლევის სრულიად გამორჩეული სფეროს – ჩამოყალიბება და მრავალმხრივ განსაზღვრა ქართული კრიტიკული რეფლექსიის პრიორიტეტები.

ამ გამოკვლევისათვის ნიშნულია არა მარტო უახლესი წარსულის ლიტერატურული ცხოვრების რეტროსპექტული სურათის აღდგენა, არა მარტო მონოგრაფიის ჟანრული რეკონსტრუირება, არა მხოლოდ ტერმინოლოგიური უზუსტობების თავიდან აცილების ტენდენცია, არამედ ანტიპათეტიკურობა, თხრობის უჩვეულო ტონალობა, „პროზაულისა და პოეტურის ნაზავით შექმნილი ხმის განსაკუთრებული რეგისტრი“.

გალაკტიონი ავტორმა წარმოგიდგინა პოეტად, რომელიც „მუდმივად განაგრძობს და ავითარებს წარსულის შემეცნებას“. იგი პერსონალურ და სოციალურ განპირობებულობაზე მაღლა დაყენებული და ამიტომ ლამის მედიუმად აღიქმება. დაკვირვების უპირველესი საგანი მისი პოეტური ტექსტია. დასკვნები თუ შეფასებები სწორედ ამ ღვთაებრივი სტრიქონებითაა განპირობებული. ამიტომ „ტექსტის არსებითობა“ ავტორისთვის საყრდენი ფასეულობაა, რომელიც საშუალებას აძლევს გალაკტიონის პოეტური სამყაროს უნიკალურობა შეიმეცნოს, თვითონაც დარწმუნდეს და ჩვენც დაგვარწმუნოს, რომ არა ყბადაღებული საყოველთაობისა და ხალხურობის (ამ ცნებათა საბჭოური ინტერპრეტაციით), არამედ სწორედ რომ ერ-

თვერადი, „რეალობის შემოქმედებითი იმიტირების უმაღლესი ფორმის“ წინაშე აღმოვჩნდით. „გალაკტიონოლოგიის“ პირველი კრებული (2002 წ.) გამოსვლასთან დაკავშირებით წარმოთქმულ მოსაზრებას გავიმეორებ: „ის, რისი თქმაც დღეს ძალზე ადვილი ჩანს, საკმაოდ ძნელი იყო მაშინ, როდესაც გალაკტიონის ცხოვრების წიგნი ინერებოდა და ეს უნდა გვახსოვდეს...“

მოხდა ისე, რომ ლიტერატურის ინსტიტუტში მისი დირექტორის, გურამ ბენაშვილის ძალისხმევით, რევაზ თვარაძე სწორედ სსრკ-ს დაშლის შემდეგ, უმძიმესი 90-იანების დასაწყისში მოვიდა. მრავალგზის უთქვამს: ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ მონსტრის ნაქცევას მოვესწრებოდი.

მის იმჟამინდელ სულიერ მდგომარეობას ასახავს ჟურნალ „სჯანში“ გამოქვეყნებული „ოცნება იდეალისტური ესთეტიკისათვის“ (2001 წ., 2), წერილი, რომლის სათაურშიც, თავის დროზე ეტრუსკებზე შექმნილი სტატიის მსგავსად, განმეორებულია სიტყვა „ოცნება“. აქ, ალბათ, უბრალო იგივეობა-დამთხვევასთან არა გვაქვს საქმე, არამედ უფრო „ოცნების“, როგორც „რეალობიდან დროებით თავისუფლების სამყაროში“ გადანაცვლების სიტყვა ნიშანთან, რომელიც განმეორებისას ახალ კონტექსტში მოხვედრილი, არა მექანიკურ მოძრაობის მაუნყებლად, არამედ ახლებურად გააზრებულ და გაფართოებულ მნიშვნელობად წარმოგიდგება. პირობითად რომ ვთქვათ, ადრე –



რევაზ თვარაძე

ეტრუსკები თუ ატლანტიდა, ამჟამად – იდეალისტური ესთეტიკა ნებელობითი ძალისხმევით მიღწეული შემეცნებითი კატეგორიებია, რომელნიც აზრის დაუბრკოლებელ მოძრაობას, მეცნიერის მიერ გზადაგზა აღმოჩენილ მიკროსამყაროთა შორის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობებს გვიჩვენებენ.

მაინც როგორია ეს სიჭაბუკიდან ნაოცნებარი „იდეალისტური ესთეტიკა“ ან ასე რატომ ყოვნდება „კომუნისტური რეჟიმის დროს აღმართული მსოფლმხედველობრივი ზღუდეებისა და მარქსისტულ-მატერიალისტურ-ათეისტური არტახებისაგან გათავისუფლება?“ ამ რიტორიკული შეკითხვის ავტორმა იცის, რომ პასუხს, ისიც დროულსა და ამომწურავს, ვერ მიიღებს თაობა, რომელსაც „სატანჯველად შქონდა მისჯილი მატერიალისტური სოფისტიკის ზუთხვა“. თუმცა იმავე თაობამ, აკრძალვების მიუხედავად, დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულების ცნების შემუშავება მაინც შეძლო. რევაზ თვარაძისათვის იგი, პირველ რიგში, ავტორისა და მკითხველის „სულთა შეთანადებას“ ანუ ტექსტის აღქმის გაუმშაღებელ სულიერ პროცესს გულისხმობს, არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, რომ ეს თავისებური „ესთეტიკური გულუბ-

## ჩემი საუკუნის აღმინაობი

რყვილო რელიზმია“, სადაც „აზროვნების ტექნიკით მოპოვებულმა გამომშრალმა სქემებმა და კონსტრუქციებმა“ ადგილი უნდა დაუთმონ „სულიერ ზედასვლას“.

„ღვთაებრივი პლატონიო“ – რომ ამბობს, იდეალისტური მსოფლაქმის საფუძველთა საფუძველს წვდება და ყველაფერს, რაც პირველ დაეჭვებამდე, ანუ „პლატონის ცბიერ შეგირდამდე“, – არისტოტელემდე, იყო, ოცნების იმ სფეროში გადაანაცვლებს, სადაც წარმართული ხანის ფილოსოფოსი „ზესთაჭეშმარიტების, ზესთასიკეთის, ზესთამშვენიერების და ზესთასიყვარულის შემოქმედთან“ – ღმერთთან რიგდება. საბოლოო ჯამში, სამყაროს ერთიანობის პლატონური პარადიგმა იქცა არა მარტო ლიტერატურით ნასაზრდოები მსოფლაქმის სასიცოცხლო ბირთვად, არამედ იმ ურყევ რწმენადაც, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი ამ საწყისს მიუბრუნდება.

და ისევ „პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ“. ახალი ლიტერატურული თეორიებისაგან განრიდება (რაც სრულეებით არ ნიშნავდა მათ ხელალებით უარყოფას) რევაზ თვა-

რადეს საშუალებას აძლევდა ბოლომდე შეენარჩუნებინა ლიტერატურისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ისტორიული მთლიანობის განცდაც, რომელიც იაკობ ხუცესიდან ჯემალ ქარჩხაძემდე იმ უნიკალურ „თანადროულ წესრიგს“ ქმნიდა, რომლის დარღვევა ან დარღვევამდე მისული კორექტირება კულტურული ინტეგრირების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ესახებოდა. გარდა ამისა, მას, როგორც აღვნიშნეთ, მწერლობის მორალური პასუხისმგებლობის იდეაც არ ეთმობოდა, სადაც მწერალსა და მკითხველ-ინტერპრეტატორს არა მხოლოდ მჭვრეტელობა და მაღალი ინფორმაციულობა, არამედ სამყაროში გაბნეული სიკეთის თუნდაც უკანასკნელი მარცვლების შეკრება და შენახვა ევალებოდათ.

რევაზ თვარაძე აღარ არის. ვინც მას ახლოს იცნობდა, ამ სამწუხარო ფაქტზე საუბრისას იმთავითვე გამორიცხავს ყოველგვარ პათეტიკას. თუმცა იმის თქმა კი აუცილებელია, რომ მისი წასვლის შემდეგ დარჩენილი სიცარიელე სულ უფრო საგრძნობი და ხელშესახები ხდება.

## გამოცხაურობა

საბა სულხანიშვილი

# შეფარული პოლემიკა

□

რას საყვედურობდა  
იროდიონ სონლულაშვილი  
კონსტანტინე გამსახურდიას

წლიდან წლამდე, შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გაიელვებდა იროდიონ სონლულაშვილის სახელი, თითქოს წყვილიაღმუც არ ჩაძირულიყო მისი ხსოვნა, მაგრამ ისეც არ ტრიალებდა, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებაში მკვიდრად ჩაბეჭდილიყო.

სიყმანვილიდანვე ქართულ სიძველეთა შეგროვება და გადარჩენა დაესახა მიზნად და, ბუნებრივია, მისი მოღვაწეობის გზა ექვთიმე თაყაიშვილისას რომ გადაეჯაჭვებოდა.

სულიერადაც ამ წყობის პიროვნება გახლდათ, განძეულობის გუშაგი რომ იყო, და ჰარმონიულადაც მოერგებოდა საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას, როგორც ერთ-ერთ საყრდენს ქართული კულტურის უწყვეტობის შესანარჩუნებლად. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებშიც მთელი არსებით გადაშვებულყო, ვიდრე საქართველოს ანექსია მხოლოდ მეცნიერებას არ შეატოვებდა თავშესაფრად.

ზნეობრივი ორიენტირი თუ ვინმე უნდა იყოს ქართველთა ახალთაობებისათვის, მათ შორის უთუოდ იროდიონ სონლულაშვილიც, და ერმილე მალრაძე – ტიხრული

მინანქრის ოსტატი და მრავალმხრივი ინტერესების პიროვნება – ამიტომაც ჩაითქვამდა მისი მუზეუმის დაარსებას.

და ვიდრე ამ სასიკეთო განზრახვას თავი მოებმოდეს, უკვე შეუდგებოდა მასალების თავმოყრას – მემორიალურისაც, სახვითისაც, დოკუმენტურისაც... მოგონებებსაც შეაგროვებდა მასზე, რათა შეესებულებოდა მისი ცნობები და ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი მისი მემუარული ნიგნი „ის, რაც მახსოვს“, თანამედროვეთა მიუყერძობელ, მრავალმხრივ საგულისხმო პორტრეტებს რომ შემოგვინახავდა, ისეთ დეტალებსა და დაკვირვებებს, რაც უიმისოდ სამუდამოდ დაგვეკარგებოდა.

ის მოგონებანიც, სამეცნიერო ნაშრომებიც ჩინებული სტილისტის კალმით შექმნილიო, რადგანაც იროდიონს მწერლური ნიჭიც მომადლებოდა და მოთხრობები საკმაოდ შეეთხზა, და კიდევ ისტორიული რომანი „მირანდუხტ იადხმობილი“, 60-იან წლებში რომ გამოქვეყნდებოდა და მაშინდელი ახალგაზრდობის უსაყვარლეს ნიგნთა შორის დაიმკვიდრებდა ადგილს. თუმც თანდათან კი გაფერმკრთალდებოდა მისი გავლენა და შემდგომ და შემდგომ სულ უფრო ნაკლებ როლს შეასრულებდა ყმანვილთა პიროვნულ თვითდადგინებაზე.

ერმილე მალრაძე თავისას ცდილობდა და იროდიონ სონლულაშვილის სახელის ხელახალი გამობრწყინების გზაზე აუცილებლობად მიიჩნევდა ჟურნალისტთა მხარში ამოდგომასაც. ასე მოაკითხავდა ჩვენს რედაქციას და ასე გადაწყვედებოდა, მის მიერ მოძიებული მასალებისათვის ეკა ბუჯიაშვილს მოეკიდა ხელი, რათა თვალსაჩინოდ გამოკვეთილიყო ქვეყნის ამ ჭირისუფლის პორტრეტის ზოგადი ესკიზი, ის პირველი მონახაზი, რასაც უნდა დაედასტურებინა იროდიონ სონლულაშვილის სახელის აღდგენა. მოეკიდა ხელი იმ ჟურნალისტს, ვისი პროფესიონალიზმიც და ბელეტრისტული უნარიც ჩინებულ ფსიქოლოგიურ პორტრეტს გამოკვეთდა, – ექსპრესიულსა და დაუ-

ვინყარს – „ფრესკები“ („ჩვენი მწერლობა“, 2007, 14), პორტრეტს, რომელიც თავისთავადი მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულების გარდა, მუზეუმის დაარსებასაც უნდა შეწოდდა.

ამ პიროვნებასა და მის ღვაწლს ჩვენი ჟურნალი კვლავაც არაერთხელ დაუბრუნდება, ამჯერად კი ერთადერთ დეტალს მივაქციოთ ყურადღება მისი რომანიდან.

მაშინდელი ახალგაზრდობის უსაყვარლეს წიგნთა შორისო...

რომანის წინათქმაში ვახტანგ კუპრავა გვაუწყებს, რომ იროდიონ სონდულაშვილს ჯერ კიდევ 1916 წელს, უჯარმაში ყოფნისას, დაბადებია აზრად, შეექმნა ვრცელი თხზულება XI საუკუნის საქართველოს ცხოვრებიდან, და თითქმის 25 წლის მანძილზე აგროვებდა მასალებს მისთვის ყველაზე ძვირფასი ამ ეპოქის შესასწავლად და გასააზრებლად.

საკმაოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი ხანაა.

ჩაჯდომით 1940 წელს ჩაუჯდებოდა, პროლოგს მოათავებდა და შეეცდებოდა პროლოგში მოთხრობილი ლეგენდის გამლას ისტორიულ ამბებზე დაყრდნობით, რასაც საბოლოო წერტილს 1947 წელს სვამდა.

– შვება მიეცა ჩემს სულს იადხმობილისაგანო, – მემუარებში აღნიშნავს და მართლაც შვებით ამოისუნთქებდა, ამდენი ხნის ნაფიქრ-ნალოლიავენს რეალობად რომ აქცევდა.

სწორება და დახვეწა არც შემდგომ შეუწყვეტია, სულ რაღაც აკლდა გულს და ისე გარდაიცვლებოდა, „მირანდუხტ იადხმობილი“ გამოუცემელი დარჩებოდა.

რომანის რამდენიმე თავს აშკარად ამჩნევია, საბოლოოდ მომზადებული რომ ჯერ კიდევ არ ჰქონდაო, – ესეცაა შენიშნული წინათქმის ფინალში, თუმც რომანის საერთო იდეურ-მხატვრული მნიშვნელობა ამით არ უნდა დაკნინებულიყო.

რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირია ვაჩე არსუკისძე, სწორედ ის არსუკისძე – სვეტიცხოვლის ამშენებელი. მირანდუხტი და ბაქარი მისი შვილიშვილები არიან. როდესაც დიდი ზეიმი გაიმართება სვეტიცხოვლის დამთავრების აღსანიშნავად, იქ განიმსჭვალეობა რევი სასანიანი სიყვარულით ვაჩეს ასულის მიმართ და ჯვრისწერაც მალევე მოხდებოდა.


მკითხველს უთუოდ ყურს მოჭრის სახელი ვაჩე და მისი შვილისა და შვილიშვილების არსებობაც, რადგანაც კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ შემდგომ საბოლოოდ დამკვიდრდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში სვეტიცხოვლის ამგების ის ხატი და ბიოგრაფია, რაც ამ რომანშია.

მწერალი ხალხურ ლექსს, ამ ტრაგიზმზე ამოზრდილს: დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი ავიგაო, – დაუკავშირებდა სვეტიცხოვლის ფასადზე ამოკვეთილ მარჯვენას, გონიოჩაბლუჯულს, და რომანის უმთავრესი კონფლიქტის საყრდენად აქცევდა. არ დაგიდედა, რომ მოკვეთილ მარჯვენას ტაძრის ფასადზე არავინ გამოაქანდაკებდა და არც გონიოს დააჭერინებდა. ხუროთმოძღვრის ხელთვის ეს თავისებური სიმბოლიკა ასე გარდაისახებოდა ტრაგიზმის მეტაფორად და შემდგომ კი რომანის მხატვრული შთამბეჭდაობა განსაზღვრავდა შეთხზული ხატისა და ბიოგრაფიის გაიგივებას ისტორიულ სინამდვილესთან.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ერთი შეტევით დაინერებოდა – 1938 წლის ზაფხულიდან 1939 წლის გაზაფხულამდე. ნოველად ჩაფიქრებული წერის პროცესში რომანად გაიშლებოდა.

სოსო სიგუა მის პირველმონახაზად მიიჩნევს კინოდრამას „ვარძიის საიდუმლო“, რომელიც 1932 წელს დაინერებოდა ძველისა და ახლის ჭიდილის თემაზე და აქ უკვე გამოჩნდებოდა სახელი შორენაც, ქორსატეველას ნასოფლარიც, მხატვარიც...

გიორგი პირველის ეპოქა და სვეტიცხოვლის აგების თემაც მოგვიანებით შეიჭრებოდა მის წარმოსახვებში, მაშინ, როდესაც „ბელადის“ შექმნას მოკიდებდა ხელს, პანეგირიკულ თხზულებას, რომელიც გულზე არ ეხატებოდა, და სულიერი ჭიდილი აიძულებდა, ხელოვანისა და ტირანის ხელისუფალის ურთიერთობა იმ თვალთახედვითაც გაეაზრებინა, გულწრფელად როგორც



იროდიონ სონდულაშვილი

სწამდა.

საამისოდ აუცილებელი გახლდათ მოქმედების გადატანა ისტორიულ წარსულში და... ასე გამოიძებნებოდა ხელოვნურ ფონად გიორგი პირველის ეპოქაც და სვეტიცხოვლის ამშენებლის გასაიდუმლოებული ბიოგრაფიაც, ხელსაყრელი საშუალება ნებისმიერი ბიოგრაფიული ქარგის შესათხზველად.

ნეტა ყური თუ მოეკრა, იროდიონ სონდულაშვილიც ამ ეპოქასა და ამ პიროვნებას რომ უტრიალებდა და მასალებში გახლართულს ვერა და ვერ დაეწყო განზრახვის აღსრულება?

შესაძლოა კიდევ სცოდნოდეს, შესაძლოა – არცა, კონსტანტინე გამსახურდიას ამ გადაწყვეტილებას უკვე ველარაფერი შეაცვლევინებდა.

ისე მისი რომანის გამოქვეყნებამ უთუოდ ააჩქარა იროდიონი, თორემ, ვინ იცის, მასალების გროვება და ფიქრი კიდევ დიდხანს ვერ მოეთავებინა და „მირანდუხტ იადხმობილი“ სულაც დაუნერელი დარჩენოდა.

გამოიცემა „დიდოსტატის მარჯვენა“ და კიდევ მოჰყვება ეს რომანიც, თუმც ვერა ისეთი ერთი შეტევით შექმნილი. ცხადია, ვერც მხატვრული იმ ძალისა, და ისე მოხდებოდა, რომ საბოლოოდ მაინც კონსტანტინე გამსახურდიას რომანი გადაყლაპავდა „მირანდუხტ იადხმობილ“.

იროდიონ სონლულაშვილი თავისას შეეცდებოდა – არ დაეთმო კონსტანტინე გამსახურდიასათვის, და რომანში გამოურევდა მწვავე პოლემიკურ პასაჟს, საკმაოდ გამჭვირვალეს, რათა მკითხველს ადვილად ამოეცნო, მწერალი პერსონაჟის საშუალებით რომ გაუმართავდა დავას თანამოკალმეს, იმ ვაჩე არსუკისძეს ალაპარაკებდა კონსტანტინე გამსახურდიას წინააღმდეგ, ვინც „დიდოსტატის მარჯვენაში“ სულ სხვა ხორციტ შემოსილიყო და სულაც სულ სხვა ჩადგმოდა.

პოლემიკის მიზეზი ტაძრის ფასადზე ამოტვიფრული მარჯვენა შეიქნებოდა.

საერთოდ, მარჯვენის სიმბოლიკა და მისი დანიშნულება.

შვილიშვილი, ბაქარ სასანიანი, ვაჩესთან საუბრისას რომ მოაყოლებს: სვეტზე გამოყვანილ ხელსა ვსინჯავდიო, – ძალაუნებურად გამოიჩინეს ინტერესს:

– რად არის, პაპა, ხელი სვეტზე?.. ნინო გამზრდელმა მითხრა: პალატის ამგებელს შეგირდი ჰყოლია, შეგირდს უფობნია მუშაობაში, სვეტი კოხტად გამოუყვანია. ოსტატი გაჯავრებულია და მარჯვენა ხელი მოუჭრია შეგირდისათვის. მართალია, პაპილო?

თან თითქოს სჯერა გამზრდელისა, მაგრამ გული და გონება მაინცდამაინც არ ეთანხმება ნაამბობს და ეჭვის გასაფანტად ვაჩეს სიტყვა ეგულება.

სვეტიცხოვლის ამშენებელი რომანში შვილიშვილს მოძღვრავს, სინამდვილეში კი კონსტანტინე გამსახურდიას გადმონდებდა და არც მძაფრ გამოთქმებს მოერიდება, თითქოს ლიტერატურულ დისპუტზე გრძნობს თავსო:

– ტყუილია, შვილო! ნინოს უხუმრია. ეგ ამბავი ცუნდრუკებსა სჯერათ, ან არცა სჯერათ, მაგრამ მაინც იმეორებენ ამ ტყუილს. კარგის გამკეთებელს ხელს არავინ სჭრის, სვეტზე ხელის გამოკვეთა გვეუბნება, აი ამ ხელმა გააკეთა სვეტი პალატისაო, აგრე არაა, ბერა?

და ბერაც მაშინვე უნდა დაეთანხმოს: აგრეა, აგრე, მაშა! და შვილიშვილის შეკითხვაზე:

– შენც გამოკვეთე, პაპა, ხელი სვეტიცხოველზე?

კიდევ დაუბეჯითოს: გამოკვეთე მკლავიანად, გონიო უჭირავსო, – და იქ ნაყვანასა და საკუთარი თვალით ხილვასაც დაპირდეს.

„ცუნდრუკებიო“, „ტყუილიო“, „თვითონ არცა სჯერათო“, „კარგის გამკეთებელს ხელს არავინ სჭრისო“... მაგრამ ამაოდ ჩაივლიდა იროდიონ სონლულაშვილის ეს პოლემიკური შესიტყვება, თუნდაც თვითონ ხუროთმოძღვარი აელაპარაკებინა, ვერაფერს მიაღწევდა, მხატვრულ სიტყვას მეტი ძალა აღმოაჩნდებოდა, ვიდრე თუნდ ისტორიულ სიმართლესა და მოქანდაკის მიერ ამოკვეთილი ხელის ნამდვილ სიმბოლიკას.

ჭიდილში კონსტანტინე გამსახურდია ადვილად გადასწონიდა, ისე, რომ დიდხანს არც ეცოდინებოდა, იროდიონ სონლულაშვილს პაექრობაში თუ გამოეწვია და საბუთებიც მოემარაგებინა მის დასამარცხებლად.

„მირანდუხტ იადხმობილი“ რომ გამოიცემოდა, ვილაც აუცილებლად ამცნობდა კონსტანტინეს, ასეა და ასე, იროდიონს შენთვის „ცუნდრუკა“ და „ტყუილის მიმდევარი“ შეურქმევიაო. არ შეანუხებდა არც ეს ეპითეტები და არც ეს რომანი მკითხველისა და ხელისუფლებისგანაც განებივრებულ მწერალს და კლასიკოსთა შორისაც აკი დიდი ხანია დაებევებინა თავისი ადგილი.


თავიდან თუ მხატვრული კონფლიქტისათვის გადაეხვაფერებინა ტაძრის ფასადზე ამოკვეთილი მარჯვენის სიმბოლური შინაარსი, რომანის პოპულარობა თანდათან გამონაგონს სულაც ისტორიულ სიმართლედ მოაჩვენებდა. თვითონ რატომ დაემსხვრია თავის მიერვე შექმნილი ლეგენდა, მითუმეტეს, იროდიონ სონლულაშვილი სრულებით ვერ მოურღვევდა ბანსა და კარს.

„დიდოსტატის მარჯვენასთან“ ჭიდილს ვერ გაუძლებდა „მირანდუხტ იადხმობილი“.

სამაგიეროდ, იროდიონ სონლულაშვილის კოლორიტულ პორტრეტს შესძენდა ეს რომანი კიდევ ერთ მომხიბლავ შტრიხს, მის ინტერესთა მრავალფეროვნებას დაადგებოდა გვირგვინად და ახლა კი გზაც უნდა გაგვიკვალოს მისი მოქალაქეობრივი და სამეცნიერო ღვაწლისაკენ, „მირანდუხტ იადხმობილმა“ და შემუარულმა თხზულებამ „ის, რაც მახსოვს“, რომლის ჩატოვებასაც ქართულ ხელნაწერთა ცენტრის ფონდებშიც ვერაფერი გაამართლებს, რადგანაც ეს იმ რანგის ქმნილებაა, რომელიც მაშინაც ძალიან ნაგვადგებოდა, საუკეთესო მოგონებათა ცვენას რომ ვერც ავუდიოდეთ, არამცთუ ამ მხრივ არცთუ სახარბიელო ლიტერატურულ სივრცეში.

ასეა თუ ისე, ღონიერ საძირკველზე დგება კიდევ ერთი სამაგალითო პიროვნების დაბრუნება ჩვენი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების მდინარებაში და საამისოდ გაიმედებს იმ ადამიანთა გუნდი, ამ სახელის ირგვლივ რომ იყრიან თავს ერმილე მალრადის მოთავეობით და ერთიერთმანეთზე საგულისხმოდ განზრახვანიც ჩაუთქვამთ.

...ეს ამბავი ცუნდრუკებსა სჯერათო, – თავისი სათქმელი პერსონაჟისათვის მიენდო მწერალს და მიამიტურად ეგონა, გავხსნი თუ არა სიმბოლიკის ნამდვილ შინაარსს, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ შეთხზული ლეგენდისაგან აღარაფერი დარჩებო.





ეკა ბუჯიაშვილი

# ანარეკლი ქველი სანაპიროდან

თემურ მეტრეველის  
ბახსენება

XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ადამიანს ეთხოვებოდნენ, ერთი საზომი ჰქონდათ – საქვეყნო გადასახედიდან აფასებდნენ მის ღვანლს... თემურ მეტრეველი ის პიროვნებაა, ვისი ცხოვრებაც ასეთი გადასახედიდან უნდა შეფასდესო, – თქვა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ მასმედიისა და კომუნიკაციების ინსტიტუტში ამ ცნობილი ჟურნალისტის დაბადების დღის აღსანიშნავ საღამოზე, მისივე სახელობის ფონდის ძალიანხმევით რომ გაიმართა და შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა თემურ მეტრეველის კიდევ ერთი ნიგნი – „საზღვარგარეთის ჟურნალისტიკის ისტორია. კომუნიკაციები, ტექნოლოგიები“ – რომელმაც თავი მოუყარა პედაგოგიური მოღვაწეობისას წაკითხული ლექციების კურსს.



საღამოზე შეკრებილები კი ამ ცნობილ ჟურნალისტს, მის ცხოვრებასა და ღვანლს იხსენებდნენ.

სტატიები, თემურ მეტრეველის სახელით რომ ქვეყნდებოდა, ხელშესახები ანარეკლი იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისა და არაერთი ტენდენციის ბევრნილად განმსაზღვრელიც.

კარგი ალლო ჰქონდა.

ძალზე თანამედროვე იყო – თუ არ იცნობდი, ვერც მიხვდებოდი, რა ასაკის ადამიანი წერდა.

კალამი უჭრიდა.

ხასიათიც.

ერთხელ მტკიცედ გაჭრილ კვალს მიჰყვებოდა შეუპოვრად.

აკი ამიტომაც თავისი ცხოვრების გზა ბავშვობისდროინდელ სურათს აგონებდა:

როგორ მიაქანებდა მტკვრის მღვრიე ტალღები მათ ძველ, მაგრამ საიმედოდ შეკრულ ბორანს.

ეს მისი გზა იყო, რომლის მეორე მხარესაც ბედნიერი სამშობლოს ნაპირი ეგულებოდა.

„ანტონ I დარდობდა: „ხოლო შენ მზეო საქართველო-საო, არლა მოიქეც მერიდიანსა ამას...“

ანტონ I მხნობდა: „არა დავსცხრე, ვიდრე ვიყო...“ – წერდა ბატონი თემური ერთ-ერთი ნიგნის წინასიტყვაობაში.

და არა „სცხრებოდა“ თავადაც, ვიდრე იყო.

„კაბადონი-8“, „ქართული კულტურა“, „დილის გაზეთი“, „მოქალაქე“, „დრონი“, „ახალი ეპოქა“... – ეს იქნებ არასრული სიაც კია იმ გაზეთებისა, რომელთა საძირკველიც გაეჭრა და სათავეშიც ჩასდგომოდა. ამიტომ იუმორით „თემურ დამაარსებელსაც“ უწოდებდნენ ახლობლები. იუმორი არც თვითონ აკლდა.

სწორედ ამ გრძნობით იწერებოდა მისი სტატიების ციკლი „ამოდულდი მარგალიტო“, რომელშიც ქართული ენის დამახინჯების პრობლემებს ეხებოდა და ცალკე ნიგნად გამოცემული ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდაც დამკვიდრდებოდა ჩვენს რეალობაში.

თემურ მეტრეველისთვის რომ გეკითხათ:

უნდა ჰქონდეს თუ არა ჟურნალისტს მეომრის გაბედულებათ? არაო, – გეტყვოდათ, თუმცა, როცა დადგა საბედისწერო წუთი, მეომარივით შევარდა შუაგულ ცეცხლში.

გაზეთ „ახალ ეპოქას“, დროების ქარტეხილები რომ დაატყდა თავს, არ ეპუებოდა დახურვას, არ ჩერდებოდა, მაინც ამზადებდა ნერილებს თავის ჯგუფთან ერთად და „დილის გაზეთის“ ფურცლებზე აქვეყნებდა ამ გაზეთის ხელმძღვანელობის თავგანწირვითაც.

ფარ-ხმალს არ ყრიდა.

აკი თავისი წერილების კრებულიც ასე დავსათაურებინა: „თუ გაიქცევი, დაილუპები“.

და არ გარბოდა.

და მხნობდა:

არა დავსცხრეთ, ვიდრე ვიყოთო.

ახლა თემურ მეტრეველის საქმეს მისივე სახელობის ფონდი აგრძელებს, შვილი – სულხანი რომ უდგას სათავეში და ახლახან თემურ მეტრეველის სახელობის სტიპენდიებიც რომ დაანესა ჟურნალისტიკაში.

– სტატიები, თემურ მეტრეველის სახელით რომ ქვეყნდებოდა, ხელშესახები ანარეკლი იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისაო...

ამ ანარეკლზე საუბრობდნენ შეკრებილები: როსტომ ჩხეიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გელა ებანოიძე, ვილენ მარდალეიშვილი, მანანა კარტოზია, ლუბა ელიაშვილი, ოლეგ ალავიძე, თამარ ბელქანია, თამარ გუნაშვილი, თეა ყიფშიძე, ლელა დვალიძე...

და თითქოს ხედავდი ასეთ ანარეკლსაც:

მტკვარი შემოდგომის მღვრიე ტალღებს მიაქანებდა და ერთი ძველი, მაგრამ საიმედოდ შეკრული ბორანი ნელა, მაგრამ მაინც დაჟინებით მიიკვლევდა გზას ნაპირისაკენ. შორს, ჯერ კიდევ შორს ილანდებოდა გალმა ნაპირი.

ჯილბერტ კიტ ჩესტერტონი

# მამა ბრაუნის ჯადოსნური ზღაპარი



კოპნია ქალაქ-სახელმწიფო ჰაილიგვალდენშტაინი ერთ-ერთი გახლდათ იმ ციციქნა სამეფოებიდან, რომელთაგანაც ჯერაც დაქსელილა გერმანიის იმპერია. პრუსიის მბრძანებლობას მოგვიანებით დააღწია თავი – ჰა და ჰა ორმოცდაათი წლით ადრე იმ მშვენიერ ზაფხულის საღამომდე, ფლამბო და მამა ბრაუნი რომ ჩამომსხდარიყვნენ ბაღში და ლუდს შეექცეოდნენ. ამ ქალაქის ხსოვნაში ცოცხალი როდი დაგროვილიყო ომისა და სასტიკი სამართლის მოგონებანი, რასაც მალე გიჩვენებთ. მაგრამ ჰაილიგვალდენშტაინის რიგით მნახველს არ გამოეპარება ის ბავშვური იერი, რაც ყველაზე მომხიბლავია გერმანიაში – ის პანია პანტომიმური, შინაურულ-მამობრივი მონარქიები, სადაც მეფე მზარეულივით შინაურია. უამრავ საყარაულო ჯიხურში ჩამომწკრივებული გერმანელი ჯარისკაცები უცნაურად დამსგავსებოდნენ გერმანულ სათამაშოებს, მზით მოოქროვილი ციხე-სიმაგრის სწორხაზოვანი კონტურები კი ოქროსფერ ქადას უფრო მოგაგონებდათ. ბრწყინვალე ამინდი იდგა. ზეცა ისე პრუსიულად გადალურჯებულიყო, თვით პოტსდამს რომ ეკადრება, მაგრამ მინც ისეთი უხვი და კაშკაშა ფერები იღვრებოდა, თითქოს ბავშვს საღებავების ყუთი მოუხელთებიაო. თვით ხმობაშეპარული ხეებიც კი ნორჩად ახასხასებულებდნენ, რადგანაც კენწეროები ავარდისფერებოდათ და სილურჯის ფონზე ურიცხვი ბავშვური ფიგურა იხატებოდა.

მიუხედავად პროზაული გარეგნობის და ცხოვრების პრაქტიკული ნესისა, მამა ბრაუნი არა ყოფილა მოკლებული ცოტაოდნავ რომანტიკულ განწყობილებას, თუმცა ოცნებებს არავის უმულავებდა, ბავშვების უმეტესობისა არ იყოს. იმდღევანდელ ელვარე, ხასხასა ფერებსა და ამ ყაიდის ქალაქის ჰერალდიკურ ჩარჩოში მოქცეული ჯადოსნურ ზღაპარში მოხვედრილად გრძნობდა თავს. ყმანვილური სიხარულით, უმცროსი ძმასავით ტკებოდა ფლამბოს მოზრდილი ხმალ-ჯოხის ცქერით, მიუნჰენური ლუდის კათხის გვერდით რომ აყუდებულებოდა. და ნახევრად მთვლემარე იმასაც მიხვდა, რომ თავისი გაცვეთილი ქოლგის ხორკლიანი და უწონო სახელური ბუნდოვნად აგონებდა გოლიათთა კლუბს ზღაპართა ფერადი წიგნიდან. მაგრამ მას არასოდეს შეეთხზა რაიმე ამბავი, თუკი არ ვიგულისხმებთ ამჯერად მოთხრობილს:

„ნეტავი“, იკითხა მან, „თუ შეიძლება კაცი ნამდვილ ფათერაკს გადაეყაროს ასეთ ადგილას, თუკი დაეძებს? საამისოდ ბრწყინვალე დეკორაციებია, მაგრამ ყოველთვის ისეთი განცდა მიჩნდება, რომ დეკორატიული ხმლებით უფრო შეგებმიან, ვიდრე ნამდვილი, საშიში მახვილებით“.

„ცდებით“, შეეპასუხა მეგობარი, „ასეთ ადგილებში არამართო ხმლებით იბრძვიან, არამედ უხმლოდაც ხოცავენ. და კიდევ უარესიც მომხდარა“.

„რას გულისხმობთ?“ იკითხა მამა ბრაუნმა.

„რას და“, მიუგო ფლამბომ, „უნდა მოგახსენოთ, რომ ევროპაში ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ადამიანი ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე მოკლეს“.

„მშვილდისარს გულისხმობთ?“ ჰკითხა გაოცებულმა მამა ბრაუნმა.

„ტყვიას – თავში“, მიუგო ფლამბომ, „არა გსმენიათ ამ მხარის უკანასკნელი უფლისწულის ამბავი? პოლიციისათვის ეს ერთ-ერთ უდიდეს გამოცანად იქცა ამ ოციოდე წლის წინათ. ცხადია, გეხსომებათ, რომ ეს მხარე ძალით დაიპყრეს ბისმარკის დროს გაერთიანების იმ ადრეული სქემის თარგზე – ძალით კი დაიპყრეს, მაგრამ არცთუ იოლად. იმპერიამ (თუ რის შექმნასაც ესწრაფოდნენ) უფლისწული ოტო გროსენმარკი გამოგზავნა, რათა ემართა ეს მხარე იმპერიის კვალობაზე. მისი პორტრეტის ნახვა, აი, იქ შეგიძლიათ – მოხდენილი ჯენტლმენი იქნებოდა, თმა-წვერი რომ შერჩენოდა და სვავივით ერთიანად არ დაღმეჭილიყო; და არსებობდა რაღაც, რაც სდევნიდა და არ ასვენებდა, და თუ რა იყო ეს, ახლავე აგისწინოთ. იგი ჯარისკაცი გახლდათ, ამ საქმეში გამორჩეული ნიჭი გამოეჩინა და წარმატებისთვისაც მიეღწია, მაგრამ ამ პატარა მხარეში არცთუ იოლ საქმეს გადაეყარა. ბრძოლაში რამდენჯერმე დაამარცხეს ძმებმა არნოლდებმა – სამმა პატრიოტმა პარტიზანმა, სუინბერნმა ლექსი რომ უძღვნათ, გეხსომებათ:

**ყარყუმისბუნვა მგლები  
გვირგვინოსანი ყვავები და მეფენი –  
ასე ურიცხვნი, საშიშარნი არიან,  
თუმც ამ სამეულმა ყველაფერს ძლია.**

თუ რაღაც ამგვარი. და მართლაც სათუთა დაპყრობა წარმატებით დასრულებულიყო, სამ ძმათაგან ერთს, პოლს, სათაკილოდ, ოლონდ მტკიცედ რომ არ გადაენწყვიტა – ხელი აელო წინააღმდეგობაზე, გაემულავნებინა ამბოხების ყველა საიდუმლო და ამით მისი მარცხი დაეჭქარებინა, სანაცვლოდ კი ებოძებინათ სახლთუხუცესობა უფლისწულ ოტოს კარზე. შემდგომ ამისა ლუდვიგი, ჭეშმარიტი გმირი მ-რ სუინბერნის პერსონაჟთაგან, ხმლით ხელში დაილუბა ქალაქის ალებისას; მესამე ძმა, ჰაინრიში, ვინც გამცემი არა ყოფილა, მაგრამ ყოველთვის მორჩილი და მორიდებული კი გახლდათ თავის ბობოქარ ძმებთან

შედარებით, ჩამოსცილდა ყველაფერს და განდევნილობა ირჩია, რაღაც კვაკერობის მსგავს ქრისტიანულ მოძღვრებას შეაფარა თავი და აღარავის ხვდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლატაკებს ურიგებდა, თუ რამ ებადა. ამბობენ, არცთუ დიდი ხნის წინათ მისი ნახვა კიდევ შეიძლებოდა ახლო-მახლო, შავი მოსასხამით დაიარებოდა, ლამის ბრმა, თეთრი გაჩეჩილი თმა ეყარა, სახე კი განსაცვიფრებლად მშვიდი ჰქონია“.

„ვიცი“, თქვა მამა ბრაუნმა, „მინახავს“.

მეგობარმა ოდნავი გაკვირვებით შეხედა. „არ ვიცოდი, თუ აქ ადრე ნამყოფი იყავი“, უთხრა, „ალბათ იმდენივე მოგეხსენება ამ ამბისა, რაც მე. ასეა თუ ისე, ესაა ამბავი არნოლდებისა და ჰაინრიხი აღმოჩნდა უკანასკნელი, ვინც გადაარჩა მათგან, რაიმე როლი რომ შეასრულეს ამ დრამაში“.

„იმაღ გულისხმობთ, რომ უფლისწულიც დიდი ხანია მიიცვალა?“

„მიიცვალა“, გამოეპასუხა ფლამბო, „და სულ ესაა, რისი თქმაც შეგვიძლია. უნდა იცოდეთ, რომ სიცოცხლის მიწურულს სწორედ ისეთი ნერვიული აშლილობანი დაეწყო, ტირანებს რომ სჩვევიათ. ისე გაზარდა სადღელამისო დარაჯთა რაოდენობა თავისი ციხე-სიმაგრის გარშემო, რომ ქალაქის სახლები ყარაულებით გამოტენილ ყუთებს დაემგვანა; საეჭვო პირთ დაუნდობლად ხვრეტდნენ. ერთ პანია ოთახში შეკეტილიყო, სხვა ოთახთა უზარმაზარი ლაბირინთის შუაგულში რომ ჩამჯდარიყო; და თვით ამ პანია ოთახშიც მოაწყო რაღაც შუაგულური კაბინისა თუ კარადის მსგავსი და ფოლადითაც დააჯავშინა, თითქოს სეიფი ან საბრძოლო ხომალდიყო. ამბობდნენ, ამ კაბინის იატაკიდან მინაში გადის ხვრელი, სადაც ერთი კაცი თუ გაეტყვაო. რა გამოდიოდა – საფლავის არიდების ჟინით საკუთარი ნებით მიძვრებოდა რაღაც მინამგვანში. მაგრამ ესეც არ იკმარა. აჯანყების შიშით მოსახლეობა იმთავითვე განაიარაღეს, მაგრამ ოტომ დაიჟინა – და ასეთ დაჟინებას მთავრობა იშვიათად იჩენს – მოხდეს სრული განიარაღება, ზუსტად ამ სიტყვის შესატყვისადო. განიარაღება უჩვეულო სიმკაცრითა და სიბეჯითით განახორციელეს კარგად ორგანიზებულმა ოფიციალურმა პირებმა ამ მხარისა; და რამდენადაც ადამიანურ უნარსა და მეცნიერებას შეუძლია სავსებით დარწმუნდეს რაიმეში, უფლისწული ოტო სწორედ ასე დარწმუნებულიყო, ჰაილიგვალდენშტაინში არავის სათამაშო დამბარაც კი აღარ მოეძვეებაო“.

„ადამიანური მეცნიერება სრულყოფილად ვერასოდეს დარწმუნდება ასეთ რამეებში“, თქვა მამა ბრაუნმა, თან თვალი არ მოუცილებია თავს ზემოთ ნითელკვირტებიანი ტოტებისათვის, „თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელია ზუსტი განსაზღვრება და განმარტება მოეძებნოს, თუ რა არის იარაღი? ადამიანები დაუზოცავთ ყოვლად უვნებელი საოჯახო ნივთებით; ჩაიდნით ხომ რასაკვირველია და ალბათ ჩაის დასაყენებელი ცხაურითაც. მეორე მხრივ, მეექვსევა, უძველეს ბრიტანელს რევოლვერი იარაღად მიეჩნია – ვიდრე ესროდი, ცხადია. ვინმემ იქნებ ისეთი ცეცხლსასროლი იარაღი გამოიგონა, სულაც რომ არა ჰგავდა ცეცხლმსროლელს. ეგებ სულაც სათითეს ან რაღაც ამგვარს ნააგავდა. ტყვია უცნაური ხომ არა ყოფილა?“

„მაგის მსგავსი არაფერი მსმენია“, მიუგო ფლამბომ, „რაც ვიცი, ფრაგმენტულად ვიცი ჩემი ძველი მეგობრის – გრიმისაგან. იგი გერმანული სამსახურის უნარიანი დეტექტივი იყო და ჩემი დატუსაღება მოინდომა; არადა, მე დავაპატიმრე და ბევრ საგულისხმოდ თემაზეც ვისაუბრეთ. იგი აქ უფლისწულ ოტოს საქმის გამოძიებას ხელმძღვანელობდა, დამავინწყდა მისთვის ტყვეის თაობაზეც მეკითხა. გრიმის გადმოცემით, ეს ამბავი ასე მოხდა“. მან წუთით შეისვენა, ერთი ყლუპით უჩვენა ძირი მუქი ლუდის კათხას და განაგრძო:

იმ საღამოს, როგორც ჩანს, უფლისწულის გამოჩენას ერთ-ერთ გარეთა ოთახში ელოდნენ, რათა მიეღო სტუმრები, რომლებთან შეხვედრაც ნამდვილად სურდა. ისინი გეოლოგიური ექსპერტები იყვნენ, გამოგზავნილნი იმ ძველი გადმოცემის გამოსარკვევად, გარშემო კლდეებში ოქროს მარაგი ძევსო, რისი წყალობითაც (როგორც ირწმუნებოდნენ) ეს პატარა ქალაქ-სახელმწიფო იმხელა ძალას ინარჩუნებდა, რომ მეზობლებთან მაშინაც მართავდა მოლაპარაკებას, როდესაც ვეება არმიები განუწყვეტელივ ბომბავდნენ. ეგ კია, დღემდე არაფერი უპოვინათ, თუმც ისეთი გულდასმით ეძებდნენ, რომ –“

„რომ სათამაშო დამბარა უსათუოდ იპოვინდნენ“, ღიმილით შეესიტყვა მამა ბრაუნი, „მაგრამ იმ ქვემძრომმა ძმამ რა? არაფერი გააჩნდა სათქმელი უფლისწულისათვის?“

„ყოველთვის ამტკიცებდა, არაფერი ვიციო“, მიუგო ფლამბომ, „ეს ერთადერთი საიდუმლოა, რაც ძმებმა არ გამომხილესო. კაცმა რომ თქვას, მის სიტყვებს ამარტებდა დიდი ლუდვიგის სიკვდილის წინა ფრაზა, როცა ჰაინრიჰს შეხედა, პოლზე მიუთითა და უთხრა: არაფერი გაუმჟღავნო, – და კიდევ ჩაუწყდა ხმა. და მაინც მოსულიყო პარიზიდან გამოჩენილ გეოლოგთა და მინერალოგთა დეპუტაცია, შესაფერის ბრწყინვალე სამოსში გამონყობილნი, რადგანაც მეცნიერებივით არავის უყვარს თავისი მორთულობა – ეს ყველას მოეხსენება, ვინც ოდესმე დასწრებია საღამოს წვეულებას სამეფო გარემოში. თვალისმომჭრელი საზოგადოება გახლდათ, მაგრამ ძალიან დაგვიანდა და თანდათან სახლთუხუცესმა – მის პორტრეტსაც ხომ ხედავთ: შავთვალა კაცია, სერიოზული გამოხედვითა და რაღაც უაზრო, ქვეშ-ქვეშა ღიმილით – ვიმეორებ, სახლთუხუცესმა შენიშნა, ყველა აქაა, გარდა თვით უფლისწულისაო. სალონები დაიარა, შემდეგ გაახსენდა ამ კაცის აკვიატებული შიშები და შიგნითა ოთახისაკენ გაეშურა. ისიც ცარიელი დახვდა. შუა ოთახში მდგარი კომპურისა თუ კაბინის გაღებას დრო დასჭირდა. გააღეს და ისიც ცარიელი აღმოჩნდა. სახლთუხუცესი შიგნით შევიდა და მინაში ჩამავალ ხვრელში ჩაიხედა, ხვრელი ღრმა ჩანდა და რილაცით საფლავს ნააგავდა – ეს, ცხადია, სახლთუხუცესის ჩვენება გახლავს. და როდესაც ამ საქმიანობაში გართულიყო, გარეთა ოთახებიდან და დერეფნებიდან ყვირილი და აურზაური მოესმა.“

თავიდან რაღაც გამოუცნობი ჯგუფური ბრახბარუხი და ჩოჩქოლი მოისმა შორიდან, თითქოს ციხე-სიმაგრის გარედან მოდისო. შემდეგ უსიტყვოდ, შემზარავი ხმაური მოახლოვდა. მერე სიტყვები გაისმა საშინელი სიცხადით,

მოახლოვდა და კაციც შემოვარდა ოთახში და ახალი ამბავიც მოიტანა ისეთი სისხარტით, როგორც ასეთ ახალ ამბავს აცნობებენ ხოლმე.

ოტო, ჰაილიგვალდენშტაინისა და გროსენმარკის უფლისწული, ციხის სიახლოვეს, ტყეში მიმწეხრის ნამიან ბაღებში იწვია, ხელები გაეშალა და მთვარეს მისჩერებოდა, სისხლი ჯერაც მოწვეთავდა შენგრეული საფეთქლიდან და ყბიდან და ეს ერთადერთი ნაწილი იყო მისი სხეულისა, სიცოცხლის ნიშანწყალს რომ ამჟღავნებდა. იგი თეთრ-ყვითელ უნიფორმაში გამოწყობილიყო სტუმრების დასახვედრად სასახლეში, მხოლოდ ბაფთა ჰქონდა მოხსნილი და დაჭმუჭნული ეგდო გვერდით. როდესაც ნამოსწიეს, უკვე მკვდარი გახლდათ. მაგრამ მკვდარი იყო თუ ცოცხალი, მაინც გამოცანად რჩებოდა – თუ როგორ მოხდა, რომ ვინც ყოველთვის იმალებოდა შიგნიშობა ოთახში, დანამულ ტყეში იპოვნეს უიარაღოდ და მარტოდმარტო“.

„ვინ იპოვნა გვამი?“ იკითხა მამა ბრაუნმა.

„ერთმა გოგონამ უფლისწულის კარიდან, სახელად ჰედვიგ ფონ რალაცამ“, მიუგო მეგობარმა, „ტყეში გასულიყო მინდვრის ყვავილების დასაკრეფად“.

„დაუკრეფავს?“ იკითხა მღვდელმა, თან რალაც განწყენებულად ათვალეობდა თალარს თავს ზემოთ.

„დიახ“, მიუგო ფლამბომ, „ზუსტად მახსოვს, ჩემბერლენსა თუ მოხუც გრიმსა და ვილაცას უთქვამს, რა შემზარავი ყოფილა, როდესაც ძახილზე მისულან და უხილავთ სისხლიან გვამზე დახრილი გოგონა, გაზაფხულის ყვავილებით ხელში. რაც უნდა იყოს, მთავარი ისაა, რომ ვიდრე მიეშველებოდნენ, უფლისწული უკვე მომკვდარიყო, და ეს ამბავი, ცხადია, ციხე-დარბაზში უნდა მიეტანათ. ამ ცნობით გამოწვეულმა მღელვარებამ გადააჭარბა ბუნებრივ აურზაურს, რაც სამეფო კარზე დიდი ძალაუფლების დაცემას მოსდევს. უცხოელი სტუმრები, განსაკუთრებით მალაროთა ექსპერტები, უზომოდ აღელდნენ და დაეჭვდნენ, მრავალი მნიშვნელოვანი პრუსიელი ოფიციალური პირისა არ იყოს, და მალე ცხადი შეიქმნა, რომ განძეულის პოვნა გაცილებით უფრო ფასობდა ბიზნესისათვის, ვიდრე ხალხს წარმოედგინა. ექსპერტებმა და ოფიციალურმა პირებმა დიდი ჯილდოები დააწესეს თუ საერთაშორისო თანადგომის დაპირებაც არ დაიშურეს; ზოგმა ისიც განაცხადა, უფლისწულის საიდუმლო ოთახები და ძლიერი სამხედრო დაცვა მოსახლეობის შიშზე მეტად იმით იყო გამოწვეული, რომ პირადად იძიებდაო...“

„ყვავილებს გრძელი ღეროები ჰქონდა?“ იკითხა მამა ბრაუნმა.

ფლამბო დააქვერდა. „რა უცნაური ვინმე ხარ!“ უთხრა, „სწორედ ამას კითხულობდა მოხუცი გრიმიც. ირწმუნებოდა, ამ ამბის ყველაზე უსიამო ნაწილი – სისხლსა და ტყვიაზეც უსიამო – ის ძალზე მოკლე ყვავილებია, მხოლოდ თავებთან რომ შერჩენოდათ ღეროებიო“.

„რასაკვირველია“, თქვა მღვდელმა, „როცა მოზრდილი გოგონა ნამდვილად კრეფს ყვავილებს, გრძელ ღეროს უტოვებს. ხოლო თუ თავებს აწყვეტს ბავშვივით, გამოდის რომ –“ იგი შეყოყმანდა.

„ჰო, რაო?“ ჩაეკითხა თანამოსაუბრე.

„გამოდის, რომ ნერვიულად დაუნყვეტია, რათა იქ ყოფნა გაემართლებინა, ბოლოსდაბოლოს იქ იმყოფებოდა –“

„ვიცი, საითაც მიგყავს მსჯელობა“, პირქუშად უთხრა ფლამბომ, „მაგრამ ეგ და სხვა ეჭვებიც მაშინვე ქრება, როგორც კი იარაღს მოვიკითხავთ. მისი მოკვლა, შენი თქმისა არ იყოს, მრავალი რამით შეიძლებოდა – თვით მისი სამხედრო ყელსახვევითაც; მაგრამ ის კი არ უნდა ავხსნათ, თუ რითი მოკლეს, არამედ – თუ რითი ესროლეს. და აშკარაა, რომ ვერ ავხსნით. გოგონა შეუბრალებლად გაჩხრიკეს და დაკითხეს; რადგანაც, სიმართლე უნდა ითქვას, იგი გახლდათ ეჭვმიტანილი, თუმც იმ მხეცი ბებერი სახლთუხუცესის, პოლი არნოლდის, ნათესავი და სამეურვეო იყო. მაგრამ გოგონა ძალზე რომანტიკული ჩანდა და ეჭვი გაჩნდა, რომ თანაუგრძობდა თავისი ოჯახის ძველ, რევოლუციურ ალტკინებას. და მაინც, რაც უნდა რომანტიკული იყო, თოფისა ან დამბაჩის გარეშე ვერ ჩააჯენ კაცის თავსა თუ ყბაში მოზრდილ ტყვიას. დამბაჩა კი არსად ჩანდა, თუმც ორი გასროლა მოხდა. ამის ახსნას შენ გიტოვებ, მეგობარო“.

„რა იცი, რომ ორი გასროლა მოხდა?“ იკითხა პატარა მღვდელმა.

„ერთი თავში მოხვდა“, მიუგო ამხანაგმა, „მაგრამ მეორე ტყვიამ ბაფთა გაუხვრიტა“.

„უეცრად მამა ბრაუნმა წარბები შეჰყარა. „მეორე ტყვიაც იპოვნეს?“ ჩაეკითხა.

ფლამბო შეყოყმანდა. „რალაც ვერ ვიხსენებ“, მიუგო.

„მოიცა! მოიცა! მოიცა!“ ნამოიძახა ბრაუნმა და სულ უფრო იჭმუხნებოდა, რალაცას უცნაურად ჩაჟინებული. „უზრდელობაში ნუ ჩამომართმევ, თუ ნუთით ჩავუფიქრდები ყოველივე ამას“.

„კეთილი“, მიუგო ფლამბომ, გაიღიმა და ლუდი ფსკერამდე გადაყლურნა. ნელმა ნიავმა შეარხია აკვირებულ ხეები და აიქროლა ცაზე გაშლილი თეთრი და ვარდისფერი ღრუბლებისაკენ, რაც ცას კიდევ უფრო ლურჯად აჩენდა და მთელი ეს ფერადი გარემოც უფრო ჯადოსნურად გამოიყურებოდა. ალბათ ანგელოსები მიფრინავდნენ შინისაკენ, ზეციური სასუფეველის სარკმლისაკენ. ციხე-დარბაზის უძველესი კოშკი, ურჩხულის კოშკი, ლუდის კათხასავით გროტესკულად წამომართულიყო, მაგრამ მაინც შინაურულად მოჩანდა. კოშკის მიღმა მკრთალად ილანდებოდა ტყე, სადაც კაცი მოკლეს.

„ბოლოს როგორ დამთავრდა იმ ჰედვიგის ამბავი?“ იკითხა მღვდელმა.

„გენერალ შვარცს მისთხოვდა“, მიუგო ფლამბომ, „ეჭვი არ მეპარება, გასმენიათ მის მეტად რომანტიკულ კარიერაზე, ჯერ კიდევ სადოვასა და გრაველოტის გმირობებამდე გამოიჩინა თავი, არსებითად რიგითი ჯარისკაცობიდან წაინია წინ, რაც უჩვეულოა ასეთი პატარა გერმანული –“

მამა ბრაუნი ფეხზე წამოიჭრა.

„რიგითობიდან დაწინაურდა!“ შესძახა და პირი ისე მოპრუნა, თითქოს დასტვენას აპირებო, „ჰო, ჰო, რა უცნაური ამბავია! რა უცნაური ხერხია კაცის მოსაკლავად; მაგრამ მგონია, ეს ერთადერთი საშუალება იყო. ეგაა, ასეთი მოთმინებით სიძულვილზე რომ ჩაფიქრდები –“

„რას გულისხმობთ?“ ჩაეკითხა თანამოსაუბრე, „როგორ მოკლეს ის კაცი?“

„ბაფთით მოუღეს ბოლო“, მიუგო ბრაუნმა ფრთხილად; და როცა ფლამბომ უარყოფა დააპირა, „დიახ, დიახ, მახსოვს ტყვია. ალბათ უნდა მეთქვა, იმიტომ დაიღუპა, ბაფთა რომ ეკეთა-მეთქი. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს რაიმე სწეულება სჭირდა“.

„გვინებ“, თქვა ფლამბომ, „რალაცას მიაკვლიე, მაგრამ ტყვიას იოლად ვერაფერს მოუხერხებ. როგორც წელიდან ავიხსენი, იგი ადვილად შეიძლება დაეხრჩოთ, მაგრამ ესროლეს. ვინ? რითი?“

„მას საკუთარი ბრძანებით ესროლეს“, თქვა მღვდელმა.

„თავის მოკვლას გულისხმობთ?“

„არ მითქვამს, მისი სიძულვილით-მეთქი“, უპასუხა მამა ბრაუნმა, „მისი ბრძანებით-მეთქი, მოგახსენე“.

„კეთილი, რაც გინდა იყოს, რა თეორია შეიმუშავე?“

მამა ბრაუნმა გაიღიმა. „მე ხომ შვებულებაში ვარ“, თქვა მან, „არავითარი თეორიები არ გამაჩნია. ოღონდ ეს ადგილი ჯადოსნურ ზღაპრებს მაგონებს, და თუ გინდა, გაიმბობ“.

პატარა ვარდისფერი ღრუბლები, ტკბილედ უღს რომ უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე სხვა რაიმეს, შეგროვილიყვნენ და გვირგვინად დასდგომოდნენ ციხე-დარბაზის ჟღალსა და მოოქროვილ კოშკებს, ხოლო აკვირებულ ხეთა პანანინა, ვარდისფერი თითები თითქოს მათკენ განვდილიყვნენ; ლურჯი ცა მოსალამოვებულზე კაშკაშა იისფრად იცვლებოდა, როცა მამა ბრაუნმა კვლავ დაილაპარაკა.

„იმ პირქუშ ღამეს, როდესაც წვიმა კვლავ წვეთავდა ხეებიდან და ნამი ის-ისაა ჩნდებოდა, უფლისწული ოტო გროსენმარკელი აჩქარებით გამოვიდა სიმაგრის გვერდითა კარიდან და სწრაფად შეაბიჯა ტყეში. უამრავ დარაჯთაგან ერთ-ერთი მიესალმა, მაგრამ უფლისწულს არ შეუმჩნევია; არც სურდა, რომ ვინმეს დაენახა. ესამოვნა, როდესაც დიდმა, რუხმა და წვიმისაგან კიდევ უფრო ჩამუქებულმა ხეებმა ჭაობივით შთანთქეს. მან შეგნებულად ამოიჩნია სასახლიდან გამოსასვლელად ის გზა, სადაც

არავის გადააწყდებოდა, და თუმც მანც გადაეყარა ვილაცას, ოფიციალურ სტუმართა და დიპლომატთაგან ვერავინ გაეძევებოდა, რადგანაც მისი გამოსვლა უეცარმა ბიძგმა გამოინვია. ის გამოპრანჭული დიპლომატები ჩირადაც არ უღირდა. ანაზღად მიხვდა, უიმათოდ უფრო იოლად გავიტან ჩემსასო.

უფლისწულ ოტოს ყოვლისმომცველი ვნება იყო არაკეთილმოზილი ძრწოლა სიკვდილის წინაშე, არამედ დაუოკებელი სწრაფვა ოქროსადმი. ოქროზე არსებული ლე-

გენდის გულისათვის მიატოვა გროსენმარკი და დაიპყრო ჰაილიგვალდენშტაინი. ამისათვის და მხოლოდ ამისათვის მოისყიდა გამცემი და ააჩეხინა გმირი, ამისათვის დაკითხა ჯვარედინად სახლთუხუცესი, ვიდრე დარწმუნდებოდა, რენეგატმა მართლა არაფერი იცისო. ამისათვის იყო, რომ უნადინოდ, მაგრამ მანც იხდიდა ფულს და დაპირებებსაც არიგებდა ცაცილებით დიდი მოგების მოლოდინში; ამისათვის გამოიპარა სასახლიდან ქურდივით და წვიმას მისცა თავი იმ იმედით, სხვა და უფრო იოლ გზას მოვძებნი ჩემ თვალთა შინის მოსაკლავადო.

ზემოთ, მთის მიხლართულ-მოხლართული ბილიკის ბოლოსაკენ, საითაც მიიკვლევდა გზას, ფრიალო კლდეებს შორის, ქალაქს რომ გადმოჰყურებს, იმ ქედის გასწვრივ, სუფევდა ეკალბარდებით შემორაგული განდგეილის სენაკი, გამოქვაბულზე მეტი

რომ არც ეთქმოდა, და სადაც დიდი ხანია ქვეყნიერებისაგან მოშორებით ბინა დაედო მესამე ძმას იმ დიდი სამეფულიდან. მას, ფიქრობდა ოტო, ოქრო არაფრად ესაჭიროება და დათმობა არ გაუჭირდება. მრავალი წელია ოქროს ადგილსამყოფელი იცის და არც კი უცდია, მოეძებნა, მანამდეც კი, ვიდრე ახალი ასკეტური რწმენა გზას გადაუჭრიდა საკუთრებისა და სიამისაკენ. მართალია მას მტრები ჰყავდა, მაგრამ ახლა ხომ მოვალეობა იკისრა, აღარავისთვის ემტრო. მისი მისწრაფებისა და პრინციპების კაცისაგან შესაძლო ჩანდა ფულის საიდუმლოს შეტყობა. ოტო არა ყოფილა მხდალი, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო თავდაცვის ქსელი შემოიქსოვა გარშემო, და თუნდაც ყოფილიყო, მის არსებაში სიხარბე სძლევდა



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

შიშს. და დიდად სახიფათოც არაფერი ჩანდა. მან ხომ იცოდა, რომ მთელ მხარეში იარაღი არავის გააჩნდა, და ის კიდევ უკეთესად მოეხსენებოდა, რომ მთაზე ატყორცნილ კვაკერის სენაკში იარაღის ნასახიც არ დაიძებნებოდა; აქ იგი მწვანელივით იკვებებოდა და ცხოვრობდა ორ მოხუც მსახურთან ერთად და სხვა ადამიანის ხმა წლებია აღარ სმენოდა. უფლისწულმა ოტომ რალაცნაირი მკაცრი ღმილით გადახედა კაშკაშა ოთხკუთხა ლაბირინთს ქვემოთ გადაშლილი განათებული ქალაქისა, რადგან სადამდეც თვალი მიწვდებოდა, მისი ხალხის თოფები ჩამწკრივებულიყო, ხოლო მტრებს ერთი მნიკვი თოფისწამალიც არ მოეძეებოდათ. თოფები ისე ახლოს ჩამწკრივებულიყო მთის ბილიკთანაც, რომ ერთი დაძახილით შეკრებდა მუმომრებს მწვერვალზე, ის რომ აღარც ითქვას, ტყეცა და ქედიც გარკვეულ მანძილზე მდგარი დარაჯებით გადაესებულიყო; ტყეში ჩაკარგული და მდინარის აყოლებზე მანძილის გამოისობით დაპატარავებული თოფები ისე განლაგებულიყო, რომ ქალაქისაკენ მიმავალი მტერი მათ მხარს ვერაფრისდებოდათ ვერ აუქცევდა. სასახლის გარშემო კი თოფები ჩანდა დასავლეთის კართან, აღმოსავლეთის კართან, ჩრდილოეთის კართან და სამხრეთის კართან და ოთხივე მხრივ უთვალთვალდებნენ. საფრთხე არ ემოქრებოდა.

ეს კიდევ უფრო ირწმუნა, როდესაც ქედს თავზე მოექცა. და დაინახა, რაოდენ მოშიშვლებულიყო მისი ძველი მტრის ბუდე. კლდის პანია ბაქანზე იდგა, რომელიც სამი მხრიდან უფსკრულში ეშვებოდა, სიღრმეში შავი გამოქვაბული დატანებულიყო, მწვანე ეკალბარდით შენიღბული, ისეთი დაბალი ჩანდა, ვერც დაიჯერებდი, კაცი თუ შეეტეოდა. ნინა მხარეს კი ფრიალო კლდიდან იხილვებოდა ვრცელი, მაგრამ ღრუბლიანი სანახაობა გადაშლილი ხეობისა. პანია კლდოვან ბაქანზე აღმართულიყო ძველი ბრინჯაოს კათედრა თუ პიუპიტრი საცოდავად აკვნესებული უზარმაზარი გერმანული ბიბლიის ქვეშ. კათედრის ბრინჯაო თუ სპილენძი გაემწვანებინა ამ ამალგებული ადგილის სუნთქვას, და ოტომ მაშინვე გაიფიქრა: იარაღიც რომ ჰქონდეთ, დაუნესტიანდებოდათო. მთვარე უკვე ამოიწვინა და ცივი ნათელი მოჰვიანა ქედებს და ჭიუხებს და წვიმაც შეწყდა.

კათედრასთან იდგა ღრმად მსცოვანი კაცი, შავი და ისეთი სწორი მოსასხამი მოესხა, როგორც კლდეები იყო მის გარშემო; წინ ხეობა გადაშლოდა, მისი თეთრი თმა და სუსტი ხმა ირხეოდა და კრთოდა ქარში. ცხადი იყო, ყოველდღიურ ლოცვას აღავლენდა ანუ რელიგიურ რიტუალს ასრულებდა. „ენდობიან ისინი ჰუნეთა თვისთა...“

„სერ“, სრულიად მოულოდნელი თავაზიანობით მიმართა ჰაილიგვალდენშტაინის უფლისწულმა, „მხოლოდ ერთი სიტყვა მინდა გითხრა“.

„... და ეტლებსა მათსა“, ჩიფჩიფით აგრძელებდა ბერი-

კაცი, „მაგრამ ჩვენ უნდა ვენდოთ სახელითა ღვთისა მასპინძლობისა...“ ბოლო სიტყვები ძლივსლა მოისმა, მაგრამ მან მოწინებით დახურა წიგნი და, რადგანაც თვალთ აკლდა, ხელები მოაფათურა და მერსს მოექიდა. ორი მსახური მაშინვე გამოიჭრა დაბალჭერიანი ქვაბულიდან და მხარში შეუდგა. მასავით შავ-შავი მოსასხამები ებურათ, ოლონდ თმა ჯერ არ შევერცხლოდათ და არც ნაკვთები დაღარვოდათ. გლეხები იყვნენ, ხორვატები თუ უნგრელები, ფართე, გამოჩორკნილი სახის ნაკვთები და ცოცხალი თვალეები ჰქონდათ. უფლისწული ამჯერად უკვე რალაცამ შეაშფოთა, მაგრამ გამბედაობისა და დიპლომატიური გამოცდილების წყალობით თავი შეიმავრა.

„ვშიშობ, აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს“, თქვა მან, „იმ საშინელი დაბომბვის შემდეგ, როდესაც თქვენი საბრალო ძმა დაიღუპა“.

„ჩემი ძმები, ყველა დაიღუპა“, მიუგო ბერიკაცმა, კვლავ ხეობას რომ გადასცქეროდა. მერე წუთით მოაბრუნა ოტოსაკენ შთამბეჭდავი, დახვეწილი სახე, დაზამთრული თმა, ყინულის ლოლოებივით გადმოშვებული წარბებსზევიდან, და დასძინა: „ხომ ხედავთ, მეც მკვდარი ვარ“.


„ვიმედოვნებ, გამიგებთ“, მიმართა უფლისწულმა ოტომ, თან თავს იკავებდა, რათა შემრიგებლური კილო შეენარჩუნებინა, „რომ აქ იმისათვის არ მოვსულვარ, რათა გამოგცხადებოდით აჩრდილად იმ დიადი უთანხმოებისა. ნუ ვისაუბრებთ, თუ ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანნი, რადგანაც ბოლოსდაბოლოს ერთი რამ დარჩა, რამიც არა ვცდებოდით, რაკილა თქვენ ყოველთვის მართალი იყავით. რაც უნდა ითქვას თქვენი ოჯახის პოლიტიკაზე, ნამითაც ვერავინ წარმოიდგენს, რომ მარტოდენ ოქრო გამოძრავებდათ; თქვენ დაამტკიცეთ ეს და ეჭვებიც გაფანტეთ –“

შავ მოსასხამში გახვეული ბერიკაცი აქამდე წყლიანი, ცისფერი თვალეებითა და სახის ბრძნული გამომეტყველებით მისჩერებოდა, მაგრამ „ოქროს“ გაგონებისთანავე ხელი ასწია, თითქოს რალაცის შეჩერება სურსო, და სახე მიუბისაკენ შეაბრუნა.

„მან ოქრო ახსენა“, წამოიძახა, „აკრძალულ საგანს შეეხბო. დაე დაუდუმდეს ენა“.

ოტოს ახასიათებდა პრუსიული ყაიდის ტრადიციული ნაკლი, რაც გულისხმობს, რომ წარმატება თვისებად მი-

აჩნიათ და არა შემთხვევითობად. სისხლსა და ხორცში გაჯდომოდა, რომ გამუდმებით იპყრობდა ხალხებს და ისინიც გამუდმებით ემორჩილებოდნენ. ამდენად, იგი ცუდად იცნობდა მოულოდნელობის განცდას და ვერ განჭვრიტა შემდგომი წამი, რამაც შეაკრთო და გააქვავა. მან პირი დაალო, რათა განდგეილისათვის ეპასუხა, მაგრამ ბაგე დაეხმო და ხმა ჩაუნყდა, რადგან უეცრად რალაც მტკიცე და რბილი ნაჭერი შემოახვიეს თავზე დოლ-



ბანდივით. სრული ორმოცი წამი დასჭირდა იმის მისახვედრად, ეს ამ ორმა უნგრელმა მსახურმა ჩაიღინა და თავპირიც ჩემივე სამხედრო ბაფთით ამიკრესო.

ბერიკაცი კვლავ მიუბრუნდა თავის უზარმაზარ ბიბლიას, ბრინჯაოს საყრდენზე დადებულს, გადაფურცლა ისეთი მოთმინებით, რაღაც შემზარავი განცდაც რომ ახლდა, ვიდრე მიადგებოდა წმიდა იაკობის ეპისტოლეს და შეუდგებოდა კითხვას: „ასევე ენაც მცირე ასოა, და...“

მის ხმაში გამომჭვირვალე რაღაც ძალამ აიჭულა უფლისწული ერთბაშად მიბრუნებულიყო და დაშვებულიყო მთის იმავე ბილიკზე, რითაც ამოვიდა. ნახევარი გზაც არ გაველო სასახლის ბალისაკენ, რომ სცადა მოეგლიჯა კისერზე შემოჭერილი სახვევი. ბევრს ეწვალა, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა; გამკვანძავებმა იციოდნენ, თუ რა შეეძლო კაცის ხელებს თვალწინ და თავს უკან. ფეხები გახსნილი ჰქონდა და შეეძლო არჩევით ეხტუნა მთებზე, ხელები გახსნილი ჰქონდა და შეეძლო ეტრიალებინა და ექნია ნიშნის მისაცემად, მაგრამ კრინტს ვერ დაძრავდა. მუნჯი ეშმაკი ჩასახლებულიყო მასში.

ვიდრე მკაფიოდ გაიაზრებდა, თუ რას ნიშნავდა მისი უმეტყველოდ ყოფნა და თანაც რას მოასწავებდა, იმ ტყეს მიუახლოვდა, ციხე-სიმაგრეს რომ შემორტყმოდა კედლად. ერთხელ კიდევ გადაავლო მოლუშული თვალი განათებული ქალაქის ლაბირინთს და აღარ გაღიმებია. იგი გულში მომაკვდინებელი ირონიით იმეორებდა ფრაზებს, მანამდე რომ წარმოეთქვა. შორს, სადამდეც თვალი განვდებოდა, გამწკრივებულიყო მისი ხალხის თოფები და თვითუფლი დაახლიდა ტყვიას, თუკი არ გამოეპასუხებოდა. თოფები უკვე ახლოს იყო, რადგან ტყესა და ქედს განუწყვეტილვ ამონებდნენ; ამიტომ უსარგებლო იყო დილამდე ტყეში დამალვა. თოფები ისე მჭიდროდ ჩამწკრივებულიყო, რომ მტერი ვერაფრისდიდებით ვერ გაძვრებოდა ქალაქში; ამიტომაც ამო გახლდათ მცდელობა რომელიმე შორი, შემოვლითი გზის მოძებნისა. მისი ერთი დაძახილი და ჯარისკაცები აიჭრებოდნენ მთაზე. მაგრამ დაძახება არ შეეძლო.

ამოცურდა მთვარე და უფრო მძლავრად ააკაშკაშა ვერცხლისფერი სხივები, ცა დაისერა ნათელი მუქ-ლურჯი ზოლებით, სასახლის გარშემო ატყორცნილ ფიჭვთა შავ ზოლებს შორის რომ მოჩანდა. ყვავილები ფართოდ გადაშლილიყო და ბუმბულებს ჰგავდა – ასეთი რამისათვის აქამდე ყურადღება არასოდეს მიუქცევია – ფერი შეცვლოდათ და ბზინავდნენ მთვარის შუქზე, ენითუქმელი ფანტასტიკურობით შეგროვილიყვნენ და მიმოეფინათ ხეთა ფესვები. ალბათ მისი გონება მოულოდნელად ააფორიაქა იმ არაჩვეულებრივმა მიდრეკილებამ, შინაგანად რომ დაატარებდა, ამ ტყეში იგი რაღაც გაურკვეველ გერმანულ განცდას შეეპყრო, განცდას ჯადოსნური ზღაპრისა. გონების ნახევრით ხვდებოდა, რომ კაციჭამია გოლიათის სასახლეს უახლოვდებოდა – დავინყებოდა, რომ თვითონ იყო ის კაციჭამია გოლიათი. ახსოვდა, როგორ ეკითხებოდა დედას, დათვები თუ ბინადრობენ ჩვენი სახლის გარშემო პარკშიო. ყვავილის მოსანყვეტად დაიხარა, თითქოს ამით ჯადო მოეხსნებოდა. ღერო უფრო მტკიცე გამოდგა, ვიდრე მოელოდა, და გადატეხისას მცირედ გატკაცუნდა. ფრთხილად ლამობდა ბაფთაზე დაებ-

ნია, როცა გადაძახილი მოესმა, „ვინ მოდის?“ და უცებ გაახსენდა, რომ ბაფთა ჩვეულ ადგილას აღარ ეკეთა.

შეეცადა დაყვირებას და ხმა ვერ ამოიღო. გაისმა მეორე შეკითხვა; და შემდეგ სროლა მოჰყვა, ტყვიამ დაინვილა და დაცემის ხმაც მოისმა. ოტო გროსენმარკელი გაუნძრევლად ინვა ჯადოსნურ ხეებს შორის და ველარაფერს დააშავებდა ველარც ოქროთი და ველარც ფოლადით; მხოლოდ მთვარის ვერცხლისფერი ფანქარი ეთამაშებოდა და აქა-იქ უბზინებდა უნიფორმის ორნამენტებსა თუ შუბლის ბებრულ ნაოჭს. ღმერთმა შეუნდოს მის სულს.

გარნიზონის მკაცრი წესების თანახმად, დარაჯი, ვინც ისროლა, სწრაფად გაიჭრა წინ, რათა მსხვერპლი ეხილა. ის გახლდათ რიგითი შვარცი, შემდგომ ასე რომ გაითქვა სახელი, და იხილა უნიფორმაში გამონყობილი მელოტი კაცი, ვისაც სახე ჰქონდა ახვეული მისივე სამხედრო ბაფთისაგან გაკეთებული ნიღბით და მარტოდენ ღია, უსიცოცხლო თვალები მოუჩანდა, ცივად რომ ელვარებდნენ მთვარის შუქზე. ტყვიას ქსოვილი გაეგლიჯა და ყბაში გაველო; ამიტომაც გაფატრულიყო ბაფთა ტყვიით და გასროლაც ერთის მეტი არა ყოფილა. ეგებ არასწორადაც მოიქცა, მაგრამ ჭაბუკმა შვარცმა, ბუნებრივია, ჩამოგლიჯა იდუმალი აბრეშუმის ნიღაბი და ბალახებზე მიაგდო, და დაინახა, ვინც მოეკლა.

დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რა იყო შემდგომ. მაგრამ რატომღაც მჯერა, რომ ჯადოსნური ამბავი მოხდა იმ ჰატარა ტყეში, ისეთივე სამიშარი, როგორც ის დროება. იცნობდა თუ არა ყმანვილი ლედი, სახელად ჰედვიგი, ჯარისკაცს, ვინც გადაარჩინა და შემდგომ ცოლადაც გაჰყვა, თუ შემთხვევით გადაეყარა და მათი ნაცნობობა იმ ღამით დაიწყო, ვერასოდეს გავიგებთ. მაგრამ ის კი ვიცით, ჩემი წარმოდგენით, რომ ეს ჰედვიგი გმირი ქალი გახლდათ და იმსახურებდა მისთხოვებოდა კაცს, ვინც გმირად იქცა. მან თამამად და ბრძნულად გადაწყვიტა. დაარწმუნა დარაჯი, დაბრუნებოდა თავის პოსტს, იმ ადგილს, რომელსაც ვერავინ ველარაფრით დაუკავშირებდა ამ უბედურებას; იგი ყველაზე ერთგული და წესიერი გახლდათ იმ ორმოცდათა დარაჯს შორის, ამ გადაძახილზე რომ განლაგებულიყვნენ. თვითონ ქალიშვილი გვამთან დარჩა და განგაში ატეხა; მას ვერაფრით დააბრალდნენ ამ უბედურებას, რადგანაც არ გააჩნდა და ვერც ექნებოდა რამენაირი ცეცხლსასროლი იარაღი.

„აჰა“, თქვა მამა ბრაუნმა და ხალისით წამოდგა, „ვიმედოვნებ, ბედნიერები არიან“.

„სად მიბრძანდებით?“ ჰკითხა მეგობარმა.

„მინდა ერთხელ კიდევ შევხედო სახლთუხუცესის პორტრეტს, ძმების მოლაღატეს არნოლდთაგან“, მიუგო მღვდელმა, „მინდა გავიგო, რა... მინდა გავიგო, ნაკლებ მოლაღატეა თუ არა კაცი, ვინც ორჯერ უღალატებს“.

და დიდხანს იდგა ჩაფიქრებული პორტრეტის წინაშე იმ კაცისა, ვისაც ჰქონდა თეთრი თმა, შავი წარბები და მკრთალად, ხელოვნურად იღიმებოდა, რაც არ შეესაბამებოდა პირქუშ გაფრთხილებას, მის თვალებში რომ გამოსჭვიოდა.

ინგლისურიდან თარგმნეს  
კაპიტან და როსტომ ჩხაიძეებმა



მთარგმნელისაბან

გამოცდილებისა წვდომის უნართან ხდის მას ძალზე საინტერესო პერსონაჟად.

„ადამიანი ვარ და ყველა-

ნაირი ცოდვას ჩაბუდებული ჩემს გულში“, ამბობს იგი დეტექტივში „ღვთის ჩაქუჩი“.

ჩესტერტონმა ამ მოთხრობების წერა სახალისოდ დაიწყო და არასოდეს დაუკარგავს ეს განცდა. იგი მცირე ჩანაწერებს აკეთებდა და შემდეგ მოთხრობის ფორმას ანიჭებდა, როცა ფული დასჭირდებოდა.

თვითონ ამბობდა: ბევრი ცუდი დეტექტიური მოთხრობა დაეწერე; და მიუთითებდა: მათში ბევრი უწესრიგობა და არათანამიმდევრულობაა, განსაკუთრებით წვრილმანებს თუ ჩავეძიებით, და ხანდახან მამა ბრაუნი ისეთ დღემდე ჩავარდნილა, რომ თავს თუ ჩამოიხრჩობდა იმ სახლის კარის დიქზე, სადაც დანაშაული მოხდა, თორემ სხვა არაფერი დარჩენოდა.

მამა ბრაუნის პროტოტიპი იყო ირლანდიელი კათოლიკე მღვდელი, მამა ჯონ ო'კონორი. მას მიუძღვნა ჩესტერტონმა „მამა ბრაუნის საიდუმლო“. ამ ადამიანმა გადააწყვეტინა ჩესტერტონს, კათოლიკური სარწმუნოება მიეღო. და მის გაკათოლიკებას მოჰყვა თხზულებანი ფრანკესკო ასიზელსა და თომა აქვინელზე. ჩესტერტონს სურდა შეექმნა „კომედია, სადაც მღვდელმა, ვისაც თითქოს არაფერი არ უნდა სცოდნოდა, უფრო მეტი იცოდა დანაშაულზე, ვიდრე თვითონ კრიმინალებმა“.

სწორედ ეს არის, რაც დღემდე ინტერესით გვაკითხებს ამ ქმნილებებს, თუმცა გვიანდელი მოთხრობები, რომლებიც ჩესტერტონმა კათოლიკედ მოქცევის შემდეგ დანერგა, დოგმატური ეჩვენებათ და შენიშნავენ, სიხალისის განცდა დაიკარგაო.

უილიამ თეკერის დიდ სიმართლესა და ვნებას ინვევდა საგნებისადმი უღრმესი თანაგრძნობა, ნათანიელ ჰოთორნისას – საგნებისათვის საბედისწერო შინაარსის მინიჭება, ჩარლ დიკენსისას – საგნებისადმი მხიარული დამოკიდებულება, და ჩესტერტონიც ამ ლიტერატურულ ტრადიციას რომ მიჰყვებოდა ერთგულად, თავის წინამორბედს იმითაც მიბაძავდა, რომ „ინგლისის მოკლე ისტორიას“ შეადგენდა „ინგლისის საყმაწვილო ისტორიის“ გავლენით.

ისტორიაშიც ჩაფლობოდა, მითოსურ ეპოქამდეც გაჰყვებოდა ყაბთა დინებას და უკვირდა, და მერე რარიგად უკვირდა, რომ ყოველდღიურად ხვდებოდნენ ადამიანები, რომელთაც... აღარ სჯეროდათ ზღაპრებისა.

ვისაც ზღაპრებისა არ სჯერა, განა შეიძლება ინარჩუნებდეს სულში ბავშვურ, გულალალ, რომანტიკულ სანყისს?

თვითონ ყმაწვილური გაცოცებით შეჰყურებდა სამყაროს და ბერს ვერ აეხსნა: ეს კაცი თან დიდი ფიგურაა, უდაყო და უცილოდ, და თან ასე უმოწყალოდ ჩამორჩენია დროსო.

ჩესტერტონი კი... იცინოდა და წერდა, წერდა და იცინოდა.

„მისი მეგობარი და ოპონენტი ჯორჯ ბერნარდ შოუ „კოლოსალურ გენიოსს“ უწოდებდა. და თუ უკვე აღარ მივიჩნევთ ასეთად, არა იმიტომ, რომ ნაკლებ ბრწყინვალედ მიგვაჩნია, არამედ – სულ რომ აღარაფრად ვაგდებთ. ჩესტერტონი რომ პროგრესული ლიბერალური იდეების მქადაგებელი ყოფილიყო, იგი დღესაც ჩარაცხული იქნებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისის ბრწყინვალე მწერალთა პანთეონში, ბერნარდ შოუსთან და ჰერბერტ უელსთან ერთად. მაგრამ იგი ორთოდოქსული ქრისტიანობის რომანულ-კათოლიკური ვერსიის დამცველი გახლდათ და ამიტომაც აღარ მიიჩნევენ თანამედროვეობისათვის საჭირო გენიოსად“ (ერკ მაკმილანი).

ქართულ ენაზე ჯილბერტ კიტ ჩესტერტონის სახელი გამოჩნდა ორი კრიტიკულ-ესთეტიკური თხზულებით „მეცნიერება და ველურები“ და „ცხოვრებისეულობა დიკენსისა“, რომლებიც შესულია ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა ესეების ანთოლოგიური ყაიდის კრებულში (1989 წლის გამოცემა).

„ჯერ არ შობილა დიკენს-სზე უფრო მრისხანე მეამბოხე რადიკალი; მაგრამ იგი იმასაც ხედავდა, თუ როგორ ეპარებოდნენ მარადისობის წამი წარმავალ საათთა თვლაში გართულ ადამიანებს“ – ეს არის ჩარლზ დიკენსის პიროვნებისა და მწერლური ღვანლის სხარტი და ზუსტი შეფასება იმ ადამიანის მიერ, ვინც მის ლიტერატურულ მემკვიდრედაა აღიარებული და ამიტომ თავისი წინამორბედის მხატვრულ-იდეურ თავისებურებათა ყველაზე სანდო განმსაზღვრავიცაა.

ეს მწერალია ჯილბერტ კიტ ჩესტერტონი (1874-1936) უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედი. ავტორი ბიოგრაფიული რომანებისა (ჩარლზ დიკენსზე, რობერტ ბრაუნინგზე, ბერნარდ შოუზე), ესეებისა, სტატიებისა, რომანებისა, პიესებისა და ლექსებისა. ეს ყოველივე 100 ტომს მოიცავს (შემოქმედებით ნაყოფიერებას თუ მაინცდამაინც დანაშაულად არ ჩავუთვლით!).

„დიკენსს, მეტი რომ აღარ შეიძლება, ისე შეუშალა ხელი თაყვანისმცემელთა ჩვეულებამ, ხოტბას მის ნაკლს რომ ასხამდნენო“ – ამას რომ წერდა, არამარტო „დავით კოპერფილდის“ შემოქმედის, არამედ ყველა მწერლის ტრაგიკულ, უკეთეს შემთხვევაში დრამატულ, ხვედრს უთანაგრძნობდა, ხშირად მკითხველთა წრეებში იმით რომ ფასობენ, რაც თვითონ დამაფიქრებელ ხარვეზად მიაჩნიათ და მისგან თავდაღწევას ლაბობენ.

ცხადია, საკუთარ თავსაც მათ მიათვლიდა ჩესტერტონი და გული წყდებოდა, სიცოცხლისკენი ჩაძირულნი რატომ ვერ ამჩნევენ იმ მთავარს, რისთვისაც მუხლჩაუხრელად ვიღვნიო.

სიცოცხლით თვითონაც ეცინებოდა წერისას, ისე ჩაეფლობოდა პერსონაჟთა ორომტირალიში, მათ გვერდით მყოფივით ამხიარულვდა ეს კომიკური გარემო, და რაკილა კაფეში უყვარდა მხატვრულ თხზულებათა შექმნა, მიმტანები ცოტა არ იყოს ეჭვით შეჰყურებდნენ მის უცნაურ საქციელს. ერთხელაც მთავარი მიმტანი ჩესტერტონის მეგობარს გაიხმობდა განზე: ეტყობა, ჭკვიანი კაცია, რა გვეთქმის, წერს და იცინის, იცინის და წერს.

მამინაც მისი კვიმატი ღმირი შემოგვანათებს, ადამიანის ფსიქიკისა და ნუთისოფლის იდუმალ შრეებს რომ ჩასდევს გულისგულამდე და რაღაც-რაღაცების ამოცნობას მაინც ცდილობს: ქუხილს კაცის ხმა ერქვა, ელვას – კაცის თვალები, რადგანაც ამგვარი ახსნის წყალობით ეს მოვლენები უფრო გასაგებია და მისაღები ხდებოდაო, – და ყველას ურჩევს, ღამით ვინრო ბილიკს თუ გაუყვებით, ცრურწმენათაგან განიკურნებითო. ასეთ დროს საგნები ასჯერ უფრო მიუწვდომელი ხდება და, ბილიკს რომ მიუყვები, მკაფიოდ გრძნობ, რომ ვიდრე ბუნება თავისი სახით რჩება, ჩვენზე ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენს. ვიდრე ხე ხეა, ეს არის ურჩხული, კენწეროს რომ არჩევს, ასი ხელი აქვს, ათასი ენა და ერთი ფეხი. მაგრამ რაკილა ხე ხეა, ის სულაც არ გვაშინებს. ის ხდება რაღაც უცხო, რაღაც უცნაური მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ გვემსგავსება. როდესაც ხე კაცს ემგვანება, მუხლი გვეკვეთება, და მთელი სამყარო რომ კაცს ემსგავსება, ჩვენ პირქვე ვეშხობით.

ჩესტერტონს ყველაზე დიდი პოპულარობა მოუტანა დეტექტიური მოთხრობების ციკლმა მამა ბრაუნის შესახებ, უპირველესად კი: „უცოდველობა მამა ბრაუნისა“ (1910), „სიბრძნე მამა ბრაუნისა“ (1913), „უნდობლობა მამა ბრაუნისა“ (1923), „საიდუმლო მამა ბრაუნისა“ (1927), „სკანდალი მამა ბრაუნისა“ (1935).

მამა ბრაუნი (პირველი სასულიერო დეტექტივი) თავისი უბრალო სახით „ისეთი მრგვალითა და უხალისოთი, როგორიც ნორფოლკური ცომის გუნდაა“, მოუქნელი და დუნე კი ჩანს, მაგრამ ეს სიმპათიური, პატარა მღვდელი გამჭრიახი თვალთა წვდობა ადამიანის ბუნების უღრმეს შრეებს. როგორც თვითონ ამბობს, „კაცი, რომელიც მხოლოდ ყურს დაუგდებს დამნაშავეს, რაღაცას მაინც გაიგებს დანაშაულის შესახებ“. სწორედ შერწყმა მისი გარეგნული უბრალოებისა და

**ტყავი, საკუთარი ტყავი**

იტალიელი მაცურებელი დიდი ინტერესით ელოდა ლილიანა კავანის ფილმს

„ტყავი“, რომელიც ასახავს მეორე მსოფლიო ომის მოვლენებს: ამერიკელთა ჯარის შესვლას ნეაპოლში და შემდგომ მსველელობას რომისაკენ.

დიახაც უჩვეულო ინტერესით ელოდნენ, ვინაიდან კავანი, შედარებით ახალგაზრდა რეჟისორი, უკვე სარგებლობდა ერთგვარად სკანდალური რეპუტაციით; უფრო და უფრო სარისკო, ლამის პათოლოგიურ, თემებს ეტანებოდა.

ამჯერად ეკრანიზაციისათვის აირჩია კურციო მალაპარტეს რომანი. ეს ავტორი ფაშიზმის ეპოქაში საკმაოდ თვალსაჩინო ფიგურა გახლდათ: ცნობილი ჟურნალისტი და სალონებში აღიარებული დონ-ჟუანი, სამხედრო კორესპონდენტი აღმოსავლეთის ფრონტზე, რომელიც იტალიურთან ერთად გერმანულ გაზეთებსაც ამარაგებდა ცინცხალი ინფორმაციით, სადაც მომავალი მწერალი ილანდებოდა.

აი, ერთი პასაჟი მალაპარტეს რეპორტაჟიდან: „... ბრძოლის დროს, სიტყვები სტალინისა, რუპორებით უზომოდ ხმაანული, ეფრქვევა სანგარში თავიანთ ტყვიამფრქვევებთან ჩაცუცქულ ადამიანებს, გრიალებს ბუჩქებში ჩანოლილ ჯარისკაცთა ყურებში, გრიალებს დაჭრილთა ყურებშიც, ტკივილებსგან რომ იკრუნჩხებიან აგონიაში. რუპორები ამ ხმას ანიჭებენ მკვეთრ, მკაცრ და ლითონისებრ ელფერს. არის რაღაც ეშმაკისეული და, იმავედროულად, საშინლად მიაშიტი ამ ჯარისკაცებში, რომლებიც იბრძვიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, შთაგონებულნი სტალინის სიტყვით; ამ ჯარისკაცებში, რომლებიც არასოდეს ნებდებიან მტერს; ამ მკვდრებში, ჩემს ირგვლივ რომ გართხმულან, მათ უკანასკნელ შესტებში – უდრეკ, მძვინვარე შესტებში, და ესოდენ ეული სიკვდილით რომ დახოცილან სროლების გამაყრუებელ გრიალსა და რუპორთა ხმაგაუკმენდელ ღრიალში“.

ჰიტლერელთა კატასტროფამ სტალინგრადში მალაპარტე „ანტიფაშისტად“ აქცია, ხოლო სამხრეთ იტალიაში ანგლო-ამერიკელთა ჯარების გადასხდომის შემდეგ იგი მეკავშირე ოფიცრად მიამაგრეს ამერიკელთა მეხუთე არმიის შტაბს.

მალაპარტეს „ტყავი“ მოგვითხრობს ამერიკელთა მიერ ნეაპოლის ოკუპაციას. ავტორი უშურველად ჩხვლეთს და დასცინის გამარჯვებულ „ბარბაროსებს“. მისი კრიტიკა ჟღერს დამარცხებულის სამრეკლოდან. შეურაცხყოფილი ეროვნული თავმოყვარეობა და ახალი ბატონების სამსახურში ჩამდგარი კაცის შელახული პატივმოყვარეობა გულს უკლავს მწერალს.

მალაპარტე აღწერს ნეაპოლს 1943-1944 წლების მიჯნაზე და ყურადღებას ამახვილებს კომმარულ სურათებზე: სილატაკე, შიმშილი, ზნედაცემულობა. ერთნაირი სიძულვილითა და ზიზღით გვიხატავს მომხდურებსაც და თვისტომთაც.

აი, მისი მსოფლმხედველობის ფორმულა: ადამიანი თავისი ბუნებით სასტიკია და ეგოისტი; ერთადერთი ჭეშმარიტი სამშობლო და ნამდვილი დროშა ადამიანისა – ესაა მისი საკუთარი ტყავი.

მალაპარტეს რომანმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია იტალიაში. ნეაპოლის მუნიციპალიტეტის დადგე-

წილებით ავტორს სამუდამოდ აეკრძალა ფეხის დადგმა ქალაქ ნეაპოლში.

ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო... სწორედ ასეთი ხილი ხიბლავდა ლილიანა კავანის.

ფილმში მალაპარტეს როლს ასრულებს მარჩელო მასტროიანი (ინდულგენცია ფილმისათვის!). იტალიელი მეკავშირე ოფიცერი თავის ამერიკელ კოლეგას მეგზურად დაჰყვება ნეაპოლში. შემდეგ ამერიკელთა მეხუთე არმიის სარდლის, გენერალ მარკ კორკის (იგულისხმება მარკ კლარკი, რომელმაც აიღო რომი) ბრძანებით ასევე მეგზურად ემსახურება დებორას, თვალსაჩინო ამერიკელი პოლიტიკოსის მეუღლეს, მამაც მფრინავს. იგი ქმრის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიას ატარებს ამერიკელთა ჯარში. მალაპარტეს უზომოდ ამცირებენ – დებორა გულგრილია თვალწარმტაცი „ლათინი მიჯნურის“ მიმართ, უყურებს როგორც „ბინძურ მემაკარონეს“.

აი, ეს არის მთელი სიუჟეტი ფილმისა, რომელიც შეიცავს ეპატაჟური ეპიზოდების წყებას. დავიმონმოთ ზოგიერთი მათგანი:

მალაპარტეს ამერიკელი ჟურნალისტი შეჰყავს რესტორანში და აჩვენებს, რომ დამშუულ ნეაპოლში ბატკნის მწვადის ნაცვლად შეიძლება მოგართვან ადამიანის ხელის მტევენის მწვადი – კარგად შემონახული ფრჩხილებით.

დებორას პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე, სხვა კერძებთან ერთად, შემოაქვთ ვეება ლითონის „კუბოში“ მოთავსებული იშვიათი ზღვის ცხოველი, რომელიც ძალზე ნააგავს მიცვალებულ გოგონას (მსხვილი პლანი!).

კანიბალურ სცენებს ენაცვლება ეროტიკული. ღარიბი მამა ყმანვილქალისა, რომელიც შეუყვარდა ამერიკელ ჟურნალისტს, თითო დოლარის ფასად ნებას აძლევს რიგში ჩამდგარ ოკუპანტებს, დარწმუნდნენ, რომ მისი ასული ქალწულია (სანთლით საძებარი იყო იმდროინდელ ნეაპოლში!).

ამერიკელი ჯარისკაცი მოსასაქმებლად გზიდან გადაუხვევს და მალაპარტეს თვალწინ ფეთქდება გერმანელთა ნალშე. მუცლიდან ნანლავეები გადმოეყრება (ისევ მსხვილი პლანი!).

ხანძრის კვამლში, ვეზუვიდან ამოფრქვეული გაზებისა და ფერფლის ქარბორბალაში, გავარვარებული ქვების სეტყვის ქვეშ, იტალიელი თავადის ქალი (ამ როლს ასრულებს კლაუდია კარდინალე) მწვავე, აქამდე არნახული განცდების საპოვნელად ნებდება უცნობს, კუზიანსა და ზუნტლიან ჭაბუკს. ხოლო ამერიკელ დებორას, პრეზიდენტობის კანდიდატის მეუღლეს, მისივე თვისტომი – თავისუფლების მთესველი გულადი ამერიკელი მეომრები სატივროთ მანქანის ძარბაში აათრევენ და ჯგუფური გაუპატიურების სენასს აწყობენ.

ლილიანა კავანის ფინალისათვის შემოუნახავს ყველაზე საზარელი სცენა: კარგა ხანს გრძელდება ფილმის კადრები, სადაც ვხედავთ რომში ამერიკელთა საზეიმო შესვლისას მათი ტანკის მუხლუხებქვეშ როგორ იჭყლიტება იტალიელი ბავშვი.

ომის საშინელებათა ჩვენება რეჟისორი ქალისათვის თვითმიზანი და, ვაგლახ, ესთეტიკური ტკბობის საგანი გამხდარა!

უკვდავება  
თუ ტკბილი ცხოვრება?

რალთან და გაეგრძელებინა სამსახური პორტუგალიის მეფისა, რომელსაც შეჭვიცა ერთგულება და რომელიც ჯამაგირს უხდიდა.

1513 წლის 1 სექტემბერს ვასკო ნუნის დე ბალბოა, თავგადასავალთა მაძიებელი და მეამბოხე, გმირი და ყაჩაღი, იწყებს თავის ლაშქრობას უკვდავებისკენ...

და აი, უკან დარჩა უაღრესად ძნელი და დამქანცველი გზა. ვადაიარეს პანამის ყელი. 25 სექტემბერს დილით ესპანელები უახლოვდებიან მთის თხემს. ბალბოა თავის შეთხელებულ რაზმს უბრძანებს, შეჩერდითო. ფეხდაფეხ არავინ არ უნდა გაჰყვეს. არავინ არ უნდა გაიზიაროს ბედნიერება უცნობი ოკეანის ხილვისა. ბალბოა სამარადისოდ უნდა დარჩეს პირველ ესპანელად, პირველ ევროპელად, რომელმაც გადაცურა დედამიწის ერთი უზარმაზარი ოკეანე – ატლანტისა და თვალი შეავლო აქამდე უცნობს, შემდგომში წყნარი ოკეანე რომ უწოდეს.

ვასკო ნუნის დე ბალბოა ერთ-ერთია იმ უკვდავ მოგზაურთაგან, ვისაც შტეფან ცვაიგმა თავის ისტორიულ მინიატურებში ხოტბა შეასხა. მათ შეუდარებელი ნეტარების ხანმოკლე ჟამი დაუდგებოდათ ხოლმე, როდესაც სანადელს მიაღწევდნენ, მაგრამ ამ დაუფინყარ წუთებამდე უნდა განეცადათ უზომო ტანჯვა-წვალება და ჯოჯოხეთური ძალისხმევა, მერე კი, არცთუ იშვიათად, დიდების კვარცხლბეკიდან გადმოგდება საჯალათო კუნძუე თუ საპყრობილის ბნელ დილეგში.

სხვებს რომ თავი დავანებოთ, სწორედ ზემოხსენებულ ბალბოას მისი ტრიუმფის მომდევნო წელს, ესპანეთის მეფის ბრძანებით, როგორც მეამბოხეს თავი მოჰკვეთეს.

ცვაიგის აღნიშნულ თხზულებაში გვხვდება ერთი სახელი, რომელსაც არაფერი არ აღმოუჩენია, მაგრამ მანაც მოხვედრილა იმ გმირთა და რომანტიკოს მოგზაურთა გვერდით, ოქროს ასოებით რომ ჩაუნერიათ კაცობრიობის მატთანში.

ეს კაცი გახლავთ ძმადნაფიცის სახელგანთქმული მაგელანისა, მისი თვისტომი და თანამგზავი - ფრანსისკო სერანო.

ცვაიგი ორიოდ სიტყვით მოგვითხრობს მის თავგადასავალს.

სერანო მალაკაში დაემშვიდობა მაგელანს, რომელიც ბრუნდებოდა სამშობლოში. მერე გაემართა „სანელბელთა კუნძულებისკენ“. იქ კარგად დახვდნენ სტუმრებს. უკანა გზაზე სერანოს გადატვირთული ხომალდი მეჩერს დაეჯახა და დაიშხვრა. სერანოს მოუხერხებია ხელთ ეგდო მეკობრეთა ნავი და ისევ იმ კეთილისმყოფელ კუნძულზე მიბრუნებულა.

კაპიტან ფრანსისკო სერანოს ვალი იყო, რომ ხანმოკლე დასვენების შემდეგ დაბრუნებულიყო თავის ადმი-

მაგრამ თვალწარმტაცმა ბუნებამ (თავი სამოთხეში ეგონათ!) მოადუნა სერანო და სამხედრო დისციპლინა დაავინყა. მისთვის უკვე სულერთი იყო, თუკი აქედან ათასობით მილის დაშორებით, ლისაბონის სასახლეში ვილაც მეფე განრისხდებოდა და ამოშლიდა მის გვარს თავის კაპიტანთა სიიდან. საკმარისად ვემსახურეო, ასკვნის იგი და ახლა საკუთარ სიამოვნებაზედა ფიქრობს. აქ, ამ კუნძულის მკვიდრთ არც სამოსელი გააჩნიათ და არც საზრუნავი.

ფრანსისკო სერანო გმირული სამყაროდან ერთბაშად გადააბიჯებს იდილიის სამყაროში. აბორიგენტთა პირველყოფილი ცხოვრებით უნდა იცხოვროს; „dolce far niente“ („ნეტარი უსაქმურობა“, სიტყვასიტყვით – „ტკბილი არაფრის კეთება“) – აი, რა ჰქვია მის ახალ ცხოვრებას.

კუნძულის მეფე თავის დიდვეზირად ნიშნავს. სერანომ, ათასში ერთხელ, სამხედრო რჩევა უნდა მიანოდოს – ეს არის და ეს. აჯილდოებენ სახლით, სადაც ჰყავს მსახურნი და მომხიბლავი ცოლი, რომელიც შავგვრემან შვილებს უჩენს.

ცხრა წლის განმავლობაში, სიკვდილამდე, აღარ მიუტოვებია ეს ზღაპრული კუნძული. ცვაიგი წერს, რომ პორტუგალიის ისტორიის სახელოვანი ეპოქის კონკისტადორთა და კაპიტანთა შორის არცთუ ყველაზე მამაცი სერანო, ალბათ, იყო ყველაზე გონიერი და, ამასთან, ყველაზე ბედნიერი.

ტკბილი ცხოვრება ამჯობინა უკვდავებას.

მაგრამ ერთი პანანკინტელა წვეთი უკვდავების ოკეანიდან, ჩანს, მასაც ერგო.

სერანოს მიმონერა ჰქონია მაგელანთან და მოუწოდებდა ძმადნაფიცს, ეგ უმადური სამშობლო მიატოვე და ჩემთან ჩამოდიო.

ცვაიგის აზრით, სწორედ სერანომ ჩააგონა მაგელანს, რომ უფრო გონივრული იქნებოდა „სანელბელთა კუნძულებამდე“ მისვლა კოლუმბის გზით (მაშასადამე, დასავლეთიდან) და არა – ვასკო და გამას გზით (მაშასადამე, აღმოსავლეთიდან).

ამას კი მოჰყვა მაგელანის მოგზაურობა დედამიწის გარშემო, გასვლა ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში და უდავო დადასტურება იმისა, რომ დედამიწა მრგვალია!

ქრონიკა

29 ოქტომბერს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა, რომლის სრული სახელწოდებაა „საიუბილეო კრებული მიძღვნილი თამარ გამსახურდიას ნათელი ხსოვნისადმი (70)“.

კრებულის შემდგენელ-რედაქტორია პროფესორი ნათელა ვაჩნაძე.

მთავარი რედაქტორი – აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

ეს საინტერესოდ მრავალფეროვანი გამოცემა საისტორიო

და ფილოლოგიურ ნაშრომებს, აგრეთვე მეტად საგულისხმო მონებებს იკრებს, რომელთა მეშვეობითაც მკითხველი უდროოდ გარდაცვლილი კდემამოსილი ქალბატონის პიროვნულ ღირსებასა და ხიბლს შეიცნობს.

პრეზენტაციაზე სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: მარიამ ლორთქიფანიძე, ნოდარ ასათიანი, ოთარ ჯაფარიძე, ელგუჯა ბერძენიშვილი, მანანა ხიდაშელი და კონსტანტინე გამსახურდია.